

გერაშ პალაციაპი

ისტორიოგრაფიული ეთიუდები

ნაწილი მეორე

თბილისი 2019

„ისტორიოგრაფიული ეტიუდების“ მეორე წიგნი მთლიანად ქართულ ისტორიოგრაფიას ეხება. პოსტსაბჭოთა სივრცეში ისტორიული მეცნიერება კრიზისს განიცდის. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს, თავი დააღწიოს ამ ვითარებას და ახალ სიმაღლეზე ავიდეს, რაც ცხადია, ძალიან კარგია. ნაშრომში განხილულია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის პერსპექტივები და პრობლემები. ნაჩვენებია მისი შუქ-ჩრდილები. შევეცადეთ, აგვეხსნა ამისი გამომწვევი მიზეზები.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, ისტორიკოსების და საერთოდ ისტორიით დაინტერესებული ქართველი მკითხველებისათვის.

რედაქტორი პროფ. გურამ ყორანაშვილი

**რეცენზირებელი: პროფ. გურამ მანჯგალაძე
პროფ. ვაჟა ჩოჩია**

დაკაბადონდა გამომცემლობა „ინტელექტში“

შესავალი

პოსტსაბჭოთა სივრცეში ისტორიული მეცნიერება კრიზისს განიცდის. ეს კრიზისი, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, შემთხვევითი არ გახლავთ და ვიწრო-დოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის სამოცდაათნლიანი ბატონობის ლოგიკური შედეგია. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება განვიხილო პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია. შევეხოთ მის პერსპექტივებს და პრობლემებს. ამ კუთხით თემის გაშუქება აქტუალურად მიგვაჩნია.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია გზასაყარზე დგას და სერიოზული არჩევანი უნდა გააკეთოს. ის ცდილობს სწორ გზაზე დაბრუნებას, ცხადია, ეს არ იქნება ადვილი საქმე, დიდ ძალისხმევას და დროს მოითხოვს. სწორ გზაზე დაბრუნება მტკიცნეული პროცესი იქნება, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია არის საკმაოდ მრავალფეროვანი, რთული და მრავალწახნავოვანი და მისი ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი შეფასება ძალზე ძნელი იქნება. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია წინ უნდა წავიდეს, განვითარდეს. მარქსიზმ-ლენინიზმისაკენ დაბრუნების ნებისმიერი მცდელობა მიუღებელია.

გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, ქართულმა ისტორიოგრაფიამ კვლავ აღიდგინა სუვერენობა. ამას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ ეს, რა თქმა უნდა, სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ახლა ქართულ ისტორიოგრაფიას შეეძლო საკუთარი არჩევანი გაეკეთებინა. ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის ხანა დასრულდა. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სწორ გზაზე დაბრუნებას, სწორი არჩევანის გაკეთებას, ის ახალი გზების მოძიების პროცესშია. თანა-

მედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ პრობლემას იმაში ვხედავთ, რომ რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხობრივში, გადაზრდის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს და ძალიან გაჭიანურდა. მნიშვნელოვანნილად ამით აიხსნება, რომ კრიზისის დაძლევის მცდელობა პალიატურ, ზედაპირულ ხასიათს ატარებს და, უმთავრესად, რაოდენობრივ ცვლილებებზეა გათვლილ.

წლების განმავლობაში დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს გამოცდილება, უმთავრესად, მაინც ნეგატიურია. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ გახდავთ. ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად. მასში უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობის ანარეკლი უნდა დავინახოთ. ამითაა გამოწვეული აღნიშნული ნაშრომის უანრობრივი მრავალფეროვნება, ის სცილდება წმინდა მეცნიერულ გამოკვლევის ჩარჩოებს და ერთ შემთხვევაში ავტობიოგრაფიული ჟანრის, ხოლო მეორე შემთხვევაში კი პოლიტიკური პამფლეტის ელევრი დაკრავს.

უწინარესად მიზანშეწონილი იქნებოდა განვსაზღვროთ ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები. ამას აქვს მნიშვნელობა. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, ცხადია, ვგულისხმობთ პოსტსაბჭოთა პერიოდს. 1991 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე, ნაშრომში, უმთავრესად, საუბარი გვექნება მსოფლიოს ისტორიაზე, ისტორიოგრაფიაზე, და ნაწილობროვ საქართველოს ისტორიაზე. სხვა დარგებს არ შევეხებით. ეს აშკარად სცილდება ჩვენს კომპეტენციას, თუმცა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ დარგებშიც დაახლოებით ანალოგიური ვითარება გვექნება, ეს დარგები, ცხადია, ოაზისს არ წარმოადგენს, და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის შემადგენელი ნაწილია. მას ვერ მოვწყვეტთ ისტორიული მეცნიერების განვითარებას საქართველოში.

ამ ნაშრომის დაწერის იდეა რამდენიმე წლის წინ დაგვეხადა, როდესაც 2014 წლის მარტში პროფ. გურამ ყორანაშვილმა საჯარო ბიბლიოთეკაში ჩაატარა ლექცია ამ თემაზე, რომელსაც სულ 10-15 კაცი თუ ესწრებოდა, ისიც, უმთავრესად, უფროსი თაობის ნარმომადგენლები. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩინია, რომ ახალგაზრდობა ინდიფერენტული აღმოჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ მან ამ თემაზე ლექციის ჩატარება განიზრახა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 317-ე აუდიტორიაში, ფაქტობრივად, ლექცია ჩაიშალა, რადგან აუდიტორია არ შეიკრიბა. სულ ხუთი კაცი ვიყავით. მე, პროფ. დიმიტრი ჭველიძე, პროფ. ავთანდილ წონკოლაური ლაბორანტი ჭაბუკა ბეტონიძე და მაგისტრანტი ირაკლი ნოდია. ასეთ გულგრილ დამოკიდებულებას ძნელია რაიმე გამართლება მოუძებნო.

ჩვენმა ჩანაფიქრმა გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. თავდაპირველად წიგნის გამოცემა არ იგეგმებოდა. გადაწყვეტილი გვქონდა სტატიის დაწერა, რომლის პუბლიკაციას ვაპირებდით ბ-6 როსტომ ჩეხიძის უურნალში „ჩვენი მწერლობა“. ამ თემაზე საუბარი გვქონდა ბ-6 როსტომთანაც და შეთანხმებულები ვიყავით, მაგრამ შემდგომში გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ეს არ მოხდა. ცხადია, ჩვენ იძულებული გავხდით გარკვეული კორექტივები შეგვეტანა ჩვენს გეგმებში. გადავწყვიტეთ მისი რომელიმე სოლიდური სამეცნიერო უურნალში გამოქვეყნება, დახმარება ვთხოვეთ პროფ. ელდარ მამის-თვალიშვილს, რომ იქნება დაგვეხეჭდა გორის უნივერსიტეტის შრომებში. შევთანხმდით ნაშრომი დიდი იყო და ორ ნაწილად უნდა გაგვეყო. ასეც მოვიქეცით, მაგრამ, ეტყობა, მოცულობის გამო, მისი გამოცემა ჭიანურდებოდა. ბ-6 ელდარს გაუჩნდა აზრი, ხომ არ გამოგვეცა ის ბროშურის სახით. ანალოგიური მოსაზრება, დიდი ხანია ჩვენც გვიტრიალდებდა თავში, მაგრამ ვყოყმანობდით, ვერ გადაგვეწყვიტა და უფრო პრიორიტეტულად სტატიის პუბლიკაცია გვესახებოდა. გადავწყვიტეთ, რომ ნაშრომი წიგნის სახით გამოგვექვეყნებინა.

ყველაფერ იმაზე, რაც გადავიტანეთ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში, გვინდოდა მოგვეთხოვ ცალკე წიგნში, მაგრამ ახლა მიზანშეწონილად ვცანით ეს საკითხი ამ კონტექსტში განგვეხილა, ამას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. ეს საშუალებას მოგვცემს კარგად გავერკვეთ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ზნეობრივ სახეში, რომელიც მისი აკადემიური დონის დაქვეითების ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. ყველაფერი ეს, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, შემთხვევითი არაა, აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად. ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს ძალასხმევით მოხდა ქართული ინტელიგენციის სახის, ზნეობრივი პრინციპების ტრანსფორმაცია. მან მკვეთრად ვარდნა განიცადა. ასე დაანაგვიანეს ბოლშევიკებმა უნივერსიტეტი. ასე შემოაღწიეს ქართული ინტელიგენციის რიგებში შემთხვევითმა ადამიანებმა. ქართულმა ინტელიგენციამ სახე იცვალა. დღეს, სწორედ, ამის შედეგს ვიმკით. ყველაფერი ეს უნივერსიტეტის საქმეში სახელმწიფოს უცერემონიოდ ჩარევის ლოგიკური შედეგია. ეს საკითხი სწორედ ამ კონტექსტში გვაინტერესებს. ამიტომ ეს არ გახლავთ მხოლოდ პირადი ანგარიშსწორება იმ ადამიანებთან. რომლებიც უსამართლოდ მომექცნენ, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, ასე ვინრო ასპექტში ეს თემა არ გვაინტერესებს, ჩვენ ვცადეთ მისთვის უფრო ფართო სპექტრში შეგვეხედა და თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი მდგომარეობის გამოძახილი ამოგვევითხა.

საკითხის ისტორიოგრაფიის მაგივრად. ამ თემაზე ძალიან ცოტა იწერება. ფაქტობრივად, ამ საკითხს ისტორიოგრაფია არ გააჩნია და ჩვენ ერთადერთ უშუალო წინამორბედად პროფ. გურამ ყორანაშვილი გვევლინება. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ქართველი ისტორიკოსების უმრავლესობა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ეს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში კეთილდღეობის ილუზიას ქმნის. ეს კი მიუღე-

ბელია. ჩვენი აზრით, ეს პრობლემა ასეთ დამოკიდებულებას არ იმსახურებს. ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად პროფ. გ. ყორანაშვილის შრომები გვევლინება, ის ხაზს უსვამს თანამე-დროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ რთულ ვითარებას, რაც, მნიშვნელოვანნილად, იმ არასახარბიელო მემკვიდრეობითაა გამოწვეული, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიამ დაგვიტოვა. ამგვარი მიდგომა, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონა-ლურ მარცვალს და ამის უგულებელყოფა სწორი არ იქნებოდა. ამ საკითხის გაშუქების დროს მას სწორი ვექტორი უნდა ჰქონდეს არ-ჩეული, მთავარი, სწორედ, ეს არის. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ყველაფერი ეს უკანასკნელ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. მან მოგვცა ამ საკითხის საკუთარი ხედვა. აი, ეს არის ჩვენი აზრით მთავარი. ესაა საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ზოგიერთი სა-კითხის შემდგომი სრულყოფა, დახვენა, ჩვენი აზრით, გამორიცხუ-ლი არ არის. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია აკად. გიორგი მე-ლიქიშვილის და აკად. მარიამ ლორთქითანიძის შემოქმედებისადმი ხისტი დამოკიდებულება. შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევაში მისი მიდგომები სუპერკრიტიკული ჩანს. წამოიჭრება საკითხი – ცოტა ხომ არ ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას? მაგრამ უნდა ვაღია-როთ, რომ მისი კრიტიკული პათოსი, უეჭველად, შეიცავს ჭეშმა-რიტების რაციონალურ მარცვალს, რაც ამ თემაზე მისი მსჯელო-ბის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

ჩვენ შევეცადეთ თავიდან აგვეცილებინა ორივე უკიდურესო-ბა. ამ პრობლემის აპოლოგეტური შეფასება ან მუქ ფერებში წარ-მოჩენა, შეუფასებლობა, გვინდოდა მოგვეძებნა, ოქროს შუალედი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მკაფიოდ გამოვკვეთოთ, რო-გორიც მუქი, ისე ჩრდილი და შეძლებისადაგვარად ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები, რა თქმა უნდა. საკითხის ჩვენეული ხედვა არ წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას. როგორ გავართვით თავი იმ რთულ ამოცანას, ეს უკვე მეცნიერული განსჯის საგანია.

პარი პირველი

თანამედროვე ქართული
ისტორიოგრაფიის შუა-ჩრდილობი

თავი პირველი

XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის
ძელებებისა. ისტორიული მეცნიერების
სტალინზაფია

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია XX საუკუნის ქართული ისტორიული აზროვნების ორგანული ნაწილია. ფაქტობრივად, ამით სრულდება XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია და იწყება ახალი XXI საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას ვერ მოვწყვეტთ წინა საბჭოთა-პერიოდს. ის მისი წინამორბედია. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ გადავავლოთ თვალი XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის საკვანძო მომენტებს. XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია იმ ეპოქის საქართველოს ისტორიის ძნელებების პირმშოა.

თუ კარგად არ გავაცნობიერეთ ის არასახარბიელო მემკვიდრეობა, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიამ დაგვიტოვა, ვინწოდოგმატურად გაგებული, მარქსიზმს-ლენინიზმის სახით. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას კარგად ვერ გავიაზრებთ.

XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას, მნიშვნელოვანილად, განაპირობებდა არა ისტორიულ მეცნიერებაში მომხდარი სიახლეები და ნოვაციები, როგორც ეს იყო ევროპულ ისტორიოგრაფიაში, არამედ პოლიტიკური კატაკლიზმები.

მათ შორის არსებული პრინციპული განსხვავება, ვფიქრობთ, სწორედ ამით იყო განპირობებული.

საქართველოს გასაბჭოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიის განვითარებას ღრმა კვალი დაამჩნია, ეს, უმთავრესად, იმით გამოიხატებოდა, რომ ქართული ისტორიოგრაფია იძულებული შეიქმნა გადაეხვია არჩეული გზის-თვის და მისი განვითარება სულ სხვა მიმართულებით წარიმართა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ.

ფაქტობრივად, საქმე გვაქვს XX საუკუნის ქართული ისტორიული აზროვნების პერიოდიზაციასთან. ამ, კუთხით საკითხი შედარებით ნაკლებადაა გაშუქებული და ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს.

XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის საკვანძო მომენტებია.

თავდაპირველად, ქართული ისტორიოგრაფია სწორი გზით მიდიოდა, მან მიაღწია ევროპულ სიმაღლეებს. გავიდა პოზიტივისტური ისტოროგრაფიის დონეზე. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს დიდი ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება, არსებითად. ეს გახლავთ XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის პირველი პერიოდი. ქართული ისტორიოგრაფია საქართველოს გასაბჭოებამდე. ქრონოლოგიურად ის მოიცავს პერიოდს მეოცე საუკუნის დასაწყისიდან 1900 წელს საქართველოს გასაბჭოებამდე 1921 წელს.

ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ქართული ისტორიოგრაფიის ამ პერიოდის შიდაპერიოდიზაცია. ამ კუთხით ეს თემა ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ არ ყოფილა გაშუქებული. ამ საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არა და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია, ის 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის წარმატებებისადმი საბჭოთა ხელისუფლების ნიპილისტური დამოკიდებულების ლოგიკური შედევია.

XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის პირველი პერიოდი პირობით ორ ქვეპერიოდად შეიძლება გაიყოს, რომელსაც მკვე-
თრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად.
მათ შორის მნიშვნელოვან მიჯნად, ცხადია, გვევლინება თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება და საქართველოს სუვე-
რენიტეტის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს. ქართულმა ისტორიო-
გრაფიამ სუვერენობა დაიბრუნა, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.
და სეროზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. იმ პერიოდის ქართუ-
ლი ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მიღწევად მსოფლიო ისტორიის
პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის
დაწყება მიგვაჩნია, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიის ძალისხმე-
ვით მივწყების სქელმა მტვერმა დაფარა, ამგვარი მიდგომა ძალზე
პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო და ყოველგვარ
მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართული ისტორიოგრა-
ფიის განვითარებაში დადგა ახალი ეტაპი. ეს გახდავთ საბჭოთა
პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია. ეს იყო **XX** საუკუნის ქარ-
თული ისტორიოგრაფიის განვითარების მეორე პერიოდი. საბჭო-
თა ეპოქის ქართული ისტორიოგრაფია, რომელსაც მკვეთრად გა-
მოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია და ქრონოლოგიურად
მოიცავს მონაკვეთს 1921 წლიდან. საქართველოს გასაბჭოებიდან,
საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1991 წლამდე. საბჭოთა პერიოდის
ქართული ისტორიოგრაფია, თავის მხრივ, კიდევ იყოფა ქვეპე-
რიოდებად, ეს არის საკითხის შიდაპერიოდიზაცია, ის პირობით
სამ მონაკვეთად, ქვეპერიოდად, შეიძლება დაიყოს.

თავდაპირველად, 20-30-იანი წლების პირველ ნახევარში ჯერ კი-
დევ გვხვდება, ძველი ინერციით შემორჩენილი აზრთა სხვადასხვაობა.
ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, რაც
იმით აიხსნება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი პოლიტიკური და
იდეოლოგიური ზეროლა შედარებით ნაკლებად იგრძნობა. საკუთარი
აზრის გამოთქმის მინიმალური საშუალება ჯერ ისევ არსებობს. ეს
იყო საბჭოთა სინამდვილეში შემორჩენილი თავისუფალი აზროვნების

უკანასკნელი მბჟუტავი სხივები, რომელიც სულ მაღლე ჩაქრა. ისტორიის თეორიის საკითხებზე ივ. ჯავახიშვილს და გრ. ნათაძეს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა, ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ამიტომ ეს მონაკვეთი საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ოპტიმალურ ხანად შეიძლება მოვიაზროთ. ეს არის საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების პირველი ქვეპერიოდი.

საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მეორე ქვეპერიოდად სტალინური ხანა გვევლინება. რადიკალურად შეიცვალა ვითარება 30-იანი წლების შუა ხანებიდან, მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიცირება, სტალინიზაცია. საბჭოთა კავშირში მყარდება ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, არსებითად, ეს იყო ორთოდოქსულ-ბოლშევიკური, სტალინური ტიპის ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსიზმი, ადგილი ჰქონდა მარქსისტული მოძღვრების ვულგარიზაციას. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მეორე ქვეპერიოდი „სტალინური ხანა“ იწყება 30-იანი წლების შუა ხანებიდან და მთავრდება ი. სტალინის გარდაცვალებით, 50-იან წლების დასაწყისში.

მესამე ქვეპერიოდი იწყება ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 50-იანი წლების დასაწყისიდან და პირობითად ორ ეტაპად იყოფა: 1. „დათბობის ხანა“ და 2. „უძრაობის პერიოდი“.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო „დათბობის ხანა“, რომლისათვისაც ნიშანდობლივი იყო ერთგვარი გამოცოცხლება. განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა თეორიული საკითხებით დაინტერესება, მაგრამ ის, უმთავრესად, შეეხებოდა ყველაზე უფრო ოდიოზურ სტალინურ დოგმებს. ასე მაგალითად, მის დებულებას ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გადასვლის დროს „მონათარევოლუციის შესახებ“, რაც მარქსისტული მოძღვრების ვულგარიზაციის კიდევ ერთი კარგი ნიმუშია. მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიის მონოპოლია ურყევია. განსაკუთრებით პოპულარული გახდა დევიზი „უკან ლენინისაკენ“.

„უძრაობის პერიოდში“ ეს ენთუზიაზმი თანდათან კლებულობს და სრულდება. ამიტომ იყო ის „უძრაობის ხანა“. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისი ლეტალურ ანუ სასიკვდილო ხასიათს იძენს. ამგვარი დასასრული, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და სავსებით მართლზომიერად მიგვაჩნია. XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია იმ ეპოქის საქართველოს ძნელბედობის პირმშოა.

ფაქტობრივად, ამით სრულდება XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის პერიოდიზაცია, ის პირობით ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს. ამ ორ პერიოდს შორის მნიშვნელოვან მიჯნად, რა თქმა უნდა, საქართველოს გასაბჭოება გვევლინება საქართველოს გასაბჭოებამდე (1900-1921) და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ანუ საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია (1921-1991).

კიდევ ერთი მნიშვნელოვან ნიშანსვეტად, ცხადია, გვევლინება 90-იანი წლების დასაწყისი, კონკრეტულად საბჭოთა კავშირის დაშლა. ამით სრულდება საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია და იწყება პოსტსაბჭოთა პერიოდის ანუ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია. ეს პერიოდი დღესაც გრძელდება. თავის მხრივ, ის პირობით ორ ქვეპერიოდად შეიძლება დაიყოს, ამ პერიოდის შიგნით, ცხადია, მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება 2006 წლის რეფორმა, რომელსაც უნდა ითქვას, რომ მინუსები უფრო მეტი აქვს, ვიდრე პლუსები. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ერთი ნაწილი XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში აღმოჩნდა, ხოლო მეორე XXI საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჩვენი აზრით, აქედან იწყება XXI საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია. ფაქტობრივად, ეს გახლავთ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პერიოდიზაცია.

XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები, სადაც ნეგატივი დომინირებს პოზიტივზე, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ძნელბედობის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება არ შეიძლება მოვწყვიტოთ XX საუკუნის

საქართველოს ისტორიას. ეს სწორი არ იქნებოდა. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს და ისინი ურთიერთზე-მოქმედებენ. XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია ამ პერიო-დის საქართველოს ძნელბედობის პირმშოა, მნიშვნელოვანნილად, ვიზიქობთ, ამით აიხსნება ის ჩამორჩენა, რომელიც ევროპულ ისტორიოგრაფიასთან შედარებით გაგვაჩნია, საკვირველი ის კი არ გახლავთ, რომ ჩამოვრჩებით, არამედ საკვირველი, ალბათ, ის უფრო იქნებოდა, რომ არ ჩამოვრჩენილყავით, XX საუკუნის ქარ-თული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი დამახსასიათებელი შტრიხი პოლიტიკური კატაკლიზმები გახლდათ. XX საუკუნის ქარ-თული ისტორიოგრაფიის ძნელბედობის გასაღები სწორედ აქ ძევს.

ტოტალიტარულ-ბოლშევიკურმა სახელმწიფომ საშინელი რე-პრესიები დაატეხა თავს საქართველოს და პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მის საუკეთესო ნაწილს, ქართული ინტელიგენციას, მეცნიერებას, რომლის მთავარი ეპიცენტრი, ბუნებრივია, თბილი-სის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახლდათ. ეს არცაა გასკვირი. ბოლშევიკებს ეკალივით ესობოდათ თვალში თბილისის სახელმწი-ფო უნივერსიტეტი, როგორც სუვერენული საქართველოს სიმბო-ლო, ეროვნული ცენტრი და ქართული სულიერების აკვანი. ამი-ტომ მათ ძალისხმევა არ დაიშურეს და ლომის წილი დაიდეს მისი პრესტიჟის შებღალვაში. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ათვისება სულაც არ ატარებდა ისეთ ტრიუმფალურ ხასიათს, რო-გორც ამას დიდი ხნის განმავლობაში კომუნისტები გვიხატავდნენ. ეს იყო კიდევ ერთი ბოლშევიკური მითი.

XX საუკუნის საქართველოს ისტორიის სამი დიდი მონაპოვა-რი იყო: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წლის 12 მარტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის 26 იანვარს, (არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება და გახსნა. ეს ორი სხვა-დასხვა მცნებაა, ამ საკითხს, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლია-ნად მიაქცია ყურადღება პროფ. ოთარ უორდანიამ. მან გამოთქვა დასაბუთებული მოსაზრება, რომ უნივერსიტეტის დაარსების თა-

როლად შეიძლება მიჩნეული იქნას 1917 წლის 15 დეკემბერი, როდესაც ამიერკავკასიის კომისარიატის დადგენილების საფუძველზე ქართული უნივერსიტეტი გახდა იურიდიული პირი, მიღებულ იქნა „ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი“. ხოლო საზემოდ გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს. [1] ეს ნიუანსებია, მაგრამ საინტერესოა). ყოველივე ამის ლოგიკურ დაგვირგვიგვინებად გვევლინება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ტოტალიტარულ-ბოლშევიკურმა რეჟიმმა ძალისხმევა არ დაიშურა და ქართველი ერის ამ უდიდის მონაპოვარს პირდაპირ ცეცხლითა და მახვილით გადაუარა. XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ტრაგედია სწორედ ამაში მდგომარეობდა.

ბოლშევიკურ-ათეისტურმა ხელისუფლებამ მართალია ვერ გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, მაგრამ ეკლესია-მონიასტრები იავარჲყო, მინასთან გაასწორა, დახურა. სამლოდელოების საუკეთესო ნაწილი ფიზიკურად გაანადგურა. მორწმუნე მრევლს დაუწყო, ერის სულიერი დაკნინება ამის ლოგიკური შედეგი იყო. ამის შედეგი დღესაც, XXI საუკუნის დასაწყისში, სახეზეა. [2]

მართალია, ბოლშევიკებმა ვერ გაბედეს უნივერსიტეტის დახურვა, თუმცა 30-იან წლებში შეეცადნენ ამის გაკეთებას (თვით მცდლობაც კი უკვე მკრეხელობად აღიქმება), მაგრამ ძალისხმევა არ დაიშურეს, რომ უნივერსიტეტის პრესტიჟი შეებლალათ. ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს, არნახული რეპრესიები დაატეხეს და უნივერსიტეტის სულიერ დაკნინებაში ლომის წილი დაიდეს. დიდი ივანე ჯავახიშვილის დევნა-შევიწროება ამ რეპრესიების კულმინაციაა. ქართული ინტელიგენციის სიძულვილით დაბრმავებულმა ბოლშევიკებმა იმდენად შორს შეტოვეს, რომ ივანე ჯავახიშვილისა და ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი საქართველოში ფაშისტური ორგანიზაციის წევრებად გამოაცხადეს. [3] უკეთეს მდგომარეობაში არც ქართული მწერლობა აღმოჩნდა [4]

1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ დასრულდა. საქართველოს სუვერენულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. აი, ასეთი სისხლიანი კვალი დატოვეს ბოლშევიკებმა XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში. ალბათ, ვერც ერთი ისტორიკოსი ვერ იტყოდა ისე კარგად, როგორც დიდმა გალაკტიონმა „საქართველოს ცაზე კაენის სულმა გადაისრიალა“. XIX საუკუნის ფრანგი კრიტიკოსი სენტ-ბევი ამბობდა „პატიოსანი კაცი იაკობინი არ იქნებოდაო“. ის რომ მოსწრებოდა ბოლშევიკებს, ნაცისტებს, ფაშიტებს, ალბათ, სხვაგვარად იტყოდა.

რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი ოაზისი არაა. ის წარმოადგენს იმ სახელმწიფოს ორგანულ შემადგენელ ნაწილს, რომელშიც ფუნქციონირება უხდება. 1918 - 1921 წლებში სუვერენულ რესპუბლიკას თავისი უნივერსიტეტი ჰქონდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოს თავისი უნივერსიტეტის ჰქონდა. პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს თავისი უნივერსიტეტი აქვს. უნივერსიტეტში, როგორც მინიატურაში, ისეა ასახული პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს ძნელბედობა. XX საუკუნის ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ედვარდ კარი თავის საინტერესო წიგნში „რა არის ისტორია“ წერდა: „ისტორიის შესწავლამდე საჭიროა თავად ისტორიკოსის შესწავლა, სანამ შეისწავლიდეთ ისტორიკოსის პიროვნებას, შეისწავლეთ ისტორიული და სოციალური გარემო. ისტორიკოსი, გარდა იმისა, რომ პიროვნებაა, ამავე დროს ისტორიის და საზოგადოების პირმშოა“. [5. 40-41] ისტორიკოსს ვერ მოვწყვეტი საზოგადოებას. უნივერსიტეტი გენეტიკურ კავშირშია თავის ეპოქასთან და მისი პირმშოა.

XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ძნელბედობა, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, შემთხვევითი არ ყოილა და, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლდათ

განპირობებული. მნიშვნელოვანნილად, ამით აიხსნება, რომ XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია ჩამორჩა ევროპული ისტორიოგრაფიის განვითარებას. ფეხი ვერ აუწყო იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელიც ხდებოდა XX საუკუნის ევროპულ ისტორიოგრაფიაში და პოზიტივისტური და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებს ვერ გაცდა.

XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია სულაც არ ატარებდა ისეთ ერთგვაროვან, ერთფეროვან ხასიათს როგორც ამას დიდი ხნის მანძილზე გვიხატავდა საბჭოთა ისტორიოგრაფია. მან, ვიჟირობთ, საინტერესო ევოლუცია განიცადა, რომელიც უპრიანი იქნებოდა წარმოვიდგინოთ სპირალისებურად და არა პრიმიტიულად, სწორხაზოვნად. თავდაპირველად ის ორიენტირებული იყო ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, ფაქტობრივად, ეს იყო ევროპული ხედვა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა ვითარება, მყარდება ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგის მონოპოლია, რომელიც გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები სწორედ აქა ძევს, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს დაუბრუნდეს საწყის ღირებულებებს, რაც მისი პლუსია. მოკლედ სულ ორიოდ ფრაზით ეს ასე შეიძლება გადმოვცეთ. თავისუფალი აზროვნებიდან მარქსიზმ-ლენინიზმისაკენ და მარქსიზმ-ლენინიზმიდან კვლავაც თავისუფალი აზროვნებისაკენ.

XX საუკუნის დასაწყიში, დიდი ივანე ჯავახიშვილის ძალისხმევით ქართული ისტორიოგრაფია კვლავ აღწევს ევროპულ სიმაღლეებს და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონეზე გავიდა. ეს იყო ძალიან მაღალი ევროპული დონე, საფიქრებელი იყო, რომ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, ივანე ჯავახიშვილის ხაზი ქართული ისტორიოგრაფიაში გაგრძელდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა ვითარება, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად ძნელია მივიჩნიოთ.

დიდი ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ ბინძური კამპანიის კულტინაციად, 1936 წლის 23 მარტს-2 აპრილს გამართული დისკუსია იყო, რომელსაც მეცნიერებასთან არანაირი კავშირი არ გააჩნდა. ეს იყო ბინძური პოლიტიკური ანგარიშსწორება დიდი მეცნიერის წინააღმდეგ. ივანე ჯავახიშვილს მიაწერეს ყალბი იარ-ლიყი. მას წარმოაჩენდნენ როგორც „ტიპიურ ბურჟუაზიულ ობიე-ქტივისატს“, რომლისათვისაც ნიშანდობლივი იყო „ნაციონალურ ცდომილებანი“ [6] ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი, რა შედეგები მოუტანა ამ დისკუსიამ ქართულ ისტორიოგრაფიას? მან ხელი შეუწყო ქართული ისტორიული აზროვნების პროგრესს თუ არა? „საბჭოთა ისტორიული მეცნიერების პირველი პერიოდის დასას-რულს საქართველოში გატარებულ მნიშვნელოვან ღონისძიებათა შორის უნდა აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ-ში ჩატარებული ღონისძიება. ეს ღონისძიება უნდა ჩაითვალოს ჩვენთან მარქსისტული ისტორიული მეცნიერების ჩასახვისა და ჩამოყალიბების პირველი პერიოდის დასასრულად. რადგანაც შემდეგ უკვე საქართველოს ისტორიის, სოციალური ისტორიის, რევოლუციური მოძრაობის ისტორიის, კვლევა არსებითად, ძირეუ-ლად განსხვავდებოდა წინა წლებში (1936 წლამდე ჩატარებული მუშაობისაგან“. [7. 78]. „დისკუსიის შედეგად მოხდა ისტორიკოსთა დიდი ნაწილის საბოლოოდ „მოთვინიერება“ – მეცნიერების ამ დარგის უნიფიცირება, საბოლოო გაუფერულება (მეთოდოლოგიუ-რი თვალსაზრისით)“ [8. 118]. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება რომ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება, უმთავრესად, წა-რიმართა პოზიტივისტურ და მარქსისტულ-ლენინური ისტორიო-გრაფიის თეორიულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში.

ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის პროგრესზე აპელირება, რაც შეინიშნებოდა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, გადაჭარბებული უნდა იყოს. ამგვა-რი მიდგომა პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო და მის წინააღმდეგ ხმის ამოღებას ვერავინ გაბედავდა. სახელმწი-ფო უხეშად ერეოდა მეცნიერების საქმეში და ცდილობდა ისტო-

რიკოსებისთვის თავს მოეხვია სახელმწიფოსათვის სასურველი იდეოლოგია. ეს ცხადია, მიუღებელი იყო. აი რას წერდა პროფ. დავით ჩხიკვიშვილი: „ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია სწრაფი ნაპიჯით წავიდა წინ და მას ბევრი თვალსაჩინო მიღწევა აქვს“. [9.5]. აქ ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე. ნებსით თუ უნებლიერ ხომ არა ვაკნინებთ ივანე ჯავახიშვილის ლვანლს? ვარდისფერებში ხომ არა გვესახება ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება ივანე ჯავახიშვილის შემდეგ? ეს ერთი უკიდირესობა იყო. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ეს სწორი არ იქნება, ჩვენი აზრით, მეტად კატეგორიულად გაისმის გია ჯოხაძის მტკიცება: „შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფია აღარც განვითარებულა“ (10.18) ასეთი მეტისმეტად მკაცრი ტონი ძალიან ხისტად გვეჩვენება. ეს უკვე სულ სხვა უკიდურესობაა. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. აქ წამოიჭრება ერთ ფრიად აქტუალური საკითხი. როგორ შევაფასოთ საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია? საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვანი.

საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის აპოლოგეტური შეფასება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს, ცხადია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. ეს იყო ერთი უკიდურესობა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. უნდა ვეცადოთ, გამოვნახოთ საშუალებო გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შევეცადოთ ავსხნათ მათი გამომწვევი მიზეზები. აი ეს იქნება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. საკითხისადმი მიდგომა იყო მეცნიერული, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული, მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია. საბჭოთა კავშირში მყარდება ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლო-

გიის მონოპოლია, დიქტატი. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, იდევნებოდა და უმალ ცრუმეცნიერებად ცხადდებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. მიუხედავად ძლიერი პოლიტიკური და იდეოლოგიური წესისა უნდა ითქვას რომ რაღაც პოზიტიურ მაინც ხდებოდა. ამ შრომებს თუ მარქსისტულ გარესამოსს შემოვაცლით, მასში თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა, მრავალფეროვანი პირველწყაროები საინტერესოა. ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის დაუნახაობა სწორი არ იქნებოდა.

ჩვენი აზრით, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიაში ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონე შენარჩუნებული იქნა, მაგრამ მან განიცადა ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის რადიაცია. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიული მეცნიერება პოზივისტური და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის თავისებური შერწყმად, შეხამებად გვევლინება. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის აქილევსის ქუსლი სწორედ ამაშია, ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე ეს პოზიტივისტური ისტორიოგრაფია იყო. ისინი ირჩევენ მეცნიერულ პრობლემას და იძულებული იყვნენ მოეცათ მისი მარქსისტულ-ლენინური გამუქება. პრობლემის არჩევა მეცნიერული იყო და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში. მისი გადაწყვეტა მარქსისტულია. დღევანდელი გადასახედიდან ამ შრომების მკაცრად განსჯა მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამპების გამო მიზანშენონილი არ უნდა ჩანდეს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია.

მაშ ასე, საინტერესო სურათი იკვეთება. აი ასეთი არასახარბიელო მემკვიდროება ხვდა წილად თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიას, ის ცდილობს სწორ გზაზე დაბრუნებას. სწორი არჩევანის გაკეთებას. ეს არის საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელ-თაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ლიტერატურა:

1. ო. უორდანია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიისათვის – სამეცნიერო პარადიგმები, თბ., 2009.
2. ქ. პავლიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმა-დიდებელი ეკლესიის ისტორია (1800-1945) თბ., 2008. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებლური სამო-ციქულო ეკლესიის ასწლიანი მატიანე (1917-2017), თბ., 2017.
3. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების განყოფილების დოკუმენტი – „სტალინის სახე-ლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანების და მეცნიერმუშავების დახასიათება – საქართველოს შინა-გან საქმეთა სამინისტროს არქივი (ყოფილი პოლიტიკური პარტიების არქივი)“ – ფონდი 14. საქმე 7874. ფ/. 15. გ. ცი-ციშვილი, საიდუმლო დოკუმენტი, ერი, 1991, 9.27 თებერვა-ლი. გ. ციციშვილი, გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები – ცისკარი, 3-4. 1995.
4. რ. კვერენჩილაძე, წამების გზა, (დევნა, გადასახლება, დახვრიტა), მეორე შევსებული და გადამუშავებული გამო-ცემა. ტ. 1. თბ., 2014. ტ. 2. თბ., 2016. ბოლშევიზმი და ქარ-თული ლიტერატურა. (1921-1941) რედაქტორი ირ. რატიანი. მ. ელბაქიძე, თბ., 2016.
5. ედ. კარი, რა არის ისტორია? თბ., 2001.
6. „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ“ – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 471. აღნერა 19. საქმე 4 და 5. ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე – გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მ. ვაჩინაძემ და პროფ. ვ. გურულმა. თბ., 2004. დ. ცინცაძე. ეს ჩვენი ისტორიაა, თბ., 2003. ე. ხოშტარია – ბროსე, ბრძოლა ივანე ჯავახიშვილის და მისი სკოლის წინააღმდეგ 30-იანი წლების შუა ხანებში – თბილისის უნივერსიტეტის შრომები,

- ისტორიის სერია. ტ. 321. თბ., 1996. გ. ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1999.
7. უ. სიდამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, თბ., 1970.
 8. გ. ყორანაშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ნაწილი 1. თბ., 1994.
 9. მთავარი რედაქტორისაგან – ივ. ჯავახიშვილის თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი 1. თბ., 1979.
 10. გ. ჯოხაძე, *Terra Historia*, თბ., 2015.
 11. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
 12. მ. კალანდაძე, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის VIII ყოველწლიური კონფერენცია, თბ., 2015.

თავი მეორე

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის პერსპექტივები და პროგნოზები

ხშირად სიტყვა კრიზისს მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოიაზრებენ. ეს კიდევ ერთი საბჭოთა სტერეოტიპია, ეს სიტყვა გაცილებით ტევადია და მარტო წევატიური დატვირთვა როდი გააჩნია. არაფერი არანორმალური ისტორიული მეცნიერების კრიზისში არაა. პირიქით, ეს ისტორიული მეცნიერების ნორმალური მდგომარეობაა. მთავარია განვსაზღვროთ ის ისტორიული მეცნიერების პროგრესს უწყობს ხელს თუ რეგრესს. როდესაც ერთხელ სახელმოხვეჭირლმა ფრაგმა ისტორიკოსმა ფერნან ბროდელმა ყური მოჰკრა კოლეგების წუხილს ისტორიული მეცნიერების კრიზისზე მიუგო: „კრიზისი არის მეცნიერების ნორმალური მდგომარეობა: მეცნიერება, რომელიც არ განიცდის კრიზისს, იმყოფება სტაგნაციის მდგომარეობაში“ [1.35]. საბჭოთა ისტორიოგრაფიას ძალიან უყვარდა საუბარი ევროპული, ანუ როგორც ისინი ამბობდნენ ბურუჟუაზიული ისტორიოგრაფიის კრიზისზე. (ეს საკითხისადმი ვინრო კლასობრივი მიდგომის, რაც ნიშანდობლივი იყო საბჭოთა სკოლისათვის, კიდევ ერთი კარგი ნიმუშია) ზუსტად ამაზეა ნათქვამი სხვის თვალში ბენვს ეძებდა, ხოლო საკუთარში დირეს ვერ ხედავდა. ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებისადმი ასეთი ნიპილისტური დამოკიდებულება დღეს, ცხადია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. ამიტომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის კრიზის ერთმნიშვნელოვანად დადებითად ან უარყოფითად შეფასება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ამ რთულ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაში არსებული ახალი ტენდენციები, რომელიც მოკრძალებულად იყაფავს გზას, ჩვენი აზრით, „ზრდის კრიზისს“ სიმპტომებად შეიძლება მოვიაზროთ და თანამედროვე ქართული

ისტორიოგრაფიის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია, ქართული ისტორიოგრაფიის ხვალინდელი დღე სწორედ ამ სიახლეებს ეკუთვნის. ძველი ინერციით აქა-იქ მარქსისტული სტერეოტიპები და შტამპები კვლავ გვხდება. „ბურუუაზიული რევოლუცია“ „ბურუუაზიული ისტორიოგრაფია“, „ბურუუაზიული დემოკრატია“. ამ შემთხვევაში კრიზისი ლეტალურ, სასიკვდილო ხასიათს იძენს. ეს ქართული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღეა. უკან დაბრუნება დაუშვებელი იქნებოდა. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზრდის კრიზისთან, ხოლო მეორეში კი არა.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. უნინარესად, ეს იმით გამოიხატება, რომ თუ ადრე ის იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიის ორგანული შემადგენელი ნაწილი და ცდილობდა მისთვის ფეხი აეწყო. დღეს სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. სწორება კეთდება საერთაშორისო სტანდარტებზე და ქართული ისტორიოგრაფია მსოფლიოს ისტორიული მეცნიერების შემადგენელი ნაწილი ხდება. ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი ადგილი უნდა დაიკავოს მსოფლიო ისტორიული მეცნიერების კონტექსტში. ის გლობალიზაციის პროცესში ერთვება, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ადვილი საქმე და საკმაოდ დიდი ძალისხმევა და დრო დაჭირდება. ძველი ღირებულებები, ცხადია, აქ უკვე არ გამოდგება, აქ სულ სხვა ფასეულოებები მოქმედებს, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რამდენად არის თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ასეთი მკვეთრი შემობრუნებისათვის მზად? აი, ეს გახლავთ მთავარი საკითხი. ვერ ვიტყვით თითქოსდა ამ მიმართულებით არაფერი კეთდებოდეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან კონტაქტები, მაგრამ ჩვენი აზრით, ქართული ისტორიოგრაფიის ასეთი რადიკალური ცვლილებებისათვის ჯერ კიდევ არაა მზად. ამას სათანადო მომზადება ესაჭიროება. ეს კრიზისის დაძლევის ერთი ეტაპია, როდესაც უპირატესად, აქცენტი კეთდება რაოდენობრივ ცვლილებებზე. ამას უნდა მოყვეს მეორე ეტაპი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება მკვეთრი ნახტომი. რა-

საც მოჰყვება რაოდენობრივი ცვლილების თვისებრივში, ხარისხობრივში გადაზრდა.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია მნიშვნელოვან გზა-საყარზე დგას და სერიოზული არჩევანი უნდა გააკეთოს, როგორ უნდა განვითარდეს. ამთავითვე უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მიმართულებით ძველი ინერციით ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს დაგროვილი, რაც, უწინარესად, იმით გამოიხატება, რომ არასახარბიელი მემკვიდრეობა გეხვდა წილად. დიდი ხნის განმავლობაში დომინანტი იყო ვიწროდოგამტურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, მიუხედავად პრობლემებისა, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია შეძლებისდაგვარად ცდილობს თავი დააღწიოს შექმნილ სიტუაციას. სწორ გზას დაუბრუნდეს. სწორი არჩევანი გააკეთოს, ეს ცხადია, ძალიან კარგია. საკითხისადმი მიდგომა არის მეცნიერული, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები.

ქართული ისტორიოგრაფია ბოლოს და ბოლოს უნდა გაცდეს პოზიტივისტური და მარქსისტული-ლენინური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს, რომლის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა ის მე-20 საუკუნეში. სწორ გზაზე დაბრუნებას ესაჭიროება მკვეთრი თვისებრივი, ხარისხობრივი, ძვრები. სხვაგვარად მხოლოდ რაოდენობრივ ცვლილებებთან გვექნება საქმე და მარტოდენ, პროგრესის ილუზია შეიქმნება.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართული ისტორიოგრაფია იძულებული გახდა გადაეხვია არჩეული გზიდან, რაც, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატა, რომ ის მოწყდა მსოფლიოს ისტორიოგრაფიის განვითარების მაგისტრალური გზას და იზოლირებულად ვითარდებოდა. პოზიტივისტური და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. იმ ნოვაციებზე და სიახლეებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის მსოფლიოს ისტორიოგრაფიაში საბჭოთა კავშირში არსებული რეინის ფარდის წყალობით ან არავითარი ინფორმაცია არ გაგვაჩნდა, ან თუ გაგვაჩნდა, მხოლოდ მარქსის-

ტულ-ლენინური ინტერპრეტაციით, საბჭოთა კავშირში დამყარდა ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია გვერდზე არ დგას და ცდილობს თავი დაალწიოს კრიზისს, გამონახოს გამოსავალი ამ რთული ვითარებიდან. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი პლუსია. ვერ ვიტყვით თითქოს ამ მიმართულებით თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაში არაფერი კეთდება. გარკვეული პოზიტიური ძვრები ხდება და ამის დაუნახაობა არ ივარგებდა. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შეიმჩნევა ახალი ტენდენციები, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი პოზიტიური ელფერი დაკრავს და ამის წაყრუება, გვერდის ავლა გამართლებული არ იქნებოდა. ეს პირველ ყოვლისა იმით გამოიხატება, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გაცილებით უფრო მრავალფეროვანი გახდეს. საბჭოთა ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ ეს, უსათუოდ, წინგადადგმული ნაბიჯია და ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება. პოზიტიური ძვრები ხდება და ამას გვერდს ვერ აუვლი. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს როგორმე გასცდეს პოზიტივისტური და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოებს და ახალ ღირებულებებზე გააკეთოს აქცენტი. ეს ცხადია, ძალიან კარგია და წინაგადადგმული ნაბიჯია. უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის მონოპოლიას წერტილი დაესვა. უახლესი ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს დაძლიოს საკითხისადმი ფორმაციული და კლასობრივი მიდგომა, ისტორიის მონისტური პრინციპი. და ეს, ცხადია, წინაგადადგმული ნაბიჯია.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გასცდეს ვიწრო ემპირიზმს და ფაქტოგრაფიას, რომელიც ძალზე დამახასიათებელი იყო პოზიტივისტური და საბჭოთა მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიისათვის. ცდილობს მეტი ყურადღება, გადა-

ტანოს თეორიული პრობლემებზე. ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებს გაცილებით უფრო მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე წინათ. აღარ იგრძნობა ამ საკითხისადმი ნიპილისტური დამოკიდებულება, რომელიც ლაიტმოტივად გასდევდა საბჭოთა ისტორიოგრაფიას.

უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ იყიდებს ფეხს ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, ლიბერალური ლირებულებები. ის ცდილობს გადახედოს თავის მეთოდოლოგიურ და გნოსეულოგიურ პრინციპებს და ორიენტირებს, რაც მის პლუსად მიგვაჩინია. ამიტომ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვითარების მეტისმეტად გამუჯება, დრამატიზირება, ალბათ მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. პოზიტიური ძვრების მნიშვნელობის გაზვიადება, საჭირო არაა. აქ ცხადია, საუბარია „ზრდის კრიზისის“ ტენდენციაზე, სიმპტომებზე, ნიშნებზე. „ზრდის კრიზისი“ არ გულისხმობს, მხოლოდ რაოდენობრივ ცვლილებებს, პირველ ყოვლისა, ის ასოცირდება „ისტორიული მეცნიერების ძირეულ გარდაქმნებთან. ძველი სტერეოტიპებისა და არსებული სქემების გადახედვასთან, კვლევის მეთოდების სერიოზულ ტრანსფორმაციასთან. ახალ მეცნიერულ მიდგომებთან. მისი ყურადღების ცენტრში, ცხადია, დგას თავად ისტორიკოსი. ის უაღრესად რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. მას მოუწევს გადახედოს თავის მეთოდოლოგიურ და გნოსეოლოგიურ პრინციპებს და ორიენტირებს“ [1. 35].

ამ პოზიტიურ ძვრებთან ერთად, რომელიც, უთუოდ, წინაგადადგმული ნაბიჯს წარმოადგენს, ძველი ინერციით აქა-იქ, კანტი-კუნტად მაინც გხხვდება ძველი მარქსისტული კლიშეები. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩინია ტერმინი „ბურჟუაზიული რევოლუცია“. ასეთი ვიწრო კლასობრივი მიდგომა აშკარად აკნინებს ევროპული რევოლუციების ისტორიულ მნიშვნელობას და უცხოეული ისტორიკოსების სამართლიან გულისწყობას იწვევს [2].

ეს ნოვაციები, სიახლეები, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც რაოდენობრივ ცვლილებებს უფრო ეხება,

ვიდრე თვისებრივს, ამ რთული ვითარებიდან ერთადერთი გამოსა-ვალი მეცნიერული გამოკვლევების დონის მკვეთრი გაუმჯობესებაა. (3)

ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლის საიმედო გარანტად ევროპული დისკურსის ათვისება გვესახება, მაგრამ ეს პროცესი უნდა ატარებდეს შემოქმედებით ხასიათს და არ უნდა იყოს მიმ-ბაძეელობითი. ეს მიუღებელი იქნებოდა. მიუხედავად პოზიტიური ძერებისა, ეიფორიაში არ უნდა აღმოგჩნდეთ, მიუხედავად პრო-ბლემებისა, პესიმიზმის საფუძველს ვერ ვხედავთ. ორივე უკი-დურესობა მიუღებელია. უნდა გამოვდებოთ. ოქროს შუალედი. „გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან შექმნილი საზოგადოებრი-ვი მდგომარეობა ისტორიკოსებს აძლევს განახლებული მეთოდო-გიური კვლევის საშუალებას, ეს კი არის საერთოდ მეცნიერებისა და კერძოდ, ისტორიოგრაფიის XX საუკუნის სამოცდაათწლოვან საბჭოთა იდეოლოგიით განპირობებული კრიზისიდან გამოსვლის რეალური გზა“ [4. 511].

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში პოზიტი-ვისტური ისტორიოგრაფიის დაძლევის ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობად გველინება პროფ. გივი კილურაძის შემოქმედება. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი საინტერესო წიგნი „ახალი ისტორია“ [5], რომელიც მთლიანად თეორიულ, ისტორიო-გრაფიულ ხასიათს ატარებს და იმ პერიოდის ქართული ისტორიო-გრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. მარქსისტული სტერეოტიპე-ბისა და შტამპების გამო მისი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არაა. ამ ნაშრომში თავმოყრილი საინტერესო მეცნიერული ინ-ფორმაცია ღირებულია, მას თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის დაუნახაობა არ შეიძლება. ამ წიგნის მთავარი პლუსი, ვფიქრობთ, სწორედ ამაში მდგომარეობს. საკითხის მარქსისტული გაშუქება, ცხადია, მიუღებელია და მოძველებულია. მან ხელი მოკიდა სე-რიოზულ მეცნიერულ პრობლემას და მოგვცა მისი მარქსისტუ-

ლი გადაწყვეტა. ამ გზით მაშინ ძალიან ბევრი მიღიოდა. ეს იყო იმ რთული სიტუაციიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი. ამ კომპრომისის გამო მისი მკაფრად განსჯა მიზანშენონილი არ იქნებოდა, რადგან ამ შემთხვევაში მშობლიურ ენაზე ის მწირი ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რომელიც ამ დარგში გაგვაჩნია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“.

პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დაძლევის ტენდენციამ კიდევ უფრო ძალუმად იჩინა თავი პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიაში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს პროფ. თედო დუნდუას მრავალრიცხოვანი შრომები[6]. ამ კუთხით საინტერესოა პროფ. ნათელა ვაჩინაძის [7] და მისი მოწაფის რუსუდან ლაპაძის [8] გამოკვლევები თეორიულ ხასიათს ატარებს და ემპირიზმის, ფაქტოლოგიის, საზღვრებს სცილდება პროფ. მარიამ კარბელაშვილის საინტერესო გამოკვლევები [9]. პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დაძლევის მცდელობად გვევლინება პროფ. ნინო ჩიქოვანის [10] და პროფ. მარიამ ჩხარტიშვილის [11] შრომები, ამ მიმართულებით საკმაოდ ნაყოფიერად იღწვის აკად. როინ მეტრეველის მოწაფე გია ჯოხაძე. ამ თემაზე მან რამდენიმე საგულისხმო წიგნი დაწერა [12]. შიშველი ემპირიზმის, ფაქტოლოგრაფიის, ჩარჩოებს ცილდება, მკვეთრად გამოკვეთილ თეორიულ ხასიათს ატარებს და ისტორიის ეპისტემოლოგიის საკითხებში ჩაღრმავების მცდელობად გვევლინება აკად. როინ მეტრეველის [4. 13] და პროფ. ფარნაოზ ლომაშვილის [14] საინტერესო შრომები. პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოების დაძლევის აუცილებლობაზე მსჯელობა ლაიტმოტივად გასდევს პროფ. გურამ ყურანაშვილის მთელი შემოქმედება [15]. ყველაფერი ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ცოტაა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია.

* * *

ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისი, ცხადია იზოლირებულ ხასიათს არ ატარებს და მჭიდროდაა დაკავშირბული სხვა მომიჯნავე სფეროებთან, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, განათლების სისტემასთან. მათ შორის გენეტიკური კავშირი არსებობს და მათ ერთმანეთს ვერ მოვწყვეტთ. ისინი ურთიერთზემოქმედებენ. ამიტომ ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისიდან გამოსავალი კომპლექსურად უნდა ვეძებოთ. ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, სკოლიდან უნდა დავიწყოთ. ახალი ყაიდის ისტორიკოსის ფორმირება, სწორედ, სკოლიდან უნდა დაიწყოს და შემდეგ უნივერსიტეტში უნდა გაგრძელდეს. ეს იქნება სწორი მიდგომა. ამით სისტემას მტკიცე საძირკველს ჩავუყრით. ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მიგვაჩინია 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის გამოცდილება, მათ თავისი საქმიანობა. მსოფლიოს ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნით დაიწყეს. ეს იყო სწორი ნაბიჯი. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო, რასაც საბჭოთა პერიოდში საგულდაგულოდ უვლიდნენ გვერდს. დღეს სკოლაში სავალალო მდგომარეობაა. ის სასწართოდ უნდა გამოსწორდეს. ლაპარაკი ბევრია, საქმე ცოტაა. თუ სკოლაში სასწრაფოდ არ გამოსწორდება მდგომარეობა ქართული ისტორიოგრაფიის პროგრესს ამაოდ დავუწყებთ ცდას და კვლავ დავრჩებით რაოდენობრივ ცვლილებებზე ორიენტირებული და განვითარების, წინსვლის, მხოლოდ ილუზია იქნება. აი ასეთია რეალობა. არც არაფერს ვალამაზებთ და არც არაფერს ვამუქებთ. ხელსაყრელი შანსი გვაქვს და მოდით ხელიდან ნუ გაუშვებთ მას.

აი ასეთია, ჩვენი შეხედულებით, პოსტსაბოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შუქ-ჩრდილები, პერსპექტივები და პრობლემები, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია გაცილებით უფრო მრავალფეროვანი გახდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმულ ნაბიჯია, მაგრამ ეს მრავალფეროვანება, ჩვენი აზრით,

უმთავრესად, მაინც რაოდენობრივ ცვლილებებს უფრო შეეხება და ნაკლებად, თვისებრივს, ხარიხობრივს.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ მონაბოვრად თავისუფალი აზროვნების რეანიმაცია მიგვაჩინია, რაც საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ, რა თქმა უნდა, თვისებრივად წინაგადადგმული ნაბიჯი იყო. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს, ეს ხელსაყრელი შანსი გამოიყენოს, რაც მისი პლუსია. ვერ ვიტყვით თითქოს ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში არაფერი კეთდება. ქართველი ისტორიკოსები შეძლებისდაგვარად ცდილობენ დაძლიონ ძალით თავს მოხვეული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგის დიქტატი, ვიწროდოგ-მატურად გაგებული მარქსიზმ-ლენინიზმი, აქცენტს აკეთებენ იმ პროცესებზე, რომელსაც ადგილი აქვს ევროპული ისტორიულ აზროვნებაში და ახალ სიმაღლეებზე გადავიდნენ. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ასეთი რადიკალური გარდაქმნა, ცხადია, ასე სწრაფად ვერ განხორციელდება და დრო და დიდი ძალისხმევა ესაჭიროება. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სწორ გზაზე დაბრუნებას, სწორი არჩევანი გააკეთოს, სწორი მეცნიერული აქცენტები დასვას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. რა თქმა უნდა, გაკეთებული ცოტაა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. უმთავრესად მაინც, ჩვენი აზრით, აქცენტი კეთდება არა იმდენად თვისებრივ, ხარისხობრივ ცვლილებებზე, რამდენადაც, რაოდენობრივ ცვლილებებზე. მნიშვნელოვან წილად, ვფიქრობთ, იმით აიხსნება, რომ რაოდენობრივ ცვლილებების თვისებრივში გადაზრდის პროცესი მეტად ნელი ტემპით, მიმდინარეობს, მთელი ძალისხმევა ვფიქრობთ, ამის დასაძლევად უნდა იქნას წარმართული.

მაშ ასე, საინტერესო სურათს ვიღებთ, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გაცდეს პოზიტივისტური და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს და ახალ სიმაღლეზე გავიდეს, რაც მის მთავარ ლირსებად მიგვაჩინია. ეს არის საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩინია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ლიტერატურა:

1. А. Гуревич, О кризисе современной исторической науки – Вопросы историй, #2-3. 1991.
2. თ. ანთაძე. მ. კალანდაძე, ერთი მარქსისტული სტერეოტიპის გამო – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(20) თბ., 2017.
3. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კრიზისიდან გამოსავალი მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის ამაღლებაა – მწიგნობარი, თბ., 2006.
4. რ. მეტრეველი, გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები – ქართული დიპლომატია, წელინდეული 12. თბ., 2005.
5. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1970.
6. თ. დუნდუა, ნ. ფიფია, დასავლეთი და აღმოსავლეთი, მასალები სალექციო კურსისათვის I, თბ., 2007. თ. დუნდუა, ნ. ფიფია. ისტორიული შტუდები. მასალები სალექციო კურსისათვის, II. თბ., 2007. თ. დუნდუა, ნ. ფიფია, ციკლური დიალექტიკა, მასალები სალექციო კურსისათვის. III. თბ., 2008. თ. დუნდუა, ნ. ფიფია, I ციკლის კაპიტალიზმი, მასალები სალექციო კურსისათვის, V. თბ., 2008. თ. დუნდუა, ნ. ფიფია, ანტიკური საზოგადოების დაჩიხვა. მასალები სალექციო კურსისათვის, VI. თბ., 2009. თ. დუნდუა, ნ. ფიფია, პრიმიტიული კომუნიზმი, პროტოფეოდალიზმი და ფეოდალიზმი, მასალები სალექციო კურსისათვის, VII, თბ., 2009. თ. დუნდუა, ნ. ფიფია, ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის, მასალები სალექციო კურსისათვის, თბ., 2009.
7. ნ. ვაჩნაძე, სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი (V-X ს..) დისერტაცია, წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1993. (ავტორეფერატი ქართულ და რუსულ ენაებე). მოგვიანებით დაიბეჭდა ცალკე წიგნად. ნ.

ვაჩნაძე სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი (V-X სს.), თბ., 1998. Н. Вачнадзе, Язык – ключ к пониманию средневековой картины мира – Саамерцениე-რო პარადигმები, თბ., 2009.

8. რ. ლაპაძე, ცოდვა და შიში შუა საუკუნეებში (ქართული მენტალური მოდელის ორი ასპექტი) – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2004.
რ. ლაპაძე, მენტალიტეტის კვლევის თანამედროვე მოდელი „მონტაიუს“ მაგალითზე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია, ტ. 328. თბ., 1999. რ. ლაპაძე, ისტორიკოსის ტერიტორიის მეპატრონე – სამეცნიერო პარადიგმები, თბ., 2009.
9. მ. კარბელაშვილი, ერნსტ კანტოროვიჩის ნაშრომი შუა საუკუნეთა პოლიტიკური თეოლოგიის შესახებ – სამეცნიერო პარადიგმები, თბ., 2009.
10. ნ. ჩიქოვანი, საქართველოს კულტურული რაობა და ცივილიზაციური კუთვნილება ცივილიზაციათა თეორიის კონტექსტში (თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები) – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002.
11. მ. ჩხარტიშვილი, ისტორიული მეცნიერების შესავალი, თბ., 2009.
12. გ. ჯოხაძე, ავგუსტინესეული პროვიდენცილიზმი და უამთააღმნერლის რელიგიური მსოფლმხედველობა, თბ., 1998.
გ. ჯოხაძე, ადამიანისახა ისტორია, ისტორიული ანთროპოლოგიის შესავალი, თბ., 2009. გ. ჯოხაძე, „Terra Historica“ თბ., 2015.
13. რ. მეტრეველი, კლიოს მფარველების ქვეშ – მაცნე, ისტორიის სერია, 4. 1990. რ. მეტრეველი, გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები – ქართული

ლი დიპლომატია, წელიწდეული 12, თბ., 2006. რ. მეტრეველი, ისტორიული ცოდნის ისტორიის შემცენების საკითხები – ქართული დიპლომატია, წელიწდეული 15. თბ., 2011. რ. მეტრეველი, მცირე განსჯა უაკ კე გოფის წიგნის „ნარმოსახვითის შუასაუკუნებრივი სამყარო“ წაკითხვის შემდეგ, თბ., 2005.

14. ფ. ლომაშვილი, ისტორიის ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1. თბ., 2003. ტ.2. თბ., 2007. ტ. 3. თბ., 2012.
15. გ. ყორანაშვილი, პროფესია ისტორიკოსი, თბ., 1986. გ. ყორანაშვილი, ერთი სოციოლოგიური თეორიის უცნაური მეტამორფოზი, თბ., 2012. გ. ყორანაშვილი, გეოგრაფიული დეტერმინიზმი, ისტორიული მატერიალიზმი და გეოპოლიტიკა, თბ., 2019. და სხვა.

თავი მესახე

პრიზისიძან გამოსავალი მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის გაუმჯობესება

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია კრიზის განიცდის. ის ცდილობს თავი დააღწიოს იმ რთულ ვითარებას, რაც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისის დასაძლევად საქმარისია არა მარტო რაოდენობრივი ცვლილებები. საჭიროა განხორციელდეს ძირეული, თვისებრივი, ნახტომი, რისთვისაც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, ჩვენი აზრით, მზად არა. მნიშვნელოვანწილად, ამით აიხსნება, რომ კრიზისის დაძლევა უფრო კოსმეტიკურ ხასიათს ატარებს და, ძირითადად, რაოდენობრივ ცვლილებებზე კეთდება აქცენტი. ეს წარმოშობს წინსვლის, პროგრესის, ილუზიას. რეალობა კი გაცილებით უფრო რთულია და მრავალწახნაგოვანია და მისი არც შელამაზება და არც გამუქება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. რა გზა უნდა ავირჩიოთ?

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია შეძლებისდაგვარად ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ის სიახლეები, ნოვაციები, რომელიც ახალმა დრომ მოიტანა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ეს გახლავთ საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია პლუსები და მინუსები. ამიტომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასება სწორხაზოვნად გვესახება და საქმარისი არ უნდა ჩანდეს, ცალმხრივი სურათი იკვეთება, საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვანი. საჭიროა გამოვძებნოთ „შუალედური“ ხაზი, ოქროს შუაგული, რომელიც საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ გამოვკვეთოთ, როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შევეცადოთ ავხსნათ მათი გამომწვევი მიზეზები. ეს იქნებოდა სწორი მიდგომა, მაგრამ ამის გაკეთება გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, სულაც არ იქნება ადვილი.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ პლუსად, რა თქმა უნდა, თავისუფალი აზროვნების რეანიმაცია მიგვაჩნია. ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას წერტილი დაესვა. ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა ამის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. ქართულმა ისტორიოგრაფიამ სუვერენობა დაიბრუნა, დამოუკიდებელი შეიქმნა, ამას აქვს მნიშვნელობა. ახლა მას შეეძლო თვითონ მიეღო გადაწვეტილება, საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ ეს, რა თქმა უნდა, წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამაზე თვალის დახუჭვა გამართლებული არ უნდა იყოს.

ამავე დროს, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის პროგრესი, ჩვენი აზრით, უფრო რაოდენობრივ ცვლილებებთან ასოცირდება და გაცილებით უფრო ნაკლებად თვისებრივ, ხარისხობრივ, ძვრებთან. მნიშვნელოვანნილად, ვფიქრობთ, ამით აიხსნება, რომ კრიზისის დაძლევა უფრო კოსმეტიკური ხასიათს ატარებს, ვიდრე ძირეულს. ასეთია საკითხის ჩვენეული ხედვა.

პირველ ყოვლისა, მიზანშენონილი იქნებოდა თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ კარგად გააცნობიეროს ის სიახლეები, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის ევროპულ ისტორიოგრაფიაში და, უწინარესად ნეოკანტიანელების და მაქს ვებერის ეპისტემოლოგიას, შემეცნების თეორიას და „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების ძიებებს უკავშირდება. ვერ ვიტყვით თითქოსდა ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მიმართულებით არაფერი კეთდება. ეს სწორი არ იქნებოდა. გარკვეული პოზიტიური ძვრები შეინიშნება, რაც საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ, უთუოდ, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოდგენს და უახლესი ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია. ეს შრომები აღნიშნული პრობლემის შესწავლის მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ მცდელობად გვევლინება. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისასალმებელია, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. როგორც უკვე აღვნიშნეთ უმთავრესად

აქცენტი კეთდება არა თვისებრივ, ხარისხობრივ, ცვლილებებზე, არამედ რაოდენობრივზე, ამ მიმართულებით ქართული ისტორიო-გრაფიას დიდი და შრომატევადი სამუშაო აქვს შესასრულებელი. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გაცდეს პოზიტივისტური და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს და იმ სიახლეებსა და ნოვაციებზე გააკეთოს აქცენტი, რომელსაც ადგილი აქვს ევროპულ ისტორიოგრაფიაში, ეს ცხადია ძალიან კარგია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი ამოცანა, ჩვენი აზრით, მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებაა. ამას ალტერნატივა არ გააჩნია, მთავარი ძალისხსმევა, ვფიქრობთ, სწორედ, ამ მიმართულებით უნდა წარვმართოთ.

ქართული ისტორიოგრაფიის კრიზიდან გამოსავალი კომპლექსურად უნდა ვეძებოთ. ის არ შეიძლება იზოლირებულ ხასიათს ატარებდეს. ეს სასურველ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანს. ცვლილებები მხოლოდ პალიატიური, ზედაპირული ხასიათის იქნება და არა ძირეული. ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისი, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, და ისტორიული ცოდნის სფეროში დიდი ხნის მანძილზე დაგროვილი პრობლემების ლოგიკური გაგრძელებაა.

აღბათ, არაფერს გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ დღეს საქართველოში ისტორიის სწავლება სავალალო მდგომარეობაშია. საჭიროა მტკიცე საძირკველის ჩაყრა. მთელი სისტემა ამ სოლი-დურ ფუნდამენტზე უნდა აიგოს. ყველაფერი სკოლიდან უნდა დავიწყოთ. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაში თვისებრივ ნახტომზე ფიქრი, კეთილი სურვილების ფარგლებს არ გასცდება თუ ისტორიული განათლება საფუძვლიანად არ გარდაიქმნება. კოსმეტიკური ცვლილებები საკმარისი არაა და თავის მოტყუება იქნებოდა. ის, უწინარესად, ორიენტირებული უნდა იყოს ახალი, თანამედროვე ტიპის ისტორიკოსის ფორმირებაზე. აქ მიმბაძვე-

ლობა სრულიად ზედმეტია. უნინარესად, უნდა გამოვიდეთ ქართული რეალობიდან. პირველ ყოვილისა, დამაფიქრებლად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ეს პროცესი, ჩვენი აზრით, სწორი გზით არ მიდის. ძალიან ბევრია ლაპარაკი საქმე კი არა ჩანს. მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. ისტორიის სწავლების მკვეთრი გაუმჯობესების გარეშე ქართული ისტორიოგრაფიაში თვისებრივ ნახტომზე ფიქრი მხოლოდ ილუზია აღმოჩნდება და რაოდენობრივ ცვლილებებზე იქნება გათვლილი.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული ისტორიოგრაფიის ხვალინ-დელი დღე მენტალიტეტის შესწავლაზე ორიენტირებულ კვლევებს ეკუთვნის. ამ კუთხით საკითხის გაშუქებას დიდი პერსპექტივა გააჩნია და მისი შემსწავლელი ისტორიკოსის წინაშე საინტერესო სამყაროს გადაშლის, „ეს გახლავთ თვითონ ისტორიკოსის სამყარო, საიდანაც გამომდინარე ის ანარმობებს კვლევას და სამყაროს ხილვა იმ ეპოქის ადამიანების მიერ რომლებიც ცხოვრობს ამ ეპოქაში, რომელსაც ისტორიკოსის იკვლევს“ [1.33] სავსებით ვე-თანხმები პროფ. არონ გურევიჩს, როდესაც საკითხს ასე სვამს, „ხომ არ წარმოადგენს ამ ორივე შემეცნების კონფრონტაცია ისტორიის მთავარ მიმზიდველ მხარეს?“ [1. 33].

* * *

თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარეობს ისტორიის წერის საბაზისო აქსიომების რადიკალური გადასინჯვა. ეს ეხება ისტორიის კვლევის საგანს, ისტორიულ ფაქტს, ისტორიულ წყაროს, მეცნიერების ადგილს, ისტორიულ გამოკვლევის ენას. ამ პროცესში ნელ-ნელა და თანდათან უნდა ჩაებას ქართული ისტორიოგრაფია. აქ აჩქარება სრულიად არ ივარგებს და არ წაადგება საქმეს. უახლოესი ქართული ისტორიოგრაფია შეძლებისდაგვარად ცდილობს გაამდიდროს თავისი მეთოდოლოგიური არსენალი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოდგენს. ამ თვალსა-

რისით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ახალი ანთროპოლოგიური, კულტუროლოგიური და მიკროსტორიული დისკურსის ათვისებას. ეს იქნება საკმაოდ რთული, ხანგრძლივი და მტკიცნეული პროცესი. ვერ ვიტყვით, თითქოს ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში არაფერი კეთდებოდეს, პოზიტიური ძვრები არის და ეს ძალიან კარგია. მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია უმთავრესად ორიენტირებულია რაოდენობრივ ცვლილებებზე, ხოლო თვისებრივ, ხარისხობრივ ცვლილებებს შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება, რომ პროგრესი, წინსვლა, ნელი ტემპით ხორციელდება. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობს დაძლიოს ის პრობლემები, რომელიც ბოლო ხანებში დგას მის წინაშე. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიას აქვს ევროპული ორიენტირები. ის შეძლებისადაცვა-რად ცდილობს გასცდეს პოზიტივისტური და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს და აქტიუ-რად ჩაებას კვლევის ახალი მეთოდების ათვისების პროცესებში. რა თქმა უნდა, ეს არაა ადვილი საქმე და წარმატებასთან, წინსვლასთან, ერთად იქნება პრობლემებიც. ერთხელ, როდესაც სახელგანთქმულმა ფრაგმა ისტორიკოსმა ფერნან ბროდელმა მოისმინა თავისი კოლეგე-ბის მოსაზრება ისტორიული მეცნიერების კრიზისზე წყნარად მიუგო: „კრიზისი წარმოადგენს მეცნიერების ნორმალურ მდგომარეობას. მეცნიერება, რომელიც არ განიცდის კრიზისს, იმყოფება სტაგნაციის მდგომარეობაში“. [1. 35] თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია უფრო მრავალფეროვანი გახდა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, უმთავრესად ხდება რაოდენობრივი და არა-თვისებრივი, ხარისხებრივი ცვლილებების ხარჯზე.

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმები აფერხებდა. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აიხსნება ის ჩამორჩენა, რომელიც არსებობს ევრო-პულ ისტორიოგრაფიასთან შედარებით. საკვირველი ის კი არ გახლავთ, რომ ჩამოვრჩით ევროპულ, ისტორიოგრაფიას არამედ

საკვირველი ის იქნებოდა, რომ არ ჩამოვრჩენილიყავით.

ქართულ და ევროპულ ისტორიოგრაფიას შორის არსებული მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ თუ ევროპული ისტორიოგრაფიის განვითარებას ძირითადად მაინც საფუძვლად ედო ისტორიულ აზროვნებაში მომხდარი ცვლილებები, ნოვაციები, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას უმთავრესად, განსაზღვრავდა პოლიტიკური კატაკლიზმები, რაც ხშირად აფერხებდა მის წინსელა-განვითარებას.

ჩვენი ღრმა რწმენით, XIII საუკუნემდე ქართული ისტორიოგრაფიის ნიმუშები თუ არ აღემეტებოდა, არაფრით არ ჩამოუგარდებოდა დასავლეთ ევროპის ისტორიული აზროვნების მიღწევებს. საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ ეინჰარდის „კარლოს დიდის ცხოვრება“ [2] და დავითის ისტორიკოსის თხზულება [3] რომ დავინახოთ ის დიდი განსხვავება, რაც ადრეული შუა საუკუნეების ევროპულსა და ქართულ ისტორიოგრაფიას შორის არსებობდა. ქართველი ისტორიკოსის თხზულება მთელი თავით მაღლა დგას ეინჰარდის ნაშრომზე. შემდგომში, უმთავრესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამო ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება სულ სხვა გზით წარიმართა. საქართველოს XIII საუკუნეში მონღოლები შემოესივნენ, ხოლო შემდეგ 1453 წლის 29 მაისს თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველო მოწყდა ევროპას. ამან, ცხადია, შეაფერხა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება, თუმცა მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ქართული ისტორიოგრაფიის ცალკეული წარმომადგენლები, პირველ რიგში კი, ვახუშტი ბატონიშვილი, აღწევენ ევროპული ისტორიოგრაფიის დონეს. [4]

ქართული ისტორიული აზროვნების განვითარების კიდევ ერთი თვალშეუვლები მწვერვალი, რა თქმა უნდა, არის დიდი ივანე ჯავახიშვილი. უმთავრესად, მისი ძალისხმევით ქართულმა ისტორიულმა აზროვნებამ კვლავ მიაღწია ევროპულ დონეს და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის სიმაღლემდე ავიდა. [5] ეს ძალიან მაღალი დონეა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული

ისტორიოგრაფიის დიდი წარმატება იყო. [6] რომ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, საქართველოს გასაბჭოება, საფიქრელი იყო, რომ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ხაზი გაგრძელდებოდა და განვითარდებოდა. ქართული ისტორიოგრაფია შეეცდებოდა წინ წასულიყო და გაცილდებოდა პოზიტივიზმის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს. ამის ალბათობა არსებობდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მე-20 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება, უმთავრესად, პოზიტივისტური და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის თეორიულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში ხდებოდა. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია შეძლებისდაგვარად ცდილობს დაძლიოს პოზიტივისტური და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოები და აქტიურად ჩაებას ახალი იდეების, კონცეფციების, ხედვების, ათვისების პროცესში, ეს მის მთავარ პლუსად მიგვაჩნია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს რ. მეტრეველის, თ. დუნდუას, ნ. ვაჩნაძის, მ. კარბელაშვილის, გ. ყორანაშვილის, მ. ჩხარტიშვილის, ფ. ლომაშვილის, გ. ჯოხაძის, რ. ლაბაძის, ნ. გუგუშვილის, გ. მაისურაძის, დ. ლოსაბერიძის, მ. თორიას, ე. კვაჭანტირაძის და სხვების საინტერესო გამოკლევები. რა თქმა უნდა, ეს არაა ცოტა, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო ბევრია.

უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაზე მსჯელობის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება. რა თქმა უნდა, მეცნიერება ოაზისი როდია. ის სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია. რა სახელმწიფოც არის, ისეთია მეცნიერებაც, არშემდგარ სახელმწიფოს არ შეიძლება ჰქონდეს მაღალგანვითარებული მეცნიერება და განათლების სისტემა. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის შექმნვებული ყოფის გასაღებიც, სწორედ, აქ ძევს.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება 2006 წელი. ფაქტობრივად, ეს არის საკითხის შიდაპერიოდიზაცია. 2006 წელს სახელმწიფო აქტიურად ჩაერია მეცნიერებისა და განათლების

საქმეში და შეეცადა თავისი სურვილისამებრ დაელაგებინა ვი-თარება. რა გამოვიდა აქედან, ყველამ კარგად ვიცით, რა თქმა უნდა, დადებითი მომენტები, არის, მაგრამ უარყოფითიც ბევრია და ფარავს პოზიტივს.

* * *

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში ისტორიის შემეცნების, აღქმის საკითხში ჰეგელიანურ მიღვომას ენიჭება პრიორიტეტი. ამგვარი ხედვა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და პოზიტივისტური და მარქსისტული ისტორიოგრაფიის გავლენის ლოგიკური შედეგია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გადადგა, რომელიც პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის გავლენას განიცდიდა. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ის ისტორიის შემეცნების სფეროში ჰეგელიანური მიმართულების მომხრედ შეიძლება იქნას მოაზრებული. [7] უახლოეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ჰეგელიანური ორიენტაციის მთავარ ტონის მიმცემად პროფ. გურამ ყორანაშვილი გვევლინება. [8] ეს საკმაოდ მაღალი დონეა, ძალიან კარგია და მისასალმებელია მაგრამ აქ წამოიჭრება ერთი საკითხი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე, ფაქტობრივად, ქართველ მკვლევართა თვალსაზრის მიღმა რჩებოდა და სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ჰეგელიანურმა მიღვომამ ხომ არ დაჩრდილა ქართველი ისტორიკოსების, მათ შორის შესაძლოა, დიდი ივანე ჯავახიშვილის, თვალში მეორე უფრო პერსპექტიული, ნეოკანტიანელთა თვალსაზრისი?

ძალიან კარგია ქართული ისტორიოგრაფიის გატაცება „ანალების“ სკოლის ისტორიკოსთა შემოქმედებით. ეს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმული ნაბიჯია, როდესაც „ანალების“ სკოლაზე თითქმის არაფერი იწერებოდა. ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება პროფესორ გივი კილურაძის წიგნი „ახალი ისტორია“ (9) სადაც ის გაკვრით, სულ ორიოდე სიტყვით, შეეხო ამ თქმას. ისტორიულ მეცნიერებაში

სიახლეები მხოლოდ „ანალების“ სკოლას როდი უკავშირდებოდა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ნეოკანტიანელთა და მაქს ვებერის თეორიული ძიებანი. მათ თავისი სიტყვა თქვეს ისტორიის ფილოსოფიასა და ისტორიის მეთოდოლოგიაში, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ პრობლემატიკისადმი შედარებით გულგრილი დამოკიდებულება შეინიშნება. ვფიქრობთ, სასურველი იყო ამ თემას სათანადო ყურადღება მიქცეოდა. ეს შინაარსობრივად უფრო გაამდიდრებდა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას [10. 342-377; 11. 228-241; 12. 144-164].

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევები გამოიყენოს საქართველოს ისტორიის შესწავლის დროს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ეს თვისებრივი, ხარისხობრივი სიახლე იყო და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი ღირსებაა, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. იკვეთება ორგვარი მიდგომა. ერთია პრობლემებისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, რომლის მესაძირკულება დიდი ივანე ჯავახიშვილი გევლინება, ხოლო მეორეა მიმბაძველობა. თუ პირველი გზა მეცნიერული და პერსპექტიულია, მეორეზე ამას ვერ ვიტყვით. ეს ჩიხური გზაა. უახლოეს ქართული ისტორიოგრაფიაში პირველი გზის რეამინაციის ინიციატორად აკად. რ. მეტრეველი მოგვევლინება. [13] ამ თვალსაზრისით საინტერესოა პროფ. ნ. ვაჩნაძის [14] და მისი მონაცემების რ. ლაბაძისა [15] ნ. გუგუშვილის [16] და გ. ჯოხაძის [17], რომელიც აკად. რ. მეტრეველის მოწაფეა, გამოკვლევები.

ახლა ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ისტორიოგრაფიული ხასიათის გამოკვლევებს. ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა ევროპული ისტორიოგრაფიისადმი გაზრდილი ინტერესი, რაც, ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, დღეს ქართული ისტორიოგრაფიაში უკვე აღარ იგრძნობა ევროპუ-

ლი ისტორიოგრაფიის მიღწევებისადმი ნიპილისტური დამოკიდებულება, რომელიც დამახასიათებელი იყო საბჭოთა ისტორიული მეცნიერებისათვის. აქცენტი კეთდება ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებზე, პოზიტიურ გამოცდილებაზე. კრიტიკულ-განმაქიქებელი ტონი ჩაანაცვლა უფრო განვინასწორებულმა აკადემიურმა მიდგომამ. ამგვარი დამოკიდებულება გაცილებით უფრო კონსტრუქციული უნდა ჩანდეს და უახლესი ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთ პლუსად გვევლინება. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს სიახლეები, უმთავრესად, რაოდენობრივ ცვლილებებზეა გათვლილი და არა თვისებრივ, ხარისხებრივ, მხარეზე.

ისტორიოგრაფიული გამოკვლევების დაწერას თავისი წესი, კანონი აქვს. როგორც ჩანს, ამ უანრის ნაშრომების დაწერის ოსტატობა ყველას როდი აქვს კარგად გაცნობიერებული და მათ დიდ ნაწილს ემპირიული ისტორიის წერა უფრო ხელეწიფება. ეს ადვილი გასაგებია, ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომის დაწერა რთულია. ის ილუზია, რომელიც ისტორიოგრაფიული ნაშრომის დაწერის დროს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შეიქმნა, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ წარმოშობილა, კიდევ ერთი საბჭოთა მითი იყო და ძირითადად, ორი გარემოებით გახლავთ განპირობებული. საბჭოთა პერიოდში ისტორიოგრაფიული ნაშრომი, უმთავრესად, ინერებოდა შაბლონურად, ერთი მარტივი სქემის მიხედვით. ის რაც ახლოს იყო მარქსიზმთან, ძალიან კარგია და მისაღებია, ხოლოდ ის რაც შორსაა მარქსიზმისაგან, ცხადია, მიუღებელი და დასაგმობია. ეს ადვილი გზით სიარულის ერთი ფორმა იყო, ამგვარი მიდგომა დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. ადვილი გზით სიარულის კიდევ ერთი ფორმა იყო აღწერითი, თხრობითი მეთოდი, როდესაც ძირითადად აქცენტი კეთდებოდა, ისტორიკოსის შეხედულებების გადმოცემაზე. ამგვარი მიდგომა ისტორიკოსის შეხედულებებზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. დამაჯერებლად ვერ გვიჩვენებს მისი შეხედულებების ძლიერ და სუსტ მხარეებს და ვერ გვიხსნის მის გამომწვევ მიზეზებს. ამიტომ ეს ფორმა ნაკლოვანია.

ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი არ უნდა ატარებდეს აღწერით, თხრობით, ხასიათს, ის არ წარმოადგენს მარტო ისტორიკოსის შეხედულებების გადმოცემას. ამ სახის ისტორიოგრაფიული გამოკვლევა ზედაპირული იქნება, ისტორიოგრაფიულ ნაშრომს უნდა გააჩნდეს ძლიერი ანალიტიკური მუხტი, რომელიც საშუალებას მოგცემს გამოვარკვიოთ ისტორიკოსის ნააზრევის ძლიერი და სუსტი მხარეები და ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები. აი, ამ შემთხვევაში ხდება ისტორიოგრაფიული გამოკვლევა ჭეშმარიტად ღირებული, მეცნიერული. თანამედროვე ქართველი ისტორკოსები ძალიან კარგად გადმოცემენ ევროპული და ქართველი მეცნიერების ნააზრევს. ეს ამ საკითხზე მათი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. მაგრამ მარტო ამის თქმა საკმარისი არ უნდა იყოს და ისტორიულ მეცნიერების წინაშე ისტორიკოსის დამსახურებაზე სრულყოფილ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ისტორიოგრაფიული ნაშრომი ასე არ იწერება. ეს ადვილი გზით სიარული იქნებოდა, რომელსაც ძალიან ბევრი აკეთებდა წინათ და აკეთებს ახლაც. ისტორიოგრაფიული ნაშრომის წერის ასეთი მეთოდი ცალმხრივია. ისტორიკოსის შეხედულების გადმოცემას, თხრობას, ბოლოს და ბოლოს ისტორიკოსის აპოლოგიამდე მიყავართ. ეს კი, ცხადია, მიუღებელია, ამ საინტერესო გამოკვლევების მთავარი ნაკლი, ვფიქრობთ, სწორედ ესაა.

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საინტერესოა ქეთევან ნადირაძის მონოგრაფია ღვანწლმოსილ ქართველ ისტორიკოსს თედო ჟორდანიაზე, „თედო ჟორდანია საქართველოს ისტორიის მკვლევარი“. [18] პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიოგრაფიული თემატიკით მისი დაინტერესება, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და უპირატესად გენეტიკურ ხასიათს ატარებს. ეს მამის, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, პროფ. გიორგი (ასანა) ნადირაძის გავლენის ლოგიკური შედეგია. იგი ცდილობს. განაგრძოს ის საქმე, რომელიც მან დაიწყო და იკვლევს XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიას. ეს ცხადია, ძალიან კარგია, მისასალმებელია.

ქ. ნადირაძემ გამოსცა თედო უორდანიას შრომები, რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ეს იყო სავსე-ბით გამართლებული ნაბიჯი, რაც ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მის ერთ-ერთ მთავარ დამსახურებად მიგვაჩნია. [19] ამას დიდი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა გააჩნია და სტიმულს მისცემს საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში თედო უორდანიას წვლილის უფრო უკეთესად შესწავლას. მან სცადა შეევსო ის ვაკუუმი, რომელიც ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა. მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად საგანგებოდ შეისწავლა თედო უორდანიას წვლილი საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში. მანამდე ამ თემას ეხებოდნენ ის მკვლევრები, რომლებიც აშუქებდნენ იმ ეპოქას, რომელიც მათ აინტერესებდათ. ის ძალიან კარგად იცნობს თედო უორდანიას მეცნიერულ მექანიდერებას და რაც მთავარია სწორედ გადმოგვცემს მის შეხედულებებს. ხაზს უსვამს მის დამსახურებას საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების საქმეში. ცდილობს მოძებნოს მისი ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. სავსებით ვეთანხმებით ავტორს, როდესაც ის თედო უორდანიას პოზიტივისტურ ისტორიოგრაფიას მიაკუთვნებს. ეს მისი გამოკვლევის უდაო, პლუსებია და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, გამართლებული არ იქნებოდა. თედო უორდანიას სახით საქმე გვაქვს ევროპული რანგის პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ისტორიკოსთან.

ნაშრომის გაცნობამ როგორც ისტორიოგრაფიის სპეციალისტს გარკვეული უქმარობის გრძნობა გაგვიჩინა. ის უმთავრესად, შეეხება ისტორიოგრაფიული ნაშრომის დაწერის პრინციპებს. რამდენად გახლავთ დაუფლებული ამ წესებს? გააჩნია თუ არა მას ამ საკითხის საკუთარი ხედვა? რამდენად შეძლო მოეცა თედო უორდანიას შეხედულებების საკუთარი ანალიზი? მთავარი ხომ სწორედ ეს იყო? შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ ის გაიტაცა იმ თემატიკის კვლევამ, რომელიც თავად თედო უორდანიას აინტერესებდა და იმ პრობლემაზე თედო უორდანიას მო-

საზრებების გარჩევა, რომელიც მისი მთავარი ამოცანაა, ჩრდილ-ში მოქმედა, ერთგვარად უკან პლანზე იწევს, რაც, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს.

დაბოლოს შევჩერდებით დასკვნაზე, აქ ის, ბუნებრივია, ცდი-ლობს შეაჯამოს თავისი კვლევის შედეგები. აი, ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება. დასკვნა არ უნდა ატარებდეს აღნერით, თხრო-ბით, ხასიათს. ეს მიუღებელია. დასკვნას ანალიტიკური მუხტი უნდა გააჩნდეს. [18. 203-209]

ჩვენი მოსაზრებით, ქეთევან ნადირაძის ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი თედო უორდიანიაზე, აღნერით ხასიათს ატა-რებს. მნიშვნელოვან წილად ამით აიხსნება, რომ მისი მონოგრაფია „თედო უორდიანია საქართველოს ისტორიის მკვლევარი“ აპოლო-გეტურ ხასიათს იძენს. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ნაშრომის დასკვნა, რომელიც თხრობით, აღნერით, ხასიათს ატარებს და თედო უორდიანის შეხედულებების ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მის გამომწვევ მიზეზებზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის.

შეიძლება ითქვას, რომ ზუსტად ანალოგიურ ვითარებას-თან გვაქვს საქმე მის მცირე მოცულობის ისტორიოგრაფიულ ნარკვევში თედო უორდიანიაზე, რომელიც მოთავსებულია მისი თხზულებების პირველ ტომში, რომელიც 2011 წელს გამოვიდა. ის აღნერით, თხრობით, ხასიათს ატარებს. რაც შეეხება მის წიგნს „ისტორიოგრაფია ისტორიული მეცნიერების ისტორია“, რომე-ლიც 2007 წელს გამოვიდა შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია, სამეცნიერო პოპულარულ ხასიათს ატარებს და კომპილაციას წარმოადგენს. [20] ყურადღებას მივაპყრობთ ერთ გარემოებას. ჩვენ მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით შემოვიფარგლებით, ხოლო დასკვნების გაკეთება მკითხველისათვის მიგვინდია. ამ წიგნის რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი (ასანა) ნადირაძე.

თქვენს აკადემიურ დონეზე გაცილებით დაბალია თქვენი ზნეობრვი დონე. სხვის თვალში ბენვს ეძებთ. საკუთარში კი დირეს

ვერ ხედავთ. სამაგიეროდ, ძალიან კარგად გეხერხებათ მენტორული ტონით საუბარი და სხვისი დამოძღვრა. ვინ მოგცათ ამის ზნეობრივი უფლება? თუმცა მაინც და მაინც ობიექტური შეფასებით არ გამოირჩევით. ამაზე მე ყურმოკრულით კი არ ვსაუბრობ, საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. ალბათ, კარგად ხდებით, რომ ეს ნაბიჯი თქვენს ქმედებაზე რეაქციას წარმოადგენს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ნეიტრალური ვიქწებოდი, რაც სხვათა შორის, გავაკეთე კიდეც „ისტორიოგრაფიულ ეტიუდებში“.

ახლა ისევ ემპირიულ ისტორიას უნდა დავუბრუნდეთ. გარკვეული წინსვლა აქაც გვაქვს. მარქსისტული სტერეოტიპების და შტამპების დაძლევის გზაზე გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯად პოსტისაბჭოთა პერიოდის დასაწყისში დაწერილი მსოფლიოს და საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელობი მიგვაჩინია. იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამის მოჰყვა საუნივერსიტო სახელმძღვანელოები და საკვლევი ლიტერატურა. ეს იმ კარგი ტრადიციის გაგრძელების მცდელობა იყო, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს შრომები მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების პირველ მოკრძალებულ მცდელობად გვევლინება (21). ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ქართულ სკოლაში საქართველოს და მსოფლიოს ისტორიის სწავლების ნორმალური პრეცენდენტი იქმნება. ისტორიის სწავლება სკოლაში თანდათან, სწორ გზაზე დგებოდა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოს ამ სახელმძღვანელოებს ნაკლი არ გააჩნდათ. და მათი შემდგომი დახვენა, სრულყოფა, გამორიცხულად სულაც არ მიგვაჩინია. მართლაც, ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდებოდა, მაგრამ 2006 წლის შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა. სიმართლე გითხრათ, ასეთი რადიკალური შემობრუნების აუცილებლობა არ იყო. ისტორიის სწავლება სულ სხვა გზით წარიმართა. ეს არ იყო თავდაპირველი გზის გაგრძელება, წინგადადგმული ნაბიჯი. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ისტორიის ახლა სახელმძღვანე-

ლოებს ნაკლი უფრო მეტი გააჩნიათ, ვიდრე ლირსებას. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე გარემოებაზე: ა) უწინარესად, ძალზე კარგად უნდა მოფიქრება იმას, თუ როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს საქართველოს და მსოფლიო ისტორიის სწავლება. საჭიროა ოპტიმალური გზის მონახვა. მიმბაძველობა აქ მიუღებელი იქნება. ბ) არანაირი ყურადღება არ ექცევა ბავშვის ასაკობრივ შესაძლებლობებს, რასაც, საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოებში დიდი ყურადღება ექცეოდა. გ) ემპირიული ისტორიის სწავლება პრიორიტეტული არაა, რომელიც მოსწავლისათვის ყველაზე უფრო საინტერესოა. პირველ ყოვლისა, მონაფეშ კარგად უნდა იცოდეს ფაქტობრივი მასალა. დღეს მოსწავლე არ ფლობს ფაქტობრივ მასალას. ეს მისი ცოდნის სერიოზული ხარვეზია. ამ შემთხვევაში რა განზოგადებაზე შეიძლება ლაპარაკი? დ) თუ სკოლაში გავივლით თეორიულ საკითხებს, პირველ რიგში კი წყაროთმცოდნეობას და ისტორიოგრაფიას, მაშინ უნივერსიტეტში რა უნდა ვასწავლოთ? ხომ არ შევაჯავრებთ ბავშვებს ისტორიას? ხომ არა აქვს აქ ადგილი წყვეტას საშუალო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს შორის? ასე ამგვარად, დღეს საქართველოს სკოლაში ისტორიის სწავლება შეიძლება ითქვას, რომ ლრმა კრიზისს განიცდის. ისტორიის ცოდნა ძალიან დაბალ დონეზეა. პირველ რიგში, უნდა მივხედოთ სკოლას, სიტუაცია დამაფიქრებელია და საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება. ჯერჯერობით კი რაიმე, პოზიტიური ძვრები არ ჩანს [22].

ამრიგად, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს თავი დააღნიოს თეორიულ, მეთოდოლოგიურ უნიფიკაციას, გაუფერულებას, გასცდეს პოზიტივისტური და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებს და ახალი თვისებრივი ნახტომი გააკეთოს, რომელიც გათვლილი იქნება ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე ნოვაციებზე, სიახლეებზე. ეს პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია, რომელსაც, ბუნებრივია გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია უმთავრესად აქცენტს აკეთებს რაოდენო-

ბრივ ცვლილებებზე და არა თვისებრივ, ხარისხობრივ, ძვრებზე. კრიზისიდან გამოსავალი მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის გაუმჯობესებაა. ამას ალტერნატივა არ გააჩნია. [23ა. 59-65; 23ბ 120; 23გ 289; 23დ 260]. კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიისთვის საჭიროა. უნდა შევქმნათ განათლების სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება ცოდნაზე, პროფესიონალიზმსა და არა დიპლომზე. მოვახერხებთ ამას, დავძლევთ კრიზისს, ვერ შევძლებთ ამას მაშინ ვერც კრიზისს ვერ დავძლევთ. შეიქმნება მხოლოდ კრიზისის დაძლევის ილუზია, რომელსაც ზედაპირული ხასიათი ექნება და, ძირითადად, რაოდენობრივ ცვლილებებზე იქნება გათვლილი, როგორც ეს დღეს ხდება. „ჩვენს პოსტსაბჭოთა ეპოქაში როდესაც ჩვენ გვერგო მემკვიდრეობად არც თუ საუკეთესო მეცნიერული ტრადიციები, ეს ზრუნვა მეცნიერული ხარისხის ამაღლებაზე პრინციპულ მნიშვნელობას იძენს“. (24.173) – დასძენს პროფ. არონ გურევიჩი.

* * *

ახლა უნდა შევეხოთ ერთ თემას – სამეცნიერო ლიდერის როლს, რომელიც ტონს აძლევს ქვეყანაში ისტორიული მეცნიერების განვითარებას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველ ქვეყანას ჰყავს ლიდერი ან კიდევ უფრო უკეთესი იქნება ლიდერები, რომლებიც ორიენტირებული არიან სამეცნიერო კვლევების უაღრესად მაღალ სტანდარტზე და ეს სტიმულს აძლევს მათ კოლეგებს, თავის მხრივ, შეეცადონ, რომ კიდევ უფრო მაღლა ასწიონ თამასა. ასეთი ლიდერები იყვნენ ყველა ქვეყანაში, ნებისმიერ ეპოქაში და არაერთ თაობაში. მე-20 საუკუნის ფრანგული და ალბათ, არამარტო ფრანგული ისტორიოგრაფიის მთავარ ტონისმიმცემად გვევლინებიან „ანალების“ სკოლის ისტორიკოსები, პირველ ყოვლისა კი, მისი დამაარსებლები ლუსიენ ფევრი და მარკ ბლოკი, თუმცა უნდა ითქვას, რომ სიახლეები მე-20 საუკუნის ფრანგულ ისტორიოგრაფიაში მხოლოდ „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების სახელთან როდი ასოცირდე-

ბა. ფრანგულ ისტორიოგრაფიას წარმატებები გააჩნია სხვა მიმართულებითაც და ჰყავს თავისი ლიდერები: ეკონომიკური ისტორიის შესწავლის სფეროში ესენი არიან ანრი ოზე და ერნსტ ლაბრიუსი. სოციალური ისტორიის კვლევას სათავეში უდგას ცნობილი ისტორიკოსი როლან მუნიე, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლას ტონს აძლევენ პიერ რენუვენი და უან ბატისტ დიუროზელი. ისტორიის შემცნების, ეპისტემოლოგიის, სფეროში ასეთ ლიდერებად, პირველ რიგში, გერმანელი მეცნიერები, ნეოკანტიინელები და მაქს ვებერი გვევლინებიან. ისტორიის თეორიის სფეროში თავისი წონადი სიტყვა თქვა გერმანელმა მეცნიერმა ერნსტ ტრიოლჩიმა. ამ დარღში ინგლისელების თავკაცია რობინ ჯორჯ კოლინგვუდი, იტალიელებისა – ბენედეტო კროჩე, ხოლო ესპანელებს სათავეში უდგას ხოსე ორტეგა ი გასეტი. ბელგიური ისტორიოგრაფიის აღიარებული ლიდერია ანრი პირენი. ჰოლანდიური ისტორიოგრაფიაში ლიდერებად მოიაზრებიან იოაპიმ ჰოიზინგა და პიტერ ჰეილი. ავსტრიულ ისტორიოგრაფიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ცნობილ მედიევისტი ალფონს დოფშს. დიდი სახელების დეფიციტს არც რევოლუციამდელი რუსული და საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფია განიცდის. საკმარისია გავიხსენოთ ა. ლაპო – დანილევსკი, ლ. კორსავინი, ნ. ბერდიაევი, ნ. კარეევი, ე. ტარლე, ა. მანფრედი, ბ. პორშნევი, ი. კონი, მ. ბარგი. საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი გამორჩეული და არაორდინალური ფიგურა იყო ა. გურევიჩი. მისი ეპისტემოლოგიური ძიებები საინტერესოა და ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე სიახლეებსა და ნოვაციებზეა ორიენტირებული. ამ თვალსაზრისით და, ალბათ, არა მარტო ამ თვალსაზრისით, ის საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება. ის პოსტსაბჭოთა ეპოქის პირველი წლების რუსული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ლიდერია. ვფიქრობთ, რაც დრო გავა, მისი ღვაწლი კიდევ უფრო მკაფიოდ, ნათლად წარმოჩინდება და დაფასდება.

ასეთი მოკლე ექსკურსი ევროპის ისტორიულ აზროვნებაში, ცხადია, შემთხვევით არ გაგვიკეთებია, ამჯერად ერთი მიზანი გვა-

მოძრავებდა. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ქართულ ისტორიოგრაფიაში? თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული სიტუაცია ნორმალურად მიგვაჩინია, რაც მის კიდევ ერთ ღირსებად გვევლინება. თავი დავანებოთ საუკუნეების სიღრმეში ძიებას, ეს ძალიან შორს წაგვიყვანს და მოკლედ გადავავლოთ თვალი მხოლოდ წინა საუკუნეს, რა თქმა უნდა, გასული მე-20 საუკუნის დასაწყისში, ასეთ ლიდერად, უდაოდ, დიდი ივანე ჯავახიშვილი გვევლინებოდა. მან ტონი მისცა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას და ახალ ევროპულ სიმაღლეზე აიყვანა იგი. ივ. ჯავახიშვილის ძალისხმევით ქართულმა ისტორიოგრაფიის მიაღწია ევროპული, პოზიტივისტულრიისტორიოგრაფიის დონეს. ეს ქართული ისტორიოგრაფიის დიდი წარმატება იყო. თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, საქართველოს გასაბჭოება, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ეს გზა გაგრძელდებოდა და ის ახალ, უფრო მაღალ საფეხურს მიაღწივდა. მაგრამ, სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება სულ სხვა გზით წარიმართა. მნიშვნელოვანნილად, პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლდათ გამოწვეული, რომ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება, უმთავრესად, პოზიტივისტური და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოებში წარიმართა. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ შესაძლოა, თამასამ დაიწია, მაგრამ, მაინც საკმაოდ მაღალ დონეზე დარჩია.

ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის ლიდერის როლში ჯერ აკად. სიმონ ჯანაშია, ხოლო შემდეგ კი აკად. ნიკო ბერძნიშვილი მოგვევლინა. მათი სახით საქმე გვაქვს ევროპული რანგის ისტორიკოსებთან. მათი შემოქმედება ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში, მაგრამ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ვერ აცდანენ-მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის რადაციას. ამის გამო მათი მკაფრად განსჯა, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშუალი“. ვფიქრობთ, ეს უფრო

ადეკვატური იქნებოდა, ეს არ იყო დიდი ივანე ჯავახიშვილის გზის გაგრძელება. ეს სულ სხვა გზა იყო.

ამის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის ლიდერის მძიმე ტვირთი იკისრეს აკადემიკოსებმა გიორგი მელიქიშვილმა და შოთა მესხიამ, ხოლო მე-20 საუკუნის მიწურულს და 21-ე საუკუნის დასაწყისში ქართული ისტორიოგრაფიის თავკაცებად აკადემიკოსები მარიამ ლორთქიფანიძე და როინ მეტრეველი გვევლინებიან. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემობა, რომ ასეთი მკვეთრად გამოკვეთილი ლიდერი, აღიარებული თავკაცი, ახალ თაობაში არ ჩანს. ამ ვაკუუმის შევსებას ცდილობს პროფ თედო დუნდუა. ეს ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ მთლიანობაში ვითარება, შემდგომი პერსპექტივა, ჩვენი აზრით, დამაფიქრებელია.

როგორი იყო მეცნიერული გამოკვლევების შეფასების კრიტერიუმი? თემა გახლავთ ფრიად აქტუალური და საინტერესო, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს თვალი გავადევნოთ აღნიშნულ პრობლემას, მით უმტეს, რომ ცვლილების, წინსვლის მაგივრად მივიღეთ უკუსვლა, რეგრესი.

საბჭოთა ეპოქაში მეცნიერული გამოკვლევების დონემ დაბლა დაინია და შექმნა კარგი პრეცედენტი ადვილი გზით სიარულის მოტრფიალეთა დანინაურებისათვის. მიდგომა იყო საკმაოდ მარტივი: თუ ნაშრომი დახუნძლული იყო ციტატებით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თხზულებებიდან და საკუთარი აზრი არსად ჭაჭანებდა, წარმატებით გადიოდა ფონს, მაგრამ ვაი იმ ავტორს, რომელსაც საკუთარი აზრი გაუჩნდებოდა და თემას არაშაბლონურად, არატრაფარეტულად მიუდგებოდა. ეს უკვე საგანგებო შემთხვევა იყო. იწყებოდა „ხელების გადაგრეხვის“ ესოდენ ნაცნობი სურათი. ყველანი მზად იყვნენ ჩაექოლათ განსხვავებული აზრი და მოაზროვნე. მოაზროვნე ისტორიკოსი არ ჭირდებოდათ. დოგმატიკოსი კი კარგი იყო და მისაღებია [24.229] ამის კარგი ნიმუშია პროფ. უშანგი სიდამონიძის სადოქტორო დისერტაციის ირგვლივ ამტყდარი არაჯანსაღი აჟიოტაჟი [25].

მიუხედავად ძლიერი პოლიტიკური და იდეოლოგიური წნებისა, უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მაინც შენარჩუნებული იქნა მეცნიერული გამოკვლევების გარკვეული დონე. ასე მაგალითად, მსოფლიო ისტორიის საკანდიდატო დისერტაციის დაცვის დროს აუცილებელი პირობა იყო ან ოპონენტი გყოლოდა მოსკოვიდან ან წამყვანი დაწესებულება, აღსანიშნავია, რომ ეს განსხვავება კიდევ უფრო ნათელი შეიქმნა შემდგომ წლებთან შედარებით, როდესაც მეცნიერული გამოკვლევების შეფასების კრიტერიუმმა მკვეთრი მეტამორფოზი განიცადა და კიდევ უფრო დაბლა დაინია. შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა ხანის პირველ წლებში, მე-20 საუკუნის მიწურულს და 21-ე საუკუნის დასაწყისში, თამასის დონემ კიდევ უფრო დაინია. მოხდა მეცნიერული გამოკვლევების შეფასების კრიტერიუმების მკვეთრი ვარდნა. ყურადღებას გავამახვილებთ ერთ გარემოებაზე, რომელიც ეტყობა, არც მაშინ და არც ახლა, არავის აინტერებს, ერთ მუჭა ისტორიკოსების გარდა, რომელთა ხმა, როგორც წესი, რჩება „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“. ესაა დისერტაციების დაცვის სფეროში არსებული აშკარა რეგრესი, 2006 წლის შემდეგ ერთ დისერტაციაზე გადასვლამ ეს პროცესი კიდევ უფრო გააღმავა. საქართველოში წმინდა მსოფლიოს ისტორიაში სადოქტორი დისერტაციის დაცვა მეცნიერების თავისებულ ნაკრძალად გვევლინებოდა, სადაც შესვლა რჩეულთა ხვედრი გახლდათ. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში დაიწყო ამ ნაკრძალის დანაგვიანება, ზოგიერთ თემებს, რომლის დაცვისაგან საბჭოთა პერიოდში თავს იკავებდნენ, პოსტსაბჭოთა ხანაში მწვანე შუქი მიეცა. პირდაპირ კურიოზებამდე მიდიოდა საქმე. წმინდა მსოფლიო ისტორიაში ნაშრომის სიახლედ ცხადდებოდა ის, რომ სადისერტაციო ნაშრომი ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პრობლემის შესწავლის პირველი მცდელობა იყო. ვფიქრობთ, აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. სატირალი რომ არ იყოს, სასაცილოა. წმინდა მსოფლიო ისტორიაში სადისერტაციო ნაშრომად იცავდნენ არა მარტო კომპილა-

ციას, არამედ პლაგიატსაც. იყო ისეთი შემთხვევებიც. ყველაფერ ამას უყურებდნენ გულგრილად. ყველაფერი ორიენტირებული იყო რაოდენობრივ ცვლილებებზე და არა თვისებრივ, ხარისხობრივ, სიახლეზე. რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოს მე-20 საუკუნის დასასრულს და 21-ე საუკუნის პირველ წლებში კარგი სადოქტორო დისერტაციები არ იწერებოდა. ამის საუკეთესო ნიმუშებია პროფ. ირინე ნაჭყებიას და პროფ. მამუკა წურწუმიას სადოქტორო დისერტაციები. [26] ეს არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ნაყოფიერად ვიმუშაოთ წმინდა მსოფლიოს ისტორიაში. არის სხვა მაგალითები, მაგრამ მათი განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანს და, ალბათ, არ ღირს.

2006 წლის რეფორმის შემდეგ მდგომარეობა კი არ გაუმჯობესებულა, არამედ პირიქით, კიდევ უფრო უარესობისაკენ შეიცვალა. ერთ დისერტაციაზე გადასვლამ კატალიზატორის როლი შეასრულა და კიდევ უფრო დააჩქარა ეს პროცესი. მეცნიერული გამოკვლევების შეფასების კრიტერიუმი კიდევ უფრო დაეცა. სადისერტაციო ნაშრომების მეცნიერული დონე აშკარად დაქვეითდა. ერთ დისერტაციაზე გადასვლა, ჩვენი აზრით, ნაჩქარევი იყო და ვერ გაამართლა. ამ ქადაგის მიზანი იყო დაგენერირებული დონე აშკარად დაქვეითდა. ერთ დისერტაციაზე გადასვლა, ჩვენი აზრით, ნაჩქარევი იყო და ვერ გაამართლა. ამ ქადაგის მიზანი იყო დაგენერირებული დონე აშკარად დაქვეითდა. ყველაფერი ეს მიმბაძველობის კიდევ ერთი ნიმუშია. სხვათა შორის, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პოსტსაბჭოთა სივრცეში, ძირითადად, მანიც თანამდებობის სისტემა არსებობს, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვითარების დალაგება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ან 2006 წლის რეფორმის წინ, გაცილებით უფრო ადვილი იყო, ვიდრე ახლა. თუ ვითარება სასწრაფოდ არ შეიცვალა, კატასტროფის წინაშე აღმოჩნდებით, თუ უკვე არ ვართ.

2006 წლის რეფორმამ ქართული მეცნიერების, მათ შორის, ცხადია, ისტორიოგრაფიის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა და ღრმა კვალი დატოვა. მეცნიერებისა და განათლების სისტემაში გარდაქმნა, საჭირო რომ იყო, მას ბუნებრივია, არავინ უარყოფდა. მთავარი იყო თუ რა ფორმით განხორციელდებოდა რეფორმა. ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა დაგვეტოვე-

ბინა ის დადებითი გამოცდილება, რომელიც ამ სფეროში საბჭოთა სისტემას გააჩნია, ხოლო მისი ნაკლოვანი მხარეები გაგვესწორებინა. ფრანგული განმანათლებლობის პატრიარქს ვოლტერს უყვარდა თქმა: „სჯობს შენობა შევაკეთოთ, ვიდრე დავანგრიოთ“. აქ იმის თქმას ვაპირებთ, რომ რეფორმა სწორედ რევოლუციური და ევოლიციური მიდგომის შეხამება უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში ის რევოლუციური გზით წარიმართა. როგორც ხშირად ხდება, ძველი დაანგრიეს, უკეთესი კი ვერ შექმნეს. მეტი დაფიქრება იყო საჭირო.

საბჭოთა სისტემის მთავარ ნაკლად კორუფცია, პროტექცია და ნეპოტიზმი გვევლანებოდა. აი, სწორედ აქ უნდა მიეღო რეფორმას რადიკალური ხასიათი. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მნიშვნელოვანნილად ამით აიხსნება, რომ ერთ ადგილს ვტკეპნით, წინ ვერ მივდივართ, უფრო მეტს ვლაპარაკობთ, ვიდრე საქმეს ვაკეთებთ. ძველი ინერცია ჯერ კიდევ ძლიერია. ადამიანის მენტალიტეტი არ შეცვლილა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოს რეფორმას დადებითი არაფერი ჰქონდეს. პოზიტივი წამდვილად არის. უწინარესად, ასეთად მიგვაჩნია მისაღები გამოცდების უნივერსიტეტიდან გატანა, შუალედური გამოცდები სემეტრის განმავლობაში, საგამოცდო ცენტრში გამოცდების წერით ჩაპარება. სტუდენტებს უფრო მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა გაუჩნდათ, ჩაწყობამ და პროტექციამ შედარებით იყლო.

რეფორმამ, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანად დატოვა თამაშებარე მდგომარეობაში მეცნიერების ერთი ნაწილი, რომელთაც, ფაქტობრივად, შემოქმედება არ გააჩნდათ მათ ან სულ არაფერი არ დაუწერიათ ანდა სადისერტაციო წაშრომის გარდა არაფერი შეუქმნიათ. მათი მეცნიერული მემკვიდრეობა იყო უაღრესად მწირი. მეცნიერებაში მათ ვერაფრით ვერ გამოიჩინეს თავი და მათი საქმიანობა ძირითადად სხვადასხვა მაქინაციებთან, პირველ რიგში კი, პროტექციასთან ასოცირდება, რომლის ზურგს უკან ხშირად იდგა ნეპოტიზმი, ამ ჯგუფის ერთ-ერთ თვალსაჩინო

წარმომადგენლად ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ავთანდილ (ამფისა) წერეთელი გვევლინება. ამ კუთხით საკითხის წამოწევა, ცხადია, შემთხვევით არაა და, უმთავრესად, ორი გარემოებით გახლავთ განპირობებული. ეს არაა მხოლოდ პირადი ანგარიშსწორება. ასეთ ვიწრო ასპექტში ეს საკითხი არ გვაინტერესებს. ჩვენ შევეცადეთ მისთვის სულ სხვა კუთხით შეგვეხედა. 1. მას გააჩნია მეცნიერული დატვირთვა და ფაქტობრივად მეცნიერებაში მათი საქმიანობის შეფასების პირველ მცდელობად გვევლინება. 2. ჩვენ გვაინტერესებს, ერთი სერიოზული პრობლემა მეცნიერის ბედი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში. ამჯერად, ყურადღება მივაპყარით საკითხის ერთ მხარეს, ვის დევნიდნენ და ვის კი სასათბურე პირობებს უქმნიან. თუ ერთ შემთხვევაში ეს იყო ტრაგედია. მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს კომედიასთან. ამ თემის კომიკური მხარის წამოწევა აქტუალურად მიგვაჩნია და კიდევ უფრო სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას შეგვიქმნის **XX** საუკუნის ქართული მეცნიერების ტრაგიკომედიაზე.

ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა ჩემი ძალისხმევა მომეხმარებინა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის და არა ამ ცილისხამების გამო თავის მართლებისათვის, რომელმაც ქართული ისტორიოგრაფიას არაფერი მოუტანა. რას იზამთ, ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობდი. მინდა მკითხველმა კარგად იცოდეს, წლების განმავლობაში რა ადამიანები მიქნევდნენ თითს, მარიგებდნენ ჭკუას და მიკითხავდნენ, მორალს. შეიძლება ეს სენტიმენტალური იყოს, მაგრამ არსებული რეალობის ატრიბუტია. ბუნებრივია, გამიჩნდა კითხვა რას წარმოადგენენ ის ადამიანები, რომელებიც პირდაპირ სისხლი გამიშრეს, წლების განმავლობაში უსამართლოდ მექანიზმები, მრავალჯერ მატკინეს გული და არა ერთი მორალური ტრავმა მომაყენეს. ეს საკითხი აშკარად ცილდება აკადემიურ ჩარჩოებს, მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია და, პირველ ყოვლისა, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში არსებული განუკითხაობის, უკონტროლობის, დაუსჯელობის სინდრომის ლოგიკურ შედეგად გვევლინება. **XIX** საუკუნის რუსი მწერლის

ალექსანდრ გრიბოედოვის ნაწარმოების „ვაი ჭკუისაგან“ მთავარი გმირი ჩაცკი ამბობდა: „ვინ არიან მსაჯულები“. ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ ამ საკითხს ამ კუთხით შევხედავთ. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო კარგად გავაცნობიეროთ ქართული ისტორიოგრაფიის როგორც აკადემიური დონე, ისე ზნეობრივი ატმოსფერო.

ახლა მოდი დავუბრუნდეთ ბ-ნ ამფისას. მისი მეცნიერული მემკვიდროება უაღრესად მნირია და ერთობლივად დაწერილი რამდენიმე ნაშრომით ამოინურება, სადაც, ალბათ, ხელმოწერის გარდა მისი არაფერი არაა. ფაქტობრივად, საკუთარი შრომები მას არ გააჩნია. საინტერესო შემთხვევაა. (О. Джапаридзе, Г. Авалишвили, И. Киквадзе, А. Церетели, Результаты работы Месхети-Джавахетской археологической Експедиции, М. 1977.) О. Джапаридзе, Г. Авалишвили, А. Церетели, Помиятники Месхети среднего бронза, М. 1984. ო. ჯაფარიძემ, ო. კიკვიძემ, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1974-75 წლების მუშაობის ანგარიში, კრებულში „საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები“, ტ. 5. თბ., 1977. გვ. 43-60 ო. ჯაფარიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1980-1981 წლების მუშაობის ანგარიში „საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები“, ტ. 8. თბ., 1986. გვ. 36-44. გ. ავალიშვილი, ნ. აფციაური, თ. კეკელიძე, მ. კობალაძე, მ. ჩეჩელაშვილი, ა. წერეთელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ესქპედიციის 1989-1990 წლების მუშაობის ანგარიში – „არქეოლოგიური კრებული“, ტ. 1. თბ., 1994, გვ. 61-75. ც. დავლიანიძე, ა. წერეთელი წინარეანტიკური და ადრე ანტიკური ხანის სამკაულები დასავლეთ საქართველოდან (მუხურჩის სამარხოვანის მასალების მიხედვით) – „არქეოლოგიური კრებული“, ტ. 2. თბ., 1998, გვ. 57-60. აღსანიშნავია, რომ აქედან კვლევით ხასიათს მხოლოდ ეს უკანასკნელი ატარებს, ხოლო დანარჩენები სამუშაო ანგარიშებია, რა შეიძლება ითქვას აქ? მოდით გავიხსენოთ გენიალური უილიამ შექსპირის

66-ე სონეტი: „რადგან ულირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა“. შენც არ მომიკვდე, ეს არ ანალვლებდეს ამფისას. მან თავისი გააკეთა და ახლა მშვიდად ცხოვრობს. ესაა დაუსჯელობის სინდრომი: „ურცხვი თუ არ დასაჯე, ბაძვით მორცხვიც გაურცხვდებისო“ – ამპობდა დავით გურამიშვილი. დიდმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა, გენიალური ალლოთი, ზედმინევნით ზუსტად განჭვრიტა მომავალი, ახალი ეპოქის მთავარი ტენდენციები, რა ძალა მოდიოდა და რა ძალასთან გვექნებოდა საქმე და ის, ვინც შეცვლილ გარემოში ლიდერი გახდებოდა, ამინდს შექმნიდა და მთავარ როლს შეასრულებდა. რუსული ბოლშევიზმის სახით ასპარეზზე გამოდის ახალი შიშველი ძალა „თუ ჯაყოს ცოდნა არა აქვს, მაშ კაცი ვერ არის“ ცოდნა პრიორიტეტული აღარაა. უცოდინარობას მწვანე შუქი მიეცა. „კონდრატიევშჩინა“, „ლისევკოვშჩინა“ ამის მკაფიო გამოხატულებაა. ყველაფერ ამას კარგად მიესადაგება აღორძინების ეპოქის ტიტანის, დიდი ინგლისელი მოაზროვნის ფრენისის ბეკონის სიტყვები: „როცა გემი იძირება, ფასეულობა ქვევით ჩადის, ნაგავი კი ზემოთ ამოდის“ ამფისა და მისნაირები ამის კიდევ ერთი კარგი ნიმუშია. ასეთი ბალასტით დაანაგვიანეს ბოლშევიკებმა მეცნიერება, სამაგიროდ მეცნიერების კორიფეებს, დიდი ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, დევნიდნენ და სისხლი გაუშრეს. მათი მთავარი დანაშაული, სწორედ ამაში მდგომარეობდა. ეს თემაც სწორედ ამ კუთხით წამოვნიეთ წინ.

ასევე ფრიად მწირია პროტექციის კიდევ ერთი ტრუბადურის, იურისტის, საერთაშორისო ურთიერთობის და სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფ. ირაკლი შაფაქიძის მეცნიერული მემკვიდრეობა. ის რამდენიმე წიგნს და სტატიას ითვლის: ირ. შაფაქიძე, „საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი პრობლემები“, თბ., 2000. გვ. 256. (ეტყობა, ეს მისი საუკეთესო ნაშრომი უნდა ჩანდეს). ირ. შაფაქიძე „მოქალაქეთა სამოქალაქო სამართალსუბიექტობის შინაარსი“. ლექციების კურსი, თბ., 1985. 31. (რა ლექციების კურსი შეიძლება იყოს 31 გვერდიანი?) ირ. შაფაქიძე, საერთაშორისო ეკონომიკური დავე-

ბის და გადაწყვეტილების ძირითადი საწყისები, თბ., 1999. გვ. 79. ი. შაფაქიძე, ი. მგალობლიშვილი, „დომიცილი და მოქალაქეობა, როგორც პირადი სტატუსის განმსაზღვრელი კოლიზიური პრინციპი“ – საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის შრომები, ტ. 2. თბ., 1997. გვ. 99-109. ირ. შაფაქიძე, „უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირება (საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიხედვით)“, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1994, 4. გვ., 57-63. ირ. შაფაქიძე, „საბჭოთა სამოქალაქო სამართალში სამართალსუბიექტობის საკითხისათვის“ – „საბჭოთა სამართალი“, 1984, 5.. შესაძლოა, რამე გამოგვრჩა, მაგრამ ეს, ალბათ, არ ცვლის საერთო სურათს. მათ პირდაპირ გამანამეს იმის გამო, რომ პროტექციას არ ვუწევდი და ვცდილობდი, ობიექტური ვყოფილიყავი. სხვა რამ მიზეზი უბრალოდ არ არსებობს და გამოგონილია.

შემდგომი ორი შემთხვევა, ალბათ, უნიკალურად შეიძლება მივიჩნიოთ. ორივენი საბჭოთა ეპოქის ვაიმეცნიერების ტიპურ წარმომადგენლებად გვევლინებიან. ფაქტობრივად, არ აქვს მეცნიერული მემკვიდრეობა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს დოცენტ კარლო კალანდაძეს, მას ერთი ნაშრომი აქვს დაწერილი. [27. 82-85], მის საქმიანობას, ძალიან კარგად მიესადაგება ერთი რუსული ანეგ-დოტი: „რა არის ასპირანტურა? სამი წელი უსაქმოდ ყოფნა, ორი საათის სირცხვილი, ე. ი. დისერტაციის დაცვა და 30 წელი უზრუნველი ცხოვრება“. მისი ასეთი აღზევება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და საბჭოთა ეპოქის საქართველოში არსებული არაკონკურენტუნარიანი გარემოს ლოგიკურ შედეგად გვევლინება, რა უნდოდა მას მეცნიერებაში? ალბათ, პირადი გამორჩენის გარდა, არც არაფერი. ასე დაანაგვიანეს ბოლშევიკებმა მეცნიერება. წლების მანძილზე აი, ეს კაცი იყო ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების ინსტიტუტში სა-ლამოს ფაკულტეტის დეკანი. ნუთუ უფრო უკეთესი კანდიდატი ვერ მოინახა? არსაიდან არ ჩანს, რომ ის კარგი მეცნიერი იყო, არსაიდან არ ჩანს, რომ ის კარგი ლექტორი იყო, მაშინ რა კრიტერიუმით აღაზევეს ის? იმედი გვაქვს, რომ მკითხველს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა

არ გაუჭირდება. ისევ გავიხსენოთ შექსპირის 66-ე სონეტი „რადგან ულირსებს. უსამართლოდ დაადგეს დაფნა“. მე მასზე მეტი უკვე სტუ-დენტობის დროს მქონდა გაკეთებული. აი, ეს ადამიანები წყვეტდ-ნენ ჩემს, და ალბათ, კიდევ მრავალი ჩემნაირის ბედს. სწორედ მათ გადამიარეს გასული საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც ვცდილობდი მუშაობა დამეწყო უცხო ენების ინსტიტუტში. „თუ ჯაყოს ცოდნა არა აქვს, მაშინ კაცი ვერ არის“. აი, ასე გადაუარეს ბოლშევიკებმა მეცნიერებას. ვის დევნიან და ვის აღზევებენ.

მოკლე რეზიუმეს სახით: როგორც ხედავთ, მას მეცნიერუ-ლი მექვიდრეობა, შემოქმედება, არ გააჩნია. ბუნებრივია, ისმის კითხვა. რა უნდა ასეთ ადამიანს მეცნიერებაში? ამას გააჩნია თავისი ახსნა. მისი ამგვარი აღზევება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მისი მიზეზები, პირველ ყოვლისა, საბჭოთა რეალო-ბაში არსებულ არაკონკურენტიან გარემოშია საძიებელი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ ადამიანის ჭკუს სწავლება ნამდვილად არ მჭირდებოდა, ნორმალურ ქვეყანაში ის მეცნიერი არ იქნებოდა. და არც ეს კონფლიქტი მოხდებოდა.

საერთოდ ნონსესად მიგვაჩნია მეცნიერები ისეთი ოდიოზური ფიგურის ყოფნა, როგორიც ბ-ნი ირაკლი რუხაძე ბრძანდებოდა. ეს არაა მეცნიერებაში შემთხვევითი პიროვნება. ეს უბრალოდ გაუგე-ბრობაა. მასთან შედარებით თვით ბ-ნ კარლო კალანდაძეც კი დიდი მეცნიერი ჩანს, რადგან დაცული აქვს საკანდიდატო დისერ-ტაცია. როგორ მოხვდა ის მეცნიერებაში? უნდა ვიფიქროთ, რომ მან მეცნიერებაში ძმაბიჭობა-ძმაკაცობის პრინციპით შემოაბიჯა. თავი დავანებოთ იმას, რომ მას არ გააჩნია არავითარი სამეცნიე-რო რეგალიები, უბრალოდ მას საკანდიდატო მინიმუმით გათვა-ლისწინებული საგნებიც არ ჰქონდა ჩაბარებული და მაშინდელი კანონის თანახმად, მეცნიერული მუშაობის უფლება არ გააჩნდა, რაიმე მეცნიერულ გამოკვლევებზე, თარგმანებზე, ლაპარაკიც კი ზედმეტია. აი ეს ადამიანი წლების განმავლობაში უცხო ენე-ბის პედაგოგიურ ინსტიტუტში ასწავლიდა გერმანიის ისტორიას გერმანულ ენაზე, არსაიდან არ ჩანს, რომ გერმანული ენის კარგი

სპეციალისტი იყო და გერმანულ ენაზე ასწავლიდა გერმანიის ისტორიას, ვის სჭირდებოდა ასეთი ექსპერიმენტი? ალბათ, არავის. ეს უბრალოდ თვალებში ნაცრის შეყრა იყო. არაპროფესიონალიზმის ზემია, ყველაფერ ამას წლების განმავლობაში გულგრილად უყურებდნენ და კრინტს არავინ ძრავდა. ასეთი ნულის მეცნიერებაში ყოფნა ან ლექტორობა ნამდვილად სირცხვილია. ამ სფეროს შეურაცხყოფაა. ეს ბოლშევიკების მიერ მეცნიერების დანაგვიანების კლასიკურ მაგალითად გვევლინება. უნებლიერ მახსენდება სულმნათი აკაკი თავისი უკვდავი ლექსით „დამურა“. ისევ შექსპირის 66-ე სონეტის ერთ ადგილს მოვიშველიებ:

„რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად“.

„მაშ ჯაყოს ცოდნა არ აქვს, კაცი ვერ არის“.

აი, ეს კაცი ცდილობდა ჩემს დისკრედიტირებას, როდესაც მინდოდა ფეხი მომეკიდებინა უცხო ენების პედაგოგიურ ინსტიტუტში გასული საუკუნის 80-იან წლების პირველ ნახევარში. მე არ ვიყავი ირ. რუხაძის მიმართ მტრულად განწყობილი. ვიცოდი რა ქვეყანაში ვცხოვრობი ამიტომ. კომპრომისული პოზიცია მექავა, როგორც კონფლიქტამდე, ისე მის შემდეგ. ყოველთვის ვამბობდი, რომ ნახევარი შტატი მას მიეცით და ნახევარი მე. რა იყო ამაში მიუღებელი, არ ვიცი, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაცებს არ აწყობდათ ეს. მოვლენები სხვა სცენარით წარიმართა. რატომ ვადებთ ხელს ირ. რუხაძეს? მარტივად. ჯერ კიდევ ძველი რომაელები ამბობდნენ „ვის აწყობს?“ ჩემი კონკურენტი კი სწორედ ის იყო. მას აძლავდა ხელს ჩემი თავიდან მოცილება, რაც გააკეთა კიდეც. მისვლის დღიდან მუშაობა მომიხდა ექსტრემალურ ვითარებაში, გაუთავებელი ინტრიგების გარემოში, რომლის ზურგს უკან კარგად მოჩანს ირ. რუხაძის ოდიოზური ფიგურა. ის ცდილობდა, რომ როგორც კონკურენტი თავიდან მოვეშორებინე და მას ამ საქმეში მოკავშირებიც გამოუჩდნენ. მათი ერთ-ერთი თავკაცი იყო საღამოს ფაკულტეტის დეკანი კარლო კალანდაძე. ისინი ცდილობდენ ჩემს კომპრომეტირებას.

ჩემ წინააღმდეგ ატეხილი არაჯანსაღი აუიოტაჟის კულმინაციად მიგვაჩინია ჩემს ლექციაზე 1983 წლის 11 ნოემბერს, ყოველ-

გვარი გაფრთხილების გარეშე, ინსტიტუტის რექტორის დასწრება. ჩემი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე არ გამიგია რექტორი ვინმეს დასწრებოდა ლექციაზე. პრაქტიკაში ეს არ ხდება. ასეთ საგანგებო შემთხვევაში არსებობს აპრობირებული გზა. რექტორი ტრადიციულად მიმართავს დეკანს, ხოლო დეკანი თავის მხრივ მიმართავს კათედრას. შემსრულებელი გახლავთ კათედრა. ის უნდა დაესწროს ლექტორს ლექციაზე და არა რექტორი. კათედრა დასწრების შედეგებს მოახსენებს ზემდგომ ინსტანციებს, რის მერეც გამოაქვთ სათანადო ვერდიქტი. ასე ხდება ეს რეალურად. ამჯერად სულ სხვაგვარად მოხდა. რატომ? ხომ არ გადაამეტა რექტორმა თავის უფლებამოსილებას? მკითხველი ადვილად მიხვდება რამდენად მძიმე ფსიქოლოგიური წნევია ეს ახალგაზრდა დამწყები სპეციალისტისათვის. რამდენად დიდი უნდობლობაა. ამ დროს მე ვიყავი 31 წლის და პედაგოგიური საქმიანობის სულ სამი წლის გამოცდილება გამაჩინდა. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ როგორც ახალგაზრდა, დამწყებ პედაგოგს ნაკლი არ მქონდა. საქმიან შენიშვნებს ვიღებთ და ვითვალისწინებთ, ინტრიგებს კი არა. ეს იყო კარგად გათვლილი ნაბიჯი. ვარაუდობდნენ, რომ მე როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი, ვერ გავუძლებდი ამ მძიმე ფსიქოლოგიურ ტვირთს და ლექციას ვერ ჩავატარებდი. ეს უნდობათ მათაც. მთელ ამ ინტრიგებს ერთი მიზანი ჰქონდა, ჩემთვის ხელოვნური ბარიერის შექმნა და ირ. რუხაძისათვის მწვანე შუქის ანთება. მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ ეს ვარაუდები სავსებით დაადასტურა. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. მე ჩეეულებრივ ჩავატარე ლექცია და თავიდან ადვილად ვერ მომიშორეს.

ამავე დროს საინტერესოა ალინიშნოს, რომ ირ. რუხაძე, არავის შეუმონმებია. არავინ არ დასწრებია ლექციაზე. არავის დააინტერესა როგორ კითხულობს ის გერმანიის ისტორიას, კულტურას, გეოგრაფიას გერმანულ ენაზე. როგორ ფლობს გერმანულს? როგორ იცის გერმანიის ისტორია? როგორ ითვისებენ სტუდენტები გერმანულ ენაზე მოსმენილ ლექციას? თუ ვინმეს შემოწმება

სჭირდებოდა, პირველ რიგში შესამოწმებელი იყო ირ. რუხაძე და არა მე. პირიქით კი მოხდა. სპეციალისტს ავიწროებენ, ხოლო არას-პეციალისტს სასათბურე პირობებს უქმნიან. აი ეს გახლავთ საბჭო-თა რეალობა. არც არაფერს ვალამაზებთ, არც არაფერს ვამუქებთ.

ამ ხანგრძლივი ინტრიგების ლოგიკურ დაგვირგვინებად 1984 წლის შემოდგომაზე, კანონდარღვევით, კონკურსის გამოცხადების გარეშე, რექტორის ბრძანებით, ირ. რუხაძე ნახევარშტატში ჩარიცხვა გვევლინება. მე კი, როგორც ამ დარგის სპეციალისტი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ჩემი უფლებები, დაირღვა. მე არ მომეცა კონკურსში მონაწილეობის უფლება. უპრეცედენტო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. სპეციალისტი მოიშორეს. მათ კარგად იცოდნენ, რომ ირ. რუხაძე ვერანაირ კონკურსში ვერ გაიმარჯვებდა და ასე იმიტომ მოიქცნენ. კონკურსი რომ გამოეცხადებინათ არსებობდა დიდი ალბათობა, რომ საბუთებს მეც შევიტანდი და შეიძლება ირ. რუხაძეს კონკურსში ვერ გაემარჯვა, ეს კი არ აწყობდათ. ამიტომ აიღეს და ბრძანებით დანიშნეს, რომელი დიდი მეცნიერი ირ. რუხაძე ბრძანდებოდა, რომ ასეთი გამონაკლისი დაუშვეს და ბრძანებით დანიშნეს? სხვათა შორის, ერთი ხანობა ის გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ შემდეგ რატომდაც ისევ აღადგინეს თავის ადგილას. არ ვიცი რატომ. არსებობს კანონი უკანონობის შესახებ? საბჭოთა კავშირში კი. ეს საქმე, ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

მე ბევრი ვიბრძოლე და ბოლოს და ბოლოს იმას მივაღწიე, რომ მძიმე მორალური ტრავმის საფასურად, რომელიც, რა თქმა უნდა, არავის ანალვლებდა, მივიღე მთელი შტატი ისტორიის ინსტიტუტში ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში, რომელ-საც ხელმძღვანელობდა ცნობილი მეცნიერი პროფ. ილია ტაბაღუა. მიმაჩნია, რომ ამ ხანგრძლივი დაპირისპირებიდან გამარჯვებული გამოვედი, მაგრამ მომაყენეს მძიმე მორალური ტრავმა, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არავის ადარდებდა. კონფლიქტი მოგვარდა. მე სამსახურით დამაკმაყოფილეს. კანონდარღვევები დარჩა, არავის გამოუსწორებია. აი ეს გახლავთ საბჭოთა რეალობა. სამსახურის

შოვნაში ჩემი შრომისმოყვარეობა ისე არ დამხმარებია, როგორც ირ. რუხაძის უცოდინარობა და ამისათვის მე ძალიან მადლობელი ვარ ბ-ნ ირაკლის. სულ რაღაც წელიწადნახევარში საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი, ცოტა ხანში სანუკვარი ოცნებაც ავის-რულე და უნივერსიტეტში დავბრუნდი, ხოლო ბ-ნ ირ. რუხაძე რა ნულიც იყო, ბოლომდე იმ ნულად დარჩა. ეს საბჭოთა რეალობაში არსებული განუკითხაობის, უკონტროლობის, დაუსჯელობის კი-დევ ერთი საუკეთესო ნიმუშია. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა საბჭოთა კავშირს ზედმინევნით ზუსტად უწოდა: „ბოროტების იმპერია“ და მისი დემონტაჟის სა-ქმეში, მარგარეტ ტეტჩერთან და პელმუტ კოლთან ერთად ლომის წილი დაიდო.

სახელმწიფო სტრუქტურები, პირველ რიგში კი, განათლების სამინისტრო, იმის მაგივრად, რომ ობიექტური პოზიცია დაეკავებინა და სამართლიანობა გაერკვია, რაც მისი უშუალო მოვალეობა იყო, მატროსოვით გადაეფარა ირ. რუხაძეს და უკანონობის მხარე დაიჭირა. რამდენად უანგაროდ მოხდა ირ. რუხაძის უკანონოდ შტატში ჩარიცხვა და სამინისტროს მიერ ამ უკანონობის დაცვა. ეს უკვე სულ სხვა საკითხია, რომელიც აშკარად სცილდება ნმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და სულ სხვა სფეროს განეკუთნება, თუმცა, ვფიქრობთ, მყითხველს მაინცდამაინც არ უნდა გაუჭირდეს ამ საკითხის გარკვევა. გვინდა გაგაცნოთ ერთი საინტერესო დოკუ-მენტი, რომელსაც კარგად ეტყობა იმ დროის კვალი და საბჭოთა რეალობის გამოძახილია.

სამინისტრომ სამსახურიდან სავსებით კანონიერად გათავისულებული ირ. რუხაძე უმაღ აღადგინა დაკავებულ თანამდებობაზე. რატომ? არსებობს ისეთი კანონი, რომელიც უკანონობის ძალაში დატოვებას გულისხმობს? მოვიტანთ ამ საინტერესო დოკუმენტს, სადაც შავით თეთრზე პირდაპირ წერია:

„ინსტიტუტის 1985 წლის 18 სექტემბერის #340 ბრძანება ამავე ინსტიტუტის ყოფილი რექტორის 1984 წლის 29 ნოემბერის #75 ბრძანების გაუქმების შესახებ უკანონოა. მიუხედავად იმისა, რომ, ირ.

რუხაძე მიღებული იყო საკონკურსო წესების დარღვევით და ყოფილ რექტორს მისი ბრძანებით დანიშვნის უფლება არ ჰქონდა, აღნიშნული დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება რექტორს, ხოლო ირ. რუხაძესთან შრომის ხელშეკრულება დადებულად ითვლება“. (იხ. წინამდებარე წიგნის გვ. 210.) ვფიქრობთ, ძალიან საინტერესო არგუმენტია. ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს უკანონობის აპოლოგიასთან. მივყვეთ თანამიმდევრობით. მახსენდება დიდი ფრანგი მოაზროვნის ბლეზ პასკალის სიტყვებზე: „განა შეიძლება ბოროტების ბოროტებითვე ამოძირკვა? ეს ხომ ბოროტების გამრავლებას ნიშნავს“, მაგრამ ეს ხომ „ბოროტების იმპერიაა?“

კი ბატონო, რას მერჩით მე. ესე იგი მართალი ვყოფილვარ. ის უკანონოდ ჩარიცხეს შტატში. კანონი დარღვეულია, ჩემი უფლებები შეიღავა. ამას სამინისტროც აღიარებს. მაშინ რაშია საქმე, რა ხდება? რომაელები ამბობენ. „ქვეყანა რომც დაინგრეს, კანონი უნდა აღსრულდეს“. ამას რომაელები ამბობენ, საბჭოთა სინამდვილე სულ სხვაა. ეს „ბოროტების იმპერიაა“. ამიტომ, თარეშობს, ასე აღვირახსნილად უკანონობა.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს მიერ გამოცემული კანონი უკანონოა, რადგანაც მოითხოვს კანონდარღვევის ძალაში დატოვებას. ასეთი კანონი არ არსებობს. ხოლო სამინისტროს მთელი არგუმენტაცია ალოგიკური და წინააღმდეგობრივია. არ მესმის და, ალბათ, არა მარტო მე, თუ უკანონოდ დანიშნეს, მაშინ მისი გათავისუფლება რატომ მოხდა უკანონოდ. სად არის აქ ლოგიკა. უარგონზე რომ ვთქვათ, სამინისტრო უკანონობას „აპრავებს“. ეს სამინისტროს დასკვნის მთავარი შეუსაბამობაა. არის კიდევ ნიუანსები. რომელიც ირ. რუხაძისადმი უაღრესად კეთილგანწყობილ სამინისტროს რატომლაც შეუმჩნეველი დარჩა უნებლიერ გაეპარა მხედველობიდან:

ა) კანონები, რომელზეც სამინისტრო აპილირებს, ეხება სპეციალიტებს და არა არასპეციალიტებს. სამინისტროს ეს რატომლაც გამორჩა მხედველობიდან. ასე უნდათ და იმიტომ ირ. რუხაძეს დამთავრებული აქვს გერმანული ენის და ლიტერატურის

ფაკულტეტი. სპეციალობით ის არის ფილოლოგი, გერმანული ენის მასწავლებელი. ის ასწავლიდა გერმანიის ისტორიას, კულტურას, გეოგრაფიას გერმანულ ენაზე, ის სპეციალობით არც ისტორიკოსია და არც გეოგრაფი. აი ეს არის ის რეალობა, რომელსაც სამინისტრომ საგულდაგულოდ წაუყოფა.

ბ) რომელი კანონი მოითხოვს ამ საგნის გერმანულ ენაზე სწავლებას? არცერთი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია 60-იან წლებში იყო ასეთი ექსპერიმენტი უნივერსიტეტში, მაგრამ ამას აკეთებდნენ არა ფილოლოგები, არამედ ისტორიკოსები. გერმანიის ისტორიას ასწავლიდა პროფ. ნოდარ კიკვაძე, საფრანგეთის ისტორიას – პროფ. ილია ტაბაღუა, ხოლო ინგლისის ისტორიას – პროფ. რევაზ გაჩეჩილაძე, რომელიც პროფესიით გეოგრაფი იყო. ამ ექსპერიმეტმა არ გაამართლა, სტუდენტებმა მოითხოვეს ქართულ ენაზე სწავლება. თუ რუსაძე გერმანული ენის ასეთი ჩინებული მცოდნე იყო, რატომ არ მისცეს საათები გერმანულ ენაში? აქ სადაც არც არაფერი იქნებოდა. ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა. მხოლოდ სამინისტრო ვერ ამჩნევს ვერაფერს, რადგან არ სურს.

გ) რატომ აღმოჩნდა გერმანიის ისტორიის საათები გერმანული ფილოლოგის კათედრაზე და არა პოლიტეკონომიის კათედრაზე, სადაც ეს საგანი ტრადიციულად ისწავლებოდა. რატომ დაუშვეს ეს გამონაკლისი? პასუხი მარტივია. იმიტომ, რომ პოლიტეკონომიის კათედრის გამგე პროფ. ნიკოლოზ გვიშანი ირ. რუსაძეს, როგორც არასპეციალიტს, ახლოს არ იკარებდა.

დ) რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებ, ირ. რუსაძეს არ ჰქონდა ჩაბარებული საკანდიდატო მინიმუმი არც სპეციალობაში და არც არასპეციალობაში და შესაბამისად, მაშინ არსებული კანონმდებლობის მიხედვით, მეცნიერული მუშაობის უფლება არ ჰქონდა.

ე) აგო ვინმერ რამეზე პასუხი? არც არავინ. დავისაჯე მე, როგორც უპატრონო. სასტიკად გადამიარეს.

ბუნებრივია, მკითხველს გაუჩინდება კითხვა, რატომ მფარველობს განათლების სამინისტრო ასე თავგამოდებით ირ. რუსაძეს,

რომელსაც მეცნიერებასთან და განათლებასთან არანაირი შეხების წერტილები არ გააჩნდა. ის არ იყო მეცნიერი. ის არ იყო ლექტორი. ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მკითხველს არ გაუჭირდება.

საინტერესოა ვინ ანერს ხელს ამ დოკუმენტს. მას ხელს ანერს განათლების მინისტრის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი კარლო ჭელიძე. რატომ არ ანერს ხელს ბრძანებას მინისტრი? სად იყო ამ დროს მინისტრი? იყო თუ არა საქმის კურსში? თუ მინისტრი საქმის კურსში იყო, მაშინ რატომ დაუშვა ასეთი ალოგიკური დოკუმენტის მიღება? და თუ არ იყო კიდევ უფრო ცუდი. ერთი სიტყვით, კითხვები ძალიან ბევრია, მასზე და-მაჯერებელი პასუხი კი არ ჩანს.

მინისტრს მიაწოდეს სწორი ინფორმაცია, მაგრამ მან რატომლაც არ დაუჯერა მათ და სულ სხვა გზა აირჩია. იმის მაგივრად, რომ საქმეში ობიექტურად გარკვეულიყო ჩემი მოწინააღმდეგების ინსინუაციების გავლენის ქვეშ მოექცევა და ვალერი მირიანაშვილს აყვა. (როდესაც მინისტრს სამართლიანობის გრძნობა ათროფირებული აქვს, ქვეშევრდომებს რა მოეთხოვებათ). საქმე გვაქვს კანონისადმი სრულიად გულგრილ დამოკიდებულებასთან. კანონიერებას და კანონდარღვევას შორის კონფლიქტში მინისტრმა ვერ შეძლო ობიექტური პოზიციის დაკავება. ეს მინისტრი ბრძანდებოდა აკად. დავით ჩხილვიშვილი. მისი სახით საქმე გვაქვს იმუამინდელი მეცნიერების კიდევ ერთ „კოლორიტულ“ წარმომადგენელთან. ამ შემთხვევაში არ შევეხებით მას როგორც მეცნიერს. თუმცა, ვფიქრობთ, ეს საინტერესო იქნებოდა. მისი მეცნიერული მემკვიდრეობა მეტად თავისებურია და ძალიან ძნელი სათქმელია, რამდენად ასოცირდება მასთან. ვის რაში სჭირდება მინისტრი, რომელიც ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევა და სამართლიანი პოზიციის დაკავება არ შეუძლია. ელემენტარული სიმართლის დადგენა და მისი დაცვა არ ძალუდს. მეცნიერს და ვაიმეცნიერს ერთმანეთისაგან ვერ არჩევს და ამ უკანასკნელის დამცველის როლში გვევლინება? „ყოფნა არ ყოფნა საკითხავი აი ეს არის“,

„კოკასა შიგან რაცა დგას იგივე გადმოდინდების“. ეს ადამიანი, რომელმაც დაუშვა ასეთი განუკითხაობა, ჩვენი ღრმა რწმენით, არ შეიძლება მეცნიერი იყოს და გააჩნდეს მეცნიერების სიყვარული. მაშინ ის ასე არ მოიქცეოდა. აი, ასეთი იყო საბჭოთა რეალობა, რომლის შორეული გამოძახილი ჯერ კიდევ გაისმის. საბჭოთა რეალობიდან არც ისე შორს ვართ ნასული როგორც გვგონია. ჩვენი მენტალიტეტი არ შეცვლილა.

მოდი დაუბრუნდეთ ბატონ კარლო ჭელიძეს. ახლა სწორედ, ის ხდება ჩვენი თხრობის მთავარი გმირი. როგორც ალვიშნეთ, პროფესიით ის ისტორიკოსი იყო. მისი ვიწრო სპეციალობა გახლდათ პარტისტორია. თავისთავად უკვე ასეთი არჩევანი მრავლისმეტყველი უნდა იყოს. ის ისტორიულ მეცნიერებაში ადვილი გზით სიარულის მოტრფიალეთა რიცხვს უნდა მივაკუთნოთ. მას არ მიესადაგება ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის, ედუარდ ფრიმენის სიტყვები. „ისტორიკოსის სამუშაო შეუძლია შეასრულოს მხოლოდ მან, ვისაც მძიმე შრომის არ ეშინია“. პრაქტიკულად, მას სერიოზული მეცნიერული გამოკვლევები არ გააჩნია და ისტორიულ მეცნიერებაში ძალიან სუსტი კვალი დატოვა, ზნეობრივი დონე აკადემიური „მილნევების“ ლოგიკური გაგრძელებაა. არ შევეცდებით თუ ვიტყვით, რომ მას არც ერთი და არც მეორე, არ გააჩნია. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე გარემოებაზე, რომელიც ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

1. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია 80-იანი წლების დასაწყისში ის მეოთხედ შტატზე მუშაობდა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში პარტიის ისტორიის კათედრაზე. ამაში, ცხადია, ცუდი არც არაფერია. მაგრამ როგორც თქვენ, პატივცემულო მკითხველო, არ ყოფილხართ უცხო ენების ინსტიტუტში და ლექციაზე არ ჩაგიტარებიათ, ისე ის არ მოსულა ინსტიტუტში და ლექციაზე არ შესულა. კათედრის გამგის თხოვნით მისი სემინარების ჩატარება მე მიხდებოდა და ის წლების განმავლობაში იღებდა 80 მანეთს ისე, რომ სამსახურში არ დადიოდა. არის თუ არა ეს უშრომელი

შემოსავალი? ასეთი პრაქტიკა კომუნისტური რეჟიმის დროს ძალიან ჩვეულებრივი ამბავი იყო და ეს მაშინ, როდესაც მე, ახალგაზრდა კაცი ვიხვეწებოდი, ჩემი სპეციალობით ნახევარი შტატი მოეცათ. რა არ მქონდა ამის უფლება? ასეთია საბჭოთა რეალობის ანარეკლები.

2. ხშირად ასეთი ადამიანები გამოდიან და გვმოძღვრავენ, ჭკუას გვასწავლიან. ნეტავ, ვინ მისცა მათ ამის უფლება? პასუხი ზედაპირზე ძეგს. თანამდებობამ. სკამმა, რომელიც მას და მის-თანებს დიდი ალბათობით საკუთარი შრომით კი არა, ნაცნობობით, პროტექციით აქვთ მოპოვებული. აი ასეთი იყო საბჭოთა რეალობა სრულიად არაკონკურენტუნარიანი გარემო იყო. არასოდეს არ და-მავიწყდება და პირდაპირ გველის ნაკბენივით მემახსოვრება მისი სიტყვები, როდესაც მმოძღვრავდა. „თქვენ ახალგაზრდები ხართ, ენთუზიაზმი გაგაჩნიათ. ახლა რქებს დაგამტვრევთ და მერე ნორ-მაში იქნებით“-ო. თქვენ საქმე გინდათ გააკეთოთ, ენთუზიაზმი და პრინციპები გაგაჩნიათ, ინიციატივას იჩენთ, ჩვენ გაქცევთ უნი-ციიატივო, უპრინციპო, ულიმდამო ადამიანებად. — აი ასეთი იყო საბჭოთა სახელმწიფო მანქანა. ის მისი შემადგენელი ნაწილი იყო. არ იქნებოდა ის, სხვა იქნებოდა, ამით ბევრი არაფერი შეიცვლებოდა.

3. ახლა მოდით ორიოდე სიტყვა ვათქვათ ბ-ნ კარლო ჭე-ლიძეზე, როგორც მეცნიერ-ისტორიკოსზე. მისი აკადემიური დონე მისი ზნეობრიობის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. ის როგორც ისტორიკოსი დღეს, ალბათ, არც აღარავის ახსოვს. არა იმიტომ, რომ პარტიის ისტორიის სპეციალიტი იყო, არამედ უფრო იმიტომ, რომ მან როგორც მკვლევარმა ისტორიკოსმა მეტად სუსტი, მკრთალი, ოდნავ შესამჩნევი კვალი დატოვა. მისი როგორც პარტიის ისტორიის სპეციალიტის მეცნიერული მემკვიდრეობა უაღრესად მოკრძალებულად გამოიყურება. ეს არ გახლავთ მხოლოდ პირადი ანგარიშსნორება, როგორც ეს შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს. მთელს ამ მსჯელობას მეცნიერუ-ლი დატვირთვა გააჩნია და მისი შემოქმედების შეფასების პირ-

ველ მცდელობად გვევლინება. ეს საკითხი, სწორედ, ამ კუთხით გვაინტერესებს. ხოლო თუ ნეგატივი დომინირებს ეს რა თქმა უნდა, ჩვენი ბრალი როდია. „რასაცა დასთეს იმას მოიმკი“. აი, ეს ადამიანები გვასწვლიდნენ ჭკუას და გვიკითხავდნენ მორალს, რომელიც მათ არ გააჩნდათ. მათი ჭკუის სასწავლებელი არც მე და არც სხვას არაფერი გვჭირს.

1964 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა მისი 250 გვერდიანი მონოგრაფია „მასობრივი პოლიტიკური მუშაობა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში“ (XX და XXII ყრილობებს შორის), რომელიც 1965 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაციად. მიენიჭა ხარისხი. გახდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, შემდეგ კი – დოცენტი. ეს ნაშრომი წმინდა კონიუნქტურულ ხასიათს ატარებს და სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის საერთო მოთხოვნებს, მაგრამ დღეს, ცხადია, მოძველებულია. მას არავითარი მეცნიერული ლირებულება არ გააჩნია, არანაირი კვლევის ელემენტებს არ შეიცავს და უფრო მეცნიერებას კი არა, პროპაგანდის სფეროს განეკუთნება. დღეს ის მხოლოდ მაკულატურას წარმოადგენს, ის, სხვა მისნაირ შრომებთან ერთად, იმის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშად გვევლინება თუ როგორ არ უნდა დაიწეროს ისტორიული გამოკვლევა. აი, ასეთ მდარე ხარისხის „გამოკვლევებში“ ენიჭებოდათ სამეცნიერო ხარისხი. აი, ასეთი გახლდათ საბჭოთა რეალობა.

1988 წელს გამოსული მისი საინტერესო წიგნი „თბილისის სასულიერი სემინარიის რევოლუციური წარსულიდან“ მის საუკეთესო ნაშრომად მიგვაჩნია. ის უფრო მეტად საქართველოს ისტორიას განეკუთნება, ვიდრე პარტიის ისტორიას. სხვათა შორის, ამ წიგნის რედაქტორი ბრძანდებოდა ღვანლმოსილი ქართველი ისტორიკოსი აკად. გიორგი მელიქიშვილი. მაგრამ წიგნი მოცულობით მეტად პატარაა, სულ რაღაც 39 გვერდი და ძნელი სათქმელია, რამდენად გვიქმნის მასზე როგორც პროფესიონალზე სრულყოფილ ნარმოდგენას.

ჯერ კიდევ 1963 წელს საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით მას გამოუცია ნაშრომი, სულ 63 გვერდი, მეტად მყვირალა სათაურით

„სოციალიზმი – მსოფლიოს მომავალი“. უნინარესად უნდა აღი-ნიშნოს, რომ ეს არაა მეცნიერება, ეს პროპაგანდაა. მას არანაირი კვლევითი ხასიათი არ გააჩნია. დღეს ეს ნაშრომიც მაკულატურას წარმოადგენს. ეს არის საუკეთესო ნიმუში იმის, თუ როგორ არ უნდა დაინეროს ისტორიული ნაშრომი.

მისი შემდგომი სამი ნაშრომი ორი მეცნიერების, პედაგოგიკის და ისტორიის, საზღვარზეა. მისი წიგნი „საშუალო სპეციალური განათლების – ისტორია საქართველოში“ (მოქლე მიმოხილვა). 1979 წელს გამოვიდა და სულ 41 გვერდიანია. ის სამეცნიერო პო-პულარულ ხასიათს ატარებს.

როგორც ჩანს, ეს საკითხი მას უფრო გაუფართოვებია და 1981 წელს რუსულ ენაზე გამოუცია წიგნი „საქართველოში საშუალო და სპეციალური განათლების ისტორიიდან“, რომელიც სულ 135 გვერდია. მესამე წიგნი გამოვიდა 1984 წელს და პედაგოგიკის და პარტისტორიის სინთეზია. რაც, სხვათა შორის, ძალიან კარგადაა გაცხადებული წიგნის სათაურში: „საშუალო სპეციალური განათ-ლება საქართველოში განვითარებული სოციალიზმის დროს“. ის სულ 186 გვერდია. სულ მალე „განვითარებულმა სოციალიზმა“ და საბჭოთა კავშირმა ჩაილულის წყალი დალია და ისტორიას ჩაბარდა. ისტორიკოსს ალლომ უმტყუნა, მაგრამ არა. ესაა მისი ამპლუა. ფაქტობრივად, მას როგორ მკვლევარ-ისტორიკოსს სე-რიოზული მეცნიერული გამოკვლევები არ გააჩნია. აი ეს არის სი-ნამდვილე და მისი არც შელამაზება და არც გამუქება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია.

და ბოლოს შევეხებით კიდევ ერთ მტკიცნეულ საკითხს. მაინ-ტერესებს თუ მე გამოვდგები სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში, რაში გამოდგება ნული ირ. რუხაძე და თაღლითი ვალერი მირია-ნაშვილი. (იხ. გვ. 203 და 204-209). ის გახლავთ ტიპური გაქსუებუ-ლი საბჭოთა ჩინოვნიკის საუკეთესო ნიმუში, რომელსაც სამართ-ლიანობის გრძნობა საერთოდ არ გააჩნია, ათროვირებული აქვს. პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია – არაფერში. რამდენა-დაც უანგარო იყო განათლების მინისტრის მოადგილის კარლო

ჭელიძის და ამავე სამინისტროს თანამშრომლის ვალერი მირიანაშვილის საქციელი, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ობიექტური მკითხველი ამას თვითონაც კარგად გაარკვევევს

ირაკლი რუხაძემ მეცნიერებაში იმდენი კვალი დატოვა, რამდენსაც „ზღვის ქაფი ან კვამლი“. ამიტომ მისი სახელი დავიწყებას მიეცემა. თუმცა ეს მას აბსოლუტურად არ ანალვლებს. ფრიდრიხ შილერმა კარგად თქვა: „მომავალი მოკვდავთათვის ცხრაკლიტულშია ამოქლოლი“. მე შევეცადე მისი სახელი დავიწყებისაგან მეხსნა. ამიტომ მგონი ბ-ნ ირაკლი კმაყოფილი უნდა დარჩეს. რომ მისი სახელი ისტორიას შემორჩა. რა კონტექსტში ეს უკვე სულ სხვა საკითხია, „რასაც დასთეს იმას მოიმკი“.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კიდევ ერთ „კოლორიტულ“ პიროვნებას. ეს გახლავთ ფილოლოგი ქ-ნ მზალო დოხტურიშვილი, რომელიც მაშინ უცხო ენების ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი იყო. მან ცეკაში ამ საკითხის განხილვის დროს 1986 წლის 5 მაისს ობიექტური პოზიცია კი არ დაიკავა, არამედ პირდაპირ მიერმარო ირაკლი რუხაძეს და კატეგორიულად განაცხადა, რომ ირაკლი რუხაძე კარგი ლექტორი იყო, მე კი – არა, თუმცა უნდა ითქვას, რომ მე ლექციაზე არ დამსწრებია. ამიტომ რას ემყარება მისი ეს განცხადება, ძნელი სათქმელია. ამგვარი მკაცრი ვერდიქტი წელს ქვემოთ დარტყმის ტოლფასი ხომ არ იყო? ვფიქრობთ კი. ამგვარი უპასუხისმგებლო განცხადება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და დაუსჯელობის სინდრომის ლოგიკური შედეგია. აგო ვინმემ ამაზე პასუხი? არც არავინ. აი, ასე უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ და ძველი ინერციით დღესაც ეკიდებიან ადამიანის-ბედს „სახელმწიფო ეს არის ადამიანის გასრესის მექანიზმი: ისინი ამის ძალიან კარგი შემსრულებელები იყვნენ. მე არ მძულს ეს ადამიანები, მე ისინი მებრალებიან, მე მძულს ის სახელმწიფო, რომელმაც ასეთი ადამიანები აღაზევა, ჩვენ მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას დავჯერდებით, დანარჩენი თავად მკითხველმა განსაჯოს. მან ცხარე ცრემლით დაიტირა „უძრაობის ეპოქის“ მთავარი არქიტეტორის ლეონიდ ბრეუნევის გარდაცვალება და

გულწრფელად წუხდა: „ახლა რა გვეშველება“-ო. აი ასეთია მისი მენტალობა. ამიტომ ის რაც გააკეთა საკვირველია სულაც არაა... „კოკასა შიგან რაცა დგას იგივე გადმოდინდების“. მე მასზე როგორც სპეციალისტზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან ისტორკოსი ვარ. ამიტომ მისგან განსხვავებით, უპასუხიმგებლო განცხადებების გაკეთებისაგან თავს შევიკავებდი, თუმცა რამდენადაც ვიცი, სპეციალისტები მასზე მაინც და მაინც მაღალი აზრის არ უნდა იყვნენ, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნამდვილი მეცნიერი ისე არ მოიქცეოდა როგორც თქვენ. აი ეს გახლავთ რეალობა.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ კიდევ ერთი პიროვნება, რომელ-მაც პირდაპირ სისხლი გამიშრო – ბ-ნი ნოდარ ნონიკაშვილი. ის იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე და კურირებდა საღამოს ფაკულტეტს. არ ვიცი რა დამსახურების გამო აღაზევეს ის ასე. ის მეცნიერი არ იყო და წლების განმავლობაში „მოღვაწეობდა“ პარტიის ისტორიის კათედრაზე. სულ გვქონდა დავა ერთ უდაო საკითხზე. „მართალია, არ იცის, მაგრამ შენ რა გენალვლება, დაუწერეთ“.

როგორც წესი, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა უაღრესად მოკრძალებულად გამოიყურება და როგორც პარტისტორიის სპეციალისტმა, მეცნიერებაში ვერანაირი კვალი ვერ დატოვა. აი, ასეთ ნულებთან მქონდა საქმე. ნორმალურ ვითარებაში ისინი ასე ვერ აღზევდებოდნენ და მეც მრავალი უსიამოვნება თავიდან ამცდებოდა, მაგრამ სულ სხვაა ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმი. აქ სამართლიანობა, წესიერება, ობიექტურობა, კანონიერება არავის ანალვლებს. ეს „ბოროტების იმპერია“ იყო, რომლის აღსასრულიც სავსებით კანონზომიერი იყო.

ეს ადამიანები ჩემზე განაწყენებული არ უნდა იყვნენ, ისინი ვერასგზით ისტორიის ფურცლებზე ვერ მოხვდებოდნენ და მხოლოდ ჩემი წყალობით აღმოჩნდნენ ისტორიაში. თუ მათ წარსულში პეროსტრატეს კვალი დატოვეს, ეს ნამდვილად არაა ჩემი ბრალი. აი ამის მსგავსი ვამეცნიერების იზოლირება მეცნიერებიდან რეფორმის პლუსად მიგვაჩნია.

უნდა შევეხოთ ერთ მტკიცნეულ თემასაც რომელიც აშკარად სცილდება პირადულ ჩარჩოებს და თანამედროვე საქართველოში განათლების სფეროში არსებულ სავალალო მდგომარებასთან ასო-ცირდება. ყურადღებას მივაპყრობთ ერთ გარემოებას, რომელიც, უეჭველად, დამაფიქრებელი უნდა იყოს. აი ასეთი საინტერესო სუ-რათი იკვეთება. მე წელებზე ფეხს ვიდგამდი, ვასწავლიდი და ელ-მენტარულ, მინიმალურ, VIII კლასის სკოლის სახელმძღვანელოს დონეზე ვითხოვდი ცოდნას და ამან ისეთი არაჯანსალი აჟიოტა-ჟი გამოიწვია, რომ ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავს. ირ. რუხაძე არაფერს არ ასწავლიდა. თავს არ იკლავდა და მშვენივრადაც იყო. არავინ ხმას არ სცემდა. უბატონოდ ბუზს ვე-რავინ აუფრენდა. მე ვცდილობდი, რაღაც მეკეთებინა და მეჩხუბე-ბოდნენ. ის არაფერს აკეთებდა და ხმას არავინ იღებდა. აი ეს იყო საბჭოთა რეალობა არაკონკურენტუნარიანი გარემო, აქ ირ. რუხაძე და მისნაირები ისე გრძნობდნენ თავს როგორც თევზი წყალში. რა ხდება? ისეთი არც არაფერი. აი ასეთია ჩვენი მენტალიტეტი, ყვე-ლა ცოდნაში იხდის ფულს, ჩვენ უცოდინარობაში ვიხდით ფულს. ევროპული განათლება ცოდნაზეა ორიენტირებული, ჩვენი კი, ჯერ კიდევ ძველი ინერციით – დიპლომზე. ძველი მენტალიტეტი ჯერ ისევ ძლიერია. არის განსხვავება? რა თქმა უნდა, არის. მნიშვნე-ლოვანნილად ამით აიხსნება, რომ ჩვენში უამრავი დიპლომიანია, მაგრამ კვალიფიცირებული კადრების დეფიციტია. უმთავრესად ორიენტირებული ვართ, რაოდენობაზე და არა ხარისხზე. ჩვენი განათლების სისტემის მთავარი ნაკლი, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში მდგომარეობს. ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალი მენტალური ხასიათის ცვლილებებშია, თუ მოხდება ეს ხომ კარგი, მაშინ გვეშ-ველება, თუ არა და იქნება ასეთი ქაოსი, არაკონკურენტუნარია-ნი გარემო. ეს, ცხადია, დღეს და ხვალ არ მოხდება, მაგრამ რაც მალე მოხდება საქმისათვის მით უკეთესი იქნება, განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ არავის ისე კარგად არ აქვს გაცნობიერებული სწავლის, ცოდნის, მნიშვნელობას, როგორც ჩვენ, ქართველებს. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „სწავლა

მოსწავლეთა“ და „უცოდინარობას ისე მოწყალებით არავინ არ უყურებს როგორც ქართველები. დიდი ილია ამბობდა „უმეცრება და უვიცობა დიდი ჭირია და თუ ამას თან დაყვება უჭკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია“.

მე როგორც პედაგოგმა და ლექტორმა ჩემი კარგი თვისებები ვერაფერში გამოვიყენე, ხოლო ცუდი თვისებები არაფერში მჭირდებოდა, მე მიყვარდა ჩემი სპეციალობა. მთელი სული და გული ჩავდე მასში. რაც შემეძლო გავაკეთე, მაგრამ რა მივიღე? უმედურობა, შეურაცხყოფა. სამართლიანობა და პატიოსნება არ მაპატიეს. ეს არცაა გასაკვირი. უნებლიერ მახსენდება XX საუკუნის ცნობილი რუსი მწერლის მიხეილ ბულგაკოვის სიტყვები „შეურაცყოფა არის საუკეთესო ჯილდო კარგად შესრულებული სამსახურისათვის“. აი, ეს კი ნამდვილად მივიღე. ასეთი გახლდათ საბჭოთა რეალობა. ეს მხოლოდ დასახყისი იყო. უსამართლობა ამით არ დასრულებულა. მას გაგრძელება ჰქონდა და მასზე წვრილად შემდეგ შევჩერდებით. ეს არ გახლავთ მარტო ჩემი გულისტყვილი, ეს საერთო საწუხარია, ჩემი მასწავლებელი პროფ. კოტე ანთაძე ხშირად ამბობდა „თუ სტუდენტს ელემენტარულ ცოდნას არ მოთხოვ, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს ასწავლო“. მე ეს ადამიანები არ მძულს. მე მძულს ის სისტემა, რომელმაც ამნაირი ადამიანები აღაზევა.

ამ ადამიანებზე, ალბათ, კრინტს არ დავძრავდი, რომ არა ერთი გარემოება. აქ უნდა წამოვჭრათ ერთი საინტერესო საკითხი, მეცნიერის ბედი ტოტალიტარული რეჟიმის დროს. მას გააჩნია ორი მხარე ტრაგიკული და კომიკური. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა ტოტალიტარული სახელმწიფო მეცნიერების კორიფეებს. ამის საილუსტრაციოდ დიდი ივანე ჯავახიშვილის ბედიც იკმარებდა.[28] ეს არის მედლის ერთი მხარე, მას, აქვს მეორე მხარეც, რომელზე წერას რატომლაც ყველა ერიდება, გაურბის. შესაძლოა, ეს მართალიც იყოს, მაგრამ იმისთვის, რომ ამ თემაზე სრულყოფილი, ამომწურავი წარმოდგენა შევიქმნათ, საჭიროა საკითხს ამ კუთხითაც შევხედოთ. თუ ტოტალიტარული რეჟიმის დროს მეცნიერების კორიფეებს დევნიდნენ

და ხშირად ფიზიკურადაც უსწორებდნენ ანგარიშს, მეცნიერებაში შემთხვევით ადამიანებს პირდაპირ სასათბურე პირობებს უქმნიდნენ და მათ აღზევებაში „ლომის წილი“ მიუძღვით. „კონდრატიევშ-ჩინა“, „ლისევოვშჩინა“ ამის მკაფიო მაგალითებია. მისი შორეული ექრ, ჯერ კიდევ გაისმის. ძველი მენტალიტეტი ისევ ისე ძლიერია, არ შეცვლილა. ასეთი იყო საბჭოთა რეალობა. ჩვენ შევეცადეთ ამ თემისათვის სწორედ ამ რაკურსით შეგვეხედა. ვის დევნიდნენ და ვინ აღაზევეს. მე-20 საუკუნის ქართული მეცნიერების ტრაგედია, ვფიქრობთ, სწორედ ამაში მდგომარეობს. მათ მიესადაგება ფრენ-სის ბეკონის სიტყვები „როდესაც გემი იძირება, ფასეულობა ქვე-ვით ჩადის და ნაგავი ზემოთ ამოდის“, „ფარა შებრუნდა და კოჭლი ცხვარი თავში მოექცა“ – აი, ასე დაანაგვიანეს ბოლშევიკებმა უნი-ვერსიტეტი და მეცნიერება. დღეს მნიშვნელოვანნილად, სწორედ ამის შედეგს ვიმკით. ამას კარგად უნდა გაცნობიერება.

„საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის უცხო იყო ჯანსაღი ძალების კავშირი, შემოქმედებითი ურთიერთობები. ეს შინაგანი გათი-შულობა, უუნარობა, გაერთიანდნენ წმინდა მეცნიერულ ნიადაგზე, როგორც მგონია, წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას ჰუმანიტა-რული მეცნიერების განვითარების საქმეში... მთავრია შემოქმედე-ბითი შეჯიბრი, ჰუმანიტარებს შორის მჭიდრო კონტაქტები“ – აღ-ნიშნავს პროფ. არონ გურევიჩი. [24. 172-173] ვფიქრობთ, ამგვარი ამოცანების წინაშე დგანან დღეს ქართველი ჰუმანიტარებიც.

* * *

ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოთქმულს ასეთი საინტერესო სუ-რათი იკვეთება. თანამედროვე ქართველი ისტორიოგრაფია ცდი-ლობს თავი დააღნიოს კრიზისს, სწორ გზაზე დაბრუნდეს, სწორი არჩევანი გააკეთოს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და უახლეს ქარ-თული ისტორიოგრაფიის პლუსია, მაგრამ ეს მცდელობა, ჩვენი აზრით, უმთავრესად, კოსმეტიკურ ხასიათს ატარებს და არა ძი-

რეულს. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება, რომ უპირატესად აქცენტი კეთდება რაოდენობრივ ცვლილებებზე და არა თვისებრივ-ში გადაზრდის პროცესი გაჭიანურდა და ნელი ტემპით მიმდინარეობს. ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი ამოცანად ახალი თვისებრივი ნახტომი გვესახება. ცხადია, ეს არ მოხდება დღეს და ხვალ. ამას დრო დაჭირდება. ეს გზა ია-ვარდებით მოფენილი არ იქნება. ამისათვის კოსმეტიკური რეფორმები საკმარისი არაა. კრიზისიდან გამოსავალი მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებაა. ამას ალტერნატივა არ გააჩნია. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს თავი დააღწიონ პოზიტივისტური და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის გავლენას და, უპირატესად, აქცენტს აკეთებს ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე პროცესებზე, რაც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის დადებით მხარედ გვევლინება. რომელ-საც ბუნებრივია გააჩნია თავის პლუსები და მინუსები.

ლიტერატურა

1. А. Гуревич, О Кризисе современной исторической науки – Вопросы истории, №2-3. 1991.
2. ენტარდი, კარლოს დიდის ცხოვრება, შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, V. თბ., 2003.
3. ცხოვრებად მეფეთ-მეფისა დავითისა. თბ., 1992.
4. ვახუშტი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941. ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969. Н. Накашиძე, Вахушти Багратиони – в. кн. Вахушти Багратиони, История царства Грузинского, Тб., 1976.
5. დ. გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1968. ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ლვანლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984. ა. სურგულაძე, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1976. გ. ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1999, დ. სართანია, შტუდიები ივანე ჯავახიშვილი სამეცნიერო მეთოდოლოგიდან. თბ., 2006.
6. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი – ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. 1. თბ., 1979. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. 2. თბ., 1983. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე – ივანე ჯავახიშვილის თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3. თბ., 1982. ივ. ჯავახიშვილის, საქართველოს ისტორია XI-XV საუკუნეები, თბ., 1949.
7. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977.
8. გ. ყორანაშვილი, ერთი სოციოლოგიური თეორიის უცნაური მეტამორფოზი, თბ., 2012.
9. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1970.
10. ფ. ლომაშვილი, ისტორიის ფილოსოფიის ისტორია, ტ. 2. თბ., 2007.

11. ზ. ხასაია, გერმანელი ფილოსოფოსები ისტორიის შესახებ, თბ., 2014.
12. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი პირველი, თბ., 2011.
13. რ. მეტრეველი, კლიოს მფარველობის ქვეშ – მაცნე, ისტორიის სერია. 4. 1990. რ. მეტრეველი, გლობალიზაციის პერსპეტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები – ქართული დიპლომატია, წელიწდეული 12. თბ., 2006. რ. მეტრეველი, ისტორიული ცოდნის ისტორიის შემეცნების საკითხი – ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 15, თბ., 2011. რ. მეტრეველი, მცირე განსვეა უკ დე გოფის წიგნის „ნარმოსახვითი შუასაუკუნეებრივი სამყაროს“ წაკითხვის შემდეგ, თბ., 2005.
14. ნ. ვაჩნაძე, სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი. (V-X) თბ., 1998. ჩ. ვაჩნაძე, ქართული კონცენტრირებული იდეალი, სამყაროს „ნარმოსახვითი შუასაუკუნეებრივი სამყაროს“ წაკითხვის შემდეგ, თბ., 2005.
15. რ. ლაპაძე, ცოდვა და შიში შუა საუკუნეებში. (ქართული მენტალური მოდელის ორი ასპექტი) – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2004. რ. ლაპაძე, მენტალიტეტის კვლევის თანამედროვე მოდელი „მონტაიუს“ მაგალითზე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია, ტ. 328. თბ., 1999. რ. ლაპაძე, ისტორიკოსის ტერიტორიის მეპატრონე – სამეცნიერო პარადიგმები, თბ., 2009.
16. ნ. გუგუშვილი, ქალის სახე შუა საუკუნეების საქართველოში (ქორწინება, ოჯახი, განქორწინება), თბ., 2002.
17. გ. ჯოხაძე, ავგუსტინესეული პროვიდენციალიზმი და უამთააღმწერელის რელიგიური მსოფლმხედველობა, თბ., 1998. გ. ჯოხაძე, ადამიანისახა, ისტორია, ისტორიული ანთროპოლოგიის შესავალი, თბ., 2009. გ. ჯოხაძე, Terra Historica, თბ., 2015.

18. ქ. ნადირაძე, თელო უორდანია საქართველოს ისტორიის მკვლევარი, თბ., 2004.
19. თ. უორდანია, თხზულებების კრებული, შემდგენელ-რედაქტორი ქეთევან ნადირაძე, თბ., 2011.
20. ქ. ნადირაძე, ისტორიოგრაფია, ისტორიული მეცნიერების ისტორია, თბ., 2007.
21. ქ. თვალიაშვილი, ც. ჩიკვაიძე, ძველი მსოფლიოს ისტორია, VI კლასის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 2005.
კ. ანთაძე, ლ. ფირცხალავა, შუა საუკუნეების ისტორია, VII კლასის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 2000.
კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2005, გ. ბოლოთაშვილი, ნ. კილურაძე, ე. მეძმარიაშვილი, უახლესი ისტორია, 1918-1991. IX კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2005. მ. კალანდაძე, ნ. მამუკელაშვილი, ლ. ფირცხალავა, ისტორია, X კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2001. გ. ბოლოთაშვილი, მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია, XI კლასის სახელმძღვანელო, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბ., 2005. პ. ჯავახია, ა. გეთიაშვილი, შუა საუკუნეების ისტორია, VII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2003. ნ. ასათიანი, ვ. გუჩუა, მ. ლორთქიფანიძე, შ. მესხია, საქართველოს ისტორია, თბ., 1988. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია 1783-1990, თბ., 1991 და სხვა.
22. გ. ყორანაშვილი, როგორ ისწავლება ისტორია სკოლაში – ლიტერატურული საქართველო, 14 ნომბერი, 2014. გ. ყორანაშვილი, რა მიზნით დაიწერა ეს ისტორიის სახელმძღვანელო – ისტორიული ვერტიკალები, 33. თბ., 2016.
23. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კრიზისიდან გამოსავალი მეცნიერული გამოკვლევების დონის ამაღლებაა, – მწიგნობარი, თბ., 2006. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული

ეტიუდები, ნაწილი პირველი, თბ., 2011. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა
საქართველოში, თბ., 2015.

24. А. Гуревич, История историка, М., 2004.
25. მ. კალანდაძე, პროფესორი უშანგი სიდამონიძე, თბ., 2004,
M. Kalandase, Uşangi Sidamonize – ein Opfer totalitären Regimes – Georgia, 28. 2005.
26. ი. ნაჭყებია, საფრანგეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობები 1804-1809 წლებში, (ფრანგული წყაროებისა და
საარქივო მასალის მიხედვით), ავტორეფერატი ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორის ხარიხის მოსაპოვებლად. თბ.,
2003. მ. წურწუმია, შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი.
(900-1700წწ). ორგანიზაცია ტაქტიკა, შეიარაღება ისტორიის
დოქტორის (ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
ნარმოდგენილი დისერტაციის მაცნე, თბ., 2014. 2016 წელს
მან ეს ნაშრომი წიგნად გამოსცა.
27. კ. კალანდაძე, ამერიკული სკოლა პრაგმატისტური პედაგოგიკის ტყვეობაში – სკოლა და ცხოვრება, 8. 1963.
28. „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ“
– საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 471 აღწერა. 19. საქმე 4 და 5. ივანე ჯავახიშვილი, ტირანიის სამსჯავროს წინაშე. გამოსაცემად
მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს
პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა, თბ.,
2004.

თავი მეოთხე

უნივერსიტეტი ოაზისი როდის

დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ვითარებაზე სრულყოფილი, ამომწურავი წარმოდგენა რომ შევიქმნათ, აუცილებლად უნდა შევეხოთ ერთ, ჩვენი აზრით, საკმაოდ აქტუალურ თემას. საკითხი არის ფაქტი და ფრთხილ მიღვომას საჭიროებს, მაგრამ რომ არაფერი ვთქვათ მასზე, ვფიქრობთ, სწორი არ იქნება. უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი ზნეობრივი ატმოსფერო ამ დარგში არსებული კრიზისის კიდევ ერთ გამოვლინებად გვესახება. დღეს არსებული სიტუაცია, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ხანგრძლივი ზენოლის სავალალო შედეგია. ქართული მეცნიერების ზნეობრივი ტრანსფორმაცია დღეს და გუშინ არ დაწყებულა და მისი ათვლის წერტილად 1926 წლის ივნისში უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან დიდი ივანე ჯავახიშვილის გათავისუფლება უნდა მივიჩნიოთ. [1-41, 2 30-32 3 309 4 280-281]. საბჭოთა ხელისუფლებამ უნივერსიტეტს ძალით მოახვია თავს მრავალი უკეთურება, რომელიც შინაგანად მისთვის სრულიად მიუღებელი იყო და მისი პრესტიჟის შებღალვაში ლომის წილი დაიდო. დღეს, მნიშვნელოვანილად, ამის შედეგებს ვიმკით.

ბოლშევიკებმა არნახული რეპრესიები დაატეხეს თავს ქართულ ინტელიგენციას. ჯერ იყო და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ისინი იძულებული იყვნენ პოლიტიკურ ემიგრაციაში წასულიყვნენ და დედა სამშობლოს სამუდამოდ მოსწყვიტეს (ისინი ვინც მოტყუვდა, დაიჯერა საბჭოთა პროპაგანდისა და სამშობლოში დაბრუნდა – პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი შეიქმნა) ის ვინც პოლიტიკურ ემიგრაციაში არ წავიდა და სამშობლოში დარჩა, ტოტალიტარულ-ბოლშევიკურმა რეჟიმმა უსასტიკესი რესპრესიები დაატეხა თავს, რომელსაც ისტორიაში ანალოგია ძნელია მოეძებნოს. ამ რეპრესიების მთავარ ეპიცენტრად, რა თქმა უნდა, თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი მოგვევლინა, რომელიც ბოლშევიკებს, როგორც ქართული სულიერების სავანე და ეროვნული ცენტრი პირდაპირ მოსვენებას უკარგავდა, თვალში ეკალივით ესობოდა. მართალია, მათ ვერ გაძედეს უნივერსიტეტის დახურვა, მაგრამ მის სულიერ დაკნინების საქმეში უდიდესი როლის შეასრულეს, ასე მივიღეთ „შეშინებული თაობა“. პარტიული, კომუნისტური, ნომენკლატურის აღზევება ამის ლოგიკური შედეგია. ფრენსის ბეკონის თქმით, როდესაც „გემი იძირება, ფასეულეობა ქვემოთ ჩადის, ხოლო ნაგავი ზემოთ ამოდის“. ამ თვალსაზრისით, საყურადღებო უნდა იყოს საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორია. ქართული ისტორიოგრაფიის აკადემიური დონის დაქვეითების ორგანულ შემადგენელ ნაწილად გვევლინება ქართული ინტელიგენციის სულიერი სახის ფერისცვალება. პროგრესის მაგივრად მივიღეთ რეგრესი. უკუსვლა, რომელსაც, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფო მანქანა, ყოველგვარ საფუძველის გარეშე, როგორც წინსვლას, პროგრესს, ისე ნარმოაჩენდა. ეს კიდევ ერთი საბჭოთა მითი იყო.

უნივერსიტეტი ოაზისი არაა. ის იმ სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია, რომელშიც მას უხდება ფუნქციონირება. სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება, საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკასთან ასოცირდება და საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის უვერტიურად გაიჟერა. 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკას თავისი უნივერსიტეტი ჰქონდა. სახელმწიფო გვერდით ედგა უნივერსიტეტს, მაგრამ მის საქმეებში არ ერეოდა. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა.

სულ სხვა ვითარებასთან გვქონდა საქმე საქართველოს გა-საბჭოების შემდეგ. ახლა სახელმწიფო ცდილობდა აქტიურად ჩართულიყო უნივერსიტეტის საქმეებში, ძალით მოეხვია თავს სახელმწიფოსათვის სასურველი იდეოლოგია და ამას ანხორციელებდა მბრძანებულურ-ადმინისტრაციული მეთოდებით, ანგარიშს არ უწევდა უნივერსიტეტის ავტონომიას, ის უბრალო ფიქციად

იქცა, ამის კულმინაციას დიდი ივანე ჯავახიშვილის დევნა-შე-ვიწროება წარმოადგენდა, რომელიც, როგორც იმდროინდელი ქარ-თული ინტელგენციის სულიერი ლიდერი, ბოლშევიკებს ეკალივით ესობოდათ თვალში და მოსვენებას უკარგავდა. (5) ივ. ჯავახიშვი-ლის სიძულვილით დაბრმავებულმა ბოლშევიკებმა იმდენად შორს შეტოპეს, რომ დიდი მეცნიერი და მისი თანამოაზრენი, ფაქტობრი-ვად, მთელ მამინდელი ინტელიგენციის ნაღები, საქართველოში ფაშისტური ორგანიზაციის წევრებად გამოაცხადეს. (6). ეს მათი მხრიდან კიდევ ერთი ინსინუაცია იყო. მათ ქართველ ერს წაართ-ვეს სულიერი ლიდერი. მათი მხრიდან ეს იყო კარგად გათვლილი ნაბიჯი. ალბათ, უპრეცედენტო შემთხვევაა, რომ უნივერსიტეტი-დან დაითხოვეს მისი დამაარსებული და მას მისი დამაქცევარი ი. სტალინის სახელი უწოდეს. (1938 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ი. სტალინის სახელი უწოდეს).

ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ ბრძოლა მისი გარდაცვალე-ბის შემდეგაც არ დასრულებულა. იგი იმაში გამოიხატებოდა, რომ ეპრძოდნენ მის პრინციპებს, მის საქმეს. ამის შედეგი დღე-საც, XXI საუკუნის დასაწყიში, სახეზეა. უნივერსიტეტს მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოუხდა ფუნქციონირება, და ამან მის ისტორიას თავისი კვალი დააჩნია, ის დაარსებული იქნა დემოკრატიულ-პოლიტიკურ გარემოში, საქართველოს სუვერე-ნულ რესპუბლიკაში და დიდი ხნის მანძილზე ფუნქციონირებდა ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში. ეს იყო ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული პოლიტიკური სისტე-მა. სახელმწიფო აქტიურად ერეოდა უნივერსიტეტის საქმიანობაში და ძალით ახვევდა თავს მისთვის სასურველ პრინციპებს, რომე-ლიც უნივერსიტეტისათვის შინაგანად სრულიად მიუღებელი იყო. ამიტომ შექმნილ სიტუაციაში განტევების ვაცად უნივერსიტეტის გამოყვანა, როგორც ეს ხშირა ხდება დღეს, ვფიქრობთ, მიზანშეწო-ნილი არ იქნებოდა. ამის შორეული ექო ძველი ინერციით დღესაც გაისმის, ყველაფერი ის რაზეც ამ წიგნში გვექნება საუბარი. ამნაი-რი დიდი თუ პატარა უსიამოვნებანი ამის დასტურია.

პოსტსაბჭოთა საქართველოს თავისი უნივერსიტეტი გააჩნია. უნივერსიტეტი პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს მინიატუ-რაა. ძველი ინერცია ჯერ ისევ ძლიერია, ძველი მენტალიტეტი არ შეცვლილა. მნიშვნელოვანწილად, ამით აიხსნება, რომ სიახლეები ძალიან ნელა იკაფავს გზას. წინ ვერ მივდივართ, უფრო მეტს ვლა-პარაკობთ, ვიდრე საქმეს ვაკეთებთ, გარკვეული პოზიტიური ძვრე-ბი არის, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა, გასაკეთებელი ძალიან ბევრია.

ყველაფერი ეს რაზეც გვექნება საუბარი. რა თქმა უნდა, არ წარმოადეგენს მხოლოდ პირად ანგარიშსწორებას, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ასეთი ვიწრო კუთხით ეს საკითხი არ გვაინტერესებს. ჩვენ ვცადეთ მისთვის სულ სხვა კუთხით შეგვეხდეთ. ეს ამბები ამკრად სცილდება წმინდა აკადე-მიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარ-ჩული უდევს საფუძვლად. და ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რე-ჟიმის ძალისხმევით უნივერსიტეტის თავდაპირველი, სულიერი და ეროვნული ღირებულებების გაუფასურების ლოგიკურ შედეგად გვევლინება. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. აი ასეთი არასახარბიერო, მემკვიდრეობა დაუტოვა საბჭოთა ხელისუფლე-ბამ უნივერსიტეტს. უნივერსიტეტის მთელი ისტორია, მის საქმეე-ბში საბჭოთა სახელმწიფოს უხეში ბრძანებლურ-ადმინისტრაციუ-ლი მეთოდებით ჩარცის საუკეთესო ნიმუშია. უნივერსიტეტის მიუკერძოებელი, ობიექტური ისტორია თავიდანაა დასაწერი და ელის თავის მკვლევარს. უნივერსიტეტისაკენ ხელის გაშვერა და განტევების ვაცად გამოყვანა, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, ზედაპირზე ძევს, აისბერგის ზედა, ხილული ნაწილია და მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ამ აპსურდის კულმინაციად უნივერსიტეტიდან მისი დამაარსებელი დიდი ივანე ჯავახიშვილის გამოძევება და 1938 წელს უნივერსეტისათვის მისი დამაქცევარის და ამომგდების ი. სტალინის სახელის მინიჭება გვევლინება. ნებ-სით თუ უნებლიერ გვახსენდება ერთი რომაული ანდაზა: „ისეთ თითს ნუ გაიშვერ, რომელსაც ჭუჭყის კვალი ამჩნევია“. ჭუჭყი, ალბათ, კიდევ რბილად ნათქვამია.

და ბოლოს, შევჩერდებით ერთ საკითხზე, რომელიც ვინმეს შეიძლება წვრილმანად მოეჩვენოს, მაგრამ არა, მასში კარგად მოჩანს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობის ანარეკლი. საინტერესოა ალინიშნოს, რომ არც ერთ შემთხვევაში ისინი არანაირ პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ ზენოლას, როგორც ვთქვათ ეს იყო საბჭოთა პერიოდში, ცხადია, არ განიცდიდნენ. პროგრესის სანაცვლოდ მივიღეთ რეგრესი, ეს არის რეალობა, მისი არც შელამაზება და არც გამუქება არ ლირს. ყველაფერი რაც მათ გააკეთეს მათი არჩევანი იყო. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს, მათი ზნეობრივი სახის ლუსტრაციასთან. აი ასეთი არასახარბიელო მემკვიდრეობა დაუტოვა საბჭოთა სახელმწიფომ უნივერსიტეტს. მართალია, ბოლშევიკებმა ვერ შეისრულეს სანუკვარი სურვილი და ვერ დახურეს უნივერსიტეტი, მაგრამ მისი პრესტიჟის შებლალვის საქმეში ლომის წილი დაიდეს. დღეს ამის შედეგს ვიმკით, უნივერსიტეტის ოაზისს არ წარმოადგენს. ის პოსტსაბჭოთა საქართველოს ძნელბედობის მინიატურაა. ჩვენი მენტალიტეტი არ შეცვლილა. ძველი მანტალიტეტი ჯერ კიდევ ძლიერია. ეს აბრკოლებს უნივერსიტეტის წინსვლას, განვითარებას. აი ეს გახლავთ, მწარე სინამდვილე, რომელსაც თვალი უნდა გაუსწოროთ და კარგად უნდა გავაცნობიეროთ.

განსაკუთრებულად მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ, იმის მაგივრად რომ, ეს დრო ჩემი პროფესიული ზრდისათვის მომებმარებინა, ამ უსაგნო დავაში გავატარე, რომელმაც ქართული ისტორიოგრაფიას არაფერი მოუტანა.

მე ორ ძალიან რთულ პერიოდში, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეჟიმის დროს მომიხდა ცხოვრება და მის სისასტიკეზე ყურმოკრით კი არ მაქვს წარმოდგენა, არამედ საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. ყველაფერი ეს რაზეც საუბარი გვქონდა და შემდგომში გვექნება, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. სიტყვაძუნნი რომ არ ვიყო, მოვუხმობ ფაქტებს. როგორც გერმანელი ისტორიკოსი ლეოპოლდ ფონ რანკე იტყოდა: „ფაქტები თვითონ ღალადებდნენ საკუთარ თავზე“. აქ უკვე ჩვენი თხრობა

ავტობიოგრაფიული ჟანრის ფორმას იძენს და გვეხმარება უფრო უკეთესად გავერკვეთ ამ რთულ თემაში.

* * *

მიყვევთ თანმიმდევრობით. ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვა-რად გვესწავლებინა საგანი და სტუდენტებისათვის ელემენტა-რული, მინიმალური ცოდნა მოგვეთხოვა. აქ საუბარია სკოლის პროგრამის მინიმალურ ცოდნაზე. არაჩვეულებრივი ამაში არაფე-რი ყოფილა და ერთი შეხედვით მიუღებელი არავისთვის უნდა ყოფილიყო. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. ეს მიუღებე-ლი აღმოჩნდა არა მარტო ყალთაბანდი სტუდენტებისა და მათი მშობლებისათვის, არამედ ჩემი კოლეგების დიდი ნაწილისათვის. საქართველო ხომ უნიკალური ქვეყანაა, სადაც ფულს უსწავლე-ლობაში იხდიან. ყველგან ფულს სწავლაში იხდიან. ჩვენი მეტალი-ტეტი განსხვავებულია. ძალლის თავიც სწორედ, აქ არის დამარხუ-ლი. ამას მოჰყვა ყოვლად მოულოდნელი გართულებები, რომლის კულმინაციად უნივერსიტეტიდან ჩემი გაგდება გვევლინება. 1999 წლის 30 ოქტომბერის დაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე დოცენტის თანამდებობაზე რიგითი არჩევნების დროს, რომელიც უმთავრესად ფორმალურ ხასიათს ატარებდა, „გამაშავეს“. 15 ხმა მივიღე, 14 წინააღმდეგი იყო. ვერ გავედი. ეს ნიშნავდა უნივერსი-ტეტიდან გაგდებას. უნდა ითქვას, რომ ამგვარი დაპირისპირება შემთხვევითი არ ყოფილა და პრინციპული ხასიათი ჰქონდა. დავა ეხებოდა ერთ უდავო საკითხს – უნივერსიტეტში სწავლა უნდა ყო-ფილიყო თუ არა. კათედრის გამგე პროფ. კოტე ანთაძესთან ერთად ვამტკიცებდით, რომ უნივერსიტეტში სწავლა უნდა იყოს და სტუ-დენტს მინიმალური ცოდნა უნდა მოეთხოვოს. ოპონენტები, რომელ-თა მთავარი ტონისმიმცემი, არქეოლოგის კათედრის დოცენტი, ავთანდილ (ამფისა) წერეთელი იყო, ამტკიცებდნენ საპირისპიროს. უნივერსიტეტში აუცილებელი არაა იყოს სწავლა და შეიძლება იყოს პროტექცია, თუმცა, ცხადია, ამის ხმამაღლა თქმას ვერავინ ბედავ-და. მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ საბჭოს სხდომაზე ჩემს წი-

ნააღმდეგ არავინ გამოსულა, შენიშვნა არავის მოუცია. პირიქით, ყველამ ერთხმად აღნიშნა, ვიცნობთო და 14 შავი ხმა მომცეს. მათი დუმილი, ცხადია, შემთხვევითი არ იყო. აბა იმას ხომ არ იტყოდნენ, პროტექციას არ გვიკეთებს და ხმას ამიტომ არ ვაძლევთო. მათ კანონი არ დაურღვევიათ, მაგრამ ასეთი ნაბიჯი რამდენად ზნეობრივი იყო? მათი ქმედება წელს ქვემოთ დარტყმის ტოლფასი იყო. გაცილებით ზნეობრივი იქნებოდა, თუ რაიმე პრეტენზია ჰქონდათ, გამოსულიყვნენ და ეთქვათ. ეს არ აწყობდათ, რადგან იცოდნენ, რომ დასაბუთებულ პასუხს მიიღებდნენ და ველარ გამაშავებდნენ. ამიტომ ხმა არ ამოუღიათ. მათი მოქმედება ყველამ გაკიცხა. მორალური გამარჯვება ჩემს მხარეზე იყო. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მალე სამართლიანობაც, როგორც იქნა აღდგა. კათედრის გამგემ, პროფ. კოტე ანთაძემ, ისტორიის ფაკულტეტის დეკანთან, პროფ. მერაბ ვაჩინაძესთან ერთად, ზუსტი ინფორმაცია მიაწოდა უნივერსიტეტის რექტორს, აკად. როინ მეტრეველს. რამდენიმე დღეში აღმადგინეს – „სამართალმა პური ჭამა“. ჩემს მოწინააღმდეგებს კი, უკვე მერამდენედ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და სრული ფიასკო განიცადეს. (მე დღეს უნივერსიტეტში ვარ, ხოლო ამფისა დიდი ხანია, რაც უნივერსიტეტში აღარაა. ამფისასა და მისნაირების უნივერსიტეტიდან მოკვეთა რეფორმის დადებით მხარედ მიგვაჩნია. ამაოდ დაშვრით, ბატონო ამფის).

უნდა გავიხსენოთ ასეთი ფაქტი. ერთხელ პროფ. უშანგი სიდამონიძემ მიამბო: „სტუდენტებს ვკითხე ახალ ისტორიას რომ ვერ აპარებთ, მაინც რას გეკითხებათ ასეთს მ. კალანდაძე. „აჩემებული აქვს ვინცხა ნაპალეონი, ვინ იყოო და სულ ამას გვეკითხებაო“. ძლივს შევიკავე თავი, რომ არ გამცინებოდათ“. აი ეს აღიქმებოდა დრაკონულ სიმკაცრედ. სატირალი რომ არ იყოს, სასაცილოა.

პროფ. კოტე ანთაძეზე ჩემს წიგნში მინდოდა დამენერა, მაგრამ ეს არ გამიკეთებია. ეს სწორი არ იყო და ახლა ვასწორებ ამ შეცდომას. როდესაც ეს ამბავი დამთავრდა და მე აღმადგინეს უნივერსიტეტში, ბ-6. კოტე ანთაძემ დამიბარა სახლში სალაპარაკო მაქვსო. ეს იყო ერთ-ერთი მძიმე საუბარი რომელიც გვქო-

ნია. მან პირდაპირ მითხვა „მერაბ, მე მეტად ვეღარ ვიცავ შენს ლირსებას. მე ყვითელი ბარათი ამიტორიალეს, ხოლო შენ პირდაპირ წითელი ბარათი მოგცესო. აქ გამოცდების ჩატარებას აზრი აღარ აქვს. ყველაფერი ფორმალურ ხასიათს ატარებს, დაუწერე ნიშნებით“. ეს იყო კატასტროფა. შევთანამდით, მოყვეს რაც იცის და დავუწერ ნიშანს-თქო. ესეც სიმკაცრედ ითვლებოდა. აი ასეთია მწარე სიმართლე. არაფერს არ ვაზვიადებ, არაფერს არ ვამუქებ. განათლების სისტემაში მდგომარეობა კატასტროფულია.

თოთქოს ინციდენტი დასრულდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა. ამას გააჩნდა გაგრძელება. საქმე ისაა, რომ ეს იყო კარგად ორგანიზებული მზაკვრული ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი. მას ჰქონდა გაგრძელება, რომელიც მიზნად ისახავდა ჩემი, როგორც ლექტორის და მეცნიერის სრულ განადგურებას, მოსპობას. უფლება რომ ჰქონოდათ, ფიზიკურადაც სიამოვნებით გამისწორებდნენ ანგარიშს. მე ამაში ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი. ასეთია ჩვენი სამწუხარო რეალობა. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ჩემი სადოქტორო დისერტაციის ირგვლივ ამტყდარი არაჯანსაღი აუიოტაჟი.

ჩემი სადოქტორო დისერტაციის „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში“, რომელიც დავიცავი 1999 წლის 20 ოქტომბერს, მთავარ მოწინააღმდეგებები ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად, პროფ. ედუარდ კოდუა მოგვევლინა. მოულოდნელად-თქო იმიტომ ვამბობთ, რომ მე მას შორიდან ვიცნობდი და წორმალური ურთიერთობა მქონდა. მიმიმართავს კონსულტაციისათვისაც და ყოველთვის კვალიფიციური რჩევა მიმიღია. ჩემს დისერტაციამდე და ჩემი დისერტაციის შემდეგაც მრავალი სუსტი დისერტაცია დაცულა, მაგრამ რაღაც არ მახსენდება, რომ პროფ. ედ. კოდუას ასე გამოედოს თავი. (აქ, ცხადია, მსოფლიო ისტორიის საბჭოს ვგულისხმობთ). ესაა შერჩევითი სამართალი და ამგვარი მიდგომა რამდენად იყო ზნეობრივი? მით უმეტეს, რომ ჩვენ მასთან პაექრობას არ გავქცევივართ და მზად ვიყავით კამათისათ-

ვის. რამდენჯერმე შევთავაზეთ ამის გაკეთება დაცვაზე, პრესაში, მაგრამ მან კამათის ამ ფორმას თავი აარიდა და სხვა გზა აირჩია. კამათის გაგრძელება სწავლულ ექსპერტთა საბჭოში გადაწყვიტა. ეს იყო კარგად გათვლილი ნაბიჯი. იმედოვნებდა, რომ როგორც სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მოახერხებდა თავისი სიტყვა გაეტანა და გაიმარჯვებდა. ბ-ნო ედუარდ, ეს თანამდებობის ბოროტად გამოყენება ხომ არ არის? რამდენად ზნეობრივი იყო თქვენი ნაბიჯი და კამათის ეს ფორმა? საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვერც პროფ. ედ. კოდუამ და ვერც იმან, ვინც მის ზურგს უკან იდგა, მათი აზრით, ერთ სუსტ დისერტაციაზე, ერთი უარყოფითი რეცენზია ვერ დაწერეს. ბოლოს, როდესაც მას მოსთხოვეს წარედგინა თავისი უარყოფითი რეცენზია, ცივი უარი განაცხადა. მიხვდა, რომ სკანდალი მწიფდებოდა და უკან დახევა არჩია.

რა კრიტერიუმებით უნდა მივუდგეთ საქართველოში დასავლეთ ევროპის ისტორიის შესწავლას? „თუ საუკუნის დასაწყისში ქართული ფილოსოფიური აზროვნების ღირებულებებზე ვიმსჯელებთ, ის უნდა შევაფასოთ და გავზომოთ იმ მასშტაბით, თუ რა ახალი, მსოფლიო აზრის განვითარებისაგან განსხვავებული სისტემა შექმნა მან (ასეთი სისტემა არ შეუქმნია არა მარტო საქართველოს, არამედ ფილოსოფიური აზროვნებით ცნობილ ისეთ ქვეყნებსაც, როგორიცაა საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ესპანეთი), არამედ იმის მიხედვით, იდგა თუ არა ის ეპოქის ფილოსოფიური აზროვნების დონეზე, იყო თუ არა მასში გაცნობიერებული ევროპული ფილოსოფიური აზროვნების პრობლემატიკა და შესძლო თუ არა არეკვლა მთელი იმ მრავალრიცხოვანი სისტემებისა, რომელიც უხვადაა წარმოდგენილი მე-20 საუკუნის მსოფლიო ფილოსოფიაში“ [7 3-4]. ეს იყო მეცნიერული მიდგომა და ჩვენც სწორედ ამ კრიტერიუმით ვხელმძღვანელობდით პროფ. ნიკოლოზ დუბრივსკის, პროფ. გრიგოლ ნათაძის და პროფ. ალექსანდრე ნამორაძის შემოქმედების შეფასების დროს. პროფ. ედ. კოდუა ასოთხმოცი გრადუსით შემობრუნდა და სრულიად საპირისპიროს

ამტკიცებდა. ჩვენი დისერტაციის ჩაგდების მიზნით, მან საკითხი ასე დააყენა. რა სიახლე შეიტანეს ამ ისტორიკოსებმა აღნიშნული პრობლემების კვლევის საკითხში ევროპულ ისტორიოგრაფიასთან შედარებით. ამგვარი მიდგომა სწორი არ იქნება, ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია და ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ამ ისტორიკოსების წვლილზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგად იცის პროფ. ედ. კოდუამაც, მაგრამ ამჯერად მას ასე აწყობს. მას ხომ ჩემი დისერტაციის ჩაგდება სურს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტიპურ ორმაგ სტანდარტთან. ეს ჩვეულებრივი ბოლშევიკური მორალია. ერთს წერენ, მეორეს ფიქრობენ, მესამეს აკეთებენ. სრული ქაოსია. ყოველივე ამის შემდეგ სრულიადაც არ გვიკვირს, რომ საბჭოთა კავშირის აღსასრულის წინ, 1988 წელს, პროფ. ედ. კოდუა კენჭს იყრიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მეცნიერული კომუნიზმისა და პარტიის ისტორიის განხრით. [8]. აქ, ვფიქრობთ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდების“. წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, პროფ. ედ. კოდუას პოზიცია მცდარია. ხოლო ზნეობრივი პოზიციებიდან არაეთიკური. ბ-ნო ედუარდ, არ ვისურვებდი თქვენს ადგილზე ყოფნას.

და ბოლოს, პროფ. ედ. კოდუას კიდევ ერთი მოსაზრება. მისი ღრმა რჩმენით, პროფ. ნ. დუბრივსკი, პროფ. გრ. ნათაძე და პროფ. ალ. ნამორაძე სუსტი ისტორიკოსები იყვნენ და მათი შემოქმედების გარჩევა არ შეიძლება იყოს დისერტაციებული თემა. აქ არ შევალთ პროფ. ედ. კოდუასთან მეცნიერულ პოლემიკაში და მხოლოდ ერთს ვიტყვით. ბ-ნო ედუარდ, ალბათ დამეთანხმებით, რომ სუსტი ისტორიკოსზე შეიძლება დაინეროს ძლიერი ნაშრომი და პირიქით, ძლიერ ისტორიკოსზე შეიძლება დაინეროს სუსტი ნაშრომი. ასე რომ, არგუმენტად არც ეს გამოდგება. პროფ. ედ. კოდუა გაპითურებული აღმოჩნდა და ხელმოცარული დარჩა, ხოლო მე, ბოლოს და ბოლოს მომენტა ძიებული ხარისხი. უნებლიერ მახსენდება ცნობილი ესპანელი მწერლის, სერვანტესის სიტყვები: „სხვის გასაკრეჭად წასული, თვითონ აღმოჩნდენ გაკრეჭილები“. ალბათ,

ქართული ისტორიოგრაფიისათვის გაცილებით უფრო სასარგებლო იქნებოდა ჩვენი მეცნიერული თანამშრომლობა, ვიდრე ეს უსაგნო დაპირისპირება. მან ქართულ ისტორიოგრაფიას არაფერი მოუტანა.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ევოლუციის საქმეში მნიშვნელოვან ნიშანსვეტად გვევლინება 2006 წელი. კვლავ ვიტყვით, რომ რეფორმის გატარების წინააღმდეგი არავინ იყო. მთავარი იყო, თუ რა ფორმით განხორციელდებოდა რეფორმა. ის მეცნიერების საქმეში სახელმწიფოს ჩარევის საუკეთესო ნიმუშია. ასაკობრივი დევნა რეფორმის აქილევსის ქუსლად მიგვაჩინა. თაობათა შორის წყვეტა ამის ლოგიკური შედეგია. ქართულმა ისტორიოგრაფიამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. უნივერსიტეტს ჩამოშორებული აღმოჩნენ ისეთი თვალსაჩინო სპეციალისტები, რომლებსაც ევროპის ნებისმიერ უნივერსიტეტში და სამეცნიერო დაწესებულებაში პირდაპირ ხელისგულზე ატარებდნენ. ჩვენ კი მათ ასე ადვილად შეველით. ერთი მადლობის თქმა დაგვენანა. მთელ რიგ ისტორიულ დისციპლინებს ძლიერი დარტყმა მიადგა.

კონკურენტუნარიან გარემოზე გადასვლამ კატალიზატორის როლი შეასრულა და კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩინა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვითარება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამგვარი კონკურსის ნორმალურ დონეზე ჩატარებისათვის მზად არ აღმოვჩნდით. კონკურსის ჩატარების არანაირი ობიექტური კრიტერიუმი არ არსებობდა. ისე ჭრიდნენ და კერავდნენ, როგორც აწყობდათ. ამას ბოლშევიკებიც აკეთებდნენ და შეიძლება მათზე უკეთესადაც. ასე შეიქმნა უკმაყოფილოთა დიდი არმია, რომლის რიგებში აღმოჩნენ არა მარტო ისინი, ვინც კონკურსში ვერ გავიდა, არამედ ისინიც, ვინც კონკურსში გავიდა, გადარჩა, მაგრამ დამცირების ფასად. მათ უსამართლოდ მოექცნენ.

უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი ზნეობრივი ვითარების საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ორ მაგალითს, რომე-

ლიც გაგონილი კი არ გვაქვს, ჩვენს თავზე გამოვცადეთ და კარგად დაგვანახა რა კრიტერიუმებით ტარდება ზოგჯერ კონკურსები. ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ კონკურსის ჩატარების მექანიზმი, კრიტერიუმები, რომლითაც კომისია ხელმძღვანელობდა, რამდენად იყო თანმიმდევრული, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დამაფიქრებელია, რომ როდესაც ასეთი დიდი უპირატესობის უგულვებელყოფას ცდილობენ, სხვა უფრო თანაბარ შემთხვევაში რას მოიმოქმედებდნენ. კონკურსანტი დაცული უნდა იყოს. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში რა მნიშვნელობა აქვს კონკურსების ჩატარებას თუ ეს კარგი იდეა გაკოტრდება. ეს კი დაუშვებლად მიგვაჩინია. ნუ გადავაქცევთ კონკურსებს უსამართლობის ტრიუმფად. ეს არც ქვეყანას, არც უნივერსიტეტს და, ალბათ, რაც ყველაზე უფრო მთავარია, არც სტუდენტებს, არ ჭირდება.

2006 წელს ამ სტრიქონების ავტორმა განაცხადი შეიტანა ასო-ცირებული პროფესორის თანამდებობაზე და ბოლო ექვსი წლის მანძილზე, როგორც ამას ითხოვდნენ, გამოქვეყნებული ჰქონდა 8 წიგნი და 50-ზე მეტი ნაშრომი. ის აირჩიეს ასისტენტ პროფესორად და ეს მაშინ, როდესაც სრულ პროფესორად აირჩიეს ადამიანი, რომელსაც სულ 7 ნაშრომი ჰქონდა დაწერილი და კონკურსის წინ სასწრაფოდ გამოსცა 2 წიგნი. ასოცირებულ პროფესორად გავიდა ჩემი ერთი ყოფილი სტუდენტი და ამისთვის სრულიად საკმარისი იყო ის, რომ ფაკულტეტის მაშინდელ ხელმძღვანელთან კარგ ურთიერთობაში გახლდათ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამგვარი დაყოფა გაცილებით უფრო უსამართლოდ გვეჩვენება, ვიდრე ძველი, ორსაფეხურიანი დაყოფა: დოცენტი და პროფესორი. აქ რაღაც კრიტერიუმი მაინც არსებობდა. ჩვენ არ ვამბობთ რომ ამ დაყოფას უნდა დავუპრუნდეთ, მაგრამ რაღაც ოპტიმალური გამოსავალი უნდა მოვნახოთ.

მეორე შემთხვევას სულ ახლახან ჰქონდა ადგილი და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ზეობრივ კლიმატს. ეს ფაქტი საინტერესოა და უნივერსიტეტში არსებული ნეპოტიზმის გამოვლინებაა. ამიტომ მასზე

ორიოდ სიტყვის თქმა მიზანშეწონილად ვცანით. [9]. ამ კუთხით საკითხის გაშუქება აქტუალურად მიგვაჩნია: ა) მასში კარგად აისახა ის მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც უნივერსიტეტს საბჭოთა სახელმწიფოსაგან ხვდა წილად. ის ატმოსფერო, რომელიც ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით დამკვიდრდა უნივერსიტეტში და ძველი ინერციით ჯერ კიდევ ძლიერია. ბ) ვფიქრობთ, ეს გახლავთ საუკეთესო ნიმუში იმისა, თუ როგორ არ უნდა ჩავატაროთ კონკურსები, როგორ არ უნდა იმუშაოს კომისიამ, რაოდენ უპასუხისმგებლოდ ეკიდება კომისია მასზე დასკისრებულ მოვალეობას. გ) ეს არის უნივერსიტეტში, საბჭოთა რეჟიმის ძალისხმევით, ფართოდ ფეხმოკიდებული ნეპოტიზმის კიდევ ერთი გამოვლინება. დ) ეს ყველაფერი, ცხადია, შემთხვევითი არ გახლავთ, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძველად და პოსტსაბჭოთა საქართველოს რეალობის გამოძახილია. რას ვიზამთ. უნივერსიტეტი ოაზისი არაა!.

2014 წლის ივლისში მონაწილეობა მივიღე ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის სრული პროფესორის ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში. კომისია ჩემს თვალში ბენვს ექცევდა, ხოლო ჩემი კონკურენტის თვალში დირე ვერ დაინახა. ალბათ, თამამად შეიძლება თქმა, რომ კომისიას, ფაქტობრივად, არც არაფერი შეუსწავლია და გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად ცდილობდა ჩემს ჩაძირვას და ჩემი კონკურენტის გაყვანას, რაც გაკეთდა კიდეც. ყველაფერ ამას ძალიან კარგად მიესადაგება დიდი ფრანგი მოაზროვნის ბლეზ პასკალის სიტყვები: „არასოდეს ისე თამამად და თავისუფლად არ ავკაცობს ადამიანი, როცა შეგნებულად ავკაცობს“. კომისიას რატომძაც მხედველობიდან გამორჩა პლაგიატიც, სამეცნიერო შრომების ხარისხიც და რაოდენობაც. სიმართლის დადგენა სულაც არ იყო ძნელი საქმე, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს კომისიას ხელს არ აძლევდა. მოგახსენებთ მხოლოდ მშრალ ფაქტებს, რომლის მიხედვითაც კომისიას ძალიან ადვილად შეეძლო ოპერირება და სამართლიანი ვერდიქტის გამოტანა. როგორც რანქე იტყოდა: „ფაქტები თავად ღაღადებდნენ საკუთარ

თავზე“. კომისიამ სულ სხვა გზა აირჩია. ეს მისი ნებაა. აქ საქმე ეხება არა მარტო ჩემს შეურაცხყოფას, არამედ კიდევ უფრო მეტს და აი ამაზე თვალის დახუჭვა არ შემიძლია. კომისიის არაობიერ-ტურობა, ცხადია, ჩრდილს აყენებს უნივერსიტეტის პრესტიჟს და ნებსით თუ უნებლიერ უნივერსიტეტის ისტორიაში კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი ჩაწერა. დღეს უნივერსიტეტში უსამართლობით ვერავის გააკვირვებ. ამაზე მეტი უსამართლობა რაღა უნდა იყოს, უნივერსიტეტიდან მისი დამაარსებელი გააგდეს და მას მისი დამაქცევარის სახელი უწოდეს. ამას ანალოგი ძნელია მოექცენოს. ყველა ის უსამართლობა, რომელიც უნივერსიტეტში დღეს ხდება ამის შორეულ ექოდ გაისმის და მის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება.

სანამ უშუალოდ ამ საკითხზე გადავალთ მანამდე ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ:

ა: ქ-ნი ნინო კილურაძე ვერასოდეს ვერ გაიგებს იმ დიდ გულისტყვილს, რომელიც მომაყენა მან როგორც მამამისის პროფ. გივი კილურაძის მოწაფეს. ვინც მე კარგად მიცნობს, ამ სიტყვების გულწრფელობაში ეჭვს არ შეიტანს. ნუთუ ვერავინ ვერ გაზარდა ისეთი, რომელიც თქვენი მოსაწონი იქნებოდა? მაგრამ ეს სენტი-მენტებია და უკვე კარგა ხანია დავრწმუნდი, რომ ამაზე საუბარს ქ-ნ ნინოსთან აზრი არა აქვს.

ბ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ თუ არა ქ-ნ ნინო კილურაძის უსაზღვრო ამბიციები, ის დღესაც ჩვენ კათედრაზე იქნებოდა და მას, როგორც პროფ. გივი კილურაძის შვილს, ხელს არავინ ახლებდა, მაგრამ ქ-ნ ნინომ ეს არ ისურვა. მან სხვა გზა აირჩია. ის სამი წელი იყო ჩვენს კათედრაზე და გამუდმებული კონფლიქტები ჰქონდა არა მარტო კათედრის გამგესთან, არამედ კათედრის ყველა წევრთან. ის კათედრაზე კონფლიქტების მთავარი წყარო იყო. 2006 წლის შემდეგ ის ვერ გახდა კათედრის გამგე და ვერ აისრულა სურვილი. მისი განიმატების გასაღებიც, სწორედ, აქ ძევს.

გ. მას პირადად ჩემთან არანაირი კონფლიქტი არ ექნებოდა. შეეძლო პირდაპირ დაერეკა ტელეფონზე და ყველა სადაო სა-

კითხზე შევთანხმდებოდით. ყველაფერს გავიყოფდით, როგორც ეს მოხდა საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია. მან შეთანხმებას კონფრონტაცია არჩია. რატომ?

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტი ორმა გარემოებამ გამოიწვია, 1. კანონისადმი, რბილად რომ ვთქვათ, გულგრილმა დამოკიდებულებამ: ა. უნივერსიტეტს არაფერში ჭირდებოდა შტატი ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის პროფესორის თანამდებობაზე. ასეთი პრეცედენტი უნივერსიტეტის ისტორიაში არ ყოფილა. ეს საგანი იყოთხებოდა უნივერსიტეტში და ეს სავსებით საკმარი იყო. ცალკე საშტატო ერთეულის გამოყოფის საჭიროება არ არსებოდა. ამდენი საათები უნივერსიტეტში არ იყო. ამიტომ მიგვაჩინია, რომ ეს ქ-ნ ნინო კილურაძის კაპრიზების დაკმაყოფილების კიდევ ერთი მცდელობა იყო. ბ. ეს საკითხი განხილული არ ყოფილა მსოფლიოს ისტორიის ინსტიტუტის სხდომაზე და არ იყო ინსტიტუტი თანხმობა ამ შტატის გამოყოფაზე. ეს იყო კარგად გათვლილი ნაბიჯი. ვინაიდან იცოდნენ, რომ ინსტიტუტი მხარს არ დაუჭერდა ამ გადაწყვეტილებას და ამიტომ გვერდი აუარეს მას (ძალიან მაინტერესებს რატომ სურს ქ-ნ ნინო კილურაძეს ასე ჯიუტად იმ კათედრაზე მუშაობა, რომლის ყველა წევრთან კონფლიქტი აქვს, უკანასკნელი სიტყვებით ჰყავს გალანძღვი და რომლის არც ერთ წევრს მასთან თანამშრომლობის არანაირი სურვილი არ გააჩნია) 2. კონფლიქტის მიზეზი გახლავთ კომისიის უაღრესად მიკერძოებული, არაობიექტური, სუბიექტური, ტენდენციური, არაკვალიფიცირებული საქმიანობა და დასკვნები. რომელმაც შედეგზე მოახდინა გავლენა,. ფაქტობროვად, კომისიამ არასწორი დასკვნა დადო. სასურველის შესაძლებლად წარმოაჩინა და შეეცადა დაეკმაყოფილებინა ქ-ნ ნინო კილურაძის კაპრიზები.

კომისია ვალდებული იყო გამოწვლილვით და მიუკერძოებლად შეესწავლა საკითხი და ობიექტური დასკვნა დაედო. მან კი რა გააკეთა? არც არაფერი შეუსწავლია და, არსებითად, მხარედ მოგვევლინა. მან ჩემი კონკურენტის კაპრიზები დააკმაყოფილა.

კომისიის მუშაობა წარმოადგენდა ცალმხრივ მოძრაობას. ის ყოველნაირად ცდილობდა ჩემს ჩაძირვას და მის გაყვანას. (დიდ ბოლოშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ საკუთარ თავზე მიხდება საუბარი, მაგრამ კომისიის დასკვნებს სხვაგვარად ვერ გავაპათილებთ. ალბათ, სწორედ გამიგებთ, რომ ეს ნაბიჯი თავდაცვის ინსტიქტითაა ნაკარნახევი. მე შევეცდები შეძლებისდაგვარად ობიექტურად გავაკეთო ის, რაც კომისიას უნდა გაეკეთებინა და არ გააკეთა).

ჩვენ კარგად გვესმის, რომ კომისია მეტად რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. მას დიდი არჩევანი არ ჰქონია. ან ობიექტური უნდა ყოფილიყო და მაშინ მისთვის სასურველ კანდიდატს ვერ გაამარჯვებინებდა. ეს მას, ცხადია, ხელს არ აძლევდა. ან უარი უნდა ეთქვა ყოველგვარ ობიექტურობაზე და სიმართლეზე თვალი დაეხუჭა. მან მეორე გზა აირჩია და მისთვის სასურველ კანდიდატს გაამარჯვებინა. „მიზანი ამართლებს საშუალებას“. ეს მაკიაველისტური პრინციპი, მისი ყველაზე ცუდი მნიშვნელობით, ლაიტმოტივად გასდევს კომისიის მთელ მუშაობას. მას დაუსჯელობის სინდრომი ედო საფუძვლად. ის უნივერსიტეტში ფართოდ ფეხმოკიდებული ნეპოტიზმის მკაფიო გამოვლინებაა.

ამ კუთხით საკითხის გაშუქება აქტუალურად მიგვაჩნია. ჩვენ ვცადეთ გვეჩვენებინა, თუ რა კრიტერიუმებით ტარდება ზოგჯერ კონკურსები და საკონკურსო კომისია რამდენად უპასუხისმგებლოდ ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. ის პირად ინტერესებს უფრო პრიორიტეტულად თვლის, ვიდრე უნივერსიტეტის ინტერესებს. სრულიად უგულისყუროდ ეკიდება ადამიანების ბედს, როდესაც ეს მას ხელს აძლევს. კომისია ადვილი გზით სიარულს არჩევს. რეალურად არსებული ფაქტებს უგულებელყოფს. ცდილობს სასურველი შესაძლებლად წარმოაჩინოს. პროლეტარიატის დიდ ბელადს“ ვ. ი. ლენინს უყვარდა თქმა: „სახელმწიფო არის ადამიანების გასრესის მექანიზმი“. კომისიის მთელი საქმიანობა აკრძალული ილეთის გამოყენებას და წელს ქვემოთ დარტყმას წარმოადგენს. ეს მისი მთელი საქმიანობის ლაიტმოტივად იქცა.

ჩვენ არ მოვითხოვთ, რომ კომისიას ჩვენ სასარგებლოდ გადაწყვიტა საკითხი. ჩვენ გვინდოდა, რომ მას სამართლიანი გადაწყვეტილება მიეღო. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მან ვერ ვერ შეძლო ამ ელემენტარული გადაწყვეტილების დაკმაყოფილება. აი ასეთია ჩვენი სამწუხარო რეალობა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ტოტალიტარული რეჟიმის ძალისხმევით ასეთ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა უნივერსიტეტი. მისმა თავდაპირველმა ლირებულებებმა მკვეთრი ტრანსფორმაცია განიცადა და თანდათან უკან პლანზე გადაინაცვლა, უნივერსიტეტის ოაზისს არ წარმოადგენს და პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს მინიატურაა.

1. დავიწყოთ იმით, თუ საერთოდ რა გვაქვს გაკეთებული მე და ჩემს კონკურენტს. ვფიქრობთ, ეს საინტერესო უნდა იყოს და მრავლისმეტყველია. კომისიის საქმიანობას, ძალიან კარგად მიესადაგება სულმნათი ვაჟას სიტყვები: „ვაი ასეთსა სამართალს, მომართულს ცოდო-ბრალითა“. ფაქტობრივად, კომისიას არც არაფერი შეუსწავლია. ის მიზანმიმართულად ცდილობდა მისთვის სასურველი კანდიდატის გაყვანას, რაც როგორც ხედავთ, გააკეთა კიდეც. კომისია მოწყდა რეალობას და ვირტუალურ სამყაროში ამოყო თავი. ის, ფაქტობრივად, მხარედ მოგვევლინა. ჩვენ შევეცდებით, რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით დავასაბუთოთ რომ კომისიის საქმიანობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

როგორ მაჯობა მე, რომელსაც დაწერილი მაქვს 14 წიგნი (10 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო) და 191 სამეცნიერო-პოპულარული და სამეცნიერო ნაშრომი, ქ-ნ-მა ნინო კილურაძემ, რომლის მეცნიერული მემკვიდრეობა ძალიან მოკრძალებულად გამოიყურება. არ აქვს დაწერილი არც ერთი სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა, მონოგრაფია, ფაქტობრივად, შემოქმედება არ გააჩნია. სულ დაწერილი აქვს 18 ნაშრომი, რომელიც 150 გვერდს არ აღმატება. (ეს რომ მქონოდა გაკეთებული მე ასისტენტ პროფესორის სანატრელი მექნებოდა). არსაიდან არ ჩანს, რომ მას ან რაოდენობრივად, ან თვისებრივად, ხარისხობრივად, რამე უპირატესობა გააჩნია. ამიტომ კომისია იძულებულია არარეალური

დასკვნები დადოს. ეს გახლავთ მშრალი ფაქტები. ასეთ პირობებში კონკურსში მისი გამარჯვებულად გამოცხადება დიდ ეჭვებს აღძრავს. რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდა კომისია? არც ხარისხობრივად, შინაარსობრივად და არც რაოდენობრივად ეს ასე არ გამოდის, არის კიდევ სხვა კრიტერიუმი? ვიმეორებთ, დაწერილი მაქვს 14 წიგნი, 10 მონოგრაფია და 4 სახელმძღვანელო. მას თანაავტორობით დაწერილი აქვს ერთი სახელმძღვანელო, ჯამი 14:1 უკომენტაროდ.

იმ პერიოდისთვის დაწერილი მქონდა 191 სამეცნიერო და სამეცნიერო-პიპულარული ხასიათის ნაშრომი. მას კი 18. საბოლოო სურათია 191:18. რაოდენობრივად თუ ვის მეტი აქვს გაკეთებული და ვის ნაკლები, საკმაოდ გამჭვირვალეა. კომისიისათვის სიმართლის დადგენა, თუკი ის ოდნავ მას აინტერესებდა, სულაც არ წარმოადგენდა ძნელ საქმეს. ეს რაოდენობრივად. ახლა ვნახოთ ხარისხობრივად, შინაარსობრივად. თვისებრივად, ხარისხობრივად ამ შრომების ერთი დიდი ნაწილი, დაახლოებით 100-მდე ნაშრომი, მათ შორის 10 მონოგრაფია, სიახლეს წარმოადგენს, ქართული კონტექსტი გააჩნია და აღნიშნული საკითხის შესწავლის პირველ მცდელობად გვევლინება. ამას ამ დარგის ნებისმიერი სპეციალისტი დაადასტურებს, თუკი ის ობიექტური იქნება. ასე რომ, კომისიას არ უნდა გაჭირვებოდა ამის გარკვევა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. უპრალოდ მას არ სურს სიმართლის დადგენა. მას სურდა ჩემი ჩაძირვა და მისთვის სასურველი კანდიდატის გაყვანა, რასაც აკეთებს კიდეც. აი ეს არის რეალობა. არაფერს არ ვალამაზებ, არაფერს არ ვამუქებთ. არც ხარისხობრივად და არც შრომების რაოდენობით ჩემს კონკურენტს არავითარი უპირატესობა არ გააჩნია. იმისათვის, რომ მისთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანოს კომისია იძულებულია ამაზე თვალი დახუჭოს. კომისია ცდილობს სასურველი შესაძლებლად წარმოაჩინოს და როგორმე დააკმაყოფილოს ჩემი კონკურენტის კაპრიზები. მისი მიზანი სწორედ, ეს გახლავთ და არა სიმართლე. მას მისთვის სასურველი კანდიდატის გაყვანა სურს და არა სიმართლის დადგენა.

2. ჩვენი მთავარი საქმიანობა ისტორიის თეორიის საკითხების, პირველ რიგში კი, ისტორიოგრაფიის პრობლემატიკის დამუშავებაა. ისტორიოგრაფიულ, თეორიულ ხასიათს ატარებს ჩვენი ორივე დისერტაცია. საკანდიდატო დისერტაცია იყო „ფრიდრიხ შილერი და ახალი ისტორიის პრობლემები“, [10] ხოლო სადოქტორო დისერტაცია იყო „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“. [11] ჩემი ვინწრო სპეციალობაა ისტორიოგრაფია, განსხვავებით ჩემი კონკურენტისაგან. ის უახლესი ისტორიის სპეციალისტია, [12] რაც უნდა გაეთვალისწინებინა კომისიას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ის ასე არ მოიქცა და ამ ფაქტს გვერდი აუარა. მას არ აწყობს სიმართლის დადგენა. მას სურს მისთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანოს, რაც გააკეთა კიდეც. კომისია უპრალოდ მხარედ გვევლინება.

ჩვენი მეცნიერული გამოკვლევების დიდი ნაწილი ისტორიოგრაფიულ, თეორიულ საკითხების დამუშავებას შეეხება. ამ პრობლემატიკით დაინტერესებას ორი ასპექტი გააჩნია. 1. ქართული კონტექსტი. 2. წმინდა ევროპული კონტექსტი. პირველი სიახლეს წარმოადგენს, კვლევით ხასიათს ატარებს და აღნიშნული საკითხის შესწავლის პირველ მცდელობად გვევლინება, რასაც, კვლავ გავიმეორებთ, დაადასტურებს ამ დარგის ნებისმიერი სპეციალისტი თუკი ის ოდნავ ობიექტური იქნება. ეს იცის კომისიამაც, მაგრამ ამის აღიარება არ აწყობთ. მეორეს წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და კომპილაციას წარმოადგენს. ამას უნდა დავუმატოთ კიდევ ის შრომები, რომელიც ისტორიის პერიოდიზაციაზე გვაქვს დაწერილი და ასევე თეორიულ ხასიათს ატარებს [13. 149-182].

აი ამ ვინწრო სპეციალობაში, ისტორიოგრაფიაში, ორივე მიმართულებით, ჩვენი უპირატესობა არის კოლოსალური, რაზეც კომისიამ, რა თქმა უნდა, თვალი დახუჭა. რადგან ასე აწყობდა, მას სიმართლის დადგენა არ სურდა. მას სურს მისთვის სასურველი კანდიდატის გაყვანა. აი ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება.

150:7. ეს ოცდაერთჯერ მეტია. ნეტა რამდენი თავით მაღლა უნდა ვმდგარიყავი, რომ კომისიას ობიექტური გადაწყვეტილება მიეღო?

3. ახლა მოდი ამ თემას უფრო ვიწრო კუთხით შევხედოთ. იქნებ აქვს რამე უპირატესობა ჩემს კონკურენტს და რამენაირად გავამართლოთ კომისიის გადაწყვეტილება. თავდაპირველად, ავიღოთ წმინდა ქართული კონტექსტი. აქაც რამდენიმე ასპექტია საინტერესო: 1. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლა საქართველოში. ფაქტობრივად ეს არის ქართული მედიევისტიკის ისტორია. 2. დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლა საქართველოში. არსებითად, ეს არის ამ დარგის ისტორია. 3. ისტორიის თეორიის, ისტორიის მეთოდოლოგიის და ისტორიის ფილოსოფიის საკითხების შესწავლა საქართველოში. 4. ამას უნდა დაემატოს ის შრომები, რომელიც შეეხება ისტორიის პერიოდიზაციას და რომელიც ასევე თეორიულ ხასიათს ატარებს. აი ასეთი სურათი იყვეთება. ამ მიმართულებით იმ მომენტისათვის დაწერილი გვქონდა 98 ნაშრომი, მათ შორის 10 მონოგრაფია. 98:7. პატივცემული კომისიის წევრების საყურადღებოდ. ეს თოთხმეტჯერ მეტია. სხვათა შორის, ეს იმაზე ბევრია, ვიდრე მას საერთოდ აქვს გაკეთებული. 98:18. პატივცემულო კომისიის წევრებო, ეს კი უკვე ექვსჯერ მეტია. ეს რაოდენობრივად. თვისებრივად, ხარისხობრივად, როგორც აღვნიშნეთ, ეს სიახლეა, ქართული კონტექსტი გააჩნია და აღნიშნული საკითხების შესწავლის პირველ მცდელობად გვევლინება. კომპეტენტურ კომისიას ამის დადგენა, არც რაოდენობრივად და არც თვისებრივად, ხარისხობრივად, არ უნდა გაჭირვებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კომისიამ სულ სხვა გზა აირჩია. მას არ ამოძრავებს სამართლიანობის გარკვევა. მას მისთვის სასურველი კანდიდატის გაყვანა სურს, რასაც აკეთებს კიდეც. აი ამაში კი მას ნამდვილად ფრიადი ეკუთვნის. ის კომისია არაა. ის მხარეს წარმოადგენს.

4. ახლა მოდი ვნახოთ წმინდა ევროპული კონტექსტი. იქნებ აქ აქვს ჩემ კონკურენტს რაიმე უპირატესობა და ჩვენ კომისიას

სრულიად ტყუილად ვდებთ ბრალს არაობიექტურობასა და მიკერძოებაში. მოვუხმოთ ისევ ფაქტებს. იკვეთება ორი საინტერესო ასპექტი. 1. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხების შესწავლა, პოპულარიზაცია. 2. ისტორიულ-ლიტერატურული თემატიკის დამუშავება, რომელსაც გამოკვეთილი თეორიული ისტორიოგრაფიული ხასიათი გააჩნია. ასეთ საინტერესო სურათს ვიღებთ. სულ არის 72 ნაშრომი, მათ შორის ერთი მონოგრაფია. 72:7. პატივცემულო კომისიის წევრებო, ეს ათჯერ მეტია. რამდენი თავით მაღლა უნდა ვიდგე. რომ თქვენ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღოთ? აქ ასეთ ვითარებას ვიღებთ. ორივემ, მეც და ჩემმა კონკურენტმაც შევიტანეთ წვლილი აღნიშნული პრობლემის პოპულარიზაციის საქმეში. რომელმა მეტი, რომელმა ნაკლები ობიექტური კომისიისათვის ამის გარკვევა, ვფიქრობთ, სულაც არ გახლდათ ძნელი საქმე. მისი მთავარი საზრუნავი არა სამართლიანობა და ობიექტურობა, არამედ სასურველი კანდიდატის გაყვანა. რაც მან შეასრულა ხუთიანზე. სხვათა შორის, ეს გაცილებით მეტია, ვიდრე მას საერთოდ აქვს გაკეთებული. რაოდენობრივად, ეს ასე გამოიყურება 72:18. ეს ოთხჯერ მეტია. ეს ყველაფერი ფაქტებია, რომელსაც კომისია საგულდაგულოდ უვლის გვერდს, რადგან ასე სურს. მაშინ ის მისთვის სასურველ კანდიდატს ვერ გაიყვანს. როდესაც ასეთი დიდი უპირატესობის უგულებელყოფა ხდება რაზეა ლაპარაკი.

5. ახლა მოდით კიდევ უფრო ვიწრო ასპექტში შევეხოთ ამ თემას და ავილოთ მხოლოდ ისტორიის თეორია და დიდაქტიკა ისტორიოგრაფიის გარეშე. „ისტორიოგრაფია ისტორიის თეორიის შემადგენლ ნაწილად გვევლინება“ [14. 4]. იქნებ ამ კუთხით გააჩნია ჩემს კონკურენტს რაიმე უპირატესობა და კომისია არ ტყუის? „ნინო კილურაძე ჩამოუვარდება მას (ე. ი. მერაბ კალანდაძეს) შრომები რაოდენობით, მაგრამ მას აქვს ნაშრომები, როგორც ისტორიის თეორიის, ასევე დიდაქტიკის სფეროში (გვ. 235).

დავიწყოთ იმით, რომ წმინდა მეცნიერულ თვალსაზრისით, კომისიის არგუმენტაცია მცდარია, არასწორი საყრდენი დე-

ბულებებიდან გამოდის. ისტორიოგრაფია, ისტორიის თეორიის შემადგენელია ნაწილია. მისი ელიმინირება, ამოღება ისტორიის თეორიიდან, როგორც ამას კომისია ჩადის, მიზანშენონილი არ იქნებოდა. ეს ერთი. მეორე. საკითხის ამ კუთხით განხილვის არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა. ყველაფერი საკმაოდ გამჭვირვალეა. დღესავით ნათელია. მხოლოდ კომისია ვერ ამჩნევს ვერაფერს, რადგან არ სურს. საკითხის ამგვარი, დასმა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არა, ცარიელი ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ერთი კონკრეტული მიზანი გააჩნია. კომისია ცდილობს წყალი აამდვრიოს, ეგებ როგორმე ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭიროს. ეს მას ნაწილობრივ გამოუდის კიდეც. ეს გახლავთ თითიდან გამონოლილი, ყურით მოთრეული, არგუმენტები. მას ერთი მიზანი აქვს. კომისია ცდილობს სასურველი შესაძლებლად წარმოაჩინოს და იქნებ როგორმე დააკმაყოფილოს ქ-ნ ნინო კილურაძის კაპრიზები. კომისიის საქმიანობა მეცნიერულად მცდარი არგუმენტების და უზნეობის სინთეზად გვევლინება. კომისია სიყალბის და უზნეობის მორევში ჩაიძირა. ახლა გავყევეთ პუნქტობრივად. ვფიქრობთ, ეს საინტერესო იქნება.

ა) კომისია შეეცადა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა თითქოს ამ ვიწრო სფეროში მას უფრო მეტი ჰქონდა გაკეთებული, ვიდრე მე-ერთია კომისიის სურვილი, სულ სხვაა რეალობა. მოდით მოვუხ-მოთ მშრალ ფაქტებს. ისინი ბევრ რამეზე მეტყველებენ. ორივე ამ სფეროში გამოქვეყნებული გვქონდა ერთი მონოგრაფია, ოთხი სახელმძღვანელო და 27 ნაშრომი. 15 ისტორიის თეორიაში და 12 პირობით ვიტყვი ისტორიის დიდაქტიკაში, რომლებიც დაიბეჭდა სპეციალურ სამეცნიერო-პედაგოგიურ უურნალში „Преподавание истории в школе“ და უურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვირეულ დამატებაში „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეო-გრაფია სკოლაში“. საინტერესო სურათს ვიღებთ. 31:7. პატივცემულო კომისიის წევრებო, ეს ხომ ოთხჯერ მეტია, მაგრამ ამას მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მათთვის მთავარია სასურველი კანდიდატის გაყვანა. ეს კომისია არაა. ეს მხარეა. გა-

მოდის, რომ ამ ვიწრო ასპექტშიც მას არანაირი უპირატესობა არ გააჩნია ჩემთან შედარებით და ყველაფერი ეს მხოლოდ კომისიის გამოგონილია. სასურველის შესაძლებლად წარმოჩენის მცდელობაა. „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“.

ბ) კომისია შეეცადა მისთვის სასურველი სურათი დაეხატა და ამტკიცებდა თითქოს მას ორივე სფეროში ისტორიის თეორიაში და დიდაქტიკაში აქვს დაწერილი შრომები, მე კი არა. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე გარემოებაზე, რომელიც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს კომისიის ნამდვილ სახეს. ახლა ვნახოთ თუ როგორაა საქმე სინამდვილეში. ერთი წამით დაუშვათ, რომ ეს სწორია და გამოვიდეთ ამ მოცემულობიდან. მას გააჩნია შრომები ისტორიის თეორიაში და დიდაქტიკაში, მე კი არა და მხოლოდ ისტორიის თეორიაში მაქვს დაწერილი შრომები. ისტორიის თეორიის და მეთოდოლოგიის საკითხებზე დაწერილი გვაქვს სულ 15 ნაშრომი, მათ შორის ერთი მონოგრაფია. მას ორივე სფეროში დაწერილი აქვს 7 ნაშრომი. ოთხი თეორიაში და სამი დიდაქტიკაში. ასეთ სურათს ვიღებთ 15:7. პატივცემულო კომისიის წევრებო, ეს ხომ ორჯერ მეტია. ეს რაოდენობრივად. ახლა ვნახოთ თვისებრივად, ხარისხობრივად. ამ თხუთმეტი ნაშრომიდან 10 ნაშრომი კვლევით ხასიათს ატარებს, სიახლეა, ქართული კონტექსტი გააჩნია და ამ თემატიკის დამუშავების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. კომისიას კვლავ ჩაეთვლიმა და ეს გარემოება მხედველობიდან გამოეპარა. მან უკვე მერამდენედ დაკარგა თავისი სახე. კომისიის მიკერძოება აქაც კარგად გამომჟღავნდა. ის საკითხს ობიექტურად კი არ მიუდგა, არამედ გადაწყვიტა ისე, როგორც ეს მას სურდა, თვითნებურად. ეს ლაიტმოტივად გასდევს კომისიის მთელ საქმიანობას. ეს არცაა გასაკვირი. ის მხარედ გვევლინება.

გ) ბუნებრივია, ჩნდება კითხვა. სად გაქრა ჩემი სამი სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო, სად არის და რატომ არ იქნა სათანადოთ გათვალისწინებული ჩემი ნაშრომი „Грузинские школы по учебнику по новой истории“, რომელიც დაიბეჭდა ავტორიტეტულ

უურნალში „Преподавание истории в школе“ (№7 გვ. 38). მარტო ეს სტატია რომ გაეთვალისწინებიათ, ესეც საკმარისი იქნებოდა და რადიკალურად შეცვლიდა საქმის ვითარებას. გამოდის, რომ მე დაწერილი მქონია ნაშრომები როგორც ისტორიის თეორიაში, ისე დიდაქტიკაში. აი ასეთი სურათი მივიღეთ 16:7. კომისიას, ცხადია, არ სურს ამის დანახვა. ობიექტური და მიუკერძოებელი რომ იყოს, მაშინ მისთვის სასურველ კანდიდატს ხომ ვერ გაიყვანს. მას კი სწორედ ეს სურს და არა სამართლიანობის დადგენა. სად გაქრა ჩემი 11 ნაშრომი, რომელიც დაიბეჭდა სამეცნიერო-პედაგოგიური უურნალის „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალურ დამატება „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“. ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვა, ჩემს კონკურენტს რომ ჰქონდა ეს გაკეთებული, კომისია ხომ გაითვალისწინებდა ამას? მაშინ ჩემი რატომ არ გაითვალისწინა? მიკერძოება მეტი სხვა რა არის?

დ) კომისიამ სრულიად უგულებელყო ამ დარგის სპეციალისტის, პედაგოგიკის კათედრის გამგის პროფ. ქეთევან ჭკუასელის, რომელიც კომისიაში სპეციალურად ჩართეს როგორც დიდაქტიკის სპეციალისტი, აზრი, რადგან ეს ხელს არ აძლევდა და ამ შემთხვევაში მისთვის სასურველ კანდიდატს ვერ გაიყვანდა. პროფ ქეთევან ჭკუასელის აზრით „ნინო კილურაძეს არ აქვს სპეციალური გამოკვლევები დიდაქტიკის დარგში“. (იხ. გვ. 258) აქ, ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა. ამის გათვალისწინება კარდინალურად ცვლიდა ვითარებას. გამოდის, რომ კომისია ტყუის და ჩემს კონკურენტს ისტორიის დიდაქტიკის დარგში არაფერი აქვს გაკეთებული. შესაბამისად არც არანაირი უპირატესობა არ გააჩნია. ეს ელემენტარული ტყუილია. აი სადამდე დაეშვა კომისია. გამოდის, რომ მას არ ჰქონია შრომები ორივე სფეროში – ისტორიის თეორია-სა და დიდაქტიკაში, როგორც ამას ცდილობს დაგვიმტკიცოს კომისია. რჩება მარტო ისტორიის თეორია. „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“.

საინტერესო ვითარება მივიღეთ. სპეციალისტის აზრი არ გაითვალისწინეს. მაშინ თვითონ რა გადაწყვიტეს. ისინი ხომ არც ის-

ტორიის თეორიის და არც დიდაქტიკის სპეციალისტები არ გახლავან. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია კომისიის არცერთ წევრს ისტორიის თეორიის და დიდაქტიკის საკითხებზე არ უმუშავიათ, არაფერი არ აქვთ დაწერილი. საინტერესოა რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობდნენ ისინი? კომისიის მთელი არგუმენტაცია ტყუილზეა აგებული. ეს კომისია არაა. ეს მხარეა.

ე) კომისიამ, რა თქმა უნდა, ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გამოუშვა ამ დარგის სპეციალისტის პროფ. ქეთევან ჭკუასელის განცხადება. „მერაბ კალანდაძის ნაშრომები არის უაღრესად ღირებული და სავსებით შეესატყვისება ვაკანსიის პროფილს“ (იხ. გვ. 249). ცხადია, ეს კომისიამ არ გაითვალისწინა, რადგან არ აწყობდა. მისთვის მთავარი ხომ სიმართლის გარკვევა არაა.

ვ) კომისია ყოველნაირად ცდილობს გაბუქოს ჩემი კონკურენტის წვლილი და ისეთ რამებს მიაწერს, რასთანაც მას არაფერი საერთო არ ჰქონია. მარტივად რომ ვთქვათ, ელემენტარულ ტყუილებს კადრულობს. აი სადამდე დაეშვა კომისია. ის შეეცადა საქმე ისე წარმოეჩინა თითქოს ჩემმა კონკურენტმა უნივერსიტეტში დანერგა ახალი საგანი. ეს სიმართლეს არ შეეფერება და ამაზე სავსებით სამართლიანად გაამახვილა ყურადღება ამ დარგის სპეციალისტმა პროფ. ქეთევან ჭკუასელმა, მაგრამ რად გინდა. მისი განცხადება დარჩა „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“. კომისიას არაფრის გაგონება არ სურს. მოდით ვნახოთ, როგორია სინამდვილე. ეს საგანი უნივერსიტეტში დიდი ხანია ისწავლება. მას ასწავლიდნენ ცნობილი მეცნიერები პროფ. მიხეილ მამფორია, პროფ. კოტე ანთაძე, პროფ. ნაირა მამუკელაშვილი. მას ერქვა „ისტორიის სწავლების მეთოდიკა“. ეს საგანი ისწავლება პოსტსაბჭოთა პერიოდში. მას ასწავლიდა ან განსვენებული პროფ. გიორგი (გოგიტა) უუშუნაშვილი. როგორც ხედავთ, კომისიამ მისთვის სასურველი კანდიდატი რომ გაიყვანოს, ელემენტარულ ტყუილს კადრულობს.

კომისია ჩაიძირა უზნეობის, მიკერძოების, არაობიექტურობის, ტენდენციურობის, სუბიექტურობის, არაკვალიცირებულო-

ბის, არაპროფესიონალიზმის, მორევში. მან საბოლოოდ დაკარგა სახე და მხარედ მოგვევლინა. კომისიამ ყველაფერი გააკეთა, რომ როგორმე სასურველი შესაძლებლად წარმოეჩინა და დაეკმაყოფილებინა ქ-ნ ნინო კილურაძის კაპრიზები. აი რა იყო მისი მთავარი მიზანი.

ახლა მოდით სულ სხვა კუთხით შევხედოთ ამ საკითხს. ავილოთ მხოლოდ ერთი პრობლემა. საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ნაპოლეონი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ კონკრეტულ თემაზე ჩვენ გაცილებით მეტი გვაქვს გაკეთებული, ვიდრე მას საერთოდ აქვს გაკეთებული. ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება. ამ თემატიკაზე დაწერილი გვაქვს 50 ნაშრომი. მათ შორის სამი მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელო. ჯამში მივიღეთ 50:18. ეს რაც შეეხება რაოდენობრივ მხარეს. მოდით ახლა ვნახოთ, შინაარსობრივი მხარე. აქედან 30 ნაშრომი, მათ შორის სამი მონოგრაფია, სიახლეს წარმოადგენს, ქართული კონტექსტი გააჩნია და აღნიშნული საკითხის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება. სხვათა შორის, ყველა ეს ნაშრომი თეორიულ ხასიათს ატარებს და ისტორიოგრაფიის სფეროს განკუთვნება. აქ ასეთ საინტერესო სურათს ვიღებთ 30:7. პატივცემულო კომისიის წევრებო ეს უკვე ოთხჯერ მეტია, მაგრამ კომისიამ ვერც ეს დაინახა. მაშინ რა დაინახა? რა შეისწავლა? არც არაფერი. ფაქტები ნათლად ღალადებენ ამას და კომისიას თავის მართლება ძალიან გაუჭირდება. სხვათა შორის, ეს გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მას საერთოდ აქვს გაკეთებული. 50:18. ის მოქმედებს პრინციპით „მე ასე მსურს“ და მისთვის სასურველ შედეგს დებს, სულ არ აინტერესებს არც რეალობა და არც სამართლიანობა. კომისია მხარეს წარმოადგენს.

ახლა მოდით კიდევ ერთი კუთხით შევხედოთ ამ საკითხს. ვფიქრობთ, ეს საინტერესო უნდა იყოს. რა გავაკეთე მე, რომელიც, „კომპეტენტურმა“ კომისიამ, პირში ჩალაგამოვლებული დამტოვა, ამ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში და რა აქვს მას გაკეთებული ამ ხნის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში გამოქვეყნებუ-

ლი გვაქვს 45 ნაშრომი, მათ შორის ოთხი მონოგრაფია, რომელიც სიახლეს წარმოადგენს, ქართული კონტექსტი გააჩნია და აღნიშნული საკითხის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ბოლო წლებში მას ბევრი არც არაფერი გაუკეთებია. შეიძლება რაღაცაში ვცდებით და რაიმე ნაშრომი გამოგვრჩა, მაგრამ ეს საერთო სურათს ვერ შეცვლის. ასეთ სურათს ვიღებთ – 45?: საინტერესოა რამდენი თავით მაღლა უნდა ვმდგარიყავი, რომ კომისიის გული მომეგო და მისთვის ათროპირებული ობიექტურობის გრძნობა გამეღვიძებინა? კომისიის მთელი საქმიანობა კონკურენციის ელემენტარული ნორმების ფეხქვეშ გათელვის საუკეთესო ნიმუშია. რა შეისწავლა კომისიამ? ფაქტობრივად, არც არაფერი. მან არ გაითვალისწინა არც შრომების რაოდენობა, არც მათი ხარისხი, მეცნიერული ღირებულება და, ალბათ, რაც მთავარია პლაგიატი (საუბარია გიორგი სანიკონის და ნინო კილურაძის წიგნზე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. თბ., 2001). საქმე გვაქვს უნიკალურ შემთხვევასთან. კომისიამ კონკურსში გაამარჯვებინა მისთვის სასურველ პიროვნებას, რომელსაც არც ერთი სერიოზული ნაშრომი, მონოგრაფია არ გააჩნია, არ აქვს შემოქმედება და, ალბათ, რაც ყველაზე უფრო ცუდია, პლაგიატია. ამ ფაქტს საქართველოს ფარგლებს გარეთ ანალოგი ძნელად დაექცებინა. ასე მოჭრა თავი კომისიამ უნივერსიტეტს, მაგრამ ეს მას სულ არ ადარდებს. მთავარია, რომ მისთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანა.

რა კუთხით არ უნდა შევხედოთ საკითხს, არსაიდან არ ჩანს, რომ ჩემს კონკურენტს რაიმე უპირატესობა გააჩნია. აი ეს იყო რეალობა, რომელიც კომისიას ხელს არ აძლევდა და ამიტომ მიმართა ათასგვარ ხრიკებს და მაქინაციებს.

ყველაფერი ის, რაზეც ვისაუბროთ, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს ძნელებედობის, რომელიც ძველი ინერციით ჯერ კიდევ გრძელდება, ექოდ გაისმა, ძველი მენტალიტეტი ჯერ ისევ ძლიერია.

საკვირველი ის კი არაა თუ როგორ აღმოჩნდა უნივერსიტეტი ასეთ სავალალო მდგომარეობაში, არამედ საკვირველი ის იქნებოდა, რომ ის ასეთ მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო. ამიტომ, განტევების ვაცად გადავაქციოთ უნივერსიტეტი, როგორც ეს ხშირად ხდება ბოლო წლებში მიზანშეწონილად არ მიგვაჩინია. უნივერსიტეტის მთელი ისტორია მის საქმიანობაში სახელმწიფოს უხეში ჩარევის საუკეთესო ნიმუშია. დღეს მნიშვნელოვანნილად ამის ნაყოფს ვიმკით. „რასაც დასთეს იმას მოიმკი“. აი ასეთია რეალობა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ.

ჩვენი გადასახედიდან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ კონკურსში ვისაც არ უნდა მიეღო მონაწილეობა, კომისია მისთვის სასურველ კანდიდატს მაინც გაიყვანდა. ის მოქმედებდა პირადი ინტერესების შესატყვისად და უნივერსიტეტის ინტერესები სრულიად უგულვებელყო. „მე ასე მსურს“. ალბათ, თვით ლუ XIV-ესაც კი შემურდებოდა ჩვენი კომისიის მოქმედება. ასეთი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არაა და დაუსჯელობის სინდრომითაა განპირობებული. აგო ვინმემ პასუხი? არც არავინ.

ვერაფრით ვერ მიპატიებია ჩემი თავისთავის, რომ კომისიას არ ვუჩივლე უნივერსიტეტში არსებულ ეთიკის კომისიაში. ეს ჩემი დიდი შეცდომა იყო. გაუმართლებელი ჰუმანურობა გამოვიჩინე. ჩემმა კონკურენტმა უმაღ ისარგებლა ამით და განაცხადა: „მართალი არ იყო და დავა იმიტომ არ გააგრძელა“-ო. ამ შემთხვევაში ის თავის ჩვეულ ამპლუაშია და კვლავ არაადეკვატურია. უნდა დადგეს დღის წესრიგში კომისიის პასუხისმგებლობის საკითხი.

უნდა ვალიაროთ, ერთადერთი, რაშიც დატმარცხდი ის იყო, რომ ადამიანები, რომლებიც თავს ჩემს მეგობრებად ასაღებდნენ, პირნმინდად დამარცხდნენ ჩემი კონკურენტის მეგობრებთან. მათ არ აღმოაჩნდათ ელემენტარული პრინციპულობა, რომ სიმართლე დაეცვათ. მას უფრო კარგი მეგობრები აღმოაჩნდა, ვიდრე მე. აი, ასეთი პირადი ინტერესების დონეზე წყდება დღეს უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი საკადრო საკითხები.

ალბათ, ეს არის უნიკალური შემთხვევა, რომელსაც პრაქტიკა-ში ანალოგი ძნელად მოეძებნება. კომისიამ კონკურსში გაამარჯვე-ბინა კონკურსანტს, რომელიც პლაგიატში იყო ეჭვმიტანილი. მე, და ალბათ, არა მარტო მე, ასეთი რამ არ გამიგია. თქვენ გაგიგიათ, პატივცემულო მკითხველო? ეს, ცხადია, კომისიის მიკერძოებული საქმიანობის კულმინაცია, მწვერვალია. არაფერს ვამბობთ შრომე-ბის რაოდენობაზე და ხარისხზე, რასაც კომისიამ გულგრილად აუარა გვერდი. ასე აწყობდა და იმიტომ, ყველეფერი თეთრი ძა-ფითაა ნაკერი.

აი, ასეთ დღეში ჩააგდო ტოტალიტარულ-ბოლშევიკურმა რეჟიმმა უნივერსიტეტი. ასეთი მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა საბჭოთა ხელისუფლებამ. მან ლომის წილი დაიდო უნივერსიტე-ტის სულიერი დეგრადაციის საქმეში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კომისიის აზრით, ადამიანს, რომლის მეცნიერული მემკვიდრეობა უაღრესად მწირია, დარ-გის განვითარების უკეთესი ხედვა აღმოაჩნდა. სიტყვების უპა-სუხისმგებლო რახარუხია.. რას ემყარება ეს მოსაზრება? პირველ რიგში, რა თქმა უნდა, კომისიის ნევრების ერთი ნაწილის სურვილს და სასურველის შესაძლებლად ნარმოჩნის კიდევ ერთ მცდელო-ბად გვევლინება. მართლაც, საგნის სილაბუსი სოლიდურ შთაბეჭ-დილებას ახდენს და დახუნძლულია გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე არსებული ლიტერატურით. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ რუსულ და ქართულ ენებზე არსებული ლიტერა-ტურა ძალზე მწირია, რაც, ბუნებრივია, კომისიის თვალსაზიერს მიღმა დარჩა. არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ქ-ნ ნინო კულურაძეს ძალიან კარგად ეხერხება ერუდიციის მტვრის დაყენება, მაგრამ ეს მტვერი რომ გაიფანტება, რეალურად ხელში რა გვრჩება? ეს არის თვალებში ნაცრის შეყრის კიდევ ერთი მცდელობა. საინტერესო სურათი იკვეთება. კომისიამ სრული იგნორირება მოახდინა იმისი, რაც გაკეთებული იყო და მოიხიბლა იმით, რას გააკეთებდა იგი. თუმცა ამის წინაპირობა არ არსებობდა და ამაზე თვალი დახუჭა. ამ შემთხვევაზე მახსენდება ერთი ფრანგული ანდაზა. „ჭკვიანი

კაცი ლაპარაკობს იმაზე, რაც გააკეთა, ხოლო სულელი იმაზე – რას გააკეთებს“. კომისია კვლავ უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ არა უშავს. მას უხერხულობის შეგრძნება რომ ჰქონოდა, ამას ხომ არ ჩაიდენდა.

მომიყვანეთ ერთი სტუდენტი, რომელმაც საგანი მოამზადა მისი სილაბუსის მიხედვით. მომიყვანეთ თუნდაც ერთი სტუდენტი, რომელმაც წაიკითხა სილაბუსში მითითებული თუნდაც ერთი ნაშრომი უცხო ენაზე. მომიყვანეთ ერთი სტუდენტი, რომელმაც თუნდაც ერთი ფურცელი, ან აბზაცი მაინც წაიკითხა სილაბუსში მითითებული უცხოური ლიტერატურიდან. თავს რატომ იტყუუბთ, ძვირფასო კომისიის წევრებო? ამით ხომ არავინ ტყუვდება. შესანიშნავად ხვდებით, რომ თვალში ნაცარს გაყრით და მაინც ჩუმად ხართ, რადგან ეს ხელს გაძლევთ. ამ პროგრამამ ვერ იმუშავა და ჩავარდა. ჩვენი პროგრამა კი, რომელიც ქართულ ლიტერატურაზეა ორიენტირებული, ავად თუ კარგად მუშაობს და სტუდენტები ცდილობენ რაღაც ისწავლონ. აი, ეს არის რეალობა, რასაც კომისიამ, ცხადია, წაუყრუა, იმიტომ რომ ანყობდა. აქ ყურადღებას გავამახვილებთ, ჩვენი აზრით, ერთ საინტერესო გარემოებაზე. ადამიანს, რომელსაც კომისიის შეხედულებით აღმოაჩნდა საგნის უკეთესი, სამომავლო ხედვა. არც ამ და არც სხვა სფეროში შემდგომი ოთხი წლის მანძილზე, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით არაფერი არ დაუწერია. (შეიძლება უნებლიერ გამოგვრჩა რომელიმე ნაშრომი, რომელიც ვითარებას არ ცვლის). – „ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებს“. ეს უკვე მერამდენედ კომისია ელემენტარულ ტყუილს კადრულობს, რათა მისთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანოს, რასაც აკეთებს კიდეც.

აი, კომისიის მიკერძოების კიდევ ერთი ნიმუში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ კომისიამ ორივეს მეცნიერული მუშაობა ნაყოფიერად სცნო. საინტერესოა რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობდა კომისია ამ შემთხვევაში. არც ხარისხობრივად, შინაარსობრივად, და არც რაოდენობრივად ასე არ გამოდის. უნივერსიტეტის პროფესორებს, ვფიქრობთ, ორასის ფარგლებში თვლა არ უნდა ეშ-

ლებოდეთ. არაობიექტურობას ძალიან სასაცილო მდგომარეობაში შეუძლია ჩაგაყენოთ. მე ეს არ მინდოდა ესაა თქვენი არჩევანი. 14 წიგნი და 191 სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი და 18 ნაშრომი ორივე თურმე ნაყოფიერი მუშაობა ყოფილა, პატივ-ცემულო მკითხველო. ეს ერთი. მეორე თავის არაობიექტურობაში კომისიამ ისე შორს შეტოპა, რომ ჩემი მეცნიერული მუშაობა საშუალოზე შეაფასა (იხ. გვ. 247) და ჩემი კონკურენტის – მაღალზე, (იხ. გვ. 256) რაც კომისიის მიკერძოების კიდევ ერთი საბუთია. ასეთი დასკვნა ალოგიკურია და სასურველის შესაძლებლად წარმოჩენის კიდევ ერთი მცდელობაა. 14 წიგნი და 191 სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი თურმე საშუალო ყოფილა და 18 ნაშრომი – მაღალი. ალბათ, ეს უბრალოდ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ელემენტარული არითმეტიკა მაინც არ იცით, თქვე დალოცვილებო? იცით, როგორ არ იცით, მაგრამ სიმართლე არ გაწყობთ და უსირცხვილოდ იძახით დღეზე დამეაო და პირიქით. აბა უზნეობა მეტი რა არის? მოკრძალებით გამოვთქვამთ ჩვენს სუბიექტურ აზრს – ასეთი ადამიანების ადგილი კომისიაში არ უნდა იყოს, მათ ნდობის მანდატი არ უნდა ჰქონდეთ.

ახლა იმაზე, თითქოს საზღვარგარეთ არ მქონდეს გამოქვეყნებული შრომები. საზღვარგარეთ გამოქვეყნებული მაქვს 8 ნაშრომი, სადაც შეძლებისდაგვარად ვცადე ევროპული, პირველ რიგში კი გერმანულენოვანი, მკითხველისათვის გაგვეცნო დასავლეთ ევროპის შეუ საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლის საქმეში ქართული ისტორიოგრაფიის მიერ შეტანილი წვლილი. განა ეს პატარა საქმეა? მაგრამ კომისიამ ამაზეც თვალი დახუჭა. სამაგიეროდ, დიდის ამბით აღნიშნა, კონკურენტი ნამყოფია საზღვარგარეთ, აქტიურად თანამშორმლობს საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან. აქვს ერთი სამეცნიერო გრანტი. ფლობს უცხო ენებს. ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ კომისიას რატომლაც ამჯერადაც დაავიწყდა, რომ ამ თანამშრომლობას რა შედეგები მოჰყვა და კონკურსანტს რა შრომები აქვს დაწერილი. საზღვარგარეთ ყოფნის და უცხო ენების ცოდნის გამო ირჩევთ უნივერსი-

ტეტის პროფესორებს? მინდოდა მეთქვა, სირცხვილი თქვენ-თქო, მაგრამ თავი შევიკავე. სირცხვილი რომ გქონოდათ, ამას ხომ არ გააკეთებდით? მარტო საზღვარგარეთ 8 ნაშრომი მაქვს გამო-ქვეყნებული. ესეც თვალსაწიერ მიღმა დარჩა კომისიას. აქაც გა-მაჩინია უპირატესობა – 8:0. ეს რვაჯერ მეტია. კომისია ყრუა.

კომისიის მიკერძოებული მუშაობის საილუსტრაციოდ, ალბათ, კიდევ მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანს და მხოლოდ ერთი ფაქტის აღნუსხვით შემოვიფარ-გლებით. ესაა კომისიის დასკვნა. აი, რა წერია აქ: „საკონცურსო კომისიისათვის წარმოდგენელი ნაშრომი (საუგარია ნინო კილურაძის ოცვერდიან ნაშრომზე) არის ნაწილი დიდი პროექტისა. პროექტის მიზანდასახულობის შესაბამისად, ნაშრომში მოცემულია ისტორიის თეორიის მნიშვნელოვა-ნი პრობლემების მაყალაროვესიული მიმოხილვა უახლეს სამეცნიერო ლიტერატურასა და საკუთარ კვლევებზე დაყრდნობით“. (იხ. გვ. 256) ძალიან ხმამალლა ნათქვამი ხომ არაა? რომელ უახლოეს გამოკვლევებზეა საუბარი, როდესაც ამ თემაზე არსებული რუსული და ქართული ლიტერატურა სრულიად უგულე-ბელყოფილია და კომისია კვლავ ტყუის. ეს მისი ამპლუაა. ეტყობა, ჩემი კონკურენტისადმი უაღრესად კეთილგანწყობილმა კომისიამ ძალზე შორს შეტოპა და ვერ მოზომა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩემმა კონკურენტმა თურმე ეს გააკეთა სულ რაღაც ოთხ ნაშრომში, რომელიც სულ 55 გვერდია. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ასეთი რა-მის გაკეთება თვით ამ დარგის კორიფეებსაც კი გაუჭირდებოდათ. ამის თქმა სულ ოთხ ნაშრომზე, რომელიც 55 გვერდია – უხერხული ხომ არ იქნებოდა? როგორც ჩანს „გონების დასაჭურისებას, უპრინ-ციპობას და უზნეობას მართლაც არ აქვს საზღვარი“. ბრავო კომი-სიას. დავფიქრდეთ, ბატონებო და ქალბატონებო. თქვენს არაობიე-ქტურობას ძალიან სასაცილო მდგომარეობაში შეუძლია ჩაგაყენოთ. რას ჩადიხართ? ძალიან მეცოდებით. სინდისზე ხელი ასე ადვილად როგორ აიღეთ. მაპატიეთ, ამის თქმა არ მინდოდა, მაგრამ თქვენ მაიძულეთ. როგორც ჩანს, კომისიისათვის ყველაფერი სულერთია,

ოღონდ როგორმე მისთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანოს. „მიზანი ამართლებს საშუალებას“. საქმე გვაქვს მაღალფარდოვანი სიტყვების უპასუხისმგებლო რახარუხთან, რომელიც ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს არის მოკლებული.

ასეთ საინტერესო სურათს ვიღებთ. ისტორიის თეორიის საკითხებზე მას სულ ოთხი ნაშრომი აქვს დაწერილი. აი ეს ნაშრომები:

1. რეკონსტრუქცია, კონსტრუქცია და დეკონსტრუქცია ისტორიაში – ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, VI თბ., 2009. გვ. 181-193.

2. „ისტორიული მეცნიერება“ და „ისტორიული ჰერმენევტიკა“ – ქართული, დასავლური და აღმოსავლური ისტორიოგრაფიული ტრადიცია, თბ., 2014. გვ. 152-171.

3. ისტორიის რეკონსტრუქცია, კონსტრუქცია, დეკონსტრუქცია და ისტორიის „მეცნიერული შეგრძება“ – ქართული, დასავლური და აღმოსავლური ისტორიოგრაფიული ტრადიცია, თბ., 2014. გვ. 172-191.

4. კულტურის კვლევა სოციალურ მეცნიერებაში – ქართული, დასავლური და აღმოსავლური ისტორიოგრაფიული ტრადიცია, თბ., 2014. გვ. 192-197.

აი ეს ოთხი ნაშრომია, რომელიც 55 გვერდია და რომელმაც ასე მოხიბლა, მოაჯადოვა „კომპეტენტური“ კომისია, რომ მისი ხოტბა-დიდებით დაიღვარა. კომისიის მიკერძოება, არაობიერტული, არაკვალიფიცირებულებაში, არა კომპეტენტურობაში ხომ არ გადაიზრდება?

აქვე უნდა შევეხოთ ერთ, ჩვენი აზრით, საინტერესო გარემოებას, რომელმაც უმაღ მიიპყრო ყურადღება. ცხადია, მხედველობაში გვაქვს მისი ნაშრომი „მოიგო თუ არა რეიგანმა „ცივი ომი“ (საკითხის კონსტრუქტივისტული ხედვა). რომელიც, როგორც მითითებული აქვს დაიბეჭდა კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები“, III. თბ., 2004. გვ. 67-74. ეს მითითება არასწორია. ამ კრებულში ეს სტატია არაა დაბეჭდილი. აქ გამოქვეყნებულია ნინო ბახიას ნაშრომი „ევროკავშირი – აშშ-ის დემოკრატიის პლაცდარ-

მი“. (გვ. 66-73). შემდეგ დაბეჭდილია ოთარ ბალათურიას ნაშრომი „ამერიკული იდეალიზმი და პრაგმატიზმი“ (გვ. 73-81). რაშია საქმე? ან მას ეს ნაშრომი გამოქვეყნებული არ აქვს და კომისიას არასწორი ინფორმაცია მიაწოდა. ანდა, შესაძლებელია, მას ეს ნაშრომი გამოქვეყნებული აქვს სულ სხვა კრებულში. ისეთი მაღალი რანგის ისტორიკოსს, როგორადაც კომისიას მიაჩნია ქ-ნ ნინო კილურაძე, ასეთი ელემენტარული, შეცდომა არ უნდა მოსვლოდა. საკვირველია, რომ კომისია ჩემს თვალში ბენგს ეძებდა, ეს ფაქტი რატომდღაც ვერ დაინახა. ხომ წარმოგიდგენიათ რა აურზაურს ატეხდა კომისია ეს სხვას რომ მოსვლოდა? ორმაგი სტანდარტი სხვა მეტი რა არის?

დავიწყოთ იმით, რომ თურმე კონკურსანტს ჰქონია „საკუთარი კვლევები“ ისტორიის თეორიის დარგში. „საკუთარი კვლევები“ ამ დარგში ქართული ისტორიოგრაფიის კორიფეებს, მათ შორის თვით დიდ ივანე ჯავახიშვილსაც ნაკლებად გააჩნდა. კონკურსანტს „საკუთარი კვლევები“ ემპირიულ ისტორიაში ნაკლებად გააჩნია და ისტორიის თეორიაში კი აქვს? ეს ხომ გაცილებით უფრო ძნელია? ალოგიკურობა კომისიის მთელს საქმიანობას ლაიტმოტივად გასდევს. მისი მეცნიერული მემკვიდრეობა უალრესად მნირია. მას არ გააჩნია არცერთი სერიოზული ნაშრომი, ამიტომ კომისია იძულებულია გააბუქოს ყველაფერი. ის ელემენტარულ სიყალებს ჩადის. არ არის ეს დანაშაული? ღრმად პატივცემულ კომისიის წევრებს, უნივერსიტეტის პროფესორებს, მონიცებით მოვახსენებთ, რომ ასეთი შრომები ამ დარგში გააჩნიათ: ვოლტერს, ჰერდერს, კანტს, ჰეგელს, ცოტა აქეთ რომ წამოვიდეთ, ერნსტ ტრიოლჩს, რობინ ჯორჯ კოლინგვუდს, ბერნედეტო კროჩეს, ფრიდრიხ მაინეკეს, კარლ იასპერს, რაიმონ არონს. გულახდილად მოგახსენებთ, რომ ასეთი რამ თვით დიდ ივანე ჯავახიშვილზე არ წამიკითხავს. როგორც ხედავთ, ამ დარგში „საკუთარი გამოკვლევები“ გააჩნიათ მსოფლიო მასშტაბის მეცნიერებს, რომლებიც დარგის კორიფეები არიან. ასეთი, ცხადია, ჩვენი კონკურრენტი ნამდვილად არ გახლავთ. რატომ ვაგდებთ მას უხერხულ მდგომარეობაში? ნუთუ ვერ ხვდებით, რომ

ამით მას დათვურ სამსახურს უწევთ? როგორც ხედავთ, კომისია კვლავ სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს თქვენი არჩევანია. ეს ასე რომ ყოფილიყო მაშინ კონკურსში მონაწილეობას არ მივიღებდით. რატომ იბითურებთ თავს? უნტლიედ გამახსენდა შესანიშნავი კინოკომედია „რეკორდი“. „ოფუცხოელ ჯოტია ცაავას მსოფლიო რეკორდი დაუმყარებია ბირთვის კვრაში“. აი, ასეთ სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებით როდესაც ცდილობთ თქვათ თეთრზე შავი და პირიქით.

კომისიამ ჩემს 378 გვერდიან წიგნში, „ისტორიოგრაფიული ეტუდები“ რომლის მესამე კარი, სულ 127 გვერდი (გვ. 232-359), შეიცავს კვლევის ელემენტებს, სიახლეა. გააჩნია ქართული კონტექსტი და ამ საკითხების გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება, საინტერესო ვერაფერი დაინახა, ხოლო მის კომპილაციური ხასიათი 20 გვერდიან სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევში „აღმოაჩინა“. „ისტორიის თეორიის მნიშვნელოვანი პრობლემების მაღალპროფესიული მიმოხილვა უახლეს სამეცნიერო ლიტერატურასა და საკუთარ კვლევებზე დაყრდნობით“. აღსანიშნავია, რომ ეს პატარა მონაკვეთი, სულ 127 გვერდი იმაზე გაცილებით უფრო მეტია, რაც მას ამ სფეროში სულ აქვს გაკეთებული. 55 გვერდი. საინტერესოა არა?! კომისიამ, ცხადია, ვერც ეს შენიშნა.

მოვიყვანთ ერთ საინტერესო ამონარიდს, რომელიც კომისიის ალოგიკური მსჯელობის კიდევ ერთი კარგი ნიმუშია, „წარმოდგენილი ნაშრომი „ისტორიოგრაფიული ეტუდები“ არის უაღრესად საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული წიგნი, რომელიც გამოადგება დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებს ისტორიის თეორიის და ისტორიოგრაფიის საკითხების შესასწავლად. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში მრავლადაა გაბნეული ავტორის ორიგინალური კვლევის შედეგები, საკუთარი კვლევითი პოტენციალის წარმოსაჩენად უმჯობესი იქნებოდა კონკურსანტს წმინდა კვლევითი ხასიათის ნაშრომი წარმოედგინა“. (იხ. გვ. 235-236). სწორედ ამაზეა ნათქვამი „ფიცი მნამს, ბოლო მაკვირვებს“. ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს ალოგიკური მსჯელობის და უპა-

სუხისმგებლო განცხადებების შეხამების მცდელობად გვევლინება.

ა) დავიწყო იმით, რომ თუ ჩემს ნაშრომში „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“, „უხვადაა“ ავტორის ორიგინალური კვლევის შედეგები მაშინ გაუგებარია რატომ დარჩა პატივცემულ კომისიას უკმარობის გრძნობა, განა ეს ცოტა იყო? ვფიქრობთ, არა! მაგრამ ჩემი კონკურენტისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი კომისია, რა თქმა უნდა, სხვაგვარად ფიქრობს,. „საკუთარი კვლევითი პოტენციალის წარმოსაჩენად ჯობდა კონკურსანტს წმინდა კვლევითი ხასიათის ნაშრომი წარმოედგინა“, რატომ? პატიცემული მკითხველო, მე ვერაფერი ვერ გავიგე და იქნებ თქვენ გაიგეთ რამე? სიკეთიდან სიკეთეს ეძებენ. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება, კომისია ყოველნაირად ცდილობს ჩრდილი მიაყენოს, დააკნინოს ჩვენი შრომების მნიშვნელობა და ამით მწვანე შუქი აუნთოს ჩემს კონკურენტს. რომლის ოცგვერდიანი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის მიმართ ხოტბა-დიდება არ დაიშურა და ის სამეცნიერო გამოკვლევად წარმოაჩინა, რეალურად საქმე გვაქვს სასურველის შესაძლებლად წარმოჩენის მცდლობასთან. როგორც ხედავთ, კომისია ჩემს თვალში ბეწვს ეძებს, მის თვალში კი დირეს ვერ ხედავს. აბა მიკერძოება მეტი რა არის?

ბ) თუ „ნაშრომში მრავლადაა გაბნეული ავტორის ორიგინალური კვლევის შედეგები“, მაშინ ბუნებრივია, გაუგებარია რატომ არის ის „უაღრესად საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული წიგნი“. ხოლო თუ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომია მაშინ აქ კვლევის ელემენტები ძალიან მცირე დოზით უნდა იყოს. კომისიის მთელი ეს მსჯელობა წინააღმდეგობრივია და მაღალ-ფარდოვანი სიტყვების უპასუხისმგებლო რახარუხია. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ეს ჩვენი ნაშრომის შეუფასებლობის კიდევ ერთი მცდელობაა. „მამაო მოუტევე ამათ, რაიმე თუ არა იციან რას იქმნიან“.

გ) ვერ დავეთანმებით კომისიის მოსაზრებას თითქოს ჩვენი წიგნი „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“ „სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდეს“. ეს მისი შეუფასებლობის კიდევ ერთი მცდე-

ლობაა. ეს მართლია მხოლოდ წიგნის ერთი ნაწილის მიმართ, რომელსაც წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია სამეცნიერო-პოპულარული ხასიათს ატარებს და კომპილაციას წარმოადგენს. სხვათა შორის, ამას არც ჩვენ არ უარვყოფთ – „წიგნის დასაწყისს (აქ იგულსიმება პირველი და მეორე კარი, რომელსაც ევროპული კონტექსტი გააჩნია – მ. კ.) შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია. აქცენტი კეთდება ამ პრობლემატიკის პოპულარიზაციაზე“ (15.4). „გინაიდან როგორც უკვე ითქვა, ამ თემატიკაზე მშობლიურ ენაზე არსებობს მეტად მწირი ლიტერატურა, ამ რთულ თემაზე სიტყვის თქმას, უმთავრესად, ის გარემოება გვაძედინებს, რომ ქართველი მკითხველი ამ სფეროში მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურით დღემდე არ გახლავთ განებივრებული“. (15 წიგნის სატიტულო ფურცელი). ამიტომ, ფაქტობრივად, კომისიის ეს მსჯელობა ღია კარის მტვრევად შეიძლება მივიჩნიოთ. წიგნს აქვს მეორე ნაწილი, ესაა მისი მესამე კარი, რომელიც სიახლეა, ქართული კონტექსტი გააჩნია და ამ საკითხების შესწავლის პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობად გეველინება, რასაც ამ დარგის ნებისმიერი სპეციალისტი დაადასტურებს, თუკი ის ოდნავ ობიექტური იქნება. აი ეს გახლავთ რეალობა, რომელსაც ჩემი კონკურენტისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი კომისია დუმილით უვლის გვერდს ვითომ ვერ ამჩნევს.

დ) ახლა მოდი გამოვიდეთ ამ მოცემულობიდან – თითქოს ჩვენი წიგნი „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“ სუსტი ნაშრომი იყოს. ერთი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის წიგნი, აღბათ, გაცილებით უფრო მეტი უნდა იყო ვიდრე ერთი სამეცნიერო-პოპულარული სტატია. რაოდენობრივად შეიძლება ეს ასეა, მაგრამ ხარისობრივად ნამდვილად არაა ასე. ეს კომისიას უნდა გაეთვალისწინებინდა, მაგრამ არ გაითვალისწინა. იგი კვლავ კედელთან აღმოჩნდა, მაგრამ მას ეს არ ანალვლებს – მთავარია მისთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანოს, რასაც, სხვათა შორის, აკეთებს კიდეც. სამართლიანობის, ობიექტურობის, გრძნობა მას დაკარგუ-

ლი აქვს, მას მიკერძოება ამოძრავებს.

ე) კომისიის აზრით, თითქოს მე ვერ შევძელი დამეზუსტებინა ჩემი წიგნის „ისტორიოგრაფიული ეტიუდების“ უანრი. მე აღვნიშნე, რომ წიგნის ერთი დიდი მონაკვეთი, რომელსაც ევროპული კონტექსტი გააჩნია, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა და ამ თვალსაზრისით ის დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოდგება-თქო. სხვათა შორის, ამას არც კომისია უარყოფს და დასძენს „წიგნი გამოდგება დამხმარე სახელმძღვანელოდ“ (გვ. 256). ამ ნაწილს გააჩნია შემეცნებითი დატვირთვა, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათს ატარებს და კომპილაციას წარმოადგენს, რასაც კომისიაც აღიარებს.

წიგნის მეორე ნაწილი კი კვლევით ხასიათს ატარებს. ეს სიახლეა, ქართული კონტექსტი გააჩნია და აღნიშნული საკითხების შესწავლის პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. საინტერესოა, რომ ამას კომისიაც აღიარებს: „ნაშრომში მრავლადაა გაბნეული ავტორის ორიგინალური კვლევის შედეგები“, (იხ. გვ. 256) მაშინ რას მერჩის კომისია, რა უნდა ჩემ-გან, რას მედავება? მე რაც შემეძლო გავაკეთე, გაუგებარია რატომ დარჩა კომისიამ უკმარისობის გრძნობა. მას ყოველნაირად სურს დააკნინოს, ჩემი წიგნის „ისტორიოგრაფიული ეტიუდების“ მნიშვნელობა. კომისიის არგუმენტაცია ძალზე წინააღმდეგობრივი და ალოგიკურია და მიზნად ისახავს ჩემი წიგნის „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“ შეუფასებლობას. არის თუ არა ეს მიკერძოება? რა თქმა უნდა, დიახ.

ეს გახლავთ მონოგრაფია, რომელიც დამხმარე სახელმძღვანელოდაც შეიძლება იქნას გამოყენებული. ის მიზნად ისახავს გააშუქოს ისტორიის თეორიული საკითხები, ისტორიოგრაფია, ისტორიის ფილოსოფია, ისტორიის მეთოდოლოგია. ეს თემითიკა ორი კუთხით განვიხილეთ. პირველი ევროპული კონტექტი. მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და კომპილაციას წარმოადგენს, მეორე ნაწილი კვლევითი ხასიათისაა, სიახლეა, ქართული კონტექსტი გააჩნია

და აღნიშნული პრობლემის შესწავლის პირველ თუ არა ერთ-ერთი პირველ მცდელობად გვევლინება, არის აქ რაიმე გაურკვეველი, ვფიქრობთ, არა. მაშ რა ვერ გაარკვია კომისიამ? მას არ სურს საქმის ობიეტურად გამოკვლევა. ობიექტური სურათის დადება. მას სურს მისთვის სასურველი კანდიდატის გაყვანა. რასაც აკეთებს კიდეც. ის კომისია კი არა მხარეა, აი ეს არის რეალობა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ.

ვ) კომისიამ, რომელმაც პირდაპირ მიკროსკოპში გაატარა ჩემი წიგნი „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“ და ყველაფერი გააკეთა მისი შეუფასებლობისათვის, როგორ მოიქცა ჩემი კონკურენტის ნაშრომის მიმართ? ეს, ვფიქრობთ, საინტერესოა. დიამეტრიალურად საპირისპირო სურათი იკვეთება. კომისია მისი 20 გვერდიანი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის მიმართ, რომელიც კომპილაციას წარმოადგენს და შემეცნებითი დატვირთვა გააჩინია, უაღრესად კეთილგანწყობილი აღმოჩნდა და ქებად დაიღვარა და შეეცადა სამეცნიერო გამოკვლევად წარმოეჩინა. ერთ შემთხვევაში კვლევითი ელემენტების როლი დაკნინებულია, ხოლო მეორე შემთხვევაში კი უსაშველოდაა გაზვიადებული, რაც იმით აიხსნება, რომ კომისიას მისთვის სასურველი სურათი სურს დადოს, რაც გაკეთა კიდეც. ორივე შემთხვევაში საქმე გავქვს არაადეკვატურ მიდგომასთან – ერთ შემთხვევაში ჩემი წიგნის „ისტორიოგრაფიული ეტიუდების“ შეუფასებლობასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში – მისი სტატიის მნიშვნელობის ჰოპერბოლიზაციასთან, გაზვიადებასთან. ეს იმით აიხსნება, რომ კომისიამ სამართლიანობის დადგენა კი არ სურს, არამედ მისთვის სასურველი კანდიდატის გაყვანა, რასაც აკეთებს კიდეც.

პირადად ჩვენ ერთი ოცგვერდიანი კომპილაციური ხასიათის სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის გატანა პროფესორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში უხერხულად გვეჩვენება. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემს კონკურსანტს არც ერთი სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა, მონოგრაფია არც ისტორიაში, არც

ისტორიოგრაფიაში და არც ისტორიის თეორიაში და დიდაქტიკა-ში არ გააჩნია. ერთია ამბიცია, სულ სხვაა რეალობა. ის კომისიას კონკურსიდან უნდა მოეხსნა, რადგან მის მიერ წარმოდგენილი ოცგვერდიანი სამეცნიერო-პოპულარული სტატია არ წარმოადგენდა მეცნიერულ გამოკვლევას. აქ კანონი მკაცრი უნდა იყოს და ასეთი კონკურსანტი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაშვებული არ უნდა იქნას. კომისია, ცხადია, ასე არ მოიქცა და ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია. მას ხომ მისთვის სასურველი კანდიდატის გაყვანა სურს და არა სიმართლის დადგენა. ასეთია სამწეხარო რეალობა და მას ვერსად გაექცევი. მე ან სხვა ვინმე რომ ყოფილყო მაშინ ხომ მოხსნიდნენ კონკურსიდან? კონკურსში გამარჯვებაზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია, საქმე გვაქვს, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, უნივერსიტეტში ფართოდ ფეხმოკიდებული ნეპოტიზმის გამოვლინებასთან. არის თუ არა ეს შერჩევითი სამართალი, რომელიც დამახასაითებელი იყო ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმისათვის? ვფიქრობთ, კი, მაშ რა არის ორმაგი სტანდარტი? საინტერესოა ალინიშნოს, რომ კომისიამ ისე „ნაყოფიერად“ იღვანა, რომ მას ერთ ჩვეულებრივ ამონა-რიდზე ერთი სტატია შეიძლება დაიწეროს. ბრავო კომისიას!.

აბა რა შეისწავლა?! არც არაფერი. კომისიის არაობიექტურობა და მიკერძოება არაკომპეტენტურობაში გადაიზარდა. ამაზე მეტი მიკერძოება რა შეიძლება იყოს? ხომ არ დაკარგა კომისიამ რეალობის გრძნობა? ის ცდილობს უსაშველოდ გააბუქოს ამ სფეროში მისი წვლილი. ეს, რა თქმა უნდა, მიუღებელია. ახლა მოდით, ვნახოთ, რა ხდება რეალურად. მართლაც, მის ნაშრომში „ისტორიული მეცნიერება და ისტორიული ჰერმენევტიკა“ მოხმობილია ამ თემაზე არსებული მდიდარი უცხოური ლიტერატურა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი ნაშრომის დადებით მხარედ მიგვაჩნია. უცხო ენების ცოდნა მისი, როგორც ისტორიკოსის პლუსია. ამავე დროს, როგორც არაერთხელ აღვინიშნავს, მას ძალიან კარგად ეხერხება ერუდიციის მტვრის დაყენება. მაგრამ ეს მტვერი რომ გაიფანტება, რეალურად ხელში რა დაგვრჩება? ეს არის თვალე-

ბში კიდევ ერთხელ ნაცრის შეყრა, რაც სხვათა შორის, მას ასევე ძალიან კარგად გამოუდის. მის წვლილს აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციის საქმეში, ცხადია, არავინ არ უარყოფს, მაგრამ, ამ ოთხი ნაშრომის, რომელიც სულ 55 გვერდია, მეცნიერული ღირებულებაზე აქცენტირება გადაჭარბებული უნდა იყოს. ცხადია, არ ღირს, ის არ წარმოადგენს მეცნიერულ გამოკვლევას, როგორც ამას კომისია ცდილობს წარმოაჩინოს. ეს შრომები სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს, შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩინია და კომპილაციას წარმოადგენს. ამ პრობლემის პოპულარიზაციის საქმეში მის დამსახურებას, ცხადია, არავინ უარყოფს. კომისიის მცდელობა სასურველი შესაძლებლად წარმოაჩინოს ძირშივე მცდარია და ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველსაა მოკლებული. არაკომპეტენტურობა, არაპროფესიონალიზმი მიკერძოების და არაობიერტურობის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. ფაქტობრივად, სრულიად უგულებელყოფილი, იგნორირებულია, ამ თემაზე არსებული უახლესი რუსული და ქართული ლიტერატურა რასაც მისდამი კეთილგანწყობილი კომისია, ცხადია, დუმილით უვლის გვერდს. ამ საკითხში ქართული ისტორიოგრაფიის წვლილისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ვთიქორობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს და, ჩვენი აზრით, ორი გარემოებით შეიძლება არის გამოწვეული: ის ან არ იცნობს ამ ლიტერატურას, ან შეგნებულად უვლის გვერდს. ამით ის ცდილობს ქართულ საზოგადოებას ისეთი წარმოდგენა შეუქმნას, თითქოსდა ქართულ ენაზე ამ თემაზე არაფერი არ უნდა იყოს დაწერილი. ცხადია, ეს სწორი არაა! [16 367-368 2 104-108].

უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ისტორიოგრაფიას აღნიშნული საკითხის შესწავლის საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩინია და ამ თემაზე ძალიან მდიდარი ლიტერატურა არსებობს. ეს, რა თქმაუნდა, რატომლაც კვლავ კომისიის თვალსაწიერს მიღმა აღმოჩნდა, რადგან ასე ანყობდა. მათი პროფესიული კომპეტენცია მათსავე არაობიერტურობას შეეწირა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ თემას ეხებოდა საბჭოთა

ისტორიოგრაფია. კონკრეტულად, ვგულისხმობთ გადამწერს, რომელზედაც ხშირად აპელირებს ჩემი კონკურენტი, და, ამ საკითხს, ცხადია, მარქსისტული პოზიციებიდან აშუქებდა [17 78, 80, 95, 153, 221, 234]. ამ კუთხით საკითხის განხილვა, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა და შინაარსობრივად გაამდიდრებდა მის საინტერესო ნაშრომს, მაგრამ ის ასე არ იქცევა. ის თავის ნაშრომში ამ თემას გვერდს უვლის, რაც, ჩვენი აზრით, მისი ნაშრომის აქილევსის ქუსლად შეიძლება მივიჩნიოთ. აი, ეს ოთხი კომპილაციური ხასიათის ნაშრომი კომისიამ წარმოაჩინა როგორც მეცნიერული გამოკვლევა: „ნაშრომში მოცემულია ისტორიის თეორიის მნიშვნელოვანი პრობლემების მაღალპროფესიული მიმოხილვა უახლესი სამეცნიერო ლიტარატურასა და საკუთარ კვლევებზე დაყრდნობით“. ფაქტობრივად, კომისიამ ის ქართულ რეალობაში ისტორიის თეორეტიკოსად გამოაცხადა. ეს თვით დიდ ივანე ჯავახიშვილზეც არ თქმულა. კომისია აშკარად არაადეკვატურია. ის მოწყდა რეალობას და ვირტუალურ სამყაროში ამოყო თავი. გონს მოდით, ბატონებო, სადამდე მიდის თქვენი არაობიექტურობა! კომისიის საქმიანობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“. რომელ „საკუთარ შრომებზეა“ ლაპარაკი? სულ ოთხი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომია, რომელიც 55 გვერდს არ აღემატება? კვლავ სიტყვების უპასუხისმგებლო რახარუხთან გვაქვს საქმე. ეს კომისიის მუშაობი სტილია.

მაშ ასე. წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით კომისიის დასკვნებს არანაირი საფუძველი არ გააჩნია, ელემენტარული ტყუილია. ზნეობრივი პოზიციებიდან კი კომისიის მოქმედება არაეთიკურია. ის ცდილობს სასურველი სინამდვილედ წარმოაჩინოს და როგორმე დააკმაყოფილოს ჩემი კონკურენტის კაპრიზები. მისი მიზანი კონკურსის ობიექტურად, სამართლიანად ჩატარება კი არა, მისთვის სასურველი კანდიდატის გაყვანაა. კომისიის არაობიექტურობამ და მიკერძოებამ გამოიწვია მისი არაკვალიფიცირებულობა, არაკომპეტენტურობა, არაპროფესიონალიზმი. რაც

ლაიტმოტივად გასდევს კომისიის მთელ საქმიანობას. ძველი ინერცია ჯერ კიდევ ძლიერია. ძველი მენტალიტეტი კვლავინდებურად პრიორიტეტულია. საბჭოთა რეალობიდან არც ისე შორს წავსულვართ, როგორც გვგონია. აი ეს გახლავთ რეალობა. არც არაფერს ვალამაზებთ და არც არაფერს ვამუქებთ.

კომისია მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისაგან ისტორიის თეორიას და ისტორიოგრაფიას. ეს სწორი არაა. ისტორიოგრაფია ისტორიის თეორიის შემადგენელი ნაწილია. ეს არის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომელიც ბავშვმაც კი იცის. იცის კომისიამაც, მაგრამ ეს მას ხელს არ აძლევს, რადგან მაშინ მისთვის სასურველ კანდიდატს ვერ გაიყვანს. კომისიისათვის მთავარი აი ეს გახლავთ და არა სიმართლე. ეს კომისიას ყველაზე ნაკლებად აინტერესებს. მიკერძოებას, არაობიექტურობას კი არაკვალიფიცირებულობამდე, არაკომპენტენტურობამდე მივყავართ. ისტორიოგრაფია ისტორიის თეორიის შემადგენელი ნაწილია. (14.4) ამგვარი ნაბიჯი, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და მიზნად ისახავს ჩემი შრომების რაოდენობა მკვეთრად შეამციროს და არაადეკვატური სურათი დახატოს.

ამ საქმის მთავარ სულისჩამდგმელად კომისიის მდივანი მოგვევლინა. ის გარეგნულად ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ინტელიგენტობით, მიუკერძოებლობით. სინამდვილე კი სულ სხვა აღმოჩნდა. ამ გარეგნული ობიექტურობის მიღმა იმალება უკიდეგანო ცინიზმი და პრიციპი – „მე ასე მსურს“. ერთმა ჩემმა მეგობარმა მას ზედმინევნით ზუსტად უწოდა „არაობიექტურობის მეტრი“. მთელი ეს საქმე, ვფიქრობთ, სწორედ ამაზე უნდა მეტყველებდეს. ალბათ, ურიგო არ იქნებოდა მისთვის, როგორც ძველი ისტორიის სპეციალისტისთვის შეგვეხსენებინა არისტოტელეს სიტყვები: „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია“. მისთვის ჭეშმარიტება არაფერია, ცარიელი სიტყვებია. როგორც ჩანს, მან, როგორც ძველი ისტორიის სპეციალისტმა, დაივიწყა ეს. ეს იყო სერიოზული ტესტი თქვენს წესიერებაზე, რომელიც თქვენ ვერ ჩაბარეთ. ეს არაა მარტო ჩემი აზრი. თქვენ უყოყმანოდ დააყენეთ

თქვენი პირადი ინტერესები უნივერსიტეტის ინტერესებზე მაღლა და ასე პირველად არ მოქცეულხართ. თქვენს ქმედებას ძალიან კარგად მიესადაგება მუსოლინის სიტყვები: „მეგობრებს ყველაფერი. დანარჩენებს – კანონი“. ესაა თქვენი მენტალობა. როდესაც თქვენ გჭირდებოდათ, ამაზე ნაკლები დანაშაული არ აპატიეთ პროფ. ეკა ავალიანს და ის თავიდან მოიშორეთ. ეს ერთი შემთხვევაა. არის მეორე შემთხვევა. როდესაც თქვენ დაგჭირდათ, მაშინ ამაზე დიდ დანაშაულზე დახუჭეთ თვალი. აი ასეთია თქვენი მენტალობა. ეს გახლავთ ორმაგი სტანდარტი, რომელიც ბოლშევიკური ზნეობის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია. ბოლშევიკური მენტალიტეტი კვლავ ძლიერია.

ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი, რატომ იცავს ასე თავგა-მოდებით კომისიის მდივანი ჩემს კონკურენტს? სამართლიანობის გამო რომ არ მფარველობს, ამაში ერთი წუთითაც არ გვეპარება ეჭვი. მაშ რაშია საქმე? ამ კითხვაზე პასუხი ღიად რჩება. მხოლოდ მეგობრობა აქ არაფერ შუაშია. რა კომპრომატი გააჩნია ჩემს კონკურენტს ისეთი, რომ კომისიის მდივანი ხმას ვერ იღებს და მისი კაპრიზების უსიტყვო შემსრულებლად გვევლინება? როგორც ჩანს, იმდენად ძლიერი კომპრომატები უნდა ჰქონდეს, რომ კომი-სიის მდივანი, მის სურვილებს უსიტყვოდ ასრულებს და, ფაქტო-ბრივად, მის ხელში კომისიის წევრად კი არა, უბრალო მარიონე-ტად იქცა. ამ შემთხვევაში ის მხარედ გვევლინება. აი ეს გახლავთ რეალობა.

ალბათ, ყველაფერი ეს არ მოხდებოდა, პრინციპული პოზი-ცია რომ დაეკავებინა კომისიის თავმჯდომარეს, მაგრამ მან ვერ შეძლო ამის გაკეთება. ის მთლიანად კომისიის მდივნის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ 2014 წლის 17 ივლისს აკადემიური საბჭოს სხდომაზე საკითხი გაიტანა არა კო-მისიის თავმჯდომარემ, არამედ – მდივანმა. ეს კომისიის თავმჯ-დომარის სრული კაპიტულაცია იყო.

ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ შეგხებოდით თუ არა ამ საკითხს და ბოლოს მაინც გადავწყვიტეთ მასზე ორიოდე სიტყვა გვეთქვა. ეს

კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ატმოსფეროს, როდესაც ელემენტარული ტყუილის თქმა სირცხვილად არ მიაჩნიათ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ეს არ გახლავთ მხოლოდ პირადი ანგარიშსწორება, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. მას მეცნიერული დატვირთვა გააჩნია და მისი შემოქმედების შეფასების პირველ მცდელობად გვევლინება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარი გვექნება ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატ დოცენტ ლალი ფირცხალავაზე.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მის დამსახურებად მიგვაჩნია: 1. მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად საგანგებოდ შეისწავლა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ევროპის ახალი ისტორიის აქტუალური საკითხები და ხაზი გაუსვა, რომ გაზეთში გამოქვეყნებულ მასალას, არა მარტო შემეცნებითი მნიშვნელობა, არამედ ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია. თუ როგორ აფასებდა გაზეთი „ივერია“ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებს. ეს იყო მისი საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც 1990 წლის 30 მარტს წარმატებით დაიცვა. ეს იყო ერთი კარგი საქმე, რომელიც მან გააკეთა. ვფიქრობთ. სასურველი იყო ამ ნაშრომის წიგნად გამოცემა, მაგრამ ის რატომლაც ასე არ მოიქცა.

2. მეორე კარგი საქმე, რომელიც მის სახელთან ასოცირდება გახლავთ ის, რომ მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად დაწერა სახელმძღვანელო ისტორიული მეცნიერების შესავალში. ეს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მისი დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან სტუდენტებს მოკლედ, ლაკონიურად, მაგრამ შინაარსიანად მოუთხრო დამხმარე ისტორიულ დისციპლინაზე. ისტორია რთული მეცნიერებაა. ისტორია არ არის წარსულში იოლი გასეირნება, წარსულში მომხდარი ფაქტის დადგენა ძნელია და ისტორიკოსისა-გან მოითხოვს დიდ ერუდიციასა და ძალისხმევას. ლალი ფირცხალავას სახელმძღვანელო „ისტორიული მეცნიერების შესავალი“ XX საუკუნის მიწურულს ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია. წიგნის სატიტული ფურცელზე გაკეთებული განცხადება, თითქოს

ეს იყოს მონოგრაფია ძალიან პრეტენზიულად გაისმის და ამბიციურად მიგვაჩინია.

3. მსოფლიო ისტორიის ახალი ტიპის სასკოლო სახელმძღვანელოების შედეგენაში ჩართვა კიდევ ერთი კარგი საქმეა, რომელიც მან გააკეთა. მან პროფ. კოტე ანთაძესთან ერთად დაწერა შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო, ხოლო მერაბ კალანდაძესთან და ნაირა მამუკელაშვილთან ერთად დაწერა X კლასის ისტორიის სახელმძღვანელო. აღსანიშნავია, რომ ის ნინო კილურაძესთან ერთად ახლაც აქტიურადაა ჩაბმული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში. მაგრამ ეს თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. მან დაწერა კიდევ რამდენიმე ნაშრომი, რომელსაც წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია, სამეცნიერი პოპულარულ ხასიათს ატარებს და კომპილაციას წარმოადგენს. მან ყველაზე ღირებული შექმნა სწორედ პროფ. კოტე ანთაძის ხელმძღვანელობით (2. 102-109). პროფ კ. ანთაძის გარდაცვალების შემდეგ კი მას ღირებული არაფერი შეუქმნია. მისმა მეცნიერულმა პროდუქტიულობამ მკვეთრად იყო, მან როგორც მკვლევარ-ისტორიკოსმა ხომ არ ამონურა თავისი მოკრძალებული პოტენციალი? საინტერესოა ეს ადამიანები რა კონკურსებში გადიან? სრული ქაოსია. მეტი დაფიქრებაა საჭირო. მე არაფერი დამიშავებია ქ-ნ ლალისთავის, მივეცი მსვლელობა მის საკანდიდატო დისერტაციას. ვიყავი მისი სახელმძღვანელოს „ისტორიული მეცნიერების შესავალი“ რეცენზენტი. ერთი წამითაც არ ვამადლი მას ქ-ნ ლალის, მაგრამ მინდა ხაზი გაუსვა მისი ხასიათის ერთ თვისებას. ეს უმადურობაა. თქვენ აკადამიურ დონეზე გაცილებით უფრო დაბალია თქვენი ზნეობრივი სახე და ეს მე ყურმოკვრით კი არ ვიცი, არამედ საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. ობიექტურობით მაინც და მაინც არ გამოირჩევით.

2016 წელის 14 აპრილს სასამართლოში ბრძანეთ, თითქოს არ იცოდით, რომ იყავით ჩემი სახელმძღვანელოს „გერმანიის ისტორია, კულტურა და გეოგრაფია“ რეცენზენტი და თურმე ეს

მე თქვენი თანხმობის გარეშე გამიკეთებია. ეს გახლავთ მტკნარი სიცრუე. რაში მჭირდებოდა ამის გაკეთება? თქვენი თანხმობის გარეშე თქვენი გვარი ვერაფრით ვერ მოხვდებოდა წიგნის სატიტულო ფურცელზე. თქვენ შეგნებულად იცრუეთ და დააკმაყოფილეთ თქვენი მეგობრის ქ-ნ ნინო კილურაძის კაპრიზები. ფაქტობრივად, თქვენ სასამართლოს ყალბი ჩვენება მიეცით. არის თუ არა ეს დანამაული? მაგრამ თქვენ იცით, რომ მე არ გიჩივლებთ, ამის გამო და თავს არხეინად გრძნობთ. რატომ ახლა, თოთხმეტი წლის შემდეგ, გაგახსენდათ ეს ამბავი? თუ ეს მართლაც ასე იყო, როგორც თქვენ ამბობთ, რატომ თავის დროზე არ ატეხეთ განგაში? კითხვები ძალიან ბევრია, მაგრამ მასზე დამაჯერებელი პასუხი არ ჩანს, რადგან ასეთი არგუმენტი ბუნებაში არ არსებობს, თქვენ ტყუილს ლაპარაკობთ.

პროფ. კოტე ანთაძეს აღელვებდა კათედრის მომავალი და აფიქრებდა მისი ფემინიზაცია, რასაც გააჩნდა თავისი ობიექტური მიზეზები. ეშინოდა, რომ ამას არ მოყოლოდა კათედრაზე განხეთქილება, ეს მართლაც ასე მოხდა, რამაც ძალიან ატკინა გული და ამ ქვეყნიდან გულნატკენი წავიდა. განხეთქილების მთავარ ინიციატორად კი, როგორც ის ვარაუდობდა, სწორედ ქ-ნ ნინო კილურაძე და მისი ერთგული მეგობარი ქ-ნ ლალი ფირცხელავა მოგვევლინენ. ღვაწლმოსილ მეცნიერს ალლომ არ უმტყუნა.

პროცედურული დარღვევების არარსებობა არაფერს არ ნიშნავს. აქ საქმე ეხება კომისიის არაკვალიფიცირებულ მუშაობას, მის არაობიექტურ დასკვნებს, რომელმაც შედეგზე მოახდინა გავლენა. ეს ხარვეზები, შესაძლოა, კონკურსის შედეგების ბათილად ცნობას იმსახურებდეს. არავითარ შემთხვევაში კომისია არ უნდა დაკომპლექტდეს კონკურსანტის სურვილისამებრ, მაგრამ იგი დაცული უნდა იქნას კომისიის არაობიექტურობისაგან, რასაც ადგილი ჰქონდა ამ შემთხვევაში.

უთუოდ, დასახვენია კანონი. თუ კონკურსანტი პლაგიატი იყო და არსებული კანონმდებლობის თანახმად ის დაითხოვეს უნივერსიტეტიდან, ლოგიკური იქნებოდა კომისიის მუშაობის ბათილად

ცნობა. მან თვალი დახუჭა პლაგიატზე, რამაც შედეგზე მოახდინა გავლენა. კომისიას ის უნდა მოეხსნა კონკურსიდან, მაგრამ ის ასე არ მოიქცა, უფრო მეტიც, გაამარჯვებინა მას. ალბათ, ეს არის უნიკალური შემთხვევა, როდესაც კომისიამ გამარჯვებულად გამოაცხადა კონკურსანტი, რომელიც პლაგიატში იყო ეჭვმიტანილი და მას ანალოგი ძალზე ძნელია მოეძებნოს. ყოჩალ, კომისია!

კომისიის თვითნებობასა და, არაობიექტურობას, არ გააჩნია საზღვარი. მან უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს აღნიშნულ საკითხზე არაადეკვატური სურათი დაუხატა. ფაქტობრივად, საბჭო შეცდომაში შეიყვანა. არ არის ეს დანაშაული? შეიძლება ითქვას, რომ კომისიამ ვერ გაამართლა ის იმედები. რომელსაც მასზე ამყარებდა უნივერსიტეტი. მან საჯაროდ შეირცხვინა თავი. აი, ეს არის მწარე სიმართლე, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ.

პროფესორების შვილებმა სცადეს ჩემთვის გადაერბინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ისინი ვერასოდეს ვერ გაიგებენ უსამართლო მოპყრობით გამოწვეულ გულისტკივილს, რადგან მამიკონების ზურგს უკან ყოველთვის კომფორტულად გრძნობენ თავს. რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება. ცხადია, მათ შორის არიან ლირსეულები და მათ წინაშე ბოდიშს ვიხდი. ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით ჩემნაირი უპატრონო ადამიანებისათვის უნივერსიტეტი დედინაცვლად იქცა. ნუუუ ეს დაიბარა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა? თუმცა ეს უკვე ვიღას ანალვლებს. რა დროს ჯავახიშვილია!

ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიაში ეს იქნება უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც საკონკურსო კომისიამ ყველაფერი უგულვებელყო და მოქმედებდა პრინციპით – „მე ასე მსურს“. ამას ზღვარი უნდა დაედოს. ასე მეტი აღარ შეიძლება გაგრძელდეს. უნივერსიტეტის ინტერესების იგნორირება არავის ეპატიება. მე რომ გამეკეთებინა ეს, ხომ გამაგდებდნენ უნივერსიტეტიდან? ორმაგი სტანდარტი სხვა მეტი რა არის? არის თუ არა ეს ნეპოტიზმის გამოვლინება? ჩვენი ღრმა რწმენით, ეს არის ქრესტომათიული

ნიმუში იმისა, თუ როგორ არ უნდა იმუშაოს საკონკურსო კომისიამ. რა თქმა უნდა, კონკურსების ჩატარების წინააღმდეგი არავინაა. კონკურსების ჩატარებას ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ, ცხადია, სასურველია სამართლიანობის ელემენტარული ნორმები მაინც იქნას დაცული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეცნიერებაში და არა მარტო მეცნიერებაში, ქვეყანაშიც, წესრიგს ვერასოდეს დავამყარებთ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკონკურსო კომისიის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ მხრივ უნივერსიტეტში მიმდინარეობს მუშაობა. ეს ძალიან კარგია. სისტემა დასახვენია და არა უარსაყოფი.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა სამართლიანობა აღედგინა (იხ. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება 9, 2015, 22 იანვარი, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 3, 2015. 17 მარტი, გვ. 10). ყველაფერი ეს პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც, ჩრდილს აყენებს საკონკურსო კომისიის საქმიანობას და კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს მისი გადაწყვეტილების ობიექტურობასა და კომპეტენციას. კომისიის დასკვნები არის ცალმხრივი და უაღრესად ტენდენციური, რომელმაც გავლენა მოახდინა შედეგზე. კომისიამ არაფერი შეისწავლა. მან უბრალოდ ჩემი კონკურენტის კაპიტალიზაციის დაკამაყოფილა და საბჭოს ყალბი ინფორმაცია მიანოდა. მისთვის სასურველი სურათი დადო. არის თუ არა ეს დანაშაული? სხვა რა არის სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება? სამსახურებრივი სიყალბე?!

საკონკურსო კომისიის მდივანს ძალიან უყვარს ისტორიული ნაშრომის ჟანრის დადგენა. საინტერესოა რომელ ჟანრს მიაკუთვნებდით ამ საქმეს. უარყოფითი ეპითეტების მეტად ფართო არჩევანი გაქვთ და ნეტავი, რომელს მიანიჭებდით პრიორიტეტს?

სხვათა შორის, ჩვენ ნინო კილურაძეს კონკურსი ორჯერ მოვუგეთ. ერთხელ, 2008 წელს ასისტენტ-პროფესორის ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში და მეორეჯერ 2012 წელს ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. მაშინ კო-

მისი შემადგენლობა სულ სხვა იყო და, როგორც ჩანს, უფრო ობიექტურიც. ყოველ შემთხვევაში, თვლა მაინც არ ეშლებოდათ. ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა. კომისიის მდივანი არ იყო არცერთ კომისიაში, რადგან თვითონ იყო კონკურსანტი.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ თუ არა ქ-ნ ნინო კილურაძის უკიდეგანო ამბიციები, ის დღესაც ჩვენ კათედრაზე იქნებოდა, როგორც აქამდე და ეს კონფლიქტი არ მოხდებოდა. მაგრამ ასე არ მოიქცა და სხვა გზა აირჩია. ეს მისი ნებაა. 2006 წელს ის ვერ გავიდა სრული პროფესორის ვაკანსიის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში და მისი ამბიცია დაუკმაყოფილებელი დარჩა. ის ვერ გახდა კათედრის გამგე. ეს იმიტომ მოხდა, რომ მისი მეცნიერული მემკვიდრეობა მეტად მოკრძალებულად გამოიყურება, არ აქვს არც ერთი სერიოზული ნაშრომი. მაგრამ ამის გაცნობიერება მას არ სურს და ცდილობს ყველაფერი კომისიის არაობიექტურობას დააბრალოს. ერთია ამბიცია და სულ სხვაა რეალობა. დევნილის მანტიის მორგება ადვილია, მაგრამ მას არავინ არ დევნის. რაც ხარ, გვინია იმაზე მეტი. ამას მედიცინაში მეგალომანია ჰქვია. დიდი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ამბობდა: „ჩვენ ვართ არა ის, რასაც ვლაპარაკობთ, არა-მედ ის რასაც ვაკეთებთ“. სერ უინსტონ ჩერჩილი კი დასძენდა: „ტყუილი ასწრებს ნახევარი მსოფლიოს შემოვლას, მაშინ როცა სიმართლე შარვალს იცვამს“. ალბათ, დადგა ეს დროც. თუ მას სამართლიანად მოექცნენ ერთ ამბავს ატეხავს, ხოლო თუ თვითონ უსამართლოდ მოექცა ვინმეს ეს მისი აზრით, სამართლიანია. აი, ეს გახლავთ მისი მენტალობა.

ამ გახმაურებული საქმის რეზიუმე ასეთია: ა) კომისიამ თავიანთ მეგობარს დათვური სამსახური გაუნია და მას უნივერსიტეტმა როგორც პლაგიატს, კონტრაქტი გაუწყვიტა. ფაქტობრივად, ისინი ამაოდ დაშვრნენ. ბ) ამ სტრიქონების ავტორს ნერვები დააწყვიტეს და ვინ იცის რამდენი ხნის სიცოცხლე დააკლეს. გ) საკუთარი ინტერესები საერთო საქმეზე მაღლა დააყენეს და უნივერსიტეტის ინტერესები უგულებელყვეს. დ) მათ ავტორი-

ტეტს სამეცნიერო საზოგადოების თვალში ჩრდილი მიადგა და საგრძნობლად დაეცა. ალბათ, ყველაზე მეტად სწორედ ეს აწუხებთ, მაგრამ ამაზე ცოტა ადრე უნდა ეფიქრათ. ახლა თითზე კბენა გვიანია.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს შემთხვევითი არ ყოფილა და ავადმოსაგონებელი 30-იანი წლების შორეულ ექოდ გაისმა. ვინმე ითიქრებს, რომ რაღაცას ვაჭარბებთ, მაგრამ, ვფიქრობთ, არა. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ამ კომისიას უფლება რომ ჰქონოდა, ფიზიკურადაც გამისწორებლნენ ანგარიშს. მე სუბიექტურად ასე მგონია, და, ალბათ, არ ვცდები. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ძველი ინერცია ისევ ძლიერია და ძალუმად იგრძნობა.

ყველაფერი ეს, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, შემთხვევითი არ ყოფილა და პოსტსაბჭოთა პერიოდში ჯერ კიდევ ძველი ინერციით შემორჩენილი საბჭოთა რეალობის გამოძახილია. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება და ის, პირველ ყოვლისა, იმ არსახარბიელო მემკვიდრეობის ლოგიკური შედეგია, რომელიც უნივერსიტეტს საბჭოთა ხელისუფლებამ, დაუტოვა. ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით უნივერსიტეტის თავდაპირველმა ფუძემდებლურმა პრინციპებმა მკვეთრი დეფორმაცია განიცადეს, რაც, უნინარესად, იმით გამოიხატა, რომ თავდაპირველი ეროვნული და სულიერი ფასეულობები თანდათან ნელ-ნელა, სულ უფრო უკან პლანზე გადადის და ის ახალმა, მატერიალურმა, ღირებულებებმა ჩაანაცვლეს. მოუხედავად ამისა უნივერსიტეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბოლშევიკებმა მაინც ვერ შეძლეს მასში ეროვნული სული ბოლომდე ჩაეკლათ. 1978 წლის 14 აპრილის და 80-იანი წლების მიწურულიდან ამბები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს, ამიტომ უნივესიტეტისკენ თითის გაშვერა, განტევების ვაცად უნივერსიტეტს გამოყვანა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ბოლო წლებში, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, ზედაპირზე ძევს, აისბერგის ზედახილული ნაწილია. განსაკუთრებით მტკიცებულად მიგვაჩნია ის გარემოება,

რომ ძველი ინერცია ჯერ ისე ძლიერია, ძველი მენტალიტეტი ისევ ისე პრიორიტეტულია, პოზიციებს არ თმობს. ჩვენი მენტალობა არ შეცვლილა, თანამედროვე საქართველოს ძნელბედობის გასაღები სწორედ აქ უნდა ვეძებოთ.

უნივერსიტეტი ოაზისს არ წარმოადგენს. ის იმ სახელმწიფოს მინიატურაა რომელშიც მას ფუნქციონირება უხდება. დიდი ხნის განმავლობაში უნივერსიტეტი განიცდიდა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერ ზეწოლას, რამაც განაპირობა მისა ფუძემდებლური პრინციპების დეფორმაცია. ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით უნივერსიტეტს ძალით მოახვიეს თავს არაერთი უკეთურობა, რომელიც მისთვის უცხო იყო. უნივერსიტეტის მთელი ისტორია მის საქმიანობაში სახელმწიფოს უხეში ჩარევის უარყოფითი შედეგის საუკეთესო ნიმუშია. ბოლშევიკებმა, მართალია, ვერ გაბედეს უნივერსიტეტის დახურვა, მაგრამ მის გაუკუდმართებაში ლომის წილი დაიდეს. „რასაც დასთეს იმას მოიმკი“ – ესაა მწარე სიმართლე.

გუმანით ვგრძნობთ, რომ ჩემი ოპონენტები იტყვიან, აი, ნახეთ, უნივერსიტეტს ებრძვისო. სინამდვილეში ეს ასე არაა. რა თქმა უნდა. მე გული მტკივა უნივერსიტეტის დღევანდელ მდგომარეობაზე, მაგრამ მე არ ვებრძვი უნივერსიტეტს. მკითხველმა, ალბათ, კარგად დაინახა, რომ ჩემს უკმაყოფილებას კონკრეტული ადრესატი ჰყავს. მე, უნივერსიტეტს კი არ ვებრძვი, არამედ ვებრძვი კომისიას, რომელმაც, ჩვენი აზრით, და, ალბათ, არა მარტო ჩემი აზრით, შეარცხვინა უნივერსიტეტი. აი ეს გახლავთ რეალობა და ყოველგვარი ინსინუაციები უადგილოა. მე ვებრძვი არა უნივერსიტეტს, არამედ იმ უკეთურობას, რომელმაც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით ფართოდ მოიკიდა ფეხი უნივერსიტეტში და ძველი ინერციით ჯერ კიდევ შემორჩენილია. დღეს მნიშვნელოვანნილად ამის შედეგს ვიმკით. ნეპოტიზმი ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა. სავარაუდო ოპონენტს დიდი ილიას უკვდავი „ჩემო კალამოს“ ბოლო ტაებს გავახსენებდი, თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ სწორად გამიგებენ.

„ჩემზედ ამბობენ ის სიავეს ქართვლისას ამბობს
ჩვენს ცუდს არ ჰმალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულველია,
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს,
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“.

დიდი ილიას გულისტკივილს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. „მე ის მიჯობს“ აღვირაშვებული დაიარება და ის კი „რაც საქმეს უჯობს“, თავჩაღუნული დადის“. კომისიის მთელი საქმიანობა, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაციაა. მაგრამ როდემდე? ეს პრინციპული საკითხია. თუ მოუარეთ პირველს, მაშინ გადავრჩებით, თუ ვერა – მაშინ სულ ასეთი უბედური ვიქენებით. „მე ვხედავ იმ სახელმწიფოს მოახლოებულ დასასრულს, სადაც კანონს ძალა არ გააჩნია და იმყოფება ვიღაცის ზეგავლენის ქვეშ“ – დასძენდა ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი. ჯონ ლოკი ამბობდა „სადაც მთავრდება კანონი, იქ იწყება ტირანია“.

მიზანშეწონილად ვცანი ეს მონაკვეთი დამესრულებინა XVII საუკუნის დიდი ფრანგი მოაზროვნის ბლეზ პასკალის სიტყვებით, რომელიც, ჩვენი აზრით, კომისიის საქმიანობის თავისებურ რეზიუმედ გამოდგება: „ვისაც ჭეშმარიტება არ უყვარს. ყოველთვის იპოვის მისთვის ზურგის შექცევის საბაბს, თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ უმრავლესობა უარყოფს მას. ამრიგად, ის განზრას შეგნებულად ცდება. ამ შეცდომის წყარო ესაა მისი გულგრილობა ჭეშმარიტებისა და სიკეთის მიმართ და ამ კაცისათვის არ არსებობს შენდობა“. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენია. კომისიის მოქმედებას შენდობა არ აქვს. მან შეარცხვინა უნივერსიტეტი.

აი ასეთი არასახარბიელო მემკვიდრეობა დაგვიტოვა ტოტალიტარულ-ბოლშევიკურმა რეჟიმმა. არშემდგარ სახელმწიფოს არ შეიძლება ჰქონდეს სანიმუშო უნივერსიტეტი. მთელი ჩვენი ძალისხმევა სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს, პირველ რიგში, ქვეყანა უნდა დავაყენოთ ფეხზე. ამის შემდეგ თანდათან ნელ-ნელა ყველაფერს ეშველება. უნივერსიტეტსაც, მეცნიერებსაც, განათლებასაც, დიპლომზე ორიენტირებული სპეციალიტი არავის დაჭირდება. უბრალოდ მასზე მოთხოვნა აღარ იქნება. გა-

ნათლება გახდება ხარისხიანი. საჭიროა მენტალური ცვლილებები. ამის გარეშე წინსვლა გაძნელდება. ის რაც ხდება უნივერსიტეტში, ცხადია, შემთხვევითი არაა და პოსტსაბჭოთა საქართველოს ყოფის ექოდ გაისმის, მისი ანარეკლია.

საბჭოთა სინამდვილიდან არც ისე შორს ვართ წასული, როგორც გვგონია. ამას კარგად უნდა გაცნობიერება, თორემ წინ წასვლა ძალიან გაგვიჭირდება, ძველი ინერცია ჯერ კიდევ ძლიერია, XVII საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსი ჯეიმზ ჰარინგტონი აღნიშნავდა „როცა სახელმწიფოს საფუძვლები იცვლება, მმართველები კი ამის შესაბამისად, სახელმწიფო შენობის შეცვლას არ ცდილობენ, ხალხი უბედური ხდება“. იქნებ ეს გახლავთ პასუხი ამ კითხვაზე რა ხდება დღეს საქართველოში?

ბიოგრაფიულ მომენტებზე აქცენტირება, ცხადია, შემთხვევითი არაა და ეს, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს მხოლოდ პირად ანგარიშსწორებას. როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ეს ზედაპირზე ძევს. აისბერგის ზედა, ხილული ნაწილია. ეს საკითხი ასეთი ვიწრო კუთხით არ გვაინტერესებს. ჩვენ ვცადეთ მისთვის უფრო ფართო სპექტრშა შეგვეხედა. ვფიქრობთ, ეს უფრო საინტერესოა, ხოლო პირადი გამოცდილება გვეხმარება ამ როტულ საკითხებში ოპერირების დროს. ვცადეთ თავიდან აგვეცილებინა ორივე უკიდურესობა არც არაფერი შეგველამაზებინა და არც რამე გაგვემუქებინა. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით ნაშრომისათვის დაგვერთო დოკუმენტური მასალა, რომელიც ამ სკანდალურ ამბებს ეხება. ეს კიდევ უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს საკითხში და დაეხმარება მკითხველს კარგად დაკვალიანდეს და გაერკვეს მტყუან-მართალ-ში. ეს არ გახლავთ მხოლოდ პირადი ანგარიშსწორება. ამ ფაქტებში კარგად აისახა ის ასახარბიელო მემკვიდრეობა, რომელიც დაგვიტოვა ტოტალიტარულ-ბოლშევიკურმა რეჟიმმა და ის სავალალო მდგომარეობა, რომელიც დღესაა ქართულ მეცნიერებაში. XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ფერისცვალების გასაღები, პირველ ყოვლისა, პოლიტიკურ კატაკლიზმებში უნდა ვეძიოთ. ეს თემა სწორედ ამ ასპექტში გვაინტერესებს და არა, როგორც პირადი

ანგარისწორება იმ ადამიანებთან, რომელიც უსამართლოდ მომექუნენ, ნორმალურ ვითარებაში ეს ასე არ მოხდებოდა.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობას, კონკრეტულად ამ საქმეს, რომელიც საბჭოთა რეალობის შორეულ ექოდ გაისმა, ვიზუალურ კარგად მიესადაგება ფრანგი განმანათლებლის შარლს ლუი მონტესკიეს სიტყვები „არ არსებობს იმაზე უფრო სასტიკი ტირანია, რომელიც სამართლიანობა სახელით ხორციელდება“. ინგლისელი განმანათლებელი ჯონ ლოკის თქმით, „სადაც თავდება კანონი, იქ იწყება ტირანია“. აღორძინების ეპოქის ტიტანი ფრენსის ბეკონი ამბობდა. „როდესაც გემი იძირება, ფარისევლობა ქვემოთ ჩადის და ნაგავი ზემოთ ამოდის“ – „ფარა შებრუნდა და კოჭლი ცხვარი თავში მოექცა“.

თუ გვინდა რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვითარება ერთხელ და სამუდამოდ დალაგდეს, კონკურენტუნარიან გარემოზე გადასვლა უალტერნატივოა. ადრე თუ გვიან ეს ალბათ, მაინც ასე მოხდება და თუ არ მოხდება, მაშინ სულ ასეთი ქაოსი იქნება. არჩევანი ჩვენი გასაკეთებელია, სხვა ჩვენ მაგივრად ამას არ გააკეთებს. უსაშველო არც არაფერი გვჭირს. მთავარია იყოს პოლიტიკური ნება. ვინ აიღებს ამ როლ მისიას საკუთარ თავზე? – აი ეს არის მთავარი საკითხი „მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებთ, რომელსაც ვტირით?“ დიდი ილიას ამ სიტყვებს აქტუალობა დღესაც არ დაუკარაგვს.

მოკლე დასკვნა: კომისიის საქმენს საგმირონს, ჩვენი აზრით, კარგად მიესადაგება ფილიამ შექსპირის ცნობილი ფრაზები „ყოფნა არ ყოფნა – საკითხავი აი, ეს არის“.

ლიტერატურა

1. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
2. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014.
3. მ. კალანდაძე, გადაურჩა ივანე ჯავახიშვილი სტალინურ ტერორს? – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V. თბ., 2012.
4. მ. კალანდაძე, საქართველოზე კაენის სულის აღზევებამ გადაისრიალა – საისტორიო ძებანი, X-XI, თბ., 2008.
5. ვ. გურული, ჯვარცმული უკვდავება და ჯვარმცმელთა სირცხვილი, თბ., 2011.
6. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების განყოფილების დოკუმენტი – „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანების და მეცნიერმუშაკების დახასიათება, – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (ყოფილი პოლიტიკური პარტიების არქივი) – ფონდი 14. საქმე 7817. ფ. 15. გ. ციციშვილი, საიდუმლო დოკუმენტი, ერი, 1991, 9, 27 თებერვალი.
7. ედ. კოდუა, წინასიტყვაობა – მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიის ანთოლოგია, რედაქტორი პროფ. ედ. კოდუა, ტ. 1. ნაკვეთი 1, თბ., 1998.
8. კომუნისტი, 1988 3 ივნისი.
9. ამ საკითხზე ჩვენი მსჯელობა ემყარება მდიდარ დოკუმენტურ მასალას, რომელიც ინახება ჩვენს პირად არქივში. წინამდებარე ნაშრომში, დანართის სახით, მიზანშენილად ვცანით ამ მასალის გამოქვეყნება, რაც დაეხმარება მკითხველს კარგად გაარკვიოს მტყუან-მართალი
10. М. Каландадзе, Фридрих Шиллер и проблемы новой истории

- Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1988.
11. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში – ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.
 12. ჩ. ჩიგურაძე, ისტორიული კონტინუურობის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1990.
 13. ე. ჯუკოვ, ისტორიული კონტინუურობის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1980.
 14. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი 1. თბ., 1970.
 15. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი პირველი, თბ., 2011.
 16. მ. კალანდაძე, ისტორიის თეორიის პრობლემების დამუშავება XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 2013.
 17. ვ. სალოვ, ისტორизм и современная буржуазия историография, М., 1978.

თავი მესუთი

„ეს განაჩენი სამარცხვილოა არა ჩემთვის, არამაღ თქვენთვის“

ჩვენ შეძლებისდაგვარად ვცადეთ აგვეხსნა ამ პერმანენტული შევიწროვების გამოწვევის მიზეზები. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. რა თქმა უნდა, ასეთი პერმანენტული შევიწროვება ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება. ყველაფერი ის, რაზეც საუბარი გვქონდა, ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობის გამოძახილია. ძველი ინერცია ჯერ კიდევ ძლიერია. ჩვენი მენტალიტეტი არ შეცვლილა, იგი ისევ პრიორიტეტული რჩება.

სიმართლე გითხრათ, ძალიან ბევრი ვიფიქრეთ იმაზე თუ როგორი სათაური უნდა ჰქონოდა მეხუთე თავს. იყო რამდენიმე ვერსია. თავდაპირველად არჩევანი შევაჩერეთ ორმაგ სათაურზე. შექსპირის სიტყვები „ოი, სიწითლევ, სად არის სირცხვილი შენი“ და მეორე უფრო პროზაული დამატება „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“. საბოლოოდ სათაური ასეთ სახეს მიიღებდა „ოი, სიწითლე, სად არის სირცხვილი შენი, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“. მაგრამ ბოლო ნამს თავი შევიყავთ. ამ საქმეების ჩამდენს სირცხვილი რომ ჰქონოდა, ამას ხომ არ გააკეთებდა. ამიტომ რაიმე სიწითლეზე ლაპარაკი ზედმეტია, უბრალოდ წყლის ნაყვაა და სხვა მეტი არაფერი. მორალური და ზნეობრივი კატეგორიები მათ არ გააჩნიათ. ეს არ გახლავთ მარტოოდენ ლიტონი სიტყვები, განაწყენებული კაცის პოზიცია. მათი საქმენი საგმირონნი, ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. მთელ ამ საქმეს კარგად მიესადაგება სულმნათი ვაჟა-ფშაველას სიტყვები „ვაი ასეთსა სამართალს მომართულს ცოდო ბრალითა“. ეს მეორე ვერსია იყო. სულ უკანასკნელ ნამს გაჩნდა მესამე ვერსია და როგორც ხედავთ,

საბოლოო არჩევანიც, სწორედ მასზე შევაჩერეთ. ეს იყო ბრძენი ბერძენი ფილოსოფოსის სოკრატეს სიტყვები: „ეს განაჩენი სა-მარცხვინოა არა ჩემთვის, არამედ თქვენთვის“. მისი ეს სიტყვები აქტუალური იყო არა მარტო მაშინ, არამედ დღესაც. მათ შორის, ცხადია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში. აქ ის ცდილობს სამარცხვი-ნო ბოძზე გააკრას არა მხოლოდ ის ადამიანები, რომლებმაც ეს უსამართლო განაჩენი გამოიტანეს, არამედ ის ეპოქა, რომელმაც დაუშვა ასეთი უსამართლობა. ეს იყო სწორი მიღვომა.

არშემდგარ სახელმწიფოს არ შეიძლება ჰქონდეს საუკეთესო უნივერსიტეტი, მაღალხარისხოვანი მეცნიერება, განათლება – ეს აქსიომაა და ამაზე დავა არ ღირს, ღია კარის მტვრევა იქნე-ბა. ამიტომ, პირველ ყოვლისა, საჭიროა შევქმნათ ნორმალური სახელმწიფო, მაშინ თანდათან, ნელ-ნელა, ყველაფერს ეშველება. მათ შორის, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტსაც, მეცნიერებასაც, გა-ნათლებასაც. სახლის შენება საძირკულიდან უნდა დავიწყოთ, ამით შენობას მტკიცე ბალავარს შევუქმნით.

საკითხის დასმის თვალსაზრისით, უნდა შევეხოთ ერთ საინ-ტერესო თემას. ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმიდან დე-მოკრატიაზე გადასვლა გაცილებით უფრო რთული და მტკივნეუ-ლი პროცესია, ვიდრე ფაშიზმიდან ან ნაციზმიდან დემოკრატიაზე დაბრუნება. მთავარია ის არასახარბიელო მემკვიდრეობა, რომე-ლიც საბჭოთა კავშირმა დაგვიტოვა, როდესაც ძირშივე მოსპეს ის ნიადაგი, რომელზედაც მოხდებოდა თავისუფალი მეწარმოე-ბის აღორძინება. მოსპეს, გაანადგურეს კულაკობა, რომელიც ამ პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალა გახდებოდა.

შექსპირს სულ რომ არაფერი დაეწერა და მხოლოდ 66-ე სონე-ტი შეექმნა, ალბათ, ესეც საკმარისი იქნებოდა მისი გენიალურო-ბის საილუსტრაციოდ. გენიალური ინგლისელი წუხდა, რომ

„ყველაფრით დაღლილს სანატრელი სიკვდილი დამრჩა რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება.

რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,

რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,

რადგან ულირსებს უსამართლოთ დაადგეს დაფნა,
რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ,
რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სისართლე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა.
ასე დაღლილი ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
მაგრამ არ მინდა ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს“.

მიუხედავად დიდი საწუხარისა, დასასრული მაინც ოპტიმისტურია. ეს არცაა გასაკვირი. შექსპირი პესიმისტი ვერ იქნებოდა. თუ შექსპირის დროს ამის ცალკეული შემთხვევები იყო, რომელიც გენიალური ინგლისელის მზერას არ გამოპარვია, XX საუკუნის ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალსხმევით, ეს წანამძღვრები ცხოვრების ნორმად იქცა და ფეხქვეშ გათელა ბიბლიური პრინციპი „კეისარს კეისრის“, ის, რაც ნორმალურ ქვეყანაში საგანგებო შემთხვევაა და ერთეულებია, ტოტალიტარულ სახელმწიფოში ცხოვრების ნორმაა. ერთ შემთხვევაში ცხოვრება ბრძოლაა, ხოლო მეორე შემთხვევაში ცხოვრება ბრძოლაა წესების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ასეთი სკეპტიკური განწყობილება დიდ ინგლისელს მოეძალა ელისაბედის მმართველობაში (1558-1603). რომელსაც ინგლისელი ისტორიკოსების, შეიძლება შელამაზებულად, ვარდისფრად წარმოაჩენდნენ და „თიუდორთა ოქროს ხანას“ უწოდებდნენ. ბუნებრივია, გიჩნდება აზრი რა იქნებოდა მაშინ, მას სულ სხვა ეპოქაში რომ ეცხოვრა, ასე მაგალითად ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის დროს. მკითხველი, ალბათ, დიდსულოვნად მაპატიებს ამ ლირიკული გადახვევისათვის. ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ მაინც შევეცდებით. დიდი ალბათობით გასული საუკუნის 30-40-იან წლებში „სტალინურ ხანაში“ მას დახვრეტდნენ და ბევრი გენიალური მიგნება ისე დარჩებოდა. „უძრაობის პერიოდში“, დ. ბრეჟნევის ხანაში, მას,

რა თქმა უნდა, არავინ დახვრეტდა, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ მორალურ ტერორს თავიდან ვერ აიცილებდა. ის მთავრობის დევნა-შევინროების მსხვერპლი იქნებოდა და რაიმეს დაბეჭდვა ძალიან გაუჭირდებოდა, პოსტსაბჭოთა პერიოდში, ცხადია, მას არავინ ხელს არ ახლებდა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის გაცილებით უფრო უკეთესი პირობები შეექმნებოდა. ეს ცხადია, ძალიან კარგია, წინგადადგმული ნაბიჯია. მაგრამ სრულიად იგნორირებული იქნებოდა, არავინ მოუსმენდა, „წერე და იკითხე“: „ძალლი ყეფს, ქარავანი მიდის“. ისევ ელისაბედის ეპოქაში ჯობდა. მოდი დავტოვოთ იქ სადაც იყო, ასე აჯობებს. შექსპირის ამ სონეტის გენიალობა, სწორედ, იმაში მდგომარეობს, რომ მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა და მასში, როგორც სარკეში ისე აისახება საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქის რეალიები. ასეთი საინტერესო სურათს ვიღებთ. „სტალინურ ხანაში“ რეპრესიებმა უსასტიკესი პოლიტიკური ტერორის ფორმა შეიძინა, რომელსაც ანალოგი მსოფლიოს ისტორიაში ძნელად მოიძებნება. შემდგომში „უძრაობის პერიოდში“ ის მორალურმა ტერორმა ჩანაცვლა, ხოლო პოსტსაბჭოთა პერიოდში, მან უმთავრესად სოციალური, ყოფით პრობლემებში ჰპოვა ასახვა.

ფრანგი რევოლუციონერი ლუი ანტუან სენ-ჟიუსტი ამბობდა, „მონობა წარმოადგენს უსამართლო კანონისადმი დამორჩილებას. თავისუფლება მორჩილებაა გონივრული კანონისადმი. თავაშვებულება ემორჩილება მხოლოდ საკუთარ თავს“.

საქმე გვაქვს პერმანენტულ უსამართლობასთან, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს დაიწყო და ძველი ინერციით პოსტსაბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ჩვენი მენტალიტეტი არ შეცვლილა. ძველი მენტალიტეტი კვლავ ძალაში რჩება. XVII საუკუნის ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი ჯეიმზ პარინგტონი წერდა: „როცა სახელმწიფოს საფუძვლები იცვლება, მმართველები კი ამის შესაბამისად სახელმწიფოს შენობის შეცვლას არ ცდილობენ, ხალხი უბედური ხდება“. საბჭოთა კავშირი დაიშალა, ხოლო სოციალურ-პოლიტიკური სისტემა

პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის, ცხადია, საქართველოში, არ შეცვლილა. თანამედროვე საქართველოს ძნელბედობის გასაღები, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. როგორც ნახეთ, ასე იყო 80-იან წლებში საბჭოთა კავშირის არსებობის დასასრულს, მალე საბჭოთა კავშირ-მა არსებობა შეწყვიტა და ისტორიის კუთვნილება გახდა, მაგრამ უსამართლობა არ დასრულებულა და ისევ გრძელდებოდა. ის არ შეწყვეტილა გასული საუკუნის მიწურულს, 90-იან წლებში, გაგრძელდა ახალი საუკუნის დასაწყისში, ნულოვან წლებში და ძალაში დარჩა XXI საუკუნის 10-იან წლებში. ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა. ნუთუ არაფერი არ შეცვლილა ამ ხნის განმავლობაში? ძველი ინერცია ჯერ ისევ ძლიერია. ჩვენი მენტალიტეტი არ შეცვლილა. ასეთი პერმანენტული უსამართლობა, ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. მასში, როგორც სარკეში, ისე აისახება საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობა, უკონტროლობა, განუკითხაობა, დაუსჯელობის სინდრომი. ადამიანი სრულიად დაუცველია. სიფილისტიკი ამბობდა „სახელმწიფო ეს არის საზოგადოების გასრესის მექანიზმი“. მას კვერს უკრავდა პარანოიკი „არ არსებობს ადამიანი, არ არსებობს პრობლემა“. აი, ასეთია საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის რეალობა. საბჭოთა წარსულზე ნოსტალგია, ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, უნინარესად, თანამედროვე საქართველოში არსებული სოციალური, ყოფითი პრობლემებითაა გამოწვეული. საქართველო სიფილისტიკის და პარანოიკის მიერ შექმნილი სახელმწიფოს ნანგრევებს ქვეშ გმინავს და აქედან თავის დაწევას ცდილობს. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ძველი ინერცია ჯერ ისევ ძალუმად იგრძნობა და ჯერჯერობით საბჭოთა კავშირზე უკეთესი ვერაფერი შევქმნით. სად არის ამ სიტუაციიდან გამოსავალი? დიდი რომაელი ციცერონი ამბობდა „თავისუფალი, რომ იყო კანონს უნდა ემონო“. აი ეს გახლავთ გამოსავალი. სიტყვით ამას ყველა აღიარებს, საქმით კი არა. ამიტომაა, რომ ერთ ადგილს ვტკეპნით, ნინ ვერ მივდივართ. აღორინების ეპოქის ტიტანი ნიკოლო მაკიაველი წერდა: „ქვეყანა

სადაც კანონები არ იცვლება ის ხალხი ბეჭნიერია, სადაც ქვეყანაში კანონები იცვლება, ის ხალხი უბედურია“ ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე VIII საუკუნეში ძველი ბერძენი ეპიკოსი პოეტი ჰესიოდე წერდა: „სიკეთე და სიუხვე იქ არის სადაც მართლმსაჯულებაა“. „ხალხში ანარქია დაისადგურებს, როცა ის აღიქვამს მთავრობას იმად, რაც ეს უკანასკნელი სინამდვილეშია“ – დასძენს დიდი ფრანგი მოაზროვნე პოლ ვალერი. მიუხედავად ჩიხისა გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, პესიმიზმის საფუძველს ვერ ვხედავ. საჭიროა პოლიტიკური წება. ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა, მაგრამ სად არის პოლიტიკური წება? აი რა არის მთავარი. იქნება ეს გადავრჩიბით, არ იქნება და სულ ასეთი ქაოსი იქნება.

დიდი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი გვაფრთხილებდა „მე ვხედავ იმ სახელმწიფოს მოახლოებულ დასასრულს, სადაც კანონს ძალა არ გააჩნია და იმყოფება ვიღაცის ზეგავლენის ქვეშ“. ბერძენი ფილოსოფოსის ამ სიტყვებს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და კვლავინდებურად აქტუალურია. ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ ლოკი ამბობდა „სადაც მთავრდება კანონი, იქ იწყება ტირანია“. ფრანგული განმანათლებლობის კორიფე შარლ ლუი მონტესკიე აღნიშნავს: „არ არსებობს იმაზე უფრო სასტიკი ტირანია, რომელიც სამართლიანობის სახელით ხორციელდება“. იქნება საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობა გაგახსენდათ.

გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი წერდა, რომ „მმართველებს, სახელმწიფო მოღვაწეებს და ხალხებს მედიდურად ურჩევენ, გაკვეთილები მიიღონ ისტორიის გამოცდილებიდან, მაგრამ გამოცდილება და ისტორია გვასწავლის, რომ ხალხები და მთავრობები არასოდეს არაფერს არ სწავლობენ ისტორიიდან და არ მოქმედებენ ისტორიიდან მიღებული გაკვეთილებით“. ეს ერთი მოსაზრება. ყურადღებას იპყობს მეორე, უფრო ნეიტრალური აფორიზმი. „ისტორია არაფერს არ ასწავლის, არამედ სჯის თავისი გაკვეთილების უცოდინარობის გამო“. ტალეირანის მოსწრებული შენიშვნით, „ბურბონებმა ვერც ვერაფერი დაივინწყეს და ვერც ვერაფერი ისწავლეს“. ჩვენ მიერ უკვე ნახსენები ჰეგელი ამბობდა „ისტორია

მეორედება ორჯერ“. მისმა თანამემამულემ კარლ მარქსმა კიდევ უფრო განავრცო ეს აზრი და თავის მხრივ დაამატა. „ერთხელ როგორც ტრაგედია, მეორეჯერ როგორც ფარსი!“. ტრაგედია უკვე იყო. საბჭოთა კავშირის სახით, ფარსი საჭირო არაა.

საბჭოთა რეალობიდან არც ისე შორს ვართ წასული, როგორც გვგონია. ამას კარგად უნდა გაცნობიერება. თორემ ისე წინსვლა ძალიან გაგვიჭირდება და მხოლოდ ილუზორული ხასიათი ექნება. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოსდა თანამედროვე საქართველოს წარმოადგენს ყულაბას, რომელშიც თავმოყრილია სოციალიზმის და თავისუფალი მენარმეობის, კაპიტალიზმის უარყოფითი მხარები. საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაგრამ სოციალ-პოლიტიკური სისტემა საქართველოში არ შეცვლილა. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი. ზბიგნევ ბჟეზინსკი ძალიან კარგად შენიშნავდა „საბჭოთა კავშირის დაშლას შეიძლება მოყვეს, ის, რომ ერთი დიდი ციხის ადგილას წარმოიშვას რამდენიმე პატარა ციხე“. აი, სწორედ, ამიტომ აფიქრებდათ ამერიკელებს საბჭოთა კავშირის დაშლა. საშუალო ფენის ფორმირების პროცესი ძალზე გაჭიანურდა. სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირები-დან ძალზე შორის ვართ. სამოქალაქოს საზოგადოების კონტურები არ ჩანს. ჯერჯერობით იკვეთება ორსაფეხურიანი სახელმწიფოს წანამდლვრები, სადაც იქნებიან ძალიან მდიდრები და ძალიან ღა-რიბები. ჩვენი აზრით, ეს დამაფიქრებელი უნდა იყოს.

XVII საუკუნის დიდი ფრანგი მოაზროვნე ბლუზ პასკალი ალ-ნიშნავს, რომ „მართებულია დაემორჩილო სამართლიანობას, შეუძლებელია არ დაემორჩილო ძალას. სამართლიანობა, რომელ-საც ზურგს არ უმაგრებს ძალა უძლურია, ძალა, რომლის ზურგს უკან არ დგას სამართლიანობა ტირანულია, უძლურ სამართ-ლიანობას ყოველთვის ფეხქვეშ გაიგებენ, იმიტომ, რომ ამ ქვეყნად არ დაილევიან უკეთურნი, უსამართლო ძალა ყოველთვის აღაშ-ფოთებს კეთილთ, მაშასადამე, საჭიროა ძალის და სამართლიანო-ბის შერწყმა, ამიტომ ან სამართლიანობა უნდა გახდეს ძლიერი ან ძალა სამართლიანი“. ძალა არასოდეს არ გახდება სამართლიანი.

სამართლიანობა უნდა გახდეს ძლიერი. კაცობრიობის მთელი ძალისხმევა, სწორედ აქეთკენაა წარმართული. ამას ალტერნატივა არ გააჩნია. ევროპას და ამერიკას არ ვბაძავთ იმაში, რაშიც უნდა მივბაძოთ, უნინარესად, კანონის წინაშე უზენაესობაში და ვბაძავთ იმაში, რაშიც არ უნდა მივბაძოთ. სრულიად არ ვითვალისწინებთ იმ მენტალურ განსხვავებას, რომელიც ჩვენს შორის არსებობს.

მარტო ლაპარაკი საკმარისი არაა. საჭიროა საქმე. „ტყუილად ვინმე მოელის ნდობის მოპოვებას იმ დრომდე, ვიდრე სიტყვას და საქმეს შორის არ დამყარდება სრული თანხმობა“ – დასძნდა ვაუა ფშაველა. ძველი ბერძენი მეიგავარაკე ეზოპე ამბობდა „გვიჩვენე რა შეგიძლია შენ, არა სიტყვით. არამედ საქმით“. მისი თანამე-მემულე პლატონი დასძნდა: „ჩვენ ვართ ის რასაც ვაკეთებთ და არა ის რასაც ვლაპარაკობთ“. ერთი ფრანგული ანდაზა გვეუბნება „ჭკვიანი ლაპარაკობს იმაზე რაც გააკეთა, სულელი კი ამაზე, რას გააკეთებს“.

XX საუკუნის გამოჩენილმა ინგლისელმა პოლიტიკოსმა სერ უინსტონ ჩერჩილმა ძალიან კარგად თქვა. „დასავლეთის დემოკრატიას ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ კაცობრიობას ჯერჯერობით მასზე უკეთესი არაფერი არ მოუგონია“. ევროპულ დემოკრატიას ალტერნატივა არ გააჩნია. უკან საბჭოთა კავშირში გზა არ არსებობს. საქართველოს წინ უნდა წავიდეს და არა უკან. ეს დაუშვებელი იქნებოდა, ჯერჯერობით წინ ვერ მივდივართ, ერთ ადგილას ვტკეპნით, დავით გურამიშვილის თქმით „დარჩებით შვილთა ჩვენ-თაგან გინებით მოსაგონარი“.

ერთი შეხედვით ისე ჩანს რომ თითქოს სიტყვა გაგვექცა, მთავარ სათქმელს მოვწყდით, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა, ჩვენ ვცადეთ გვეჩვენებინა ის სოციალური გარემო, რომელმაც განაპირობა უსამართლობა, უკანონობა, კომისიის საქმენი საგ-მირონი, განუკითხაობა, უკონტროლობა, დაუსჯელობის სინდრო-მი. როგორც არაერთგზის აღვინიშნავს ყველაფერი ეს აშკარად სცილდება წმინდა აკადემიური ჩარჩოებს მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად და საბჭოთა და პოსტ-

საბჭოთა რეალობის გამოძახილია.

და ბოლოს ისევ XVII საუკუნის გამოჩენილი ფრანგი მოაზროვნის ბლეზ პასკალს მოვიშველიებთ „არსებობს საკმარისი ნათელი იმი-სათვის ვისაც ჭეშმარიტების დანახვა სურს და საკმარისი წყვდიადი იმისათვის ვისი მზერაც სიყალბისაკენაა მიმართული“. დიდი ილია წუხდა „აქ ჩვენი განკითხვა გამკითხველის გუნებაზეა მიგდებული და არა გონებაზე, რომელმაც მარტო საბუთით უნდა ჰსაჯოს, აქ „მე ასე მინდა, მე ასე მეამება“ უფრო მეტად ჭრის, ვიდრე საბუ-თით გამოჩერეკილი და გულში გამონასკული მართალი“. ილიას ამ გამონათქვამის მნიშვნელობა, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. კომისიის საქმინი საგმირონი, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. „ეს განაჩენი სამარცხვინოა არა ჩემთვის, არამედ თქვენთვის“.

პარი მეორე

ისტორიკოსები და ისტორიული ფაქტი

თავი პირველი

საგულისხმო თარგმანი

ისტორიულ ფაქტზე

პროფ. ნათელა ვაჩინაძემ ერთი კარგი და საშუალი საქმე გააკეთა. მან თარგმნა ცნობილი რუსი ისტორიკოსის პროფ. არონ გურევიჩის საინტერესო ნაშრომი „რა არის ისტორიული ფაქტი?“ რომელიც პირველად დაიბეჭდა 1969 წელს ავტორიტეტულ-სამეცნიერო კრებული „წყაროთმცოდნეობა, თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები“. 60-იანი წლების მიწურულს საბჭოთა კავშირში გაიმართა დისკუსია ისტორიული ფაქტის რაობის ირგვლივ. პროფ. არონ გურვიჩი ამ დისკუსიის ერთ-ერთი მონანილე იყო. ამ დისკუსიის მასალები დაიბეჭდა ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებულ კრებულში.

აღნიშნული საკითხის შესახებ ქართულ ენაზე არაფერია დაწერილი. პროფ. ნათელა ვაჩინაძის მიერ გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის პროფ. არონ გურევიჩის საინტერესო თეორიული ხასიათის ნაშრომის „რა არის ისტორიული ფაქტი?“ ქართულად თარგმნა ამ ვაკუუმის შევსების ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობად გვევლინება.

წმინდა თეორიული მეთოდოლოგიური ხასიათის შრომების თარგმანით ქართული ისტორიოგრაფია განებივრებული არა-სოდეს ყოფილა და პროფ. ნათელა ვაჩინაძის ეს თარგმანი ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანებში ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მხრივ ერთგვარი გამოცოცხლება შეინიშნება და ეს, ცხადია, მისასალმებელია. ამ საქმეში თავისი წვლილი პროფ. ნათელა ვაჩინაძესაც

მიუძღვის და ეს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი კიდევ ერთი დამსახურებაა.

ნმინდა მეცნიერული თვალსაზრისით პროფ. ნათელა ვაჩნაძის ამ ნაშრომის „რა არის ისტორიული ფაქტი?“ თარგმნა სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია. ეს იყო სწორი ნაბიჯი. მას დიდ მეცნიერულ მნიშვნელობასთან ერთად შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ისტორიკოსებს, კარგად დაკვალიანებს, დაეხმარება სწორი არჩევანის გაკეთების საქმეში, ამ მიმართულებით მათ კვლევა-ძიებას სწორ კალაპოტში წარმართავს.

ამგვარი არჩევანი, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და უმთავრესად ორი გარემოებით გახლდათ განპირობებული. დავიწყოთ იმით, რომ ცნობილი რუსი ისტორიკოსი პროფ. არონ გურევიჩი ქ-ნ ნათელას მასნავლებელი და მეგობარი იყო და ამით მან სათანადო პატივი მიაგო თავისი მასნავლებლის ხსოვნას. ჭეშმარიტად ლირსეული ნაბიჯია. მეორეც, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ პროფ. არონ გურევიჩის ეს ნაშრომი „რა არის ისტორიული ფაქტი?“ იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე ერთ-ერთი გამორჩეული და საუკეთესო იყო.

60-იან წლების ე. წ. „დათბობის პერიოდში“ შეინიშნება ისტორიის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემებით დაინტერესების გამოცოცხლება, რაც ი. სტალინის გარდაცვალებით იყო გამოწვეული. ფაქტობრივად, სტალინურ ეპოქაში, ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური თემატიკის დამუშავებას ტაბუ ჰქონდა დადებული და ის ჩაანაცვლა ორთოდოქსულ-ბოლშევიკური, სტალინური ტიპის, ისტორიულმა მატერიალიზმა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მარქსიზმის ვულგარიზაციის მცდელობასთან, რომელსაც მეცნიერული ძალიან ძნელი იქნებოდა ვუწოდოთ. „დათბობის ხანისათვის“ დამახასიათებელია „იდეური დაბნეულობა“. ეს უპირატესად, იმით გამოიხატებოდა, რომ ცვლილებები ატარებდა უფრო კოსმეტიკურ ხასიათს და არ ხორციელდებოდა ძირეული გარდაქმნები. პოპულარული იყო იდეა „მარქსიზმ-ლე-

ნინიზმის ახლებური წაკითხვის შესახებ“ მას მომხრეები ჰყავდა, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება ცნობილი რუსი ისტორიკოსი პროფ. არონ გურევიჩის მრავალრიცხოვანი თეორიულ-მეთოდოლოგიური გამოკვლევები. ის სულ სხვა გზით წავიდა, აქცენტი კეთდება არა კოსმეტიკურ, არამედ ძირეულ გარდაქმნებზე. ამგვარ მიდგომას იმპულსები მისცა იმ სიახლეებმა, ნოვაციებმა, რომლებიც ხდებოდა XX საუკუნის ევროპულ ისტორიოგრაფიაში და უმთავრესად ორიენტირებული იყო ნეოკანტიანელთა ეპისტემოლოგიურ, ისტორიის შემეცნების ძიებებთან და „ანალების“ სკოლის ისტორიკოსებთან. როგორც დამაჯერებლადაა ხაზგასმული უახლოეს გამოკველევებში მათ შორის არავითარი უფსკრული, როგორ ეს ფრანგ ისტორიკოსებს ესახებოდათ, ჟაკ ლე გოფის – თავკაცობით, არ არსებობდა. ისინი ერთ და იმავე საკითხს მიუდგნენ სხვადასხვა კუთხით, ნეოკანტიანელები ისტორიის ეპისტემოლოგიის, შემეცნების თეორიის, ხოლო „ანალების“ სკოლის ისტორიკოსები კონკრეტულ ისტორიული გამოკვლევების კუთხით.

ისტორიული ფაქტის შეფასების დროს ისტორიკოსებს შორის ერთსულოვნება არასოდეს ყოფილა. ის ყოველთვის იწვევდა ცხარე კამათს, აზრთა სხვადასხვაობას. გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები. ეს დავა არ ახალია, ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ის XIX საუკუნის მიწურულს დაიწყო და დღესაც გრძელდება. ეს კამათი კიდევ დიდხანს გასტანს და, აღბათ, არ დასრულდება. ჰოლანდიელი ისტორიკოსის ჰიტერ ჰეილის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. აქ ყველზე კარგადაა გაცნობიერებული ისტორიული პროცესის შემეცნება, ზუსტადაა განსაზღვრული ისტორიული ცოდნის მნიშვნელობა, პროფ. არონ გურევიჩის ნაშრომში „რა არის ისტორიული ფაქტი?“ აქცენტი, სწორედ ევროპულ ხედვაზე კეთდება, რაც მას მკვეთრად გამოარჩევს ისტორიული ფაქტის რაობის ირგვლივ გამართულ დისკუსიის მონაწილეებს შორის. საბჭოთა ისტორიოგრაფია ამის ანტიპოდი იყო, რაც

მნიშვნელოვანნილად იმით იყო განპირობებული, რომ აქცენტი კეთდებოდა არა პლურალიზმზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, როგორც ეს იყო ევროპულ ისტორიოგრაფიაში, არამედ მონისტურ პრინციპზე. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭემშარიტება. ამ გზას ჩიხში მივყავართ.

რანკემ და პოზიტივისტებმა საძირკველი ჩაუყარეს ისტორიული ფაქტის, წყაროს, კულტს. მათი ერთ-ერთი თავკაცი ფიუსტელ დე კულანჟი პირდაპირ აცხადებდა, „მთელი ისტორიული მეცნიერება დაიყვანება დოკუმენტის სწორ განმარტებაზე“. რანკეს და პოზიტივისტების შრომები შიშველი ფაქტოლოგიის და ემპირიზმის საუკუთესო მაგალითია. მათთვის მიუღებელია ისტორიის ნებისმიერი ფილოსოფია. აქედან იღებს სათავეს განზოგადოებისადმი შედარებით თავშეკავებული დამოკიდებულება, ისინი ამოდიან პოსტულატიდან – „ფაქტები ყველაფერია – ინტერპრეტაცია არაფერი“. ისტორიკოსი „კარგად უნდა ხედავდეს ფაქტებს“. მათი ღრმა რწმენით, ისტორიული ჭემშარიტების დასადგენად საკმარისია წყაროების კრიტიკული ანალიზი, რათა ისტორიული ჭემშარიტება ჩვენ წინაშე მთელი სიცხადით აღდგეს. მათ ამ პროცედურის ობიექტურობაში ეჭვი არ შეჰქონდათ. რანკემ და პოზიტივისტებმა სცადეს ისტორიაში დაინახონ „მხოლოდ ის, რაც სინამდვილეში იყო“. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს მათ თეორიულ შემეცნებით იდეალთან. რეალობა კი გაცილებით უფრო რთული და მრავალნახნაგვანია, ეს იყო ერთი უკიდურესობა. ისტორიული ფაქტის რაობის გააზრებისას, არსებობს სულ სხვა უკიდურესობა.

გასული საუკუნის 30-იან წლებში ევროპულ-ამერიკულ ისტორიოგრაფიაში გავრცელდა პრაგმატიზმი, რომლის ერთ-ერთი ნაირსახეობად გვევლინება პრეზენტიზმი. მათი მცდელობით ხდება ისტორიული კვლევის სიმძიმის ცენტრის გადატანა წარსულიდან აწმყოზე. მათი მთავარი თეზაა ობიექტური მეცნიერული ცოდნისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება. თავად განსაჯეთ ფრანგმა მეცნიერმა ფ. ურსამ იმდენად შორს შეტოპა, რომ პირდაპირ განაცხადა: „ახლა ჩვენ ვიცით, რომ სამყაროში და ისტორია-

ში ფაქტები მეტი აღარ არსებობს“. მათი აზრით, ფაქტი არსებობს მხოლოდ ისტორიკოსის გონიერაში და მისი აზროვნების პროდუქტია, ამერიკელი ისტორიკოსი კარლ ბეკერი დარწმუნებული იყო რომ „ყოველი ადამიანი თავისი ისტორიკოსი თვითონ არის“. ისინი ისტორიულ ფაქტს აღიქვამენ როგორც „სიმბოლოს“, რომლის უკან იმაღლება, რაღაც შეუცნობადი სინამდვილე, ან სულაც არაფერი არ იმაღლება, გარდა ისტორიკოსის აზროვნებისა, მათი მთავარი დებულება იყო სრულიად საპირისპირო „ფაქტები არაფერია – ყველაფერი ინტერპერატურაა“. ისტორიული ფაქტის ილუზორული ხასიათზე აპელირება, აღბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს, რელატივიზმი საფრთხობელა არაა და სულაც არ მოასწავებდა ევროპული ისტორიოგრაფიის კრიზისს, როგორც ამას ხაზს უსვამდა საბჭოთა ისტორიოგრაფია, მაგრამ უკიდურესი რელატივიზმი მიუღებელია და გამუქებულად წარმოგვიდგენს საქმის რეალურ ვითარებას.

რა გამოცდილების შეძენა შეიძლება ისტორიული ფაქტის პრობლემის შესახებ სხვადასხვა მიმართულების ისტორიკოსთა თვალსაზრისების მიმოხილვით? როგორია იმ სიძნელეთა ბუნება, რომელსაც ანუდებიან ისტორიკოსები? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია და მასზე დიდადაა დამოკიდებული ისტორიული ფაქტის რაობის გამორკვევა. კითხვაზე – რა არის ისტორიული ფაქტი? პროფ. არონ გურევიჩის შეძლების-დაგვარად შეეცადა პასუხის გაცემას. ეს გახლავთ საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. მან სწორად დასვა საკითხი და შეეცადა მის გადაწყვეტას.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს რომ პროფ. არონ გურევიჩი შეეცადა თავიდან აეცილებინა ორივე უკიდურესობა, რომელმაც თავი იჩინა XIX-XX საუკუნეების ევროპულ ისტორიოგრაფიაში. საკითხის ისტორიოგრაფიაში ჩახედულება ამ თემაზე მისი მსჯელობის ერთ-ერთი პლუსია, სწორედ ამ ფონზე ცდილობს ის, გამოიკვეთოს საკუთარი პოზიცია. მოძებნოს თავისი ბილიკი, მთავარი, ჩვენი აზრით, სწორედ ეს იყო.

აღნიშნული პრობლემისადმი მისი დამოკიდებულება საშუალე-დო გზის მოძიების მცდელობად გვევლინება და, უმთავრესად, ორიენტირებულია იმ ძიებებზე, რომელიც „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მისი დამაარსებლების, ლუსიენ ფევრის და მარკ ბლოკის სახელებთან ასოცირდება. მათი ღრმა რწმენით, ისტორიკოსის მიერ წარსულში მომხდარი ფაქტის რეკონსტრუქცია გახლავთ რთული და შრომატევადი პროცესი. არსებოთად ეს არის ისტორიკოსის კონსტრუქცია, რომელიც მკვეთრად გამოკვეთილად რელატივისტურია – შედარებითია და არ წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას. ეს მცნება „ანალების“ სკოლის ისტორიკოსებისათვის მიუღებელი იყო, ისინი პლურალიზმის, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომის მომხრებად გვევლინებიან. ამიტომ „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების კრიტიკა მარქსისტული, მონისტური, პოზიციებიდან არადამაჯერებელია და კარგად გამოხატავდა ერთი ისტორიული სკოლის შეხედულებას.

„ანალების“ სკოლის ერთ-ერთი თავკაცი მარკ ბლოკი აღნიშნავდა: „ისტორიული გამოკვლევა იწყება არა მასალის შეგროვებით, არამედ პრობლემის დასმით და იმ კითხვების შედგენით, რომელსაც ისტორიკოსი დაუსვამს წყაროებს“ – ეს იყო სრულიად ახლებური მიდგმა, „კოპერნიკისეული გადატრიალება“ ისტორიკოსის საქმიანობაში, რომელიც კარდინალურად ცვლიდა ისტორიკოსის დამოკიდებულებას კვლევის ობიექტისადმი.

მათვის სრულიად მიუღებელია წარსულის რეკონსტრუქციის საქმეში ისტორიკოსის პასიური როლი, პირიქით, ისინი ამ საქმეში ისტორიკოსს აქტიურ ფუნქციას აკისრებდნენ. ისტორიკოსი წყაროების ყურმოქრილი ყმა არ უნდა იყოს. ის უნდა მოქმედებდეს დამოუკიდებლად. ის წარმოჭრის პრობლემას, რომელსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს მის გამოკვლევაში, განსაზღვრავს მასალის შერჩევას და იმ პოზიციას, რომელიც საფუძვლად დაედება ამ მასალის შერჩევას და იმ პოზიციას, რომელიც საფუძვლად დაედება ამ მასალის ანალიზს, ისინი „ისტორია თხრობას“ უპირისპირე-

ბენ „ისტორია პრობლემას“. ფაქტის ცნება ხდება პრობლემური. ეს იყო გრანდიოზული მნიშვნელობის სიახლე ისტორიულ მეცნიერებაში, მისი ხვალინდელი დღე. მათ პოზიტივისტების „უპრობლემო ემპირიზმი“ ჩაანაცვლეს მეცნიერული პრობლემის ანალიზით. ლუსინ ფევრის თქმით, „არ არის პრობლემა, მაშასადამე არ არის ისტორია“. იგი აღნიშნავდა „ფაქტები ეს არის ლურსმნები, მაგრამ ლურსმნები, ისტორიული ფაქტები, გამოიჭედება თვით ისტორიკოსის მიერ“. ის პირდაპირ აცხადებდა „არ არის ისტორია, არის ისტორიკოსი“.

სავსებით ვეთანხმებით პროფ. არონ გურევიჩს, რომ „ისტორკოსმა უნდა შეძლონ მათ მიერ შესწავლილი მოვლენების შეფასება, რომელიც მეცნიერების წინაშე მდგარ პრობლემას მიეკუთვნება, მოხდინოს მათი ინტერპრეტირება, კანონზომიერი კავშირების სისტემაში ჩართვა ამ აზრით და მხოლოდ ამ აზრით! – შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ისტორიკოსები, „ქმნიან ისტორიულ ფაქტებს“.

რა არის ისტორიული ფაქტი? მან ამ კითხვას ასეთი საინტერესო პასუხი გასცა. „ისტორიული ფაქტი არც „აგურია“, არც რაღაც მარტივი და უძრავი, ისტორიული ფაქტი არის მრავალ ფაქტს შორის (არსებული), ისტორკოსების მიერ (პირველქმნილი სახით) აღდგნილი, განახლებული ურთიერთობა“.

რა თქმა უნდა. ამგვარი, დამოკიდებულება არ წარმოადგენს საბოლოო ჭეშმარიტებას, მას ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ისტორიას არ ხელწიფება ერთი ჭეშმარიტება. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ აქა.

პროფ. არონ გურევიჩისათვის უფრო მისაღები და მახლობელი ჩანს ევროპული მიდგომა, „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. იმჟამინდელი საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე ეს ნამდვილი მკრეხელობა იყო და მნიშვნელოვანნილად, სწორედ ამით აიხსნება ორთოდოქსულად მოაზროვნე მარქსისტების განრისხება. მათ ძალისხმევა არ დაიშურეს, რომ ამ ნაშრომს დღის სინათლე არ ეხილა, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ, „ისტორიული ცოდნის განვითარების თითოეულ ეტაპზე ფაქტის შესახებ განსაკუთრებული გაგება გამომუშავდება, მთლიანობის ისტორიული მეცნიერების მდგომარეობისა და სამეცნიერო მეთოდოლოგიის შესატყვისი. საეჭვოა, პროდუქტიული ყოფილიყო სწრაფვა, ენახათ, ამ პრობლემის „საბოლოო“ გადაწყვეტა, ვინაიდან ნებისმიერ მის გადაწყვეტას ძალა მხოლოდ იმ ეტაპისათვის ექნება, რომელიც ის არის მოცემული. საქმე ისტორიის მეთოდოლოგიის კითხვების საბოლოო გადაწყვეტაში როდია – ეს „უსასრულო დავაა“ – არამედ სულ ახალ-ახალი კატეგორიების მოფიქრებაშია, რომლითაც ისტორიკოსები სარგებლობენ“.

მან სწორად დასვა საკითხი და შეძლებისდაგვარად შეეცადა მის გადაწყვეტას. ეს იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული ნინგადადგმული ნაბიჯი იყო და სიახლეს წარმოადგენდა, მას გააჩნია აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის საკუთარი ხედვა. ის გვთავაზობს ამ საკითხის გააზრების საკუთარ ვერსიას. განაარის ამაში რაიმე მიუღებელი? ალბათ, არც არაფერი.

ამრიგად, პროფ. ნათელა ვაჩნაძის ეს თარგმანი თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია და მას ამ პრობლემატიკით დაინტერესებული ვერც ერთი ქართველი მკვლევარი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს. ის ამართლებს თავის თავს. პროფ. არონ გურევიჩის ამ ნაშრომის „რა არის ისტორიული ფაქტი?“ ქართულად თარგმნა აღნიშნული თემატიკის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ კიდევ ერთ მოკრძალებულ ნაბიჯად გვევლინება. ის კარგად დააკვალიანებს ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ ქართველ მეცნიერებს და საშუალებას მისცემს მათ სწორი მეთოდოლოგიური ორიენტირები დასახონ. ამას კი ძალიან დიდი შემეცნებითი და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. პროფ. არონ გურევიჩმა მოგვცა ისტორიული ფაქტის პრობლემის საინტერესო ხედვა, რაც ისტორიული მეცნიერების ნინაშე მის კიდევ ერთ დამსახურებად გვევლინება.

თავი მეორე

ისტორიული ფაქტის პროგნოზის საიცონესო ხედვა

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი არის საინტერესო, რთული და მეცნიერულად აქტუალური. ნაშრომის ეს მონაკვეთი თეორიულ, ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და არ წარმოადგენს პროფ. ნათელა ვაჩნაძის თარგმანის რეცენზიას. ის აშკარად ცილდება ამ ვიწრო ჩარჩოებს და მისი ყურადღების ცენტრში დგას თვით ისტორიული ფაქტის პრობლემა.

ამ რთულ საკითხზე სიტყვის თქმას ძირითადად ის გარემოება გვაძედინებს, რომ მასზე ქართულ ენაზე ძალიან ცოტაა დაწერილი. პროფ. ნათელა ვაჩნაძის მიერ გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის, პროფ. არონ გურევიჩის საინტერესო თეორიული ხასიათის ნაშრომის „რა არის ისტორიული ფაქტი?“ (1) ქართულად თარგმნა ამ ვაკუუმის შეესების ერთ-ერთ მცდელობად გვევლინება. ამ თარგმანმა სტიმული მოგვცა კიდევ ერთხელ მოგვეხედა ამ თემატიკისაკენ, კიდევ უფრო კარგად ჩაკვირვებოდით მას და გვეცადა მასში გავრკვეულიყავით. ზოგიერთი კორექტივი შეგვეტანა, სულ სხვა აქცენტები დაგვესვა (2).

ნმინდა თეორიული, მეთოდოლოგიური ხასიათის შრომების ქართულ ენაზე თარგმნით ქართული ისტორიოგრაფია განებივრებული არასოდეს ყოფილა და პროფ. ნათელა ვაჩნაძის მიერ პროფ. არონ გურევიჩის ამ საინტერესო თეორიული, მეთოდოლოგიური ნაშრომის თარგმნა ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში ამ მხრივ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთგვარი გამოცოცხლება შეინიშნება და ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ამ საშუალების თავისი წვლილი პროფ. ნათელა ვაჩნაძესაც მიუძღვის და ეს ქართული ისტორიორაფიის წინაშე მისი კიდევ ერთი დამსახურებაა.

აქვე დავძენთ, რომ ქართველი ისტორიკოსებიდან ამ პრო-ბლემატიკით დაინტერესებას ამჟღავნებდა პროფ. გივი კილურაძე. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მას აინტერესებდა ერთი თემა „ისტორიული ფაქტის პრობლემა ედუარდ კარის შემოქმედებაში“. მას დაწერილი ჰქონდა კიდეც ამ საკითხზე სპეციალური ნაშრომი, რომლის გამოქვეყნებასაც აპირებდა უნივერსიტეტის შრომებში, მაგრამ უეცრად გარდაიცვალა და ამის გაკეთება ვეღარ მოასწრო. ჩვენ ამ ნაშრომის ხელნაწერი ძალიან ბევრი ვეძებეთ, მაგრამ მის კვალს ვერსად გადავაწყდით, ეტყობა, დაკარგულია.

* * *

ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, საბჭოთა ისტორიო-გრაფიაში შეიმჩნევა ისტორიის თეორიის და მეთოდოლოგიის საკითხებით დაინტერესების გამოცოცხლება, რომელსაც სტა-ლინის სიცოცხლეში, ფაქტობრივად ტაბუ ჰქონდა დადებული და თითქმის სრულიად მივიწყებულ იქნა. ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას წარმოადგენდა ორთოდოქსულ-ბოლშევიკური, სტა-ლინური ტიპის, ვიწროდოგმატურად გაგებული ისტორიული მატე-რიალიზმი. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები სწორედ აქ ძევს.

არსებითად შეიცვალა ვითარება „დათბობის ხანაში“, რომლის-თვისაც დამახასიათებელია „იდეური დაბნეულობა“. სტალინური ხანის შემდეგ, ცხადია, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ ეს დაინტერესება არ ცილდება მარქსისტულ-ლენინური იდეოლო-გიის თეორიულ ჩარჩოებს და უფრო კოსმეტიკურ ცვლილებებზე იყო გათვლილი და არა ძირეულ გარდაქმნებზე. ძალიან ბევრი მომხრეები ჰყავდა იდეას „მარქსიზმ-ლენინიზმის ახლებურად წაკითხვის შესახებ“. ძალიან პოპულარული იყო დევიზი „უკან ლენინისაკენ“. აი, სწორედ ამ კონტექსტში განიხილავდა საბჭო-თა ისტორიოგრაფია ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ

პრობლემატიკას. (3,4,5,6,7,8,9,10,11). ამ შრომებში თავმოყრილი მეცნიერული ინფორმაცია, საინტერესოა. მას თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩინია. ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი აშკარაა და ამას არც არავინ უარყოფს, მაგრამ ეს შრომები, ვერ აცდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის რადაციას. მათ აირჩიეს სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მოგვცეს მისი მარქსისტული გაშუქება. ამ გზით მაშინ ძალიან ბევრი მიდიოდა. ეს იმ ექსტრემალური ვითარებიდან ერთ-ერთი რეალური გამოსავალი ჩანდა. ამ კომპრომისის გამო მათი მყაცრად განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩინია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური იქნებოდა.

ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი პროფ. არონ გურევიჩი. ის სულ სხვა გზით წავიდა. ის ძირითადად ორიენტირებული იყო იმ ნოვაციებსა და სიახლეებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-20 საუკუნის პირველი ნახევარის ევროპულ ისტორიოგრაფიაში და, პირველ ყოველისა, ნეოკანტიანელთა ეპისტემოლოგიასთან და „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების ძიებებთან ასოცირდებოდა. საბჭოთა მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ფონზე ეს სიახლე იყო. თვისებრივ, ხარისხობრივ, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. მისი ამ შრომების მნიშვნელობა, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ბუნებრივია, ყველაფერი ეს ორთოდოქსი მარქსისტების გულისწყრომას იწვევდა. ისინი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდნენ მის შრომებს: დღეს ეს კრიტიკა ღიმილს იწვევს, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. მკვეთრად შეიცვალა სურათი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ახლა ამ ძიებებს, ცხადია, სულ სხვა და გაცილებით უფრო ობიექტური შეფასება ეძლევა (12,13). ეს ცხადია, ძალიან კარგია. „სამართალმა პური ჭამა“, „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკისია“.

ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა თავის დროზე თარგმნილი ყოფილიყო მისი სხვა შრომები, პირველ ყოვლისა კი მისი სოლი-დური მონოგრაფია „ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემები დასა-ვლეთ ევროპაში“ (14). ამას, ცხადია, დიდი მნიშვნეობა ექნებოდა და ძალიან დაეხმარებოდა ქართულ მედიევისტიკას სწორი არჩევანის გაკეთებაში, მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამპების დაძლევაში. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. მნიშვნელოვანნილად, ამით აიხსნება, რომ ქართულ მედიევისტიკაში ძველი ინერცია ჯერ ისევ ძლიერია. ასეთად მიგვაჩნია ძველ გერმანელებში კერძო საკუთრების არსებობის ჯიუტად უგულებელყოფა (15).

* * *

ისტორიული ფაქტის რაობის გამორკვევას, რა თქმა უნდა, დიდ ყურადღებას აქცევდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში აღნიშნულ საკითხზე არსებული საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა. საკითხისადმი მიდგომა იყო მეცნიერული, მაგრამ მან ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა ცხადდებოდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად (16, 17, 18, 19). განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო და იდეონებოდა. ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება პროფ. არონ გურევიჩის ნაშრომი „რა არის ისტორიული ფაქტი?“ ის სულ სხვა გზას ირჩევს. ეს იყო ევროპული ხედვა, რომელიც ევროპულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ნოვაციებზე, სიახლეებზე იყო ორიენტირებული და ისტორიული ფაქტის სულ სხვა და უფრო საინტერესო გააზრებას გვთავაზობდა. ეს იყო სიახლე. შესაძლოა, ამ ნაშრომში ეს სიახლეები შედარებით უფრო ფრთხილი ფორმითაა გამოხატული, რაც მნიშვნელოვანნილად მკაცრი ცენზურით უნდა ყოფილიყო განპირობებული, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არაა მთავარი. მან სწორად დასახა მაგისტრალური ხაზი. ამ მოსაზრებებს და შეხედულებებს ავტორი ავითარებს და კიდევ უფრო აღრ-

მავებს თავის შემდგომ წლებში გამოქვეყნებულ შრომებში (20.21) მან სრულიად განსხვავებულად შეხედა ისტორიული ფაქტის მნიშვნელობას, სულ სხვა აქცენტები დასვა. ეს იყო საკითხისადმი სრულიად განსხვავებული მიდგომა. მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ფონზე, ეს ცხადია, გაუგონარი მკრეხელობა იყო. მან სწორად დასვა საკითხი და შეეცადა მის გადაწყვეტას. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ფაქტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „მომხდარს“, „მოვლენას“, „მოქმედებას“. ფაქტების დაყოფა „არაისტორიულად“ და „ისტორიულად“ მეტად ხელოვნურია და არ შეესატყვისება რეალობას. ერთ შემთხვევაში ფაქტი შეიძლება იყოს „ისტორიული“, ხოლო მეორე შემთხვევაში კი არა. ამიტომ ამგვარი გრადაცია, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და დამაჯერებლობა აკლია. ისტორიული ფაქტისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება გადაჭარბებული უნდა იყოს და მიუღებელია. ძნელია დავეთანხმოთ გერმანელ მკვლევარს რ. ვიტრამს, თითქოსდა „ფაქტები ახლა უკვე აღარ სარგებლობენ პატივისცემით“ (10. 247). რეალობა სულ სხვას უნდა მეტყველებდეს.

ისტორიულ მეცნიერებაში ფაქტის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტუალური, საინტერესო და რთულია. პროფ. არონ გურევიჩის ნაშრომი „რა არის ისტორიული ფაქტი?“. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის კიდევ ერთ მცდელობად გვევლინება. ეს ნაშრომი ნარმოადგენს კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს ისტორიულ რეალობასთან მიახლოების გზაზე. ეს არის ევროპული ხედვა, სადაც აქცენტი კეთდება საკითხისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე. ამგვარი თვალსაზრისი, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. მის მთავარ ამოსავალ წერტილს ნარმოადგენს პრინციპი „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. ეს მას ძალიან კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული. ეს მისი ამ საინტერესო ნაშრომის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. „ჩვენ არ გვაქვს ისტორიული ფაქტის პრობლემის გადაწყვეტის პრეტენზია, ესეოდენ რთული და გადაუჭ-

რომ აღმოჩნდა ისტორიკოსთა თაობებისათვის, ჩვენი მიზანი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ისტორიული შემეცნების ამ „წყეული“ პრობლემისაკენ კვლავ მიგვეპყრო ყურადღება. განხილვა ასეთი ერთი შეხედვით მოჩვენებითად მარტივი ცნებისა, როგორც ისტორიული ფაქტია, მასში ჩაღმავებისას მთელ რიგ მეთოდოლოგიურ სირთულეებს წარმოაჩენს და უშუალოდ ისტორიული შემეცნების ცენტრალურ პრობლემათა დაყენებამდე მივყავართ.

„ისტორიული ფაქტის“ ცნების ანალიზს არ მოსდევს დასკვნა, რომ ისტორიული მეცნიერების „სიზუსტისა“, მისი ობიექტურობის შესახებ მსჯელობა ზემოთ ნაჩვენები გარემოებათა გათვალისწინების გარეშე უშინაარსოა. ისტორია ობიექტურად შეცნობადია, მაგრამ ისტორიულმა შემეცნებამ ჭეშმარიტებას რომ მიგვამოვლოს, ეს თეზის სულ თავიდან უბრალოდ კი არ უნდა არსებობდეს ისტორიკოსის გონიერები, როგორც ამოსავალი უცილობელი აქსიომატური პოსტულატი, არამედ კვალიფიცირებულ მეთოდოლოგიურ გააზრებათა შედეგს უნდა წარმოადგენდეს. ისტორიკოსს, ისევე როგორც ნებისმიერ სწავლულს, მოეთხოვება არა გულუბრყვილო, სტიქიური პრაქტიკა, არამედ სამეცნიერო კატეგორიებითა და კვლევით ტექნიკით შეგნებული სარგებლობა“ (1. 50-51).

უწინარესად, ის ხაზს უსვამს ამ რთული საკითხის აქტუალობას. „ცნება „ისტორიული ფაქტი“ იმდენად მტკიცედ შევიდა და დამკვიდრდა ისტორიკოსთა ცნობიერებასა და სამეცნიერო მიმოქცევაში, რომ, როგორც წესი, არ ვუფიქრდებით მის შინაარსა და ბუნებას. წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ისტორიკოსის კვლევითი სამუშაო ორი საფეხურისაგან – ფაქტების შეგროვების, მათი შესწავლისა (დაჯგუფება, განმარტება) და განზოგადებისაგან შედგება, ფართოდაა გავრცელებული და, ჩვეულებრივ, უდავოდ გვეჩვენება. ამავე დროს მასში იმალება ძირეულ პრობლემათა მთელი კომპლექსი, რაც ყოველთვის როდია ნათელი და გადაჭრილი. საკმარისია დაისვას ასეთი კითხვები, როგორებიცაა, მაგალითად, განა წარსულის ნებისმიერი ფაქტი ისტორიულია? თუ არა, მაშინ რა განსაკუთრებული თვისებები ახასიათებს ის-

ტორიულ ფაქტს, ანუ რა კრიტერიუმებით სარგებლობენ ისტო-რიული ფაქტების შერჩევისას? როგორია ისტორიული ფაქტების სტრუქტურა? – წარმოადგენს კი იგი მარტივ და დაუნაწევრებელ „ატომს“, რისგანაც ისტორიული თხზულების მატერია იგება, ან იქნებ შეიძლება მისი შინაგანი დანაწევრება? და ბოლოს, სახელ-დობრ რას ვგულისხმობთ ისტორიული ფაქტის შესახებ საუბრი-სას – რეალურ მოვლენებს, „როგორც ეს სინამდვილეში მოხდა“, თუ ერთგვარ კონსტრუქციას, რომელსაც ისტორიკოსი მის ხელთ არსებული მასალის საფუძველზე აგებს. როგორია ფაქტების, რო-მელთა შესახებაც ისტორიკოსები ლაპარაკობენ, წარსულის რეა-ლურ მოვლენებთან მიმართება? არ არის ძნელი დასანახი, რომ ამ კითხვებს, ისტორიული მეცნიერების პრაქტიკაში არაერთხელ წარმოშობილთ და ათწლეულების თეორიული მსჯელობისას წინ წამოწეულთ, უშუალოდ ისტორიის მეთოდოლოგიის და გნოსეო-ლოგიის კარდინალური პრობლემების წრეში შევყავართ“ (1.4). შეიძლება ითქვას, რომ აქ მას ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებუ-ლი მთელი ამ პრობლემატიკის მეცნიერული სირთულე და სიღრმე.

ისტორიული ფაქტისადმი პრიმიტიულ-სენსუალისტური მიდგო-მა, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი მე-19 საუკუნის მიწურულის ისტორიოგრაფიაში, დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის გავლილ ეტაპს წარმოადგენს. ისტო-რიული ფაქტი სულაც არ გახლავთ ისეთი მარტივი კონსტრუქცია, როგორც ეს ლეოპოლდ ფონ რანკეს და პოზიტივისტებს ესახებო-დათ. (22). ისტორიული ფაქტი წარმოადგენს რთულ კონსტრუქციას. ისტორიული ფაქტი საინტერესო, რთული და მრავალწახნაგოვანია. ისტორიკოსმა ისტორიული ფაქტი შეიძლება დაინახოს სხვადასხვა რაკურსით, რამდენიმე კუთხით. ამაში მიუღებელი არაფერია. ყვე-ლაფერი დამოკიდებულია ისტორიკოსის მსოფლმხედველობაზე, პოლიტიკურ შეხედულებებზე, მის სიმპათია-ანტიპათიაზე და ამით სპეცულირება ნამდვილად არ იქნება მარტებული. ასეთია რეალო-ბა, სადაც წარსულს, ობიექტს აღიქვამს ისტორიკოსი – სუბიექტი. ამ რეალობისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების საფუძველს ვერ

ვხედავთ. ცნობილი გერმანელი ისტორიკოსის ფრიდრიხ მაინეკეს აზრით, „ისტორიული წარსულის გამოცანა ყოველთვის რჩება საიდუმლო, მზაკვრული და გამოუცნობი“. მისი თანამემამულე, რ. ვიტრამი დასძენდა „ისტორია ეს არის გაჩერებული დრო, რომელიც გაცილებით უფრო ბეჭია, ვიდრე უკუნი ღამე“. გერმანული ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი აღიარებული თავკაცის, კარლ იასპერსის მიხედვით „წარსული მიუწვდომელია ჩვენი ცნობიერებისათვის, მომსალი – ბეჭია“ (8.92). ისტორიული ფაქტის სირთულეს, აგნოსტიციზმამდე და ირაციონალიზმამდე ხომ არ მივყავართ?

როგორც დამაჯერებლად ცხადყოფენ უახლოესი გამოკვლევები, მათ შორის პროფ. არონ გურევიჩის შრომები, ისტორიული ფაქტი არის ძალზე რთული და მრავალნახნაგოვანი, რაც განაპირობებს მისი აღქმის სირთულეს. ისტორიული ფაქტი წარმოადგენს „ერთგვარ კონსტრუქციას, რომელსაც ისტორიკოსი მის ხელთ არსებულ ფაქტების საფუძველზე ქმნის“. ყურადღებას მივაპყრობთ ზოგიერთ მათგანს.

დავიწყოთ იმით, რომ ისტორიული ფაქტი იზოლირებულად არ არსებობს. ის მჭიდრო კავშირშია სხვა ფაქტებთან. ეს კონტექსტი მნიშვნელოვანია. ამ კავშირის გარკვევა წარმოადგენს ისტორიკოსის მთავარ ამოცანას, მაგრამ ეს სულაც არ გახლავთ ისეთი ადვილი საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ეს საკმაოდ რთული პროცესია. პირველ ყოვლისა, ამგვარი ოპერაციის დროს არ უნდა დაირღვეს კონტექსტი. აქ იგულისხმება ამ კონკრეტული ფაქტების კავშირი სხვა დანარჩენ ფაქტებთან. ფაქტი იზოლირებულად არ უნდა განიხილებოდეს. ის არ შეიძლება მოვწყვიტოთ იმ სოციალურ გარემოს, რომელშიც ხდებოდა, თორემ ის დაკარგავს აზრს.

ისტორიკოსს საქმე აქვს სხვადასვა ტიპის ფაქტებთან. ეს გახლავთ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სულიერი ცხოვრების მოვლენები. „თითოეულ მათგანს ახასიათებს თვითმყოფადობა და მათი გაიგივება დაუშვებელი იქნებოდა: დღის წესრიგში დგება ისტორიული ფაქტების კლასიფიკირების საკითხი.

ისტორიკოსს უნდა შეეძლოს გამოარკვიოს მათი მნიშვნელობა და მოძებნოს თითოეული მათგანის ადგილი ისტორიკოსის „პროცესში“. (1. 48-49). ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი, ჰუგო ტრევორ-რო-პერი აღნიშნავდა: „პროფესიონალი ისტორიკოსები, რომელებიც დავობენ მე-18 საუკუნის ევროპის, რომელიდაც პატარა სამეფო კარის სამინისტრო კრიზისის ირგვლივ, ან იმის თობაზე, თუ როგორია ქარგვის სტილი დედათა მონასტერში, ვერ პასუხობენ საერთო საკითხებს, ადამიანები აღარ უჯერებენ მათ და ეძებენ ისეთ ისტორიკოსს, რომელსაც ძალუძს ამაღლდეს წვრილმანთა ზევით და იპოვოს საერთო მნიშვნელობა მასალის, საოცრად დიდ გროვაში“ (23.18). ისტორიკოსი ძალიან არ უნდა გაიტაცოს ფაქტების დანაწევრებამ, დეტალიზაციამ. ცნობილი მწერალი, ბერნარდ შოუ აღნიშნავდა: „მეცნიერი, რომელიც ისწრაფვის გაიგოს რაც შეიძლება ბევრი პატარა ობიექტზე, ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდება იმ მდგომარეობაში, რომ ეცოდინება ყველაფერი, მაგრამ არაფრის შესახებ“ (7.50). დეტალებით გატაცება თვითმიზანი არ უნდა გახდეს. ეს გამოიწვევს მთელის, არსებითის დაკარგვას, როდესაც „ხეების მიღმა ვერ ხედავენ ტყეს“ (1.45-46).

კიდევ ერთი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ისტორიკოსს ხშირად საქმე აქვს არა მარტო რეალურად არსებულ ფაქტებთან, არამედ მათზე გაყალბებულ წარმოდგენასთან. ასე, მაგალითად, ჩუდის ქრონიკის გამოსვლის შემდეგ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ლეგენდა შვეიცარიის სამი უძველესი კანტონის კავშირის შესახებ. ფრიდრიხის შილერის „ვილჰელმ ტელის“ გამოსვლის შემდეგ მან მტკიცედ მოიკიდა ფეხი ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ისტორიკოსებს საკმაოდ დიდი გარჯა მოუხდათ, რათა გაებათილებინათ ეს ლეგენდა. (24)

ისტორიული ფაქტის რთულ ბუნებაზე მიგვანიშნებს ის გარემოება, რომ ფაქტი თავის თავში შეიცავს როგორც ინდივიდუალურს, ისე საერთოს. ისტორიკოსი ამ საკითხში კარგად უნდა გაერკვეს. ისტორიულ ფაქტს აქვს თავისი ინდივიდუალური სახე და ის გაუგებარი ხდება ადგილისა და დროის გარეშე.

პროფ. არონ გურევიჩი ამ რთულ პრობლემას საინტერესო კუთხით მიუდგა. იგი წერდა: „ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებული პრობლემატიკის ნათელყოფის გზა, ჩვენი წარმოდგენით, ისტორიოგრაფიაში თანმიმდევრულად წამოყენებული ისტორიული ფაქტების შესახებ არსებული კონცეფციების მიმოხილვაზე გადის. როგორც კი გავერკვევით, ისტორიკოსთა განსხვავებული სკოლები და მიმდინარეობები როგორი პოზიციებიდან უდგებოდნენ ისტორიული ფაქტის პრობლემების გადაჭრას და რა სირთულეებს აწყდებოდნენ, მაშინვე უკეთ გავიგებთ ამ პრობლემის ბუნებას. მსგავსი ისტორიული მიდგომა, რაც მეცნიერებათა ცნებათა შესწავლისთვის გამოიყენება, ყოველთვის ჭკუის სასწავლებელი და მარგებელია“ (1.5) შეიძლება ითქვას, რომ ეს პროფ. არონ გურევიჩის ამ ნაშრომის კიდევ ერთი პლუსია. ამ თემაზე მთელი მისი მსჯელობა სწორედ საკითხის ისტორიოგრაფიაში ჩახედულებას ემყარება.

ამ პრობლემით ისტორიკოსების დაინტერესება არახალია, ის დღეს და გუშინ არ მომხდარა და თავისი ტრადიცია გააჩინია. მისი ფესვები შორეულ წარსულში, სახელდობრ მე-19 საუკუნეში უნდა ვეძიოთ. ამ საკითხისადმი ისტორიკოსების დამოკიდებულებამ საინტერესო ევოლუცია განიცადა. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ პროფ. არონ გურევიჩის ნაშრომში დამაჯერებლად არის ნაჩვენები ის ძირითადი ტენდენციები, რომელმაც ამ პრობლემის შეფასების დროს იჩინა თავი ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ის საუბრობს ისტორიული ფაქტისადმი ორ მიდგომაზე. პირველი სათავეს იღებს ობიექტივისტური ტიპის გნოსეოლოგიური კონცეფციიდან, რომლის მთავარი ამოსავალი პოსტულატი გახლავთ, ცნობილი პრინციპი „ფაქტები ყველაფერია – ინტერპრეტაცია არაფერი“. მეორეს მივყავართ სუბიექტურ-იდეალისტურ კონცეფციასთან მისთვის ნიშანდობლივი რელატივიზმით, ისტორიულ ფაქტთან მიმართებაში. მისი მთავარი საყრდენი პოსტულატი დიამტერულად საპირისპირო თეზაა – „ფაქტები არაფერია – მათი ინტერპრეტაციაა ყველაფერი“. ერთ შემთხვევაში

ყურადღება გადატანილია ისტორიკოსის კვლევითი საქმიანობის პირველ საფეხურზე, ხოლო მეორე შემთხვევაში კი პირიქით ხდება და აქცენტი კეთდება მეორე საფეხურზე. ასეთი გრადაცია ძალიან ხელოვნურია და დაზუსტებას მოითხოვს.

დიდმა გეორგანელმა ისტორიკოსმა ლეოპოლდ ფონ რანკემ საფუძველი ჩაუყარა ისტორიული ფაქტის კულტს. მისი შრომები ემპირიზმის და ფაქტოლოგიის საუკეთესო ნიმუშია. მისი ლრმა რწმენით, „ისტორია უნდა წერო ისე, როგორც ის ნამდვილად იყო“. იგი ფიქრობდა, რომ „ისტორიაში უნდა თავიდან ავიცილოთ ყოველივე, რაც ფაქტის სიზუსტით გადმოცემისაგან გადახვევას მოასწავებს“. რანკე იმ რწმენიდან გამოდიოდა, რომ მის მიერ გამოყენებული მეთოდი („კრიტიკა“, „სიზუსტე“, „ჩამწვდომობა“) იძლეოდა „ისტორიის ჭეშმარიტი საზრისის“, მისი მამოძრავებელი „ლვთიური ჩანაფიქრის გახსნის შესაძლებობას“. ფაქტობრივად, ეს იყო მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური იდეალი, რომლის პრაქტიკულად განხორციელება ლეოპოლდ ფონ რანკემ ვერ შეძლო (25). ჰოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰეილის თქმით „რანკეს სურვილი ისტორიის გააზრებიდან გამოერიცხა სკუთარი „მე“ – იყო „მონინებული მიხვედრა“, „საიდუმლოების გასაღები“, რომელიც მთლიანად ვერ აღებს მასში შესასვლელ კარებს“. (23. 137). „მის საკუთარ შრომებში წარმოჩნდებოდა უკიდურესი ნაციონალისტური ტენდენციურობა და გერმანული „ქრისტიანული მონარქიის“ აპოლოგეტის კლასობრივი შეზღუდულობა. შესაბამისად, პოლიტიკური ისტორია, გამოჩენილ პიროვნებათა ისტორია განუხრელად იყო მისი დეტალური, სიყვარულით გაუდენილი აღნერილობების ცენტრში“ (1.7). მაშ ასე, რანკეს ობიექტივიზმი, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა მისი თაყვანისმცემელი ისტორიკოსები, სინამდვილეში ილუზორული ხასიათის აღმოჩნდა. (26)

ფაქტის კულტი, რომელსაც საძირკველი ჩაუყარა გამოჩენილმა გერმანელმა ისტორიკოსმა ლეოპოლდ ფონ რანკემ, ახალ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს პოზიტივისტებმა, პირველ რიგში კი, ფიუსტელ დე კულანუმა, შარლ ლანგლუამ და

შარლ სენიობოსმა, მათ ისტორიული წყაროს კულტით გაამყარეს. მათი ერთ-ერთი თავკაცი, გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი, ფუსტელ დე კულანჟი პირდაპირ ამბობდა „ტექსტები, ტექსტები, სხვა არაფერი ტექსტების გარდა“ (27). პოზიტივისტების აზრით, მთელი ისტორიული მეცნიერება დაიყვანება დოკუმენტის სწორ განმარტებამდე. ხომ არ ვაიგივებთ ისტორიას წყაროთმცოდნეობასთან? ცხადია, პოზიტივისტებს მთელი ამ პროცედურის ობიექტურობაში ეჭვი არ ეპარებოდათ. წყაროების გაფეტიშება ამის ლოგიკური დაგვირგვინება იყო (22).

პოზიტივისტები პანლოგიზმის მიმდევრები იყვნენ და ღრმად არიან დარწმუნებულები, რომ წარსულში ობიექტური წვდომა შესაძლებელია და ამ თვალსაზრისით არავითარი პრობლემა არ არსებობს. ისტორიული ფაქტი მარტივია, ხოლო ისტორიკოსის ამოცანა – ელემენტარული. მისი მთავარი არსია ისტორიული ფაქტების შეგროვება. „ფაქტები თვითონ ღალადებდნენ საკუთარ თავზე“. პოზიტივისტები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ისტორიული წყაროების კრიტიკული გარჩევის შედეგად მასში მოცემული ფაქტები სავსებით რეალურია და ნდობას იმსახურებს. პოზიტივისტები „როგორც წესი მასში (ე.ი. ფაქტში – მ.კ.) პრობლემას ვერ ხედავდნენ, რომ ფაქტის მცნება არ წარმოადგენდა მათთვის მეთოდოლოგიურ სირთულეს და ეს ცხადად და მარტივად ეჩვენებოდათ, ეს ეჭვს ნამდვილად არ იწვევდა“ (1.14).

ოპონენტები პოზიტივისტებს სავსებით სამართლიანად საყვედურობენ, ინტერპრეტაციისადმი შედარებით თავშეკავებულ, გულგრილ, დამოკიდებულებას, რაც იმით აიხსნება, რომ ისინი ძირითადად აქცენტს აკეთებდნენ ისტორიული კვლევის პირველ საფეხურზე, ისტორიული მასალის შეგროვებაზე, ხოლო კვლევის მეორე ფაზა ისტორიული ფაქტების ინტერპრეტაცია, შედარებით ჩრდილში აღმოჩნდა, უკანა პლანზე გადაინაცვლა. მათ შორის არავითარი უფსკრული არ არსებობდა: „მეცნიერული ფაქტები განუყოფელია მისი (ფაქტების) ინტერპრეტაციისაგან. ფაქტების ცნება თავისთავად გულისხმობს მისსავე ინტერპრეტაციას“. ამი-

ტომ ასეთი დაყოფა, მაინც დიდი სიფრთხილეს საჭიროებს და ხელოვნურია.

„ისტორიკოსი არც „ოკულარია“, არც უემოციო „ენტომოლოგი“ – ის ისტორიული პროცესის თანამონაწილეა, მისი მსვლელობის გამააზრებელია. ეს გარემოება თვალია და არ საჭიროებს ახსნას. იგი, უეჭველად, გასათვალისწინებელია, როცა საუბრობენ ისტორიული პროცესის ზემოხსენებულ ჩვეულ დაყოფაზე ორ ნაწილად: „ფაქტების შეგროვება“ და მათი „ანალიზი და განზოგადება“ (1.34). ძნელია დავეთანხმოთ ინგლისელ ისტორიკოსს ა. ბულოკს თითქოს ისტორიის ინტერპრეტაცია განაპირობებს ფაქტების გაუბრალოებას, გაუფერულებას“ (9.14) სინამდვილეში ეს ასე როდია. სრულიად განსხვავებულ აზრს გამოთქვამს მისი თანამემამულე ედ. კარი. მისი აზრით „ინტერპრეტაცია გვევლინება ისტორიის სისხლსავსე არტერიად“.

ისტორიკოსი, რა თქმა უნდა, არ გახლავთ ისტორიული ფაქტის მთავარი შემოქმედი, როგორც ამაზე აპელირებდნენ ბენედეტო კროჩე და რობინ ჯორჯ კოლინგვუდი. მაგრამ წარსულის რეკონსტრუქციის საქმეში ისტორიკოსის როლის შეუფასებლობა დამაჯერებელი არ უნდა იყოს და, ალბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს.

პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის სახით საქმე გვაქვს ჩინებულ ისტორიკოს ემპირისტებთან, ფაქტოლოგებთან, რომლებმაც ზედმინევნით კარგად იცოდნენ ისტორიული წყაროები და ფლობდნენ უზარმაზარ ფაქტობრივ მასალას. პოზიტივისტებმა ისტორია თხრობის მეცნიერულ დონეზე აიყვანეს და ეს იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მათი ძალისხმევით ისტორია ყალიბდება დამოუკიდებელ მეცნიერებად და გამოეყოფა სიტყვაკაზმულ ლიტერატურას, თუმცა ზოგიერთები ისტორიას დღესაც სიტყვაკაზმული ლიტერატურის ერთ-ერთ ნაირსახეობად აღიქვამენ. ამ აზრს ავითარებენ თანამედროვე „პოსტმოდერნისტები“, მიშენ ფუკოს მეთაურობით.

„ისტორიის მიერ საკუთარი ამოცანების უფრო ღრმად გააზრება და ისტორიული წყაროების კრიტიკული მეთოდი, ისტორიის და-მოუკიდებელ მეცნიერებად ქცევა ამ ორი კომპონენტის სინთეზის ლოგიკური შედეგია“. (7.26-27.). „განსაკუთრებით გვსურს ხაზი გა-ვუსვათ იმას, რომ ის სტადია, რომელსაც პირველად თვლიან – წყაროების დამუშავება, მასალის შეგროვება, ასევე „დამძიმებულია“ თეორიული, ფილოსოფიურ-აქსიოლოგიური მომენტებით, თუმცა კი სხვადასხვაგვარად და სხვა ხარისხით, ვიდრე კვლევის მომდე-ვნო, დამაგვირგვინებელი სტადიები“ (1.35).

გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ისტორიული ფაქტის ობიექტივისტური მიდგომის მომხრედ შეიძლება იქნას მოაზრებული დიდი ქართველი ისტორიკოსი აკად. ივანე ჯა-ვახიშვილი. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო და სავსებით შეესატყვისებოდა ისტორიული მეცნიერების განვითარების საერთო დონეს მე-20 საუკუნის დასაწყისში. ის, პირველ ყოვლისა, გერმანული ისტო-რიული სკოლის გავლენის ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია, რომელ-საც ის, უნდა ვიფიქროთ, რომ ძალიან კარგად იცნობდა. ამ თვალ-საზრისით საინტერესო უნდა იყოს მისი მივლინება გერმანიაში 1901 წელს, სადაც მას საშუალება ექნებოდა კიდევ უფრო ახლო გაცნობოდა ამ დარგში ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებს. ივ. ჯავახიშვილის სახით საქმე გვაქვს პანლოგიზმის მიმდევართან. ისტორიის შემცნების სფეროში ის ჰეგელიანური მიმართულების მომხრედ შეიძლება იქნას მოაზრებული. ეს იყო ევროპული მიდ-გომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. საფიქრებელია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიას ის-ტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავების დროს, უმთავრესად, დიდი ივანე ჯავახიშვილის ძალისხმევით, სწორი გზა უნდა ჰქონოდა დასახული და, უპირატესად, იმ სიახლეე-ბზე, ნოვაციებზე იყო ორიენტირებული, რომელსაც ადგილი ჰქონ-და ევროპულ ისტორიოგრაფიაში. მკვეთრი სახეცვლილება ხდება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ქართული ისტორიოგრაფიის

განვითარება წარიმართა მარქსისტული ისტოროგრაფიის ჩარჩოებში, რაც ამ დარგში ივანე ჯავახიშვილის გზის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ. ეს სულ სხვა გზა იყო.

ისტორიის ეპისტემოლოგიას, შემეცნების დარგში გრანდიოზული გადატრიალება ნეოკანტიელების სახელთან ასოცირდება. მათ ახალი სიტყვა თქვეს ისტორიული ფაქტის გაგების საქმეში. ეს იყო თვისებრივი ნახტომი ისტორიული ფაქტის შემეცნების საქმეში.

შეიძლება გვეჩერენება, მაგრამ გვგონია, რომ პროფ. არონ გურევიჩის ამ ნაშრომში ის სიახლები, რომელიც ამ საკითხში გააკეთეს ნეოკანტიანელებმა, ხაზგასმულია ძალზე ფრთხილად, რაც გასაკვირი არ უნდა იყოს და მკაცრი ცენზურით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. მიუხედავად ამისა, ამას მოჰყვა თრთოდოქსულად მოაზროვნე მარქსისტების უარყოფითი რეაქცია და ისინი სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ ამ ნაშრომის გამოქვეყნებისა. (21.107). ამგვარი ფრთხილი მიდგომა ნეოკანტიანელთა ეპისტემოლოგიური ძებების მიმართ იმდროინდელი საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული სიახლე იყო და თვისებრივ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა (1. 18-21). ამ საკითხში ნეოკანტიანელთა ძიებებისადმი საბჭოთა ისტორიოგრაფიის მკვეთრად ნეგატიურ განწყობას არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნეოკანტიანელებმა მოგვცეს ისტორიული ფაქტის მნიშვნელობის გაგების საკითხში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის არგუმენტირებული კრიტიკა. დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ ისტორიული ფაქტი სულაც არ იყო მარტივი კონსტრუქცია, როგორც ეს რანკეს და პოზიტივისტებს ესახებოდათ.

ნეოკანტიანელებმა აღნიშნეს, რომ ისტორიული ფაქტის რეკონსტრუქცია სულაც არ წარმოადგენდა ისეთ ადვილ საქმეს, როგორც ამას პოზიტივისტები ფიქრობდნენ. მოხდა სიმძიმის ცენტრის გადატანა ონტოლოგიის სფეროდან, რომელზეც აქცენტს აკეთებდნენ პოზიტივისტები, გნოსეოლოგიაზე. ნეონკანტიანელთა თვალთახედვის არეალში აღმოჩნდა ისეთი საკითხები, რომელსაც მათი

წინამორბედი ისტორიკოსები ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. ეს თემებია: როგორია „ისტორიის შემეცნების შესაძლებლობები, როგორია ის აღქმითი, ეპისტემოლოგიური ინსტრუმენტალიები, რომელიც არის ისტორიკოსის ტვინში და როგორ შეიძლება მათი გამოყენება“. (1.18-19.21.109).

ნეოკანტიანელებმა ეჭვქვეშ დააყენს ისტორიული ფაქტის ტოტალური ობიექტურობა, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ პოზიტივისტები და აქცენტი გააკეთეს ისტორიული ფაქტის რელატივობაზე. მათი ღრმა რწმენით, წყაროების გაშიფვრა და იმის გამორკვევა, რაც ხდებოდა წარსულში, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შევეცდებით გავაანალიზოთ შინაარსობრივი გააზრების აპარატი, შემეცნებითი საშუალებები, რომელსაც ისტორიკოსი ფლობს. (31.32). მათი თვალსაზრისის მიხედვით, წყაროები არ შეიცავს ჭეშმარიტების ფრაგმენტს, როგორც ამას პოზიტივისტები ამტკიცებდნენ. ისტორიკოსმა უნდა გაშიფროს წყაროები და შეეცადოს ალადგინოს წარსული.

ნეოკანტიანელები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისტორია არის იდეოგრაფიული მეცნიერება. შესაბამისად, მათი აზრით, ისტორიული ფაქტი გახლავთ იდეოგრაფიული, განუმეორებელი, ინდივიდუალური, უნიკალური. ნეოკანტიანელების ძალისხმევით ისტორია გათავისუფლდა საბუნებისმეტყველო მეცნიერების ტირანიისაგან, რომელშიც ის აღმოჩნდა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის წყალობით, რამაც სტიმული მისცა ისტორიის შემეცნების დამოუკიდებელი მეთოდების შემდგომ დახვეწის და დამუშავებას.

ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ნეოკანტიანელების შეხედულებებისადმი აპოლოგეტური დამოკიდებულება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. ხშირად უყვართ თქმა „ნაკლოვანებანი ღირსებათა გაგრძელებაა“. საქმე იმაში გახლავთ, რომ ნეოკანტიანელები, ეტყობა, ისე გაიტაცა ისტორიულ მოვლენათა ინდივიდუალობამ, რომ ნებსით თუ უნებლიერ შედარებით უკანა პლანზე მოექცა მოვლენათა საინტერესო მხარე – განმეორებადობა. (33. 239)

ფართოდ მოიკიდა ფეხი მოსაზრებამ თითქოსდა ისტორიული ფაქტი არის წმინდა ფსიქოლოგიური მოვლენა. „ისტორიული ცოდნის მეთოდოლოგიური პრობლემების ნეოკანტიიანური განმარტება თავისუფალ სივრცეს შლიდა ისტორიის და მისი ფაქტების ფსიქოლოგიურად ასახსნელად. ასე მაგალითად, ა. ს. ლაპო - დანილევსკი, გერმანელი ნეოკანტიიანელების კვალდაკვალ, გამიჯნავდა რა მეცნიერებებს იდეოგრაფიულად და ნომოთეტურად, ისტორიულ ფაქტად „ამ სიტყვის უფრო ნიშანდობლივი სპეციფიური აზრით“ ,თვლიდა „მოცემული ინდივიდუალობის ცნობიერების ზემოქმედებას გარემოზე, განსაკუთრებით საზოგადოებრივ გარემოზე“. შესაბამისად, ისტორიული წყაროც ესმოდათ, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური ასპექტით, როგორც უცხო აღქმისათვის მისაწვდომი, ე.ი. ადამიანური ფსიქიკის რეალიზებული პროდუქტი“ (1.32). თუ პოზიტივისტებთან ფაქტის ცნება არ იყო პრობლემური, ნეოკანტიანელებთან ის ხდება პრობლემატური. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მათ კარგად გაითავისეს, ფაქტის რეკონტსტრუქციის მთელი სირთულე. ეს იყო მათი დამსახურება.

ნეოკანტიანელთა თეორიული ძიებების პრაქტიკულ რეალიზაციას შეეცადნენ „ანალების“ სკოლის ისტორიკოსები, პირველ რიგში კი, მათი დამაარსებლები ლუსიენ ფევრი და მარკ ბლოკი. ამიტომ არანაირი უფსკრული ნეოკანტიანელებს და „ანალების“ სკოლის ისტორიკოსებს შორის, როგორც ეს ფრანგ ისტორიკოსებს, მათ შორის ჟაკ ლე გოფს, ესახებოდათ არ არსებობდა. როგორც დამაჯერებლად ცხადყოფენ უახლესი გამოკლევები, ისინი ერთი და იმავე პრობლემის გადაწყვეტას მიუდგნენ სხვადასხვა კუთხით – ნეოკანტიანელები ისტორიის ეპისტემოლოგიის კუთხით, ხოლო „ანალების“ სკოლის ისტორიკოსები კი, კონკრეტულ ისტორიულ ასპექტში. (20.21.34).

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მათთვის აბსოლუტურად მიუღებელია ისტორიული წარსულის რეკონსტრუქციის საქმეში ისტორიკოსის პასიური პოზიცია, რასაც ქადაგებდნენ პოზიტივისტები. „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების სახელთანაა და-

კავშირებული „კოპერნიკისეული გადატრიალება“ ისტორიკოსის პროფესიაში. მათ, პოზიტივისტებისაგან განსხვავებით, წარსულის გააზრებისა და რეკონსტრუქციის საქმეში ისტორიკოსს სულ სხვა, გაცილებით უფრო აქტიური როლი დააკისრეს. ეს, ძირითადად, იმით გამოიხატებოდა, რომ „ანალების“ სკოლის ისტორიკოსებმა შეიმუშავეს სრულიად განსხვავებული კონცეფცია ისტორიკოსის საქმიანობის თვალსაზრისის, რომლის მთავარი დედააზრი იმაში მდგომარეობდა, რომ კარდინალურად ცვლიდა ისტორიკოსის და-მოკიდებულებას კვლევის ობიექტისადმი.

„ანალების“ სკოლის ისტორიკოსები და, პირველ რიგში კი, მისი დამაარსებლები, ლუსიენ ფევრი და მარკ ბლოკი ტრადიციულ „ისტორია – თხრობას“, რომლის მხურვალე მომხრე იყვნენ პოზიტივისტები, დაუპირისპირეს „ისტორია – პრობლემა“. მათი ღრმა რწმენით, ისტორიკოსი არ უნდა იყოს პასიური. მას წარსულის რეკონსტრუქციის საქმეში აქტიურ როლს აკისრებდნენ. ისტორიკოსი არ შეიძლება იყოს წყაროების ყურმოქრილი ყმა. ის მაქსიმალურად თავისუფალი, სუვერენული უნდა იყოს. ის წამოქრის პრობლემას, რომელსაც ცენტრალური ადგილი განეკუთვნება მის გამოკვლევაში, განსაზღვრავს მასალის შერჩევას და მისდამი ისტორიკოსის მიდგომას, აქედან გამომდინარე, ხდება უკვე მათი ანალიზი. მათ პოზიტივისტების „უპრობლემო ემპირიზმი“ ჩაანაცვლეს მეცნიერული პრობლემის ანალიზით. ლუსიენ ფევრის თქმით, „არ არის პრობლემა, მაშასადამე არ არის ისტორია“. ეს იყო ისტორიული მეცნიერების ხვალინდელი დღე. ლუსიენ ფევრი აღნიშნავდა: „ფაქტები ეს არის ლურსმანი, მაგრამ ეს ლურსმნები, ისტორიული ფაქტები, გამოიჭედება თვით ისტორიკოსის მიერ“. ის პირდაპირ აცხადებდა „არ არის ისტორია, არის ისტორიკოსი“. მათ იმდენად მიუღებლად ესახებოდათ ისტორიკოსის თვითნებობა და მიკერძოება, რომ საჭიროდ არც კი ცნეს, დაესვათ ეს საკითხი. მათი ღრმა რწმენით, ნებისმიერი აბსტრაქცია უნდა ამოდიოდეს ობიექტური რეალობიდან. ფაქტობრივად, ისინი ანვითარებენ ნეოკანტიანელების იდეას წარსულის აღქმის რელატურობის შესახებ. მათ

სცადეს თავიანთ კონკრეტულ ისტორიულ გამოკვლევებში მოე-ცათ რელატივიზმის პრინციპის დაფუძნება. (34.35). რელატივიზ-მი საფრთხობელას არ წარმოადგენს და ის არ უნდა მიგვანიშნებ-დეს ევროპული ისტორიოგრაფიის კრიზისზე. ამგვარი მიდგომა ამუქებს საქმის ვითარებას და აღნიშულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ევროპული ისტორიო-გრაფიის მიღწევებისადმი ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულება დღეს უკვე მოძეველებულია, ყავლი გაუკიდა, ისტორიოგრაფიის გავლილ ეტაპს წარმოადგენს.

ვფიქრობთ, აქ პროფ. არონ გურევიჩმა ფაქტობრივად სწორად დასვა საკითხი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თავის შემდგომ გა-მოკვლევებში ეს მიდგომა კიდევ ერთხელ განავრცო, განავითარა და, ალბათ, რაც ყველაზე მთავარია, გააღრმავა. ეს იყო საკითხი-სადმი მეცნიერული მიდგომა (20.21).

ილუსტრაციული მეთოდი, რომელსაც ფართოდ იყენებდა პო-ზიტივისტური ისტორიოგრაფია, ჩიხში მოექცა, ისტორიკოსებს შორის გარკვეულ უკმარობის გრძნობას ინვევდა. გაჩნდა შეგრძნე-ბა, რომ ისტორია, როგორც იწერებოდა აქამდე, აღარ შეიძლებო-და. საჭირო იყო ძირეული ცვლილებები. ფრანგი ისტორიკოსის უორჯ ბურჟენის თქმით, ისტორიკოსი აღმოჩნდა ღვთისმსახურის როლში, რომელმაც რწმენა დაკარგა“ (37.173). „ისტორიკოსის წი-ნაშე მთელი სიმწვავით დადგა ძველი პრობლემები: რა არის ის-ტორიული ფაქტი? რა არის ისტორიული წყაროები, რომლის უკან, როგორც ისტორიკოსები ფიქრობენ, იმაღება ფაქტი? ვის სჭირდე-ბა ისტორია? მისი ხანგრძლივი კვლევის შედეგი? შესწევს თუ არა ისტორიკოსს ისტორიული ფაქტის ობიექტური აღქმა, ისტორიულ წარსულში წვდომა?“ (37.173-174).

„პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ძირითად დოგმებზე უა-რის თქმა თვით ისტორიული მეცნიერების პრაქტიკით, იმ სირთუ-ლეთა გაცნობიერებით იყო გამოწვეული, რომელიც სწავლულთა წინაშე დგებოდა. ისტორიული გამოკვლევის ტექნიკა რთულდე-ბოდა. მოხმობილ წყაროთა წრე ფართოვდებოდა, ისტორიკოსთა

წინაშე ახალი კითხვები და ამოცანები იპადებოდა. ამასობაში ისტორიული ფაქტის სრული იდენტიფიცირება საბუნებისმეტყველო დარგების მიერ შესწავლილ მოვლენებთან სულ უფრო და უფრო ირყეოდა. ფიზიკაში მატერიის „გაქრობასთან“ ერთად ისტორიკოსების რჩმენა შეირყა ისტორიული ფაქტის „მატერიალურობასა“ და „სიმტკიცეზე“. სწორედ ცნება „ფაქტი“ ხდება ისტორიოგრაფიაში პრეზენტიზმისა და რელატივიზმის განმცხადებელთა მხრიდან ცხარე შეტევის ობიექტი“ (1.23-24).

მე-20 საუკუნის 20-30-იან წლების ისტორიოგრაფიაში ფართოდ მოიკიდა ფეხი პრაგმატიზმა, პრეზენტიზმა. მას განსაკუთრებით ბევრი მომხრები გამოუჩნდნენ ამერიკულ ისტორიოგრაფიაში. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. „ნატურალისტური სკოლის რეალისტების მიერ ისტორიული ფაქტის ფეტიშიზაცია აბსოლუტური რელატივისტების მიერ ამ ცნების სრულმა მისტიფიკაციამ შეცვალა. ფაქტმა რელატივისტების აზრით შეწყვიტა ისტორიკოსების გონიერების გარეშე არსებობა და მისი (ისტორიკოსის) აზროვნების პროდუქტად იქცა, სუბიექტურ სიმბოლოდ, რაღაც ისეთის გამომხატველად, რომელიც მიეკუთვნება თანამედროვეობას, ისტორიკოსის პიროვნებას და გარემოს, რომელშიც ის იღწვის, გარემოს, უაღრესად დაშორებულად და მიახლოებულად დაკავშირებულს წარსულთან“ (1.33.).

პრაგმატისტებს მიაჩნიათ, რომ ისტორიკოსი მოვლენების ინდივიდუალობას აღიქვამს მხოლოდ შინაგანი ინტუიციით. ისტორიკოსი ხელახლა ქმნის ისტორიას თავისი შეგნებით. „დაწერილი ისტორია ესაა მხოლოდ თანამედროვეობის აზრი წარსულის შესახებ“ – ფიქრობს იტალიელი მეცნიერი ბენედეტო კროჩე. ამერიკელი მკვლევარი კარლ ბეკერი ამტკიცებდა, რომ „ისტორიული ფაქტი, რასთანაც საქმე აქვს ისტორიკოსს, და უტყუარი მოვლენა, სხვადასხვა რამეა. ისტორიული ფაქტი მხოლოდ ისტორიკოსის გონიერების არსებობს და არა წარსულში, არამედ ახლა. აუცილებელია უარის თქმა „მოძველებულ ჩვევაზე“ იმის ფიქრისა, რომ ისტორია გარე სამყაროს წანილია, მხოლოდ ისტორიული ფაქტები

– ჭეშმარიტი მოვლენები“. (1.25). ეს გახდავთ არა „წარსულის რელატივიზმი“, არამედ „სუბიექტივიზმი ანტიკოსი“ (1.25). კარლ ბეკერი ამტკიცებდა, რომ ყოველი ადამიანი თავისი ისტორიკოსი თვითონ არის. ფაქტოპრივად, მათ ეჭვქვეშ დააყენეს „ისტორიული კონსტრუქციების ობიექტურობის შესახებ არსებული კრიტერიუმების საკითხი“ (1.38).

„რა თქმა უნდა, დიდად მცდარია რელატივისტების ზემოხსენებული მოსაზრებანი ისტორიული ფაქტის შესახებ, როგორც სიმბოლოზე“, რომლის უკან იმაღლება, რაღაც შეცნობადი სინამდვილე, ან სულაც არაფერი იმაღლება, გარდა ისტორიკოსის აზროვნებისა“. (1.41)

„განა უფრო მართებული არ იქნებოდა გვეთქვა, რომ ისტორიული ფაქტი – წარსულის ის შემთხვევა ანდა მოვლენაა, რომლის შესახებაც ცნობები (ე. ი. წყაროებში ანარეკლი, ყოველთვის ამათუ იმ ხარისხით არაადეკვატური და არასრული) შემოგვენასა, რომ ის ისტორიკოსის მიერ ფასდება, როგორც მის საკვლევ პრობლემასთან კავშირში მქონე და მათ მიერ ამ პრობლემატიკის ჭრილშივე ინტერპრეტირებული, (და) რომ ხდება მისი კანოზომიერ კავშირთა სისტემაში ჩართვა“. ისტორიული ფაქტის ახლახან მოცემული მიახლოვებით განსაზღვრება არასრულია, ის არ მოიცავს იმ ისტორიულ ფაქტებს, რომელთა შესახებ არავითარი ხსნება არ არის წერილობით წყაროებში და არც მატერიალური ნაშთებია მათგან შემორჩენილი. მიუხედავად ამისა, ამდაგვარი ფაქტების აღდგენა შეიძლება ირიბი გზით. ეს კიდევ უფრო უსვამს ხაზს ისტორიკოსის აქტიურ როლს ისტორიის ფაქტების რეკონსტრუქციაში. შემმეცნებელი სუბიექტისა და მეცნიერების მიერ შესამეცნებელი ობიექტის ურთიერთობის პრობლემა, ჭეშმარიტად, უდიდესი მნიშვნელობის პრობლემაა“ (1.44).

ფაქტოპრივად, პრაგმატისტები, პრეზენტისტები, სულ სხვა უკიდურესობაში აღმოჩნდნენ, „კარლ ბეკერის, ჩარლზ ბირდის და სხვა ამერიკელი ისტორიკოსების ძალისხმევით ისტორიული კვლევის სიმძიმის ცენტრმა წარსულიდან ანტიკოსი გადმოინაცვლა,

წარსული კვლევის მიზნიდან უფრო საშუალებად იქცა, ტოტალურიდან ნაწილად გარდაიქმნა, არა უმეტეს სინამდვილის ფრაგმენტისა...“ (1.28) ასე განსაჯეთ ფრანგმა მეცნიერმა უოზეფ ურსამ ისე შორს შეტოპა, რომ პირდაპირ განაცხადა „ახლა ჩვენ კარგად ვიცით, რომ სამყაროში და ისტორიაში ფაქტები აღარ არსებობს“ (7.64). ასეთ სკეფსისს აგნოსტიციზმთან და ირაციონალიზმთან მივყავართ. ეს კი, ცხადია, არ ლირს, ზედმეტია.

ისტორიკოსების დამოკიდებულება ისტორიული ფაქტის რაობისადმი ერთგაროვანი არასოდეს ყოფილა და საინტერესო მეტამორფოზი განიცადა. მკაფიოდ იკვეთება ორი დიამეტრალურად საპირისპირო თვალსაზრისი. პირველი სათავეს იღებს ობიექტივისტური ტიპის გნოსეოლოგიური კონცეფციიდან, რომლის მთავარი ამოსავალი პოსტულატი გახლდათ პრინციპი „ფაქტები ყველაფერია, ინტერპრეტაცია – არაფერი“. ასეთი იყო რანკეს და პოზიტივისტების კრედო. მეორე მიდგომას მივყავართ სუბიექტურ იდეალისტურ კონცეფციასთან, მისთვის ნიშანდობლივი პრაგმატიზმით და პრეზენტიზმით. მისი მთავარი საყრდენი პოსტულატი დიამეტრალურად განსხვავებულია. ეს გახლავთ სრულიად საპირისპირო პრინციპი – „ფაქტები არაფერია, მათი ინტერპრეტაცია – ყველაფერია“. ერთ შემთხვევაში ყურადღება გადატანილია ისტორიკოსის კვლევითი საქმიანობის პირველ საფეხურზე, რომლის არსი მასალის შეგროვებაში მდგომარეობს. მეორე შემთხვევაში კი – პირიქით, აქცენტი კეთდება მის ორგანიზაციაზე – ახსნაზე, ინტერპრეტაციაზე (1.13-14). ორივე ეს შეხედულება ცალმხრივი და მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში უნდა ვეძებოთ. ამ საშუალედო გზის მოძიების ერთ-ერთ მცდელობად, ჩვენი აზრით, ამ პრობლემისადმი „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების, პირველ რიგში კი, მათი დამაარსებლების, ლუსიენ ფევრისა და მარკ ბლოკის, დამოკიდებულება შეიძლება მივიჩნიოთ.

ისტორიული ფაქტების რაობის გააზრების დროს ჭეშმარიტაბასთან შედარებით ყველაზე უფრო ახლო, ჩვენი აზრით, „ანალების“ სკოლის ისტორიკოსები, პირველ რიგში კი, ამ სკოლის და-

მაარსებლები ლუსიენ ფევრი და მარკ ბლოკი მივიღნენ. მათი ღრმა რწმენით, ისტორიკოსის მიერ წარსულში მომხდარი ფაქტის რეკონსტრუქცია გახდავთ რთული და შრომატევადი პროცესი, არსებითად, ეს არის ისტორიკოსის კონსტრუქცია, რომელიც მკვეთრად გამოკვეთილად რელატივისტურია – შედარებითა და არ წარმოდგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას. ეს მცნება „ანალების“ სკოლის ისტორიკოსებისათვის მიუღებელი იყო. ისინი პლურალიზმის, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომის მომხრებად გვევლინებიან. ამ პრინციპების მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან განსჯა, რაც პრიორიტეტული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. „ანალების“ სკოლის ისტორიკოსებს და, პირველ ყოვლისა, მათ დამაარსებლებს ძალიან კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული, რომ მთელი ეს რთული პროცესი სუბიექტურ ხასიათს ატარებდა. წარსულის ობიექტს აღიქვამს სუბიექტი, ისტორიკოსი. რაც არ უნდა ვეცადოთ. ამას თავიდან ვერ ავიცილებთ. წყაროები გამზადებულ ინფორმაციას არ შეიცავს. მათი გაშიფვრა ისტორიკოსის საქმეა. შეიძლება დავვთანხმოთ ლუსიენ ფევრს, რომ „ისტორიკოსი თვითონ ქმნის თავის წყაროებს“. რა არის ამაში მიუღებელი? ალბათ, არც არაფერი. მარკ ბლოკი დასძენდა „ისტორიული გამოკვლევა იწყება არა მასალის შეგროვებით, არამედ პრობლემის დასმით და იმ კითხვების შედებით, რომელსაც ისტორიკოსი დაუსვამს წყაროებს“. ამას ისინი არ მიჰყავს პესიმიზმამდე და არ ამტკიცებენ, რომ თითქოს ისტორიკოსს არ ძალუდს ისტორიული ფაქტის აღქმა, როგორც ამას ფიქრობენ პრაგმატისტები და პრეზენტისტები. „ანალების“ სკოლის ისტორიკოსებისათვის ასეთი პესიმიზმი მიუღებელია. „ისტორიკოსმა უნდა შეძლოს მის მიერ შესწავლილი მოვლენების შეფასება, რომელნიც მეცნიერების წინაშე მდგარ პრობლემას მიეკუთვნება, მოახდინოს მათი ინტერპრეტირება, კანონზომიერი კავშირების სისტემაში ჩართვა, ამ აზრით და მხოლოდ ამ აზრით! – შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ისტორიკოსები „ქმნიან“ ისტორიულ

ფაქტებს“ (1.40). სწორი მიღვომაა. „ანალების“ სკოლის ისტორიკოსებს, პირველ რიგში კი, მათ დამაარსებლებს ლუსიენ ფევრს და მარკ ბლოკს, იმდენად მიუღებლად ესახებოდათ ისტორიკოსის თვითხებობა და მიკერძოება, რომ საჭიროდ არც კი სცნეს დაესვათ ეს საკითხი. მათი ღრმა რჩმენით, ნებისმიერი აბსტრაქცია უნდა ამოდიოდეს ობიექტური რეალობიდან (34.35). ოპონენტებმა დაუყოვნებლივ ისარგებლეს ამით და „ანალების“ სკოლას და მის დამაარსებლებს, ლუსიენ ფევრს და მარკ ბლოკს, ათას ცოდვაში დასდეს ბრალი, რომელიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია.

რა არის ისტორიული ფაქტი? ამ კითხვაზე არაერთი ისტორიკოსი შეეცადა გაეცა პასუხი. გამოითქვა ძალიან ბევრი საინტერესო მოსაზრება, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ დავა ამ პრობლემის ირგვლივ არ დასრულებულა და ახალი ძალით იჩინა თავი. ეს დისკუსია ისტორიული ფაქტის გარშემო, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს და არ დასრულდება. ჰოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰეიდლის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. ამ კუთხით აღნიშნული პრობლემის გაშუქების ერთ-ერთ საინტერესო მცდელობად გვევლინება პროფ. არონ გურევიჩის გამოკვლევა „რა არის ისტორიული ფაქტი?“ ის ამ პრობლემას, სწორედ, ამ ასპექტში განიხილავს „უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული ცოდნის განვითარების თითოეულ ეტაპზე ფაქტის შესახებ განსაკუთრებული გაება გამომუშავდა, მთლიანობაში ისტორიული მეცნიერების მდგომარეობისა და სამეცნიერო მეთოდოლოგიის შესატყვისი. საეჭვოა, პროდუქტიული ყოფილიყო სწრაფვა, ენახათ, ამ პრობლემის „საბოლოო“ გადაწყვეტა. ვინაიდან ნებისმიერ მის გადაწყვეტას ძალა მხოლოდ ამ ეტაპისთვის ექნება, რომელშიც ის არის მოცემული. საქმე ისტორიის მეთოდოლოგიის კითხვების საბოლოო გადაწყვეტაში როდია – ეს „უსასრულო დავაა“ – არამედ სულ სხვა ახალ-ახალი კატეგორიების მოფიქრებაში, რომლითაც ისტორიკოსები სარგებლობდნენ“ (1.34) ეს უნდა იყოს სწორი მიდგომა.

სავსებით ვეთანხმებით პროფ. არონ გურევიჩს, რომ „ცნება – „ისტორიული ფაქტის“ ორმაგი (ბუნების) შესახებ სხვა მიზეზითაც საინტერესოა. წარსულის რეალურ ამბებს და ფაქტებს შორის, რომლის შესახებაც წერს ისტორიკოსი, ხანგრძლივი და რთული გზა. სქემატიზირებისას შეიძლება გამოყოფოთ შემდეგი სტადიები. მომხდარი მოვლენა მის თანამედროვეებში ბადებს წარმოდგენებს მის შესახებ; უკვე წარმოდგენები მრავალ მიზეზთა გამო არ არის ერთნაირი. ზოგი (ან ერთი) ამ წარმოდგენათაგანი ასახვას პოვებს ისტორიულ წყაროებში. თანაც მოვლენა სხვა მოვლენათა ჯაჭვი-დან გამოიყოფა, განიმარტება, ახალ კავშირში შედის სხვა მოვლენათა შესახებ არსებულ ცნობებთან. ცნობა მომხდარ მოვლენაზე სანიშნო სისტემებში აღიბეჭდება, რაც თანმიმდევრული და გასაგებია მოცემული საზოგადოებისათვის. სრულიად ნათელია, რომ ეს ცნობა არასოდეს არ ასახავს მოვლენას მთელი სისავსით, არ არის მისი ადეკვატური, ხოლო ზოგჯერ აუხეშებს კიდეც მას, ანდაც სულაც ამახინჯებს. ამის შემდეგ წყაროს მიმართავენ ისტორიკოსები. მათი თვალსაზრისები და მასალის განმარტებისა და წყაროების შერჩევის ხერხები და მათში დაცული ცნობები იცვლება; იცვლება პერსპექტივაც, რომელშიც მოცემული ცნობა განიხილება. იცვლება მისი (ცნობის) სხვა წყაროებთან და ცნობებთან შეპირისპირების შესაძლებლობა. და ბოლოს, მსწრაფეულებადია მომდევნო თაობის ისტორიკოსთა უნარი – გაშიფრონ ნიშანთა სისტემა, რომელშიც შედგენილია წყარო, აღმოჩენდება, რომ ისტორიული ფაქტი ამოუწურავია, როგორც მისადმი მიღვიმების მრავალგვარობით, ასევე მუდმივად ცვალებადი პერსპექტივით, რაშიც წარსული განიხილება“ (1.42-43).

ისტორიული ფაქტი არის რთული და მრავალნახნაგოვანი და ისტორიული წყაროში ერთგვაროვან ასახვას როდი პოულობს. ისტორიკოსის ურთიერთობა წყაროებთან არის საინტერესო და რთული. აი, რას წერდა პროფ. არონ გურევიჩი: „ისტორიკოსის მიერ საკუთარი თავის წინაშე დასახული ამოცანებიდან და მის მიერვე გამოყენებული მეთოდებიდან გამომდინარე, ძველ, უკვე

ცნობილ წყაროებში, თურმე შესაძლებელი ხდება სულ ახალი და ახალი ფაქტების მოძიება. აი, ერთი მაგალითი. გერმანული და სხვა ევროპული ტომების ადრეშუასაუკუნეობის დროინდელი ჩვეულებითი სამართლის ჩანაწერები – „ბარბაროსული სამართალი“ – ის-ტორიკოსთა მიერ ტრადიციულად „პრიმიტიული“ სამართლისა და სამართალმცოდნეობის შესასწავლად გამოიყენებოდა; შემდგომ ისინი ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამ ხალხების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად და ფეოდალიზმზე გარდამავალ ხანაში; ახლა ისტორიკოსები შესაძლებლად თვლიან ახალი კუთხითაც იკვლიონ ისინი: გამოვლენა მომენტებისა, რომელიც ასახავს ბარბაროსთა სოციალურ ფსიქოლოგიურ მიზანმიმართულებას, რაც ბარბაროსებში სოციოლოგიური ხასიათის დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. წყარო სხვაგვარად იწყებს „ლაპარაკს“, როცა ისტორიკოსი მას ახალი კითხვებით და ახალი, არატრადიციული მეთოდიკით უდგება, მასში აღმოჩნდება ახალი ფაქტები ან ადრე უკვე ცნობილი ახალი კუთხით განიმარტება“.

(1.42). ისტორიის რეკონსტრუქცია ამ რთული და შრომატევადი საკვლევი სამუშაოს ლოგიკური დაგვირგვინებაა.

ნარსული შემეცნების, რეკონსტრუქციის, ერთ-ერთი საინტერესო მეთოდი შეიმუშავა გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა მაქს ვებერმა. მან დაამუშავა მოძღვრება „იდეალური ტიპების“ შესახებ, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისის ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მიღწევა იყო. მაქს ვებერის თეორიისადმი საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნიჰილისტური დამოკიდებულება გაუმართლებელი იყო და მხოლოდ ერთი ისტორიული სკოლის შეხედულებებს გამოხატვდა მონისტური პოზიციებიდან. მაქს ვებერის შეხედულებების კრიტიკა ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. მ. ვებერის მოძღვრებას საბჭოთა ისტორიოგრაფიამ დაუპირისპირა სოციალ-ეკონომიკური ფორმაციების შესახებ მარქსისტულ-ლენინური კონცეფცია.

მაქს ვებერის მიხედვით, ისტორიკოსი თავის საქმინობას იწყებს საერთო კონცეფციით. ეს ნიშნავს იმას, რომ ის იქმნის წარ-

მოდგენას ისტორიული წარსულის იმ ფრაგმენტზე, რომელიც მას აინტერესებს. გერმანელი მეცნიერები უფრო იმ აზრისაკენ იხრებიან, რომ „იდეალური ტიპები“ წარმოადგენს მხოლოდ აზრობრივ კონსტრუქციას, რომელიც გვეხმარება უფრო კარგად გავიგოთ ინდივიდუალური, განუმეორებელი. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს წინასწარ ჰიპოთეზასთან (38).

პროფ. არონ გურევიჩის გამოკვლევაში „რა არის ისტორიული ფაქტი?“ „იდეალურ ტიპებზე“ მინიჭნება, ჩვენი აზრით, საკმაოდ გამჭვირვალეა, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ის სიფრთხილეს იჩინს და არ აკონკრეტებს ამას. „ამრიგად, ჩვენ უნდა დავუშვათ ისტორიკოსთა მიერ შესასწავლი ფაქტების შერჩევის პროცედურის ორმაგი ბუნება. თემის საკვლევი პრობლემის განსაზღვრა და ამოსავალი ფაქტების გამოყოფა იმ თეორიულ წანამძღვრებთან არის დაკავშირებული, რომლითაც ხელმძღვანელობს ისტორიკოსი. რამდენადაც, მასალის ამგვარი შერჩევა, რომელიც წაწილობრივ მისი შეფასების შემცველიცაა, უკვე მიმდინარეობს, ეს მასალა კარნახობს (მეცნიერს) შემდგომი მონაცემების მოხმობის აუცილებლობას, ლოგიკურად და არსებითად ადრე შერჩეულებთან დაკავშირებულს. გამოკვლევაში ჩართული მასალის წრე ფართოვდება. ისტორიკოსის ყურადღების არეში მოქცეული ახალი ფაქტების გამოკვლევას ის თავდაპირველი, წინასწარი თვალსაზრისის შეცვლამდე მიჰყავს, ვინაიდან მოხდა ზოგადი თეორიული წარმოდგენებით განპირობებული ჰიპოთეტური ფორმის შევსება მასალით, რომელიც მხოლოდ ამ წანამძღვრების საფუძველზე კი არ შეირჩა, არამედ უწინარესად ყოვლისა, ზემოთ მითითებული „ფაქტების ლოგიკის“ ძალით. ამიტომ იმის აღიარება, რომ ისტორიკოსის მსჯელობებს აქვს გარდაუვალად შემფასებლური ხასიათი და მათთან შესაბამისობაში ახდენს ის ფაქტობრივი მასალის შერჩევას, არავითარ შემთხვევაში არ მოსდევს დასკვნა, რომ ისტორიაში სამეცნიერო-ობიექტური კონსტრუქციის აგება შეუძლებელია. ისტორიულ გამოკვლევას აქვს ორი პერსპექტივა: შემფასებლური – ისტორიკოსის მსოფლმხედველობით განპირობებული და ობიე-

ქტური, თეორიულ წანამდლვრებზე მხოლოდ იმდენად დამოკიდებული, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ისტორიული პროცესის ჭეშმარიტ ანარეკლს. წანამდლვრებმა, რომლითაც ხელმძღვანელს ისტორიკოსი, უნდა ითამაშონ სამუშაო ჰიპოთეზების ვარაუდების როლი, რომელთა შემონმება, დაზუსტება და კვლევის პროცესში, აუცილებლობის შემთხვევაში, უარყოფა, შესაძლებელია, მაგრამ არამც და არამც სქემების, რომელთაც ძალადობრივად მოარგებს ფაქტებს“. (1.48-49). ეს იყო ევროპული თვალსაზრისი, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე ახალი სიტყვა იყო და, ბუნებრივია, ორთოდოქსულად მოაზროვნე მარქსისტების გულისწყრომა გამოიწვია.

რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობს ისტორიკოსი ისტორიული ფაქტების შერჩევის დროს? როგორ მეთოდებს მიმართავს ის ისტორიული ფაქტების სელექციის შემთხვევაში? როგორ ახდენს ისტორიული ფაქტების შერჩევას? საკითხი არის პრინციპული და აქტუალური. ამ კითხვებზე ერთმნიშვნელოვან პასუხს ამაოდ დაუწყებთ ძებნას. ის უბრალოდ არ არსებობს. გერმანელი მეცნიერი კ. ჰეიისი ისტორიულ ფაქტს განიხილავს როგორც „ისტორიკოსის თვალსაზრისის“. მისი თანამემამულე თეოდორ ლიტი პირდაპირ ამბობდა, რომ „არა ფაქტები, არამედ მიკერძოება ხელმძღვანელობს ისტორიკოსს“ (16.52). გერმანელი ისტორიკოსი ჰანს როტფელსი ხაზს უსვამს, რომ „ისტორიკოსის მიერ ისტორიული ფაქტების სელექცია მკაცრად სუბიექტურია“. (9.140) „მაშასადამე, ისტორიკოსის მიერ ფაქტების შერჩევის პროცედურა ორმხრივია: ის მომდინარეობს ჰიპოთეზიდანაც, თეორიიდან, რომლითაც ისტორიკოსი ხელმძღვანელობს და თვითონ ფაქტებიდანაც. ფაქტები არ „აისხმება“ ისტორიკოსის მიერ წინასწარ გაბმულ ძაფზე – ისტორიულ ფაქტებს შორის ობიექტური ურთიერთობები იჩენს თავს, ურთიერთობები, რომელთაც ისტორიკოსი კი არ ქმნის, არამედ აღმოაჩენს. საქმე ისაა, რომ ისტორიული ფაქტი თავისი შინაგანი ბუნებით დინამიურია. თუ ისტორიულ ფაქტში იგულისხმება მოვლენა, მაშინ მას ისტორიკოსი თავის მიზეზებსა და

შედეგებამდე მიჰყავს – სხვა ფაქტებთან და ფაქტების სერიებთან. თუ ისტორიული ფაქტი პროცესია, მაშინ ის აუცილებლად უნდა იქნას გაგებული მთელი თავისი სირთულით. მისი (პროცესის) შემადგენელ ფაქტებს – ამბებსა და მოვლენებს შორის (არსებული) მიზეზობრივი და ფუნქციონალური ურთიერთობების მაქსიმუმით. ამრიგად, ისტორიული ფაქტი არც „აგურია“, არც „ატომია“ და არც რაღაც მარტივი და უძრავია, ისტორიული ფაქტი არის მრავალ ფაქტს შორის (არსებული) ისტორიკოსების მიერ (პირველქმნილი სახით) აღდგენილი განახლებული ურთიერთობა“. (1.49-50).

მენტალიტეტის პრობლემატიკის კვლევას დიდ ყურადღებას უთმობდნენ „ანალების“ სკოლის ისტორიკოსები, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მისი დამაარსებლები ლუსიენ ფევრი და მარკ ბლოკი. ეს იყო მე-20 საუკუნის ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალ-საჩინო მიღწევა, საინტერესო სიახლე, რომელმაც ძალიან შეუწყო ხელი ისტორიული მეცნიერების შემდგომ წინსვლა-განვითარებას, პროგრესს. ეს იყო ახალი სიტყვა ისტორიკოსის საქმიანობაში, რომელიც ისტორიკოსის წინაშე ახალ ჰორიზონტს გადაშლიდა. ერთი მხრივ, ეს გახლავთ ისტორიკოსის სამყაროს სურათი, საიდანაც გამომდინარე ის ატარებს კვლევით სამუშაოებს და მეორე მხრივ, კი ეს არის იმ ეპოქის ადამიანების მიერ სამყაროს ხედვა. ხომ არ წარმოადგენს ორივე ამ შეგრძნების ასეთი კონფრონტაცია ისტორიის ყველაზე უფრო მიმზიდველ თვისებას?“ (20.33)

ჩვენი ღრმა რწმენით, ქართულ ისტორიოგრაფიაში ხვალინდება დღე სწორედ ასეთ მენტლიტეტზე ორიენტირებულ კვლევებს ეკუთვნის, მაგრამ ჯერჯერობით, ეს მხოლოდ სურვილებია და სხვა მეტი არაფერი. რატომ? ამის გაკეთება, ცხადია, ადვილი საქმე არ იქნება და დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდება. რამდენად არის ამისათვის მზად თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია? ჩვენი აზრით, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ამისთვის ჯერ კიდევ არაა სათანადოდ მომზადებული. მნიშვნელოვანნილად ჩვენი აზრით, ამით აიხსნება, რომ დღეს ქართული ისტორიოგრაფია, უპირატესად რაოდენობრივ და არა თვისებრივ, ხარისხობრივ

ცვლილებებზეა ორიენტირებული. რაოდენობრივი ცვლილებების გადაზრდაზე თვისებრივ, ხარისხობრივ ცვლილებებში საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევი უნდა ჩანდეს. (39. 55-66, 40-120.41-260, 42.280).

ჩვენი აზრით, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის სახით საქმე გვაქვს პოზიტივისტების ემპირიზმის, ფაქტოლოგისა და მარქსიზმ-ლენინიზმის შერწყმის, შესამების თავისებურ მცდელობასთან. პოზიტივისტური ისტორიოგრაფია მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის თეორიულ ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. ამ მიმართულებით ვითარდებოდა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია. ის მოწყდა განვითარების ევროპულ გზას და მისი განვითარება სულ სხვა გზით წარიმართა. ევროპული ისტორიოგრაფია განვითარდა, მაღალ დონეს მიაღწია. ნეოკანტიიანელები, „ანალები“ სკოლა. თვისებრივად, ხარისხობრივად, სულ სხვა დონეზე გავიდა, წინ წავიდა. ჩვენ კი სწორ გზიდან გადავუხვიეთ და ჩამოვრჩით. პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიული-მეთოდოლოგიური ჩარჩოებს ვერ გავცდით. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მთელი ძალისხმევა სწორედ ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციისაკენაა მიმართული, რაც მის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ეს არის საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს შეხედულებები პროფ. არონ გურევიჩმა კიდევ უფრო გააღრმავა, დახვენა, სრულყო და განავითარა, პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოსულ შრომებში, როდესაც ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას წერტილი დაესკა. პოლიტიკური და იდეოლოგიური ზენოლა მეტი აღარ არსებობდა. (20.21)

პროფ. არონ გურევიჩის მცდელობა, ჩაერთოს ისტორიული ფაქტის გარშემო გამართულ დისკუსიაში, ცხადია, ძალიან კარგია და მისასალმებელი. მან სცადა თავისი სიტყვა ეთქვა აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში და შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაეწია ამ პრობლემის შესწავლა, მაგრამ მას არ გააჩნია აღნიშნული პროლემების საბოლოო გადაწყვეტის პრეტენზია, რადგან კა-

რგად აცნობიერებს, რომ ეს შეუძლებელია. ეს იყო სწორი ხედვა, რაც, ჩვენი აზრით, ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად შეიძლება მივიჩნიოთ. ისტორიული ფაქტის მნივნელობაზე მსჯელობა არ დასრულებულა და, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს. რას იზამთ! „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. მან მოგვცა ამ რთული თეორიული საკითხის თავისი ხედვა. მას გააჩნია ამ პრობლემის გადაწყვეტის საკუთარი ვერსია. არის ამაში რაიმე მიუღებელი? ალბათ, არც არაფერი. განა ეს ცოტაა? მან სწორად დასკვნა საკითხი და შეეცადა მის გადაწყვეტას. მთავარი, ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს.

* * *

მაშ ასე, პროფ. არონ გურევიჩის საინტერესო გამოკვლევა „რა არის ისტორიული ფაქტი“ საბჭოთა ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია და მას ამ საკითხით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი გულგრილად გვერდს ვერ აუვლის. აღნიშნული პრობლემის მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტის ფონზე პროფ. ა. გურევიჩის ეს ნაშრომი ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება. ის გვთავაზობს ამ თემის სულ სხვა ხედვას, რომლის მთავარ ამოსავალ წერტილად გვევლინება ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევები, პირველ რიგში კი, ნეოკანტიანელთა ეპისტემოლოგიური შეხედულებები. ეს იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე სიახლე გახლდათ, სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯს წარმოადგენდა და საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმატება იყო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მაშინ ასე არავინ ფიქრობდა. ორთოდოქსულ-ბოლშევიკურად განწყობილმა ისტორიკოსებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა ამ ნაშრომს დღის სინათლე არ ეხილა, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ.

ლიტერატურა:

1. ა. გურევიჩი. რა არის ისტორიული ფაქტი? თბ., 2018.
2. მ. კალანდაძე, ისტორიული ფაქტის პრობლემა ბურუუაზიულ ისტორიოგრაფიაში – ახალგაზრდა მეცნიერ-ისტორიკოსთა მე-5 რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1985.
3. И. Кон, Философский идеализм и кризис буржуазной исторической мысли, М., 1959.
4. М. Барг, Категорий и методы исторической науки, М., 1984.
5. М. Барг, Эпохи и Идеи (становление историзма), М., 1987.
6. М. Барг, Проблемы социальной истории в освещении современной западной историографии, М., 1973.
7. Н. Ерофеев, Что такое история, М., 1976.
8. В. Дьяков, Методология историй в прошлом и настоящем, М., 1974.
9. В. Салов, Историзм и современная буржуазная историография, М., 1977.
10. О. Вайнштейн, Очерки развития буржуазной философии и методологии истории в XIX-XX, М., Л., 1979.
11. Е. Жуков, Очерки методологии истории, М., 1980.
12. В. Хачатурян, Мир глазами средневекового человека (по исследованиям А. Я. Гуревича) – «Преподавание истории в школе», №4. 1994.
13. რ. მეტრეველი, გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიო-გრაფიის პრობლემები – ქართული დიპლომატია, წელიწ-დეული 12. თბ., 2005.
14. А. Гуревич, Проблемы генезиса феодализма в Западной Европе, М., 1970.
15. შუა საუკუნეების ისტორია, გ. კუტალიას რედაქციით, ნაწილი პირველი, თბ., 2004.
16. М. Барг, Исторический факт: структура, форма, содержание – «История СССР», №6. 1976.

17. В. Салов, Исторический факт и современная буржуазная историография – «новая и новейшая история», №6, 1973.
18. Н. Дорошенко, Проблема факта в исторической познании, Л., 1968.
19. Г. Иванов, К вопросу о понятии «факт» в исторической науки – «Вопросы истории», №2, 1969.
20. А. Гуревич, О кризисе современной исторической науки – «Вопросы Истории», №2-3, 1991.
21. А. Гуревич, История историка, М., 2004.
22. Ш. Ланглау, Ш. Сеньобос, Введение в изучение истории, СПб, 1899.
23. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1970.
24. მ. კალანდაძე, ფრიდრიხ შილერი და „ვილჰელმ ტელის“ ამ-ბავი – „ხელოვნება“, №6, 1990.
25. Л. Ранке, Об эпохах новой истории, М., 1898.
26. О Вайнштейн, Леопольд фон Ранке и современная буржуазная историография – Труды Лоии Вып. 3., М.Л. 1961.
27. Фюстель де Куланж, История общественного строя древней Франции, т. 3. Французская монархия, СПб., 1907.
28. მ. კალანდაძე, ივანე ჯავახიშვილის ისტორიის კვლევის მეთოდები, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინს-ტიტუტის შრომები, ნაკვეთი მე-6, თბ., 2012.
29. მ. კალანდაძე, ივანე ჯავახიშვილი და ისტორიის ეპისტემო-ლოგიის საკითხები – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახე-ლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტო-რიის ინსტიტუტის შრომები, ნაკვეთი მე-4, თბ., 2011.
30. Kalandadze, Ivane Javakhishvili and Fragen der Epistemologie der Geschichte – Georgica, 35. 2012.
31. Г. Риккер, История философии, СПб., 1908.
32. А. Лаппо – Данилевский, Методология истории, СПб., 1913.

33. ზ. ხასაძია, გერმანული ფილოსოფოსები ისტორიის შესახებ, თბ., 2014.
34. O. Dumoulin, Mark Bloch, *Le Soldat et Cutouer*, paris, 2000.
35. Л. Февр, *Бои за историю*, М., 1990.
36. М. Блок, *Апология истории*, М., 1986.
37. М. Соколова, От попыток создания глобальной истории к субъективизму и индeterminизму (О некоторых тенденциях развития современной французской буржуазной историографии) – «Критика Современной буржуазной и реформистической историографии», М., 1974.
38. М. Вебер, Город, Пг, 1923. М. Вебер, История хозяйства, Пг, 1923, М. Вебер, Избранные произведения, М., 1990.
39. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კრიზისიდან გამოსავალი მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის ამაღლებაა – მწიგნობარი თბ., 2006.
40. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014.
41. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2016.
42. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი პირველი, თბ., 2011.

დასკვნა

საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ მეტად არასახარბიელო მექანიზმების დაუტოვა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრა-ფიას. ეს, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ ის დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ვიწროდოგმატურად გაგებული მარქ-სიტუაციური იდეოლოგიის მონოპოლიის გავლენის ქვეშ. ის მოწყვეტილი აღმოჩნდა ევროპული ისტორიოგრაფიის განვი-თარებას და ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე სიახლეე-ბსა და ნოვაციებზე ან არ იყო ინფორმირებული და თუ იყო ინ-ფორმირებული, ვიწრო მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან, რომელიც იქ მომდინარე საიხლეებსა და ნოვაციებზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნიდა. ეს სერიოზული პრობლემა იყო, რომლის შეუფასებლობა სწორი არ იქნებოდა. მნიშველოვანნი-ლად, ვფიქრობთ, ამით აიხსნება, რომ XX საუკუნის ქართული ის-ტორიოგრაფია ვერ გაცდა პოზიტივისტური და მარქსიტულ-ლე-ნინური ისტოროგრაფიის თეორიულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამას ვე-რავინ უარყოფს, მაგრამ მეთოდოლოგიის დონეზე ამას ვერ ვიტყ-ვით. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ აქ ყველაზე უფრო რელიეფურად გამომჟღავნდა სტაგნაცია, საქმე გვაქვს საბჭოთა ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ გაუფერულე-ბასთან. ისტორიული მოვლენებისადმი მარქსისტულ-ლენინური მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება, ეს ისტორიუ-ლი მეცნიერების სიკედილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ, განსხვავებული აზრისადმი მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულება საბჭოთა ისტორიოგრაფიის აქილე-ვსის ქუსლად გვევლინება. საბოლოო ჯამში საბჭოთა ისტორიო-გრაფიას კრიზისმა ლეტალური, სასიკედილო ხასიათი შეიძინა.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისი, ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ამ

დარგში დიდი ხნის მანძილზე დაგროვებული პრობლემების ლოგიკურ შედეგად გვევლინება. პირველ ყოვლისაა, ის იმ არასახარ-ბიელო მემკვიდრეობის გამოძახილს წარმოადგენს, რომელიც წილად ხვდა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას, ვინწრო დოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეო-ლოგიის სამოცდაათწლიანი მონიპოლიის სახით. როგორ შეიძლება შეფასდეს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისი? მისი ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასება სწორხაზოვნად მიგვაჩინია და ამ რთულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის, მიზანშეწონილი იქნებოდა უფრო დაბალანსებული მიდგომა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შეძლებისადაგვარად შევეცადოთ ავხსნათ მათი გამომწვევი მიზეზები. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი ვითარების არც აპოლოგეტური შეფასება და არც გამუქება მიზანშეწონილი არ იქნება. ერთ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს „ზრდის კრიზისის“ ტენდენციასთან. ასეთად მიგვაჩინია ისტორიის გათავისუფლება მარქსისტული სტერეოტიპების და შტამპებისაგან. ეს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯს, სიახლეს წარმოადგენს. ეს შრომები აღნიშვნული საკითხის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად გვევლინება. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და გააჩინია თავისი პლუსები და მინუსები. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას სიმძიმის ცენტრი ძირითადად გადააქვს რაოდენობრივ ცვლილებებზე. რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხობრივში, გადაზრდის პროცესი მეტად ნელი ტემპით ხორციელდება და გაჭიანურდა, რაც, ჩვენი აზრით. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის აქილევსის ქუსლად შეიძლება მივიჩინოთ.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს თავი დააღწიოს პოზიტივისტური და მარქსისტულ-ლენინური ისტო-

რიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს, რაც მის მთავარ ღირსებად გვევლინება, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ეს გზა, ცხადია, ია-ვარდებით არ იქნება მოფენილი. ეს არის უაღრესად რთული და მტკიცნეული პროცესი, ეს დიდ ძალისხმევას და დროს მოითხოვს. იქნება წარმატებები მაგრამ იქნება პრობლემები. აი ამ კონტექსტში უნდა ვეცადოთ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის გაზრება. ეს გვესახება საკითხისადმი სწორ მიდგომად.

ჩვენი აზრით, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის დადებით მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ:

1. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიამ სუვერენობა აღიდგინა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა ქართულ ისტორიოგრაფიას თავისუფლად შეეძლო საკუთარი არჩევანი გაეკეთებინა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ. რა თქმა უნდა, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. გაჩნდა თავისუფალი არჩევანი, ეს კი ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ახალ საინტერესო პერსპექტივებს გადაშლიდა. შეიქმნა პრეცენდენტი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსიზმ-ლენინიზმის თავისუფალი აზროვნებით ჩანაცვლების. ეს სიახლე იყო, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ ამ ძიების აპოლოგეტური შეფასება ან შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გამოიყენოს ხელსაყრელი შანსი. ეს მისი პლუსია, თავისუფალი აზროვნება უახლესი პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი მონაპოვარია. ქართული ისტორიოგრაფიის მისწრაფება თეორიულ-მეთოდოლოგიური მრავალფეროვნებისაკენ, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ამის ლოგიკური შედეგია.

2. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას, ვფიქრობთ, ძალიან კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ის არასახარბიელო მემკვიდრეობა, რომელიც საბჭოთა მარქსისტულ-ლენინურმა ისტორიოგრაფიამ დაგვიტოვა და შეძლებისდაგვარად ცდილობს თავი

დააღწიოს მას. ეს მისი პლუსია. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს თავი დააღწიოს თეორიულ-მეთოდოლოგიურ უნიფიცირებას, გაუფერულებას, რაც ნიშანდობლივი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. აქცენტი კეთდება ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომებზე, თავისუფალ აზროვნებაზე, პლურალიზმზე, ლიბერალურ ღირებულებებზე. ისტორიული მოვლენებისა და ფაქტებისადმი მონისტური დამოკიდებულება ჩაანაცვლა პლურალიზმა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ ეს წინგადადგმული ნაბიჯია. დიდი ყურადღება ექცევა ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებს. აღარ იგრძნობა ევროპული ისტორიოგრაფიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, როგორც ეს საბჭოთა წლებში იყო. ქართული ისტორიოგრაფია ორიენტირებულია იმ სიახლეებსა და ნოვაციებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროპულ ისტორიოგრაფიაში. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობოდა „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების ძიებებს. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს ეს სიახლეები დანერგოს საქართველოს ისტორიის შესწავლის დროს, ეს, ცხადია, ძალიან კარგია.

3. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად გათავისუფლდეს ვინწრო ემპირიზმის და შიშველი ფაქტოლოგიისაგან. განმინდოს ისტორია მარქსისტულ-ლენინური სტერეოტიპებისაგან. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. საკითხისადმი ვინწრო ფორმაციული და კლასობრივი მიდგომა სულ უფრო ნაკლებად იგრძნობა. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გადავიდეს უფრო პერსპექტიულ და საინტერესო ცივილიზაციურ მიდგომაზე. ეს, ცხადია, წინგადადგმული ნაბიჯია. მეტი აღარ იგრძნობა ბრძოლის პლებეური მეთოდების გაიდეალება, რაც დომინანტი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ამ გზაზე გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯად ახალი ტიპის სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები და საკვლევი ლიტერატურა მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, არა ყველა. ზოგიერთ შემთხვევაში ძველი ინერციით მარქსისტულ-ლენინური მიდგომა ჯერ კიდევ იგრძნობა. სხვათა შორის, ეს ძალიან კარგად გა-

მოჩნდა ქართულ ისტორიოგრაფიაში მსოფლიოს ისტორიის პე-რიოდიზაციის საკითხში არსებულ აზრთა სხვადასხვაობაში(1).

4. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გაცდეს პოზიტივისტური და მარქსისტული ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს და ახალ სიმაღლეებზე გავიდეს, ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მისასალმებელია და პოსტ-საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი პლუსია. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს აკად. რ. მეტრეველის, პროფ. თ. დუნდუას, პროფ. ნ. ვაჩნაძის, პროფ. მ. კარბელაშვილის, პროფ. გ. ყორანაშვილის, პროფ. ფ. ლომაშვილის, პროფ. რ. ლაპაძის პროფ. ნ. გუგუშვილის, პროფ. გ. ჯოხაძის, პროფ. ნ. ჩიქოვანის, პროფ. მ. ჩხარტიშვილის და სხვათა საინტერესო გამოკვლევები. რა თქმა უნდა, ამ შრომების მეცნიერული წონადობა ერთნაირი არ გახლავთ, მაგრამ მკეთრი შემობრუნება სახეზეა და მას პოზიტიური ელფერი დაკრავს. ყინული თან-დათანობით, ნელა-ნელა დაიძრა. ეს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი პლუსია, წინგადადგმული ნაბიჯია. გაკეთებული ცოტაა. გასაკეთებელი ძალიან ბევრია. ამ მხრივ ქართულ ისტორიოგრაფიას წინ დიდი და შრომატევადი სამუშაო ელის.

5. თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარეობს ისტორიის წერის საბაზისო აქსიომების რადიკალური გადასინჯვა. ეს ეხება ისტორიის კვლევის საგანს, ისტორიულ ფაქტს, ისტორიულ წყაროს, მეცნიერის ადგილს, ისტორიულ გამოკვლევის ენას, ამ პროცესში ნელ-ნელა და თანდათან უნდა ჩაეხას ქართული ისტორიოგრაფია. აქ აჩქარება არ ივარგებს, საქმეს არ წაადგება. ვერ ვიტყვით თითქოს ამ მიმართულებით არაფერი არ კეთდება. პოზიტიური ძვრები შეინიშნება და ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ძალიან ცოტაა. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. ეს არ გახლავთ მარტო ლიტონი სიტყვები, ეს რეალობაა.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს სიძნელეებიც, რომელიც, პირველ ყოვლისა, „ზრდის კრიზისის“ ჩრდილო-

ვან მხარედ შეიძლება იქნას მოაზრებული. ამის გვერდის ავლა, წაყრუება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას არ შეგვიქმნის. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვენა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს.

1. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია შეძლებისდაგვარად ცდილობს გაცდეს პოზიტივისტური და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფია თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს და განვითარების თვისებრივად, უფრო მაღალ საფეხურს მიაღწიოს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი პლუსია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს მცდელობა ძირითადად რაოდენობრივ ცვლილებებზეა გათვლილი და არა თვისებრივ, ხარისხობრივ, ძვრებზე. ქართულმა ისტორიოგრაფიამ მთელი ძალისხმება, ვფიქრობთ, სწორედ, ამ მიმართულებით უნდა წარმართოს. ეს არის მისი ხვალინდელი დღე. მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას ალტერნატივა არ გააჩინა.

2. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია შეძლების-დაგვარად ცდილობს თავი დააღწიოს კრიზისს, სწორ გზას დაუბრუნდეს, სწორი არჩევანი გააკეთოს. ეს მისასალმებელია, მაგრამ ეს მცდელობა, ჩვენი აზრით, უმთავრესად მაინც პალიატურ, ზედაპირულ ხასიათს ატარებს, რაც იმით გამოიხატება, რომ ძირითადად აქცენტი კეთდება რაოდენობრივ ცვლილებებზე და არა თვისებრივ, ხარისხობრივ ძვრებზე. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანნილად ამით აისწება ის ფაქტი, რომ რაოდენობრივი ცვლილებების ხარისხობრივში, თვისებრივში, გადაზრდის პროცესი ძალიან გაჭინაურდა და მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. ქართულმა ისტორიოგრაფიამ მთელი თავისი ძალისხმევა. ვფიქრობთ, სწორედ, ამ მიმართლებით უნდა წარმართოს.

3. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევები ქართულ ისტორიოგრაფიაში დანერგოს და გამოიყენოს საქართველოს ისტორიის შესწავლის დროს.

ეს ცხადია, ძალიან კარგია. იკვეთება ორი მიღვომა. შემოქმედებითი, და მიმბაძველი რომელსაც ჩიხში მივყავართ და მიუღებელია.

4. აქა-იქ, ეტყობა, ძველი ინერციით, ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი მარქსისტული ტერმინები. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია „ბურჟუაზიული რევოლუცია“, „ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია“, „ბურჟუაზიული დემოკრატია“. ეს ტერმინები დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. ამ შემთხვევაში ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისი ლეტალურ ანუ სასიკვდილო ხასიათს იძენს.

პროფ. კოტე ანთაძემ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაში საძირკველი ჩაუყარა ანტისტალინისტურ მიმართულებას, მე, როგორც მისი მოწაფე, ამ ფრთის წარმომადგენლად მოვიაზრები. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ეს ხაზი გავაგრძელოთ.

ა) ჩვენი დამოკიდებულება საბჭოთა ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმისადმი მკვეთრად გამოკვეთილად ნეგატიურია. მართალია, მათ ვერ აისრულა სანუკვარი ოცნება და უნივერსიტეტი ვერ დახურეს, მაგრამ მისი გაუკულმართების, პრესტიჟის შებლალვის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვით. უნივერსიტეტს თავს მოახვიეს მრავალი უკეთურება, რომელიც მისთვის შინაგანად სრულიად უცხო და რაც მთავარია სავსებით მიუღებელი იყო. პროტექცია, კორუფცია, ნეპოტიზმი ამის ლოგიკური შედეგია. ამის შედეგი დღესაც XXI საუკუნის დასაწყისში სახეზეა.

ბ) განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია, რომ ძველი ინერცია ჯერ კიდევ ძლიერია, ჩვენი მენტალიტეტი არ შეცვლილა. პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს ძნელბედობის გასაღები, ვფიქრობთ, სწორედ აქაა. უნივერსიტეტი აზისი არაა. ის იმ სახელმწიფოს მინიატურას წარმოადგენს, რომელშიც მას უხდება ფუნქციონირება. უნივერსიტეტში, როგორც სარკეში, ისე აისახება პოსტსაბჭოთა ეპოქის საქართველოს ძნელბედობა.

გ) ჩვენ არ ვებრძვით უნივერსიტეტს, როგორც მას ხელზე დაიხვევენ ოპონენტები, ეს სწორი არ იქნება, ჩვენ არ მოვგვწონს ის უკეთურობანი, რომელიც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რე-

უიმის ძალისხმევით, ძალით მოახვიეს თავს უნივერსიტეტს და რომელიც მისთვის შინაგანად სრულიად უცხო და რაც მთავარია მიუღებელი იყო. ამის ექო ძველი ინერციით დღესაც გაისმის, პერმანენტული უსამართლობის მიზეზი, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. ჩვენს უკმაყოფილებას კონკრეტული ადრესატი გააჩნია. საქმე ეხება არა უბრალოდ პროცედურულ დარღვევებს, არა-მედ საქმე გაცილებით უფრო სერიოზულადაა. კომისიის მთელ საქმიანობას საფუძვლად ედო უბასუხისმგებლო განცხადებები, ელემენტერული ტყუილი, რომელმაც შედეგზე მოახდინა გავლენა და ბათილად ცნობას იმსახურებს. კომისიამ ყველაფერი გააკეთა, რომ სასურველი შესაძლებლად წარმოეჩინა და როგორმე დაეკმაყოფილებინა ქ-ნ ნინო კილურაძის კაპრიზები. კომისიის დასკვნებს წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით არანაირი საფუძველი არ გააჩნია, ზნეობრივად მისი მოქმედება არაეთიკურია.

აი, ასეთი არასახარბიელო მემკვიდრეობა დაუტოვა საბჭოთა სახელმწიფომ უნივერსიტეტს. ამას კარგად უნდა გაცნობიერება. ამის გარეშე წინ ვერ წავალთ. ამიტომ თითის გაშვერა უნივერსიტეტისაკენ, რაც დღეს ძალზე მოდურია, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. უნივერსიტეტის მთელ ისტორიას ლაიტმოტივად გასდევს სახელმწიფოს უხეში ადმინასტრაციული მბრძანებლური მეთოდებით ჩარევა უნივერსიტეტის საქმეებში. საბჭოთა ხელისუფლებამ უნივერსიტეტის დახურვა ვერ შეძლო, მაგრამ მის პრესტიუსის შებძლვის, თავდაპირველი ლირებულებების გაუფასურების საქმეში დიდი როლი შეასრულა. უნივერსიტეტის თავზე ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა. ეს დიდი მკრეხელობა იყო.

აღნიშნული პრობლემის ჩვენი ხედვა ასეთია: თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისი, ცხადია შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და 70 წლის განმავლობაში ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ბატონობის გამოძახილია. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისის ერთმნიშვნელოვნად დადგებითი ან უარყოფითი შეფასება ძალიან ძნელი იქნება და სწორხაზოვნად მი-

გვაჩნია. საკითხი არის რთული და მრავალნახნაგოვანი. აქ მხოლოდ ვარდისფერი ან მუქი საღებავები საკმარისი არაა. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზრდის კრიზისთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ხოლო მეორე შემთხვევაში კი კრიზისის სიმპტომები გაცილებით უფრო სერიოზულია და ლეტა-ლურ ანუ სასიცდილო ხასიათს იძენს. უკან მარქსიზმ-ლენინიზ-მისკენ დაბრუნება დაუშვებელია ქართული ისტორიოგრაფიის გუ-შინდელი დღეა. ამგვარი ვითარება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არაა და, ჩვენი აზრით, ზრდის კრიზისის პირველ საფეხურად შეიძლება იქნა მოაზრებული, ახალ თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას ჭირდება სათანადო მომზადება, წანამძღვრების ჩა-მოყალიბება. ეს ახალი, თვისებრივი, ხარისხობრივი, ნახტომის გარეშე ვერ მოხდება. ეს „ზრდის კრიზისის“ მეორე საფეხურია.

ლიტერატურა

1. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი, ისტორიის პერიო-დიზაციისათვის – მაცნე, ისტორიის სერია, 2. 1999. კ. ანთაძე, კ. მეშველიანი, მ. კალანდაძე, მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზა-ციის საკითხისათვის, ისტორია და გეოგრაფია სკოლაში, 1. 1992. მ. კალანდაძე, Грузинские школы по новой истории – Пропадавание истории в школе, 7. 1994. ეს გახლავთ ერთი თვალ-საზრისი, სადაც კატეგორიულადაა უგულებლყოფილი მსოფლიოს ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია. არსებობს მეორე თვალ-საზრისი. ამ საკითხში, ჩვენი აზრით, ცოტა უცნაური პოზიცია დაიკავეს ქართველმა მედიევისტებმა და მათმა აღიარებულმა ლიდერებმა. აქ მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვა უფრო ლიბერალური ფორმით ხდება და ახალს არაფერს გვთავაზობს. გ. უორდანია, შენიშვნები მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხზე – თბილისის უნივერსიტეტი, 29 ნოემბერი 1991. აკ. გეთიაშვილი, რამდენად მისაღებია ეს თარიღი ანუ განა უნდა

დაუბრუნდეთ XV საუკუნეს? – შუა საუკუნების ისტორის საკითხები, ნაწილი II, თბ., 2000. საკითხის ამგვარი დასმა პრინციპულად მიუღებელია და უკან უფრო გვაბრუნება, ვიდრე წინ მივყავართ. შუა საუკუნეების ისტორია, ნაწილი პირველი, გ. კუტალიას რედაქციით. თბ., 2004. ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდზე აპელირება, ალბათ, მანც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ხომ არ ვართლებთ საქმეს? ეს არის ადრეული ახალი დრო. აյ საკამათოს ვერაფერს ვხედავთ. ამ საკითხზე დავა ღია კარის მტრევად მიგვაჩინია. ეს არის დავა უდაო საკითხზე – მსოფლიოს ისტორიოგრაფია ახალი ისტორიას იწყებს XV საუკუნის მიწურულს, და XVI საუკუნის დასაწყისში. ეს არის რენესანსი, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, რეფორმაცია. ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ მ. კალანდაძე. ერთი აქტუალური პრობლემის გამო ანუ დავა უდავო საკითხზე – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტი შრომები. ტ. VII. თბ., 2017. მ. კალანდაძე, შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაცია – გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 9-10, თბ., 2017. მ. კალანდაძე ინდუსტრიული ცივილიზაციის ძირითადი ეტაპები – ქართული დიპლომატია, წელიწეული, 18, თბ., 2018., მ. კალანდაძე, მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში თბ., 2007.

დანართი

„ყოფეა არყოფნა – საკითხები აი ეს არის“.

წინამდებარე ნაშრომში, დანართის სახით, მიზანშეწონილად მიენიჩნიეთ, შეგვეტენა ის დოკუმენტური მასალა, რომელიც ჩვენს პირად არქივში ინახება და ამ გახმაურებულ საქმეებს შეეხება. ამ მასალის პუბლიკაციას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი და მიზნად ისახავს გაფანტოს ყოველგვარი ეჭვი, რომელიც მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს. შეიძლება რაღაცას ისე არ ვამბობთ? რაღაცას ხომ არ ვაჭარბებთ? ხომ არ ვამუქებთ საქმის ვითარებას? მკითხველმა უნდა ირჩმუნოს იმის სისწორე რასაც ვამბობთ, ეს ერთი. ახლა მეორე.

ამ პუბლიკაციის მთავარი მიზანია მკითხველს უჩვენოს თუ რამდენად არაობიერქურად მოქმედებდნენ კომისიები, რომლის კულმინაციად 2014 წლის კომისიის ქმედება გვევლინება. ამას აქვს მნიშვნელობა და საშუალებას მისცემს მკითხველს კიდევ უფრო მიუახლოვდეს რეალობას და კარგად გაარკვიოს მტყუან-მართალი. ერთი სიტყვით, ეს მასალა ძალიან კარგად დააკვალიანებს მკითხველს და ხელს შეუწყობს სადაც საკითხებში ოპერირების დროს. ამ პუბლიკაციის მიზანი, სწორედ, ამაში მდგომარეობს.

ფრანგი რევოლუციონერი ლუი ანტუან სენ-ჟიუსტი ამბობდა: „მონობა გახლავთ უსამართლო კანონისადმი მორჩილება, თავისუფლება – გონივრული კანონებისადმი დამორჩილებაა. თავაშვებულობა ემორჩილება მხოლოდ საკუთარ თავს“. ეს უკანასკნელი ფრაზები, ვფიქრობთ, საყურადღებოა და ძალიან კარგად მიესადაგება მთელს ამ საქმეებს, განსაკუთრებით კი 2014 წლის კომისიის ქმედებას. „ტირანს არასოდეს არ გამოელევა მიზეზი რათა გაამართლოს თავისი ორპირობა და მზაკვრობა“, ამბობდა იტალიელი ნიკოლო მაკიაველი. ბლეთ პასკალი წერდა: „ძალა

რომლის ზურგს უკან არ დგას სამართლიანობა ტირანულია“. ჯონ ლოკის თქმით: „იქ სადაც მთავრდება კანონი, იწყებს ტირანია“, ფრანგული განმანათლებლობის კორიფე შარლ ლუის მონტესკიე დასძენდა: „არ არსებობს იმაზე უფრო სასტიკი ტირანია, რომელიც სამართლიანობის სახელით ხორციელდება“. ეს ამონარიდები, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ მოგვყავს და ვფიქრობთ, კარგად შეესატყვისება მთელს ამ საქმეებს, რომლის დასკვნით აკორდად 2014 წლის კომისიის მოქმედება გვევლინება.

ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი ვის რაში სჭირდება ასეთი კომისია! ამ კითხვაზე პასუხი სულაც არ გახლავთ ძნელი საქმე და პირდაპირ ზედაპირზე დევს. არავის. „ყოფნა არყოფნა – საკითხავი აი ეს არის“. ამიტომ ავირჩიეთ ეს სიტყვები დანართის სათაურად, ის ძალიან კარგად მიესადაგება არა მხოლოდ 2014 წლის კომისიის საქმიანობას, რომელმაც ყველაფერზე თვალი დახუჭა, არამედ, ყველა იმ ამბავს, რომელიც თავს გადაგვხდა 80-იანი წლების და-საწყისიდან დღემდე და რომელზეც გულწრფელად და დიდი ტკი-ვილით საუბარი გვქონდა წიგში. ფრიად აქტუალურად მიგვაჩია, ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის სიტყვები: „მე ვხედავ იმ სახელმწიუფოს, მოახლოებულ დასასრულს, სადაც კანონს ძალა არ გააჩნია და იმყოფება ვიღაცის ზეგავლენის ქვეშ“.

ჩვენ კომისიისაგან შეუძლებელს არაფერი ვითხოვდით. ჩვენ არ ვამბობდით გინდა თუ არა მე დამიჭერეთ მხარი და საკითხი ჩემს სასარგებლოდ გადაწყვიტეთ. მე მომეხმაროთ. მე ვითხოვდი საკითხის სამართლიანად გადაწყვეტას. საქმე ეხება ელემენტა-რულ სამართლიანობის წორმების დაცვას, რომლის გამორკვევა სულაც არ გახლდათ ძნელი და პირდაპირ ზედაპირზე იდო, როგორც შრომების რაოდენობის, ისე ხარისხის სახით. (წიგნები 14:1. შრომები 191:18), მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ კომისიას არ აღმოაჩდა ამის უნარი. სკანდალის მთავარი მიზანი, სწორედ, კომისიის უუნარობაში უნდა ვეძიოთ. მან ვერ თუ არ უზრუნველყო კონკურსის ობიექტურად ჩატარება და ფაქტ-ტობრივად, მხარედ მოგვევლინა. აქ აისახა სავსებით რეალური

ვითარება. XX საუკუნის ქართული ინტელიგენციის ზნეობრივმა სახემ საოცარი ფერისცვალება განიცადა. აი ასეთი არასახარპიელო მემკვდირეობა დაუტოვა ტოტალიტარულ-ბოლშევიკურმა რეჟიმმა უნივერსიტეტს, რომლის შორეული ექო, ძველი ინერციით, დღესაც გაისმის. ეს არც არის გასაკვირი. ჩვენი მენტალიტეტი არ შეცვლილა. ძველი მენტელიტეტი კვლავ პრიორიტეტულია. საბჭოთა რეალობიდან არც ისე შორს ვართ წასული, როგორც გვგონია. ყველაფერი ამას კარგად უნდა გაცნობიერება. ყველა ეს საქმეები აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებსა და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩია. მასში, პირველ ყოვლისა, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობის ანარეკს ვხედავთ.

სიტყვას მეტად აღარ გავაგრძელებთ. დანარჩენი თავადვე ობიექტურმა მკითხველმა განსაჯოს, ჩვენ ჩვენი პოზიცია მკაფიოდ დავაფიქსირეთ. ჩვენ გაგვაჩია ამ საკითხების საკუთარი ვერსია. აი ეს უნდა იყოს მთავარი. დიდი გერმანელი ისტორიკოსი ლეოპოლდ ფონ რანკე იტყოდა: „ფაქტები თვითონ ღალადებდნენ საკუთარ თავზე“.

* * *

მოქალაქისადმი შეუფერებელი მოქმედების გამო, საღამოს ფაკულტეტის დეკანმა ამხ. კ. დ. კალანდაძემ დაუყოვნებლევ დაიბარა იგი და კატეგორიულად მოითხოვა მისგან ამგვარი უმსგავსო საქციელისაგან თავშეკავება. (დოც. კარლო კალანდაძემ სცადა ჩემ წინააღმდეგ ახალი სკანდალი აეგორებინა და ბუზი სპილოდ გადაექცია. მაგრამ გაბითურებული დარჩა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია სტუდენტ ქეთევან ბურჯანაძემ კატეგორიულად უარი განაცხადა ჩემ წინააღმდეგ რამე დაეწერა, რასაც ითხოვდა მისგან კ. კალანდაძე).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩინა მოგახსენოთ, რომ პედაგოგიური საქმიანობისათვის მ. ლ. კალანდაძე შეუფერებელია. მისი მუშაობა მიზანშეწონილია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში, სადაც იგი სრულად გამოავლენს მთელ თავის შესაძლებლობას და ამით სარგებლობას მოუტანს მეცნიერულ კვლევა-ძიებას.

კადრების განყოფილების

მთავარი ინსპექტორი

ვ. მირიანაშვილი

უმაღლეს სასწავლებლების

სამმართველოს მთ. ინსპექტორი

გ. შავგულიძე

(მცირე კომენტარი, რას ემყარება ასეთი მკაცრი ვერდიქტი? ასეთ მკაცრ გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, სერიოზული მტკიცებულება უნდა გააჩნდეს, შეიძლება ახალგაზრდა კაცის ასე განირვა? შეიძლება. ეს ხომ „ბოროტების იმპერიაა“. მსახურებიც

ასე ჰყავთ შერჩეული. სამინისტრომ ყველა იმ დოკუმენტურ მა-სალას, ჩემს ლექციებზე არაერთგზის დასწრების ოქმებს, სპე-ციალტების დადებით დახასიათებებს, გულგრილად აუარა გვერ-დი. სამაგიეროდ გულდასმით მოუსმინა ჩემი მოწინააღმდეგების ინსინუაციებს და თავისი პრალდება ამ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ ცილისნამებაზე ააგო. დოკუმენტური მასალა, რომ მე ცუდი ლექტორი ვიყავი და ამ საქმიანობისათვის არ გამოვდგებო-დი ბუნებაში არ არსებობს და ირ. რუხაძის და მისი მეგობრების კიდევ ერთ ინსინუაციად გვევლინება. რა ისეთი გამოუსწორებე-ლი ნაკლი მჭირდა, რომ ამ საქმიანობისათვის არ გამოვდგებოდი? ეს ელემენტარული ტყუილია, რომელიც ხელს აძლევს ჩემს მოწი-ნააღმდეგებს.

რა საქმიანობისათვის გამოდგება თაღლითი ვალერი მირია-ნაშვილი? ის გაქსუებული საბჭოთა ჩინოვნიკის საუკეთესო ნი-მუშია, ბუნებრივია, ნამოიჭრება კითხვა: რამდენად უანგაროდ ხდებოდა ყოველივე ეს? მკითხველს, ალბათ, არ გაუჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ჩვენ კი სიტყვაძუნნი რომ არ აღმოეჩნ-დეთ მოუხმობთ დოკუმენტურ მასალას, რომელიც ვ. მირიანაშვი-ლის მიერ სრულიად იგნორირებული იქნა, რადგან ასე აწყობდა).

ამონაწერი ოქმიდან 13 10.4. 84

სხდომას ესწრებოდა პროფ. გ. ვ. ცინცაძე, პროფ. კ. ი. შელია, დოც. შ. გ. არახამია, დოც. ვ. რ. ახალაია, უ/მ ე. წ. არგანაშვილი, უ/მ რ. ა. სიკინჭალაშვილი, მასწავლებელი მ. ლ. კალანდაძე, უ/მ ზ. თ. გაგლოშვილი, ლაბორანტი მ. გიორგაძე. მოისმინეს: პროფ. ნ. ს. გვიშიანმა აღნიშნა, რომ ჩვენი ინსტიტუტის რექტორატში შესული იყო სტუდენტების საჩივარი მასწავლებელ მ. კალანდა-ძის მიერ წაკითხულ ლექციებთან დაკავშირებით. ამიტომ ინსტი-ტუტის პრორექტორ იდეურ აღმზრდელობითი მუშაობის დარგში პროფ. გ. ვ. ცინცაძესთან ერთად გადავწყვიტეთ დავსწრებოდით ლექციას საგნის სპეციალისტ უ/მ რ. საკინჭალაშვილთან და პარ-

ტიის ისტორიის და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგის პროფ. კ. ი. შელიასთან ერთად. ეს დასწრება მოხდა 1984 წლის 26 მარტს, სიტყვას ვაძლევთ საგნის სპეციალიტეს რ. სიკინჭალაშვილს.

რ. სიკინჭალაშვილი აღნიშნავს, რომ 1984 წლის 26 მარტს დავესწარი ლექციაზე ქვეყანათმცოდნების მასწავლებელ მ. კალანდაძეს საღამოს ფაკულტეტის ფრანგულ განყოფილებაზე, IV კურსი.

ლექცია წაკითხული იქნა თემაზე „რელიგიური ომების მეორე და მესამე პერიოდი“. ეს არის საფრანგეთის ისტორიის ერთ-ერთი რთული პრობლემა და, რა თქმა უნდა, ერთ ლექციაში მისი გაშუქება იოლი საქმე როდი გახლავთ. ლექტორმა ამ სირთულეს, ვფიქრობთ, წარმატებით გაართვა თავი. ნათელი იყო, რომ ის კარგად იცნობდა აღნიშნულ საკითხზე არსებულ პირველწყაროებს და ლიტერატურას, როგორც საბჭოთა, ისე უცხოურს. ლექცია წაკითხული იქნა მაღალ თეორიულ-მეთოდოლოგიურ დონეზე და სავსებით შეესაბამებოდა თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მოთხოვნებს, მიუხედავად ზოგიერთი მეთოდური ხასიათის შენიშვნებისა პკარაა რომ მ. კალანდაძე კარგადაა დაუფლებული თავის საგანს. ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მისგან მომავალი კარგი ლექტორი უნდა დადგეს.

პროფ. კ. შელია, აღნიშნავს, რომ 1984 წლის 26 მარტს დავესწარი ლექციაზე ქვეყანათმცოდნების მასწავლებელს მ. კალანდაძეს საღამოს ფაკულტეტის ფრანგული განყოფილების IV კურსზე. მასწავლებელ მ. კალანდაძის ლექცია წაკითხული იქნა მაღალ დონეზე. იგი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით სრულიად გამართული იყო და საფრანგეთის ისტორიის კარდინალურ პრობლემებს მარქსისტულ-ლენინურ ისტორიოგრაფიის ფონზე განიხილავს. რაც იმის შედეგია, რომ ლექტორი კარგადაა დაუფლებული აღნიშნულ საკითხზე არსებულ წყაროებს და ლიტერატურას. საერთოდ ჩვენ რამდენჯერმე მოვუსმინეთ მ. კალანდაძის გამოსვლა ლექციაზე და სამეცნიერო კონფერნციებზე და იგი ყოველთვის

გამოირჩეოდა მაღალი თეორიული დონით და ღრმა ერუდიციით, რაც მისი განათლების დასტურია.

ამიტომ სავსებით ვეთანხმებით რ. სიკინჭალაშვილის მოსაზრებას, რომ ზოგიერთი მეთოდური შენიშვნის მიუხედავად მასწავლებელ მ. კალანდაძის ლექცია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

პროფ. გ. ცინცაძე

1984 წლის 26 მარტს დავესწარი ლექციაზე ქვეყანათმცოდნების მასწავლებელს მ. კალანდაძეს საღამოს ფაკულტეტის ფრანგული განყოფილების IV კურსზე.

ქვეყანათმცოდნების მასწავლებლის მ. კალანდაძის ლექცია საფრანგეთის რელიგიური ომების მეორე და მესამე პერიოდის შესახებ საინტერესო იყო. ლექტორმა გამოამჟღავნა წყაროების და ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა, რაც იმის დასტური უნდა იყოს, რომ იგი თავის საგანს კარგად ფლობს. როგორც არა სპეციალისტს გვაქვს ერთი სურვილი ლექტორმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ისტორიული პრობლემების ახსნას. მიუხედავად ამისა, სავსებით ვეთანხმებით რ. ა. სიკინჭალაშვილს და პროფ. კ. ი. შელიას აზრს, რომ მ. კალანდაძის ლექცია ქვეყანათმცოდნებაში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში მისგან ამ საგნის კარგი სპეციალისტი დადგება

პროფ. ნ.ს. გვიშიანი ალნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 26 მარტს დავესწარი ქვეყანათმცოდნების მასწავლებლის მ. კალანდაძის ლექციას. საღამოს ფაკულტეტის ფრანგული განყოფილების IV კურსზე. ლექცია წაკითხული იქნა თემაზე „რელიგიური ომების მეორე და მესამე პერიოდი“.

მე, როგორც მოგახსენებთ, არ ვარ ქვეყანათმცოდნების სპეციალისტი. ამდენად შეფასებაში ვეყრდნობი ამ დარგის მაღალ კვალიფიციურ სპეციალისტს რ. სიკინჭალაშვილს, მან როგორც თქვენ მოუსმინეთ, მ. კალანდაძის მიერ წაკითხული ლექციას მაღალი შეფასება მისცა. მე სავსებით და მთლიანად ვეთანხმები ამ შეფასებაში მას, აშკარად იგრძნობოდა, რომ ლექტორი საგანს

დაუფლებულია. იგი თავისუფლად ფლობდა მასალას, რის გამოც ლექციას მეტად საინტერესოდ ხსნიდა.

სიით აღნიშნულ ფაკულტეტზე ირიცხებოდა 18 სტუდენტი. ლექციას ესწრებოდა 15, როგორც ჩანს, დასწრება კარგია, შევნიშნავთ, რომ სამი სტუდენტი არ ესწრებოდა საპატიო მიზეზის გამო. მოსმენა სტუდენტების მიერ ლექციის კარგი იყო. ლექციის შინაარსს სტუდენტები იწერდნენ, საკითხები, რომლის მიხედვით გაშუქებული იქნა ზემოაღნიშნული თემა იყო შემდეგი.

1. რელიგიური ომების მეორე ეტაპი, 2. მისთვის დამახასიათებელი მიზეზები. 3. განსხვავება პირველი და მეორე პერიოდს შორის. 4. რელიგიური ომების შესახებ პერიოდი. 5. გიზების გააქტიურება და კათოლიკური ლიგის შექმნა. 6. სამი ანრის ომი. 7. რელიგიური ომების დასასრული და ანრის IV-ის გამეფება. ყველა ეს საკითხი განხილული იქნას ლექტორის მიერ პირველი წყაროების და მდიდარი ლიტერატურის მოშველიების საფუძველზე. უნდა მოგახსენოთ, რომ მე მეოთხეჯერ ვესწრები მ. კალანდაძის მიერ წაკითხულ ლექციას და ეს უკანასკნელი ყველა წინანდელ ლექციებს სჯობდა. როგორც შინაასობრივად, ისე მეთოდურადაც. ასე რომ ამ მხრივ მასში არის პროგრესი, წინსვლა, რაც მისასალმებელია, მ. კალანდაძის ლექციის შეფასებაში ვემხრობი ამ საგნის სპეციალისტს უ/მ რ. სიკინჭალაშვილს, პროფ. კ. შელიას და პროფ. გ. ცინცაძეს ნამდვილად ლექცია დადებითად შეფასების ღირსია და მოწონებული უნდა იქნას. მაქვს როგორც ამ დარგის არა სპეციალიტს მეთოდური ხასიათის შენიშვნები.

1. მართლია ლექციის გეგმა ჰქონდა, მაგრამ გაშლილი გეგმა-კონსპექტი არ ჰქონდა, რაც, ჩვენის აზრით, სასურველია ჰქონდა, მით უფრო, რომ პირადად მე ვიცი, რომ მ. კალანდაძეს ყველა თემა დაწერილი აქვს გაშლილი სახით. ლექციაზე რომ არ გამოიყენა, მიკვირს.

2. კათედრას არ იყენებდა. აუდიტორიაში კათედრა იმისათვის არის, რომ გამოყენებული იქნას.

3. ლექციის წაკითხვისას ხმარობდა სიტყვას „ბავშვებო“. არ

იყო ამის თქმა საჭირო. სტუდენტები ხომ ბავშვები არ არიან! აი, ის, რაც მინდოდა მეთქვა შენიშვნების სახით. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლექცია თანამედროვე მოთხოვნების დონეზე იქნა წაკითხული და იგი მოწონებული უნდა იყოს.

მასწავლებელმა მ. კალანდაძემ აღნიშნა, რომ, რასაკვირველია, ჩვენი ლექცია, როგორც ახალგაზრდა დამწყები სპეციალისტის, თავისუფალი არ იქნებოდა ნაკლოვანებებისაგან, რის თაობაზე, ვფიქრობთ საესებით სამართლიანად მიგვითითეს უფროსმა კოლეგებმა. ჩვენ ამ მეთოდურ ხასიათის შენიშვნებს სათანადო ყურადღებას მოვაქცევთ და ვიმუშავებთ მათ გამოსწორებაზე, ხოლო კოლეგებს მადლობას მოვახსნებ კეთილი სურვილებისათვის.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ ქვეყანათმცოდნეობის კურსს მეოთხე წელია რაც ვკითხულობთ. ლექციების დროს უდიდეს ყურადღებას ვაქცევთ ისტორიული პროცესის ახსნას, აღნიშნულ ლექციაზე ვცადეთ აგვესსნა რელიგიური ომების ზოგიერთი საკვანძო საკითხები.

1. განსხვავება რელიგიური ომების პირველ და მეორე პერიოდს შორის.

2. რელიგიური ომების მეორე პერიოდში ჰუგენოტების წარმატების მიზეზები.

3. კათოლიკური ლიგის შექმნის და გიზების გააქტიურების მიზეზები.

4. კროკანების აჯანყება და მისი დამარცხებს მიზეზები.

5. სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზეზები.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვეცდებით, რომ ისტორიული ფაქტების ახსნას, თანადროულობასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაუუთმოთ სალექციო კურსის მომზადების დროს, შენიშვნები, რომელიც გამოითქვა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გათვალისწინებული იქნება ჩემს შემდგომ მუშაობაში.

დაადგინეს: მოწონებულ იქნას მასნ. მ. კალანდაძის მიერ წაკითხული ლექცია თემაზე „რელიგიური ომების მეორე და მესამე

პერიოდი“ და გაითვალისწინოს ის სურვილები, რომლებიც გა-
მოთქვეს ზემოთ აღნიშნულმა ამხანაგებმა.

(აქ, ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა, „ფიცი მწამს,
ბოლო მაკვირვებს“. ვ. მირიანაშვილი მახეში გაება, „ტყუილს
მოკლე ფეხები აქვს“. ვ. მირიანაშვილის დასკვნა ჰაერში გამოკიდე-
ბული რჩება და არავითარი დოკუმენტრული დადასტურება არ
გააჩნია. ის ჩემ წინააღმდეგ კიდევ ერთ ინსინუაციად გვევლინება.
ამ შემთხვევაში ის ირ. რუხაძის რუპორი)ა.

თბილისის ო. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს
ამხ. ე. ს. მაღრაძეს

11.10. 85 წ.

რ-2012/06

სამინისტროს განცხადებით მომართა თქვენი ინსტიტუტის სა-
ღამოს ფაკულტეტის გერმანული მნის პათედრის ყოველგვა-
მასღავლებლება (0,5 განაპვეთზე) ირაკლი ლონგინოზის ძე
რუხაძემ. იგი ასაჩივრებს მისი ზემოთხსენებული თანამდებობიდან
განთავისუფლების კანონიერებას.

საქმის ვითარების შესწავლით დადგინდა შემდეგი:

ინსტიტუტის 1985 წლის 18 სექტემბრის #340 ბრძანება
ამავე ინსტიტუტის ყოფილი რექტორის 1984 წლის 29 ნოემ-
ბრის #75 ბრძანების გაუქმების შესახებ უკანონოა. მიუხედა-
ვად იმისა, რომ ი.ლ. რუხაძე მიღებული იყო საკონკურსო წესის
დარღვევით და ყოფილ რექტორს მისი ბრძანებით დანიშვნის
უფლება არ ჰქონდა. აღნიშნული დარღვევისათვის პასუხისმგე-

ბლობა ეკისრება რექტორს, ხოლო ი. ლ. რუხაძესთან შრომის ხელშეკრულება დადებულად ითვლება.

რადგანაც ი.ლ. რუხაძის განთავისუფლება მოხდა სსრ კავ-შირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მა-გისტრის 1973 წლის 15 მაისის #435 ბრძანების 34-ე პუნქტის და ამავე სამინისტრს 1976 წლის 16 სექტემბრის #25 საინს-ტრუქციო წერილების მე-6 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, გაუქმებული უნდა იქნას ინსტიტუტის 1985 წლის 18 სექტემბრის #340 ბრძანება და საღამოს ფაკულტეტის გერმანული ენის კა-თედრის მასწავლებლის ი. ლ. რუხაძის განთავისუფლების შე-სახებ როგორც უკანონო, ხოლო ი. ლ. რუხაძე აღდგენილი იქნას ადრე დაკავებულ თანამდებობაზე. მასვე უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდურ განთავისუფლების დღიდან აღდგენის დღემდე.

ამხ. ი. ლ. რუხაძე უნდა შეიყვანოთ პროფესორ-მასწავლე-ბელთა გადარჩევების განრიგში და ჩაატაროთ გადარჩევები არსებული წესის მიხედვით.

მინისტრის მოადგილე:

კ. ს. ჭელიძე

მიუხედავად იმისა, რომ უცხო ენების ინსტიტუტში მუშაობა მომიხდა უაღრესად რთულ ვითარებაში, ექსტრემალურ პირობებ-ში, ჩემი საქმიანობის ეს მონაკვეთი მაინც პოზიტიურად მიმაჩნია. მე ვირწმუნე საკუთარი ძალების და შევიყვარე ეს პროფესია, რო-მელსაც აგერ უკვე ოთხი ათეული წელია ერთგულად ვემსახურები. „ო, ეს სამყარო, სადაც უმჯობესი საგანი, განწირულია უკულმარ-თი ბედისთვის“.

* * *

სასიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულიად ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2014 წლის 07 მაისის 65/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებაზე კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის 63/2014 დადგენილების პირველი პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი 1

ქ. თბილისი

„01“ ივლისი 2014 წ.

სხდომის კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 4 წევრი.

1. მურმან პაპაშვილი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)
2. ლევან გორდეზიანი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის მდივანი)
3. ქეთევან ნადირაძე – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
4. გურამ კუტალია – თსუ-ის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის, თსუ-ის მოწვეული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა.
2. საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნა.
3. საკონკურსო დოკუმენტაციაზე მუშაობის დაწყება.

განიხილეს:

1. კომისიის თავმჯდომარემ, მურმან პაპაშვილმა, სხდომის წევრებს მოახსენა, რომ მან საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისაგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობით ჩაიბარა საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების პერიოდში დაინტერესებულ პირთა მიერ შემოტანილი საკონკურსო დოკუმენტაცია. შესაბამისად დალუქული სახით, კომისიის თავმჯდომარემ შეახსენა კომისიის წევრებს 2012 წლის 7 მაისს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 312/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებსა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის (ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის დადგენილებით 126/2013) დეტალები. პასუხი გასცა დასმულ შეკითხვებს.

2. საკონკურსო კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა თავმჯდომარის წინადადებას საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნასთან დაკავშირებით. დოკუმენტაციის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იმყოფებოდა დალუქულ მდგომარეობაში და არც ერთი კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმართლე დარღვეული არ იყო.

საკონკურსო დოკუმენტაციის მოცემული სტატისტიკა ასეთია.

მსოფლიოს ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებით გამოცხადებულ კონკურსში პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე წარდგენილია 2 კონკურსანტის – მერაბ კალანდაძისა და ნინო კილურაძის საკონკურსო საბუთები.

3. საკონკურსო კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა კომისიის თავმჯდომარის ინიციატივას და საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შემდგომ კომისიის წევრები შეუდგნენ წარმოდგე-

ნილ დოკუმენტაციაზე მუშაობას. მურმან პაპაშვილმა აღნიშნა, რომ გამომდინარე წარმოდგენილი და განსახილველი დოკუმენტაციის მოცულობიდან, დოკუმენტაციის განხილვას დაჭირდება რამდენიმე დღე. მან მოუწოდა კომისიის წევრებს სამი სამუშაო დღის განმავლობაში მაქსიმალური ყურადღებითა და დაკვირვებით ემუშავათ კონკურსანტების საკონკურსო დოკუმენტაციაზე და დაესრულებინათ კონკურსის პირველი ეტაპი (დოკუმენტაციის განხილვა შემდეგი სხდომისათვის).

კომისიის თავმჯდომარე მ. პაპაშვილი

კომისიის მდივანი ლ. გორდეზიანი

სასიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულიად ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2014 წლის 07 მაისის 65/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებაზე კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის 63/2014 დადგენილების პირველი პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი 2

ქ. თბილისის

„04“ ივლისი 2014 წ.

11⁰⁰ სთ; თსუ პირველი კორპ., აუდიტორია 305.

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი.

1. მურმან პაპაშვილი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)
2. ქეთევან ჭეუასელი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. ლევან გორდეზიანი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის მდივანი)
4. ქეთევან ნადირაძე – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
5. გურამ კუტალია – თსუ-ის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის, თსუ-ის მოწვეული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. საკონკურსო დოკუმენტაციის შედეგების განხილვა; საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვის შედეგებზე დაყრდნობით კონსულტანტთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღება (მათ შორის შეფასება პირველი ეტაპის შედეგების დაფიქსირება).
2. შეფასების მე-2 ეტაპის – გასაუბრების გრაფიკის შედგენა.

განხილვა:

1. მოისმინეს კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების: ქეთევან ჭკუასელის, ლევან გორდეზიანი, ქეთევან ნადირაძის, გურამ კუტალიას ინფორმაცია საკონკურსო დოკუმენტაციის დეტალური განხილვის შედეგებზე დაყრდნობით კონკურსანტებთან მიმართებაში მისალები გადაწყვეტილების (მათ შორის შეფასების პირველი ეტაპის შედეგების დაფიქსირების) შესახებ. მერაბ კალანდაძისა და ნინო კილურაძის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო საბუთების შესწავლის, გაანალიზებისა და განხილვის საფუძველზე კონკურსანტების შეფასებები აისახა კონკურსანტის შეფასების ფორმებში. კონკურსანტის შეფასების ფორმაში ასახული შედეგები დადგა კენჭისყრაზე. ჩატარებული კენჭისყრით ფორმაში ასახული შედეგები დადგა კენჭისყრაზე. ჩატარებული კენჭისყრით ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება. კონკურსანტებს – მერაბ კალანდაძესა და ნინო კილურაძეს მიერიჭოთ პრეტედენდენტის სტატუსი და მიწვეულ იქნას გასაუბრებაზე.

2. მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მიერ შეჯამდა კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებით (პროფესორის თანამდებობა), კომისიამ კენჭისყრის საფუძველზე ერთხმად დაადგინა კონკურსის მე-2 ეტაპის (გასაუბრება) შემდეგი გრაფიკი: 2014 წლის 8 ივლისს (დაწყების დრო 11⁰⁰) ჩატარდეს პრეტედენდენტთან გასაუბრება მსოფლიოს ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებით (პროფესორის

თანამდებობა), პრეტენდენტებისათვის დამტკიცდეს რეგლამენტი დაახლოებით 20-30 წუთი. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. კომისიამ, აგრეთვე, ერთხმად მიზანშეწონილად მიიჩნია გასაუბრების ვიდეოზე ჩანაწერის უზრუნველყოფა.

კომისიის თავმჯდომარე მ. პაპაშვილი

კომისიის მდივანი ლ. გორდეზიანი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულიად ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2014 წლის 07 მაისის 65/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებაზე კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის 63/2014 დადგენილების პირველი პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი 3

ქ. თბილისი

07 ივლისი 2014 წ.

11⁰⁰ სთ; თსუ პირველი კორპ., აუდიტორია 305.

სხდომის კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი.

1. მურმან პაპაშვილი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)
2. ქეთევან ჭკუასელი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. ლევან გორდეზიანი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის მდივანი)
4. ქეთევან ნადირაძე – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
5. გურამ კუტალია – თსუ-ის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის, თსუ-ის მოწვეული პროფესორი.

დღის წესრიგი:

საკონკურსო დოკუმენტაციის შედეგების განხილვა;

განიხილეს:

მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კონკურსანტი მერაბ კალანდაძე მიმართავს საკონკურსო კომისიას განცხადებით, რომელშიც ნინო კილურაძეს ადანაშაულებს პლაგიატში (განცხადება ოქმს თან ერთვის). კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განცხადებაში მოხსენებული წიგნი არ შედის საკონკურსო დოკუმენტაციაში, რის გამოც ამ საკითხის განხილვა სცდება კომისიის კომპეტენციას. აზრი გამოთქვეს ქ. ჭკუასელმა, ქ. ნადირაძემ, გ. კუტალიამ, ლ. გორდეზიანმა, ლ. გორდეზიანმა აღნიშნა, რომ დამხმარე სახელმძღვანელოსათვის მხოლოდ კარგია თუ ის აპრობირებული თანამედროვე სახელმძღვანელოების მიხედვით არის შედგენილი. გარდა ამისა, კონკურსანტი არის აღნიშნული პუბლიკაციის ერთ-ერთი თანავტორი, არ ფლობს საავტორო უფლებებს ამ პუბლიკაციაზე და არ უთითებს მას, როგორც საკუთარ სამეცნიერო პუბლიკაციას. შესაბამისად პლაგიატში ბრალდება უსაფუძვლოა. კომისიამ გაიზიარა ეს მოსაზრება.

(მცირე კომენტარი: პირდაპირ უსუსური არგუმენტია. იმიტომ არ შეიტანა, შრომების სია რომ პლაგიატი იყო. ამის დანახვა სულაც არ იყო ძნელი საქმე ზედაპირზე დევს).

დაადგინეს:

განცხადება მიღებული იქნას ცნობად.

კომისიის თავმჯდომარე მ. პაპაშვილი

კომისიის მდივანი ლ. გორდეზიანი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულიად ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2014 წლის 07 მაისის 65/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებაზე კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის 63/2014 დადგენილების პირველი პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი 4

ქ. თბილისი

08 ივლისი 2014 წ.

11^თ სთ; თსუ პირველი კორპ., აუდიტორია 305.

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი.

1. მურმან პაპაშვილი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)
2. ქეთევან ჭეუასელი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. ლევან გორდეზიანი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის მდივანი)
4. ქეთევან ნადირაძე – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
5. გურამ კუტალია – თსუ-ის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის, თსუ-ის მოწვეული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებით გამოცხადებულ კონკურსში გამოვლენილ პრეტენდენტებთან გასაუბრების ჩატარება კომისიის მიერ დადგენილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნებული გრაფიკის მიხედვით.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის შესახებ. პრეტედენტებთან გასაუბრების დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ გასაუბრების მიზანია დაზუსტდეს ან/და დაკონკრეტდეს პრეტენდენტის თაობაზე არსებული ინფორმაცია, შეფასდეს პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები და დეტალები, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის სფეროსთან.

მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებით გამოცხადებულ კონკურსში პროფესორის საკონკურსო თანამდებობაზე პრეტენდენტები მერაბ კალანდაძე და ნინო კილურაძე მათი საკონკურსო დოკუმენტის საფუძველზე წარსდგნენ კომისიის წინაშე (გასაუბრების ვიდეოჩანაწერი ოქმს თან ერთვის).

მერაბ კალანდაძემ ისაუბრა თავის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობაზე, კომისიის წევრებმა სთხოვეს მას, დაეზუსტებინა მისი ხედვა, როგორ უნდა განვითარდეს ჩვენ უნივერ-

სიტეტში მუშაობა ახალი მიმართულებით „ისტორიის თეორია და დიდაქტიკა“, რასაც გულისხმობს საკონკურსო თანამდებობა. ქე-თევან ნადირაძემ სთხოვა კონკურსანტს მოკლედ აეხსნა რატომ არის ის საუკეთესო კანდიდატი გამოცხადებული ვაკანსიის დასა-კავებლად. ორივე კითხვაზე პასუხად კონკურსანტმა კვლავ თავის განვლილ სამეცნიერო გზაზე და ინტერესების სფეროზე ისაუბრა. ლევან გორდეზიანმა აღნიშნა, რომ საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაშრომი ანკეტაში მოიხსენიება მონოგრაფიად, სხვაგან კი დამხ-მარე სახელმძღვანელოდ და სთხოვა კონკურსანტს დაეზუსტებინა ამ წიგნის უანრი. მერაბ კალანდაძემ აღნიშნა, რომ წიგნის ერთი ნაწილი სამეცნიერო-პოპულარული მიმოხილვაა, მეორეში კი თა-ვმოყრილია მისი კვლევითი სტატიები, შესაბამისად, წიგნი მონო-გრაფიაცაა და სახელმძღვანელოდაც გამოდგება.

ნინო კილურაძემ ისაუბრა თავის სამეცნიერო ინტერესებზე. ასევე სამომავლო გეგმებზე თეორიისა და დიდაქტიკის პროფესო-რის რანგში. იმ ცვლილებებზე, რომლებიც შესატანია ისტორიის სწავლებაში პრინციპებისა და კურიკულუმის დონეზე, ქეთევან ჭკუასელმა ჰკითხა კონკურსანტს, როგორ უნდა გავიგოთ მისი განცხადება ისტორიის სწავლების შინაარსობრივი შეუსაბამობის შესახებ, ისტორიის მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონესთან? განა ჯავახისმვილის უნივერსიტეტში ისტორიის კვლევა და სწავლება დაბალ დონეზეა? კონკურსანტმა აღნიშნა, რომ დიდ პატივს სცემს ქართულ ისტორიულ სკოლას. ხოლო ამ განცხადე-ბით ხაზს უსვამს იმას, რომ ჩვენს კვლევასა და ისტორიის სწავლე-ბაში ტრადიციულის გვერდით, უნდა დამკვიდრდეს ის ახალი თე-მატიკა და მეთოდები, რაც უკანასკნელ ხანებში გაჩნდა წამყვან საუნივერსიტეტო ცენტრებში.

(როგორც აღვნიშნეთ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქ-ნ ნინო კილურაძეს 2014 წლიდან დღემდე არც ერთი ნაშრომი არ აქვს გამოქვეყნებული. კომისია კვლავ ტყუის. ეს სიტყვები უპა-სუხიმგებლო ჩახარუხია და მეტი არაფერი).

კომისიის თავმჯდომარემ პროფ. მურმან პაპაშვილმა სთხოვა კომისიის წევრებს კენჭისყრის სხდომის დაწყებამდე გამოცხადებული შესვენებისას კიდევ ერთხელ გაეაზრებიანათ მოსმენილი ინტერვიუები პრეტენდენტებთან და მიეღოთ საბოლოო გადაწყვეტილება.

კომისიის თავმჯდომარე მ. პაპაშვილი

კომისიის მდივანი ლ. გორდეზიანი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულიად ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2014 წლის 07 მაისის 65/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებაზე კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის 63/2014 დადგენილების პირველი პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი 5

ქ. თბილისი

08 ივლისი 2014 წ.

11^თ სთ; თსუ პირველი კორპ., აუდიტორია 305.

სხდომის კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი.

1. მურმან პაპაშვილი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)
2. ქეთევან ჭკუასელი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. ლევან გორდეზიანი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის მდივანი)
4. ქეთევან ნადირაძე – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
5. გურამ კუტალია – თსუ-ის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის, თსუ-ის მოწვეული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებით გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მე-2 ეტაპების შედეგების განხილვა ურთიერთშეჯერება და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოცხადების მიზნით კენჭისყრის ჩატარება.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის მურმან პაპაშვილის მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის შესახებ, კომისიის თავამჯდომარისა და კომისიის წევრების აზრი გასაუბრების დეტალებისა და გასაუბრებაზე პრეტენდენტის გამოსვლის შედეგების შესახებ. კომისია ასევე დაწვრილებით და გულდასმით გაეცნო გასაუბრების შედეგების ამსახველი ოქმის შინაარსს და შეფასების ორივე ეტაპის შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა.

მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულება პროფესორის 1 თანამდებობაზე.

მერაბ კალანდაძე – გამარჯვებულად გამოცხადების – 3 მომხრე, წინააღმდეგი – 2

ნინო კილურაძე – გამარჯვებულად გამოცხადების – 4 მომხრე, წინააღმდეგი – 1

კომისიის თავმჯდომარე მ. პაპაშვილი

კომისიის მდივანი ლ. გორდეზიანი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულიად ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2014 წლის 07 მაისის 65/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებაზე კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის 63/2014 დადგენილების პირველი პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი 6

ქ. თბილისი

08 ივლისი 2014 წ.

11^თ სთ; თსუ პირველი კორპ., აუდიტორია 305.

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი.

1. მურმან პაპაშვილი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)
2. ქეთევან ჭეუასელი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. ლევან გორდეზიანი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის მდივანი)
4. ქეთევან ნადირაძე – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
5. გურამ კუტალია – თსუ-ის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის, თსუ-ის მოწვეული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. კენჭისყრის შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

1. კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული

მსოფლიო ისტორიისა, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულება პროფესორის 1 თანამდებობაზე – ნინო კილურაძე

2. კომისიამ იმსჯელა მის მიერ გაწეული მუშაობის მოცულობის, მნიშვნელობისა და უნივერსტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 31/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესთან შესაბამისობის შესახებ და ერთხმად დაადგინა, რომ გაწეული სამუშაო იყო მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისად განხორციელებული. შესაბამისად შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე მ. პაპაშვილი

კომისიის მდივანი ლ. გორდეზიანი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულიად ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2014 წლის 07 მაისის 65/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებაზე კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის 63/2014 დადგენილების პირველი პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი 7

ქ. თბილისი

14 ივლისი 2014 წ.

10⁰⁰ სთ; თსუ პირველი კორპ., აუდიტორია 305.

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი.

1. მურმან პაპაშვილი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)
2. ქეთევან ჭკუასელი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. ლევან გორდეზიანი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის მდივანი)
4. ქეთევან ნადირაძე – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. საკონკურსო კომისიაში შემოსული საჩივრის განხილვა.

განიხილეს:

მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კონკურსანტი მერაბ კალანდაძე მიმართავს საკონკურსო კომისიას განცხადებით, რომელშიც ასაჩივრებს კომისიის შემაჯამებელ ოქმს (განცხადება ოქმს თან ერთვის). კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის 31 დადგენილებით (ცვლილება შეტანილია 2013 წლის 18 ნოემბრის 126 დადგენილებით) დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის მერვე მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად, საჩივრის განხილვის პროცესში მონაწილეობენ საჩივრის წარმდგენი პირი და ის დაინტერესებული პირები (პრეტენდენტები), რომელთა კანონიერ ინტერესებზე შესაძლოა პირდაპირი და უშუალო გავლენა მოახდინოს საჩივრის განხილვის შედეგებმა. ე. ი. მერაბ კალანდაძე და ნინო კილურაძე კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს უნდა გადაეცეს არაუგვიანეს 2014 წლის 14 ივლისისა. შესაბამისად, კომისიის მუშაობის ხელოვნურად გაჭიანურების მცდელობის გამოსარიცხად საჩივრის განხილვისათვის უნდა დადგინდეს რეგლამენტი 1-1,5 საათი. ხოლო თუ კომისია დარწმუნდება, რომ ამ ვადაში საკითხის განხილვა მიმდინარებულია, მან აკადემიურ საბჭოს უნდა მიმართოს მუშაობის ვადის გახანგრძლივების თხოვნით. კომისიამ გაიზიარა ეს მოსაზრება.

კომისიის მდივანმა ლევან გორდეზიანმა კომისიასა და პრეტენდენტებს გააცნო მერაბ კალანდაძის განცხადება, აღნიშნა, რომ კონკურსანტს უფლება აქვს გაითხოვოს მხოლოდ ის დოკუმენტაცია, რომელიც უშუალოდ მას ეხება, ხოლო სხვა მასალის მიღება შესაძლებელია კონკურენტის წერილობითი თანახმობით (მუხლი 6, პუნქტი 10), ან სასამართლოს მეშვეობითაც შეეხება საცდელი

ლექციის დანიშვნისა და ექსპერტების მოწვევის მოთხოვნას, ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება მთლიანად კომისიის პრეროგატივაა (მუხლი 7, პუნქტი 6; მუხლი 4, პუნქტი 3). კომისიამ არ ჩათვალა საჭიროდ დამატებითი ღონისძიებების ჩატარება, რადგან საბუთების გაცნობა და გასაუბრება საკმარისი აღმოჩნდა გადაწყვეტილების მისაღებად. კონკურსის ამ ეტაპზე ამგვარი ღონისძიებები აღარაა გათვალისწინებული. მუხლი 6, პუნქტი 7 გულისხმობს მხოლოდ კონკურსანტის მიერ საკუთარი თავის უკეთ წარმოსაჩენად წარმოდეგენილ ინფორმაციას და არა სხვის საჩივარს კონკურსანტის იმ ქმედების შესახებ, რომლებიც არ ექვემდებარება კომისიის განსახილველ სფეროს. მეტიც სარჩელის წარმოადგენს ამ ინფორმაციის მიწოდებით სცადა ზემოქმედება მოეხდინა კომისიაზე (მუხლი 4, პუნქტი 15), რაც შეიძლებოდა გამხდარიყო მისი კონკურსიდან მოხსნის საფუძველი. იგივე შეიძლება ითქვას, ახალ საჩივარზეც, სადაც მერაბ კალანდაძე იმეორებს კომისიის მიერ უკვე უარყოფილ ბრალდებებს, რის შესახებაც მას მიეცა განმარტება გასაუბრების დროს. გარდა ამისა, განსახილველი განცხადება შეიცავს შეურაცხმყოფელ გამოთქმებსა თუ მინიშნებებს კომისიის მიმართ, რაც სრულიად მიუღებელია.

მერაბ კალანდაძემ განაცხადა, რომ არაა თანახმა მიიღოს მონაწილეობა საკითხის განხილვაში, თუ არ დაკმაყოფილდება მისი ყველა მოთხოვნა, რაც ჩამოყალიბებულია მის განცხადებაში: მის-თვის საბუთების გადაცემა, განხილვაზე ექსპერტების მოწვევა. განხილვის ვიდეოჩარენა.

ლევან გორდეზიანმა აღნიშნა, რომ თუ კონკურსანტი წინააღმდეგია განხილვის გაგრძელებისა, სხდომის ღია ნაწილი უნდა შეწყდეს და კომისია გააგრძელებს მუშაობას და დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებას შემდგომი მუშაობის შესახებ.

სხდომა განახლდა მას შემდეგ, რაც კონკურსანტმა ოთახი და-ტოვა.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიუხედავად სარჩე-ლის შემომტანი პირის გამომწვევი და არაკორექტული საქციელი-სა, იგი საჭიროდ მიიჩნევს, კომისიამ გააგრძელოს მუშაობა, სრულ-ფასოვნად განიხილოს საჩივარი და დააკმაყოფილოს კალანდაძის ის მოთხოვნები, რისი დაკმაყოფილების უფლებაც კომისიას აქვს კონკურსის ჩატარების მოქმედი წესის შესაბამისად. სახელდობრ, გადაეცეს მას კონკურსანტის შეფასების უწყისი და ჩატარდეს საჩივრის ხელახალი განხილვა ვიდეოჩანანერის თანხლებით, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი კომისიის მიკერძოებულო-ბის შესახებ და კომისიამ სცადოს, მაქსიმალურად დაარწმუნოს კონკურსტები მიღებული გადაწვეტილების ობიექტურობაში.

ლევან გორდეზიანმა აღნიშნა, რომ კალანდაძის საქციელი იმის გათვალისწინებით, რომ მისი მხრიდან ორივე საჩივარი შე-მოვიდა ასეთი ქმედებისათვის განკუთვნილი დროის ამონტურვისას, 4 და 11 ივლისს, პარასკევს 18.00-ზე, ხოლო საკონკურსო კომისიის მუშაობისათვის რექტორის ბრძანებით დადგენილ უკანასკნელ დღეს იგი აყენებს ახალ ნაწილობრივ შეუსრულებელ მოთხოვნე-ბს, არის მხოლოდ „პროცედურული ომი“, კონკურსის ჩაშლის ან გაჭიანურების მცდელობა, რადგან საჩივარი არ შეიცავს არც ერთ ისეთ ინფორმაციას ან სამართლის მოთხოვნას და ამის შესახებ ეთქვა კონკურსანტს, სანამ ის სხდომას დატოვებდა – კომისია უფლებამოსილია დაასრულოს საჩივრის განხილვა კონკურსანტის გარეშე და შემდეგ უყაროს კენჭი იმას, დატოვოს თუ არა ძალაში საკუთარი გადაწვეტილება.

აზრი გამოთქვეს: ქ. ჭკუასელმა, ქ. ნადირაძემ

კენჭისყრის შედეგად ხმები გაიყო.

კომისიის თავმჯდომარემ გადაწყვიტა:

1. მიმართოს რექტორს კომისიის მუშაობის გახანგრძლივების მოთხოვნით,
2. შემდეგი სხდომა დაინიშნოს 16 ივლისს 10.00 სთ-ზე
3. ეთხოვოს ადმინისტრაციას სხდომის ვიდეოჩანერა,
4. მერაბ კალანდაძეს გადაეცეს კონკურსანტის შეფასების ფორმის ასლი.

კომისიის თავმჯდომარე მ. პაპაშვილი

კომისიის მდივანი ლ. გორდეზიანი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულიად ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2014 წლის 07 მაისის 65/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებაზე კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის 63/2014 დადგენილების პირველი პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი 8

ქ. თბილისი

16 ივლისი 2014 წ.

11^თ სთ; თსუ პირველი კორპ., აუდიტორია 305.

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი.

1. მურმან პაპაშვილი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)
2. ქეთევან ჭკუასელი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. ლევან გორდეზიანი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის მდივანი)
4. ქეთევან ნადირაძე – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
5. გურამ კუტალია – თსუ-ის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის თსუ-ის მოწვეული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. საკონკურსო კომისიაში შემოსული საჩივრის განხილვა.

განიხილეს:

მოსიმინეს კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კონკურსანტი მერაბ კალანდაძე მიმართავს საკონკურსო კომისიას განცხადებით, რომელშიც ასაჩივრებს კომისიის შემაჯამებელ ოქმს (განცხადება ოქმს თან ერთვის). კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის 31 დადგენილებით (ცვლილება შეტანილია 2013 წლის 18 ნოემბრის 126 დადგენილებით) დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის მერვე მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად, საჩივრის განხილვის პროცესში მონაწილეობენ საჩივრის წარმდგენი პირი და ის დაინტერესებული პირები (პრეტენდენტები), რომელთა კანონიერ ინტერესებზე შესაძლოა პირდაპირი და უშუალო გავლენა მოახდინოს საჩივრის განხილვის შედეგებში. ე. ი. მერაბ კალანდაძე და ნინო კილურაძე. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომა იმართება ხელახლა, რადგან დაკმაყოფილდა მერაბ კალანდაძის მოთხოვნა საჩივრის განხილვის ვიდეოჩანანერის შესახებ. კომისია უფლებამოსილი იყო კალანდაძის დემარშის შემდეგ შეეწყვეტა საქმის განხილვა, მაგრამ კომისიამ მიიღო ეს გადაწყვეტილება, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი კომისიის მიკერძოებულობის შესახებ და კომისიამ სცადა, მაქსიმალურად დაარწმუნოს კონკურსანტები მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობაში (სხდომის ვიდეოჩანანერი ოქმს თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თსუ იურიდიულმა სამსახურმა კომისიას გადმოუგზავნა მერაბ კალანდაძის საჩივარი ნინო კილურაძის წინააღმდეგ, რომელიც კომისია-

ში 4 ივლისს შემოსულის იდენტურია და ამჯერად რექტორის სახელზე იყო დაწერილი. კომისიამ, ერთხელ უკვე განიხილა ეს საკითხი და არ ჩათვალა ეს თემა კომისიის კომპეტენციის სფეროდ, მაგრამ ამჯერად დაინტერესებულ პირთა თანდასწრებით კომისია მიუბრუნდება მის განხილვას. რადგან წიგნს, რომელთან დაკავშირებითაც მერაბ კალანდაძეს პრეტენზიები აქვს, ორი ავტორი ჰყავს — გიორგი სანიკიძე და ნინო კილურაძე. მიზანშენონილად ჩათვალა განხილვაზე გიორგი სანიკიძის მოწვევაც სხდომის ნაწილზე, რომელიც აღნიშნული თემის განხილვას დაეთმობა.

კომისიის მდივანმა ლევან გორდეზიანმა კომისიის წევრებსა და განხილვების მონაწილეებს გააცნო მერაბ კალანდაძის განცხადებები. კომისიის მოსაზრებები საჩივართან დაკავშირებით და ის მასალა, რასაც დაეფუძნა კომისიის გადაწყვეტილება, კერძოდ მან აღნიშნა:

კონკურსანტმა შეფასების ფორმა მთლიანობაში და კონკურსულად ცალკეული შეკითხვის ფორმულირება და ასარჩევად შემოთავაზებული შეფასებები ვერ ასახავს სრულად კონკურეტულ ვაკანსიასთან მიმართებაში კონკურსანტთა მონაცემების შედარების შესაძლებლობას, კიომისიამ საგულდაგულოდ შეისწავლა კონკურსანტების საბუთები და შეაფასა ისინი როგორც საერთოდ, ასევე ერთმანეთთან და ვაკანსიასთან მიმართებაში. შესწავლის შედეგი მოკლედ ასე გამოიყურება:

ორივე კონკურსანტის აკადემიური და სამეცნიერო ხარისხი, პედაგოგიური მოღვაწეობის ხანგრძლიობა და პროფილი შეესაბამება წამოყენებულ მოთხოვნებს.

ორივე კონკურსანტი კითხულობდა უნივერსიტეტში კურსებს, რომლებსაც აქვთ მიმართება ისტორიის თეორიასთან, მეთოდოლოგიასთან, ისტორიის დიდაქტიკა, როგორც ცალკე დარგი, აქამდე უნივერსიტეტში არ ისწავლებოდა. ამ სფეროში მხოლოდ ნინო კილურაძეს აქვს გავლილი სპეციალური ტრეინინგები და წარმოდგენილი სილაბუსი, აგრეთვე იგი არის მრავალი სასკოლო სახელმძღვანელოს და მასწავლებლის სახელმძღვანელოს ავტორი.

ორივე მეცნიერი მრავალი წელია ეწევა მრავალმხრივ ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. მერაბ კალანდაძის სფეროა ახალი ისტორია და ისტორიოგრაფია, რომლებსაც ეძღვნება ნაწილი მისი პუბლიკაციებისა (სულ 175) ნინო კილურაძე ჩამოუვარდება მას ნაშროვაში რაოდენობით, მაგრამ მას აქვს ნაშროვაში როგორც ისტორიის თმონიის, ასევე დიდაქტიკის სფეროში.

ორივე მეცნიერი უკანასკნელ წლებში აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში (მერაბ კალანდაძე მხოლოდ თბილისში ჩატარებულ ფორუმებში).

მხოლოდ ნინო კილურაძეს აქვს სამეცნიერო გრანტები და უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობა.

ნინო კილურაძის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია სავსებით შეესაბამება მოთხოვნებს.

მერაბ კალანდაძის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“ არის უაღრესად საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული წიგნი, რომელიც გამოადგებათ დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებს ისტორიის თეორიისა და ისტორიოგრაფიის საკითხების შესასწავლად. მიუხედავად იმისა, რომ

ნაშრომში მრავლადაა გაბნეული ავტორის ორიგინალური კვლევის შედეგები, საკუთარი კვლევითი პოტენციალის წარმოსაჩინად უმჯობესი იქნებოდა, კონკურსანტს წმინდა კვლევითი ხასიათის ნაშრომი წარმოედგინა. მის სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში კარგადა ასახული კონკურსანტის მიერ ჩატარებული მრავალმხრივი სამუშაო, საუბარია ზოგადად სამომავლო გეგმებზეც, მაგრამ სამწუხაროდ, არ აისახა მისი ხედვა, როგორ უნდა განვითარდეს ჩვენ უნივერსიტეტში მუშაობა ახალი მიმართულებით „ისტორიის თეორია და დიდაქტიკა“, რასაც გულისხმობს საკონკურსო თანამდებობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასაუბრების დროსაც კონკურსანტმა ვერ მოახერხა დაეზუსტებინა რომელ უანრს განეკუთნება მისი წიგნი — მონოგრაფიას თუ სახელმძღვანელოს, ან როგორ აპირებს მუშაობის წარმართვას ახალი მიმართულებით.

სხვა სახის აქტივობათა ბლოკშიც ორივე კონკურსანტის მონაცემები საკმაოდ შთამბეჭდავია. აღსანიშნავია, მერაბ კალანდაძის წევრობა ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოებაში და მის მიერ ამ საზოგადოების მედლის მოპოვება. მაგრამ აქაც, ვაკანსიის პროფილის გათვალისწინებით, უფრო ღირებულად გამოიყურება ნინო კილურაძის აქტიური თანამშრომლობა ისტორიის მასწავლებელთა ევროპულ ასოციაციასთან (ევროკლიო) და ევროპული ენების ცოდნა (რუსული, გერმანული, ინგლისური, ფრანგული).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, კომისიამ მიიჩნია, რომ ნინო კილურაძე სავსებით შეესაბამება საკონკურსო ვაკანსიას, ხოლო მერაბ კალანდაძე მისი სამეცნიერო და პედაგოგიური დამსახურებებისა და საკვლევი სფეროს გათვალისწინებით, მეტად შეესაბემება ისტორიის ან ისტორიოგრაფიის პროფესორის თანამდებობას.

შემდეგ გაიმართა დისკუსია. მერაბ კალანდაძე არ დაეთანხმა გამოთქმულ მოსაზრებებს. მისი აზრით, მისი პუბლიკაციების

რაოდენობა და ხარისხი სრულიად საკმარისი იყო მისთვის უპირატესობის მისანიჭებლად, აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა და ახსნეს საკუთარი გადაწყვეტილებები, როგორც ცალკეულ პუნქტებთან დაკავშირებით, ასევე მთლიანობაში.

ნინო კილურაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა მერაბ კალანდაძის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რომელიც ძირითადად სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზაზეა შედგენილი და რომელშიც ომისშემდგომი გერმანიისადმი მიძღვნილი თავი საკმაოდ ახლოსაა ნინო კილურაძის ავტორობით გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოს შესაბამის თავთან. ნინო კილურაძემ კომისიას წარუდგინა თსუ ხარისხის სამსახურიდან გამოთხოვნილი სილაბუსები და არგუმენტაცია იმის დასადასტურებლად, რომ მისი უნივერსიტეტედან წასვლის შემდეგ მერაბ კალანდაძემ მიითვისა კოლეგის საავტორო კურსები.

(კომპეტენტურმა კომისიამ შეისწვალა ეს საკითხი და ჩვენს ნაშრომში პლაგიატი ვერ აღმოაჩინა და ეს ბრალდება უსაფუძვლოდ ცნო. (თბილისის უნივერსიტეტი, 14. 17 ნოემბერი, 2014. გვ. 2. 03/11 2014, 38068/2. 112/2014. 10/11. 2014) ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. კომისიამ, იქ სადაც პლაგიატი იყო ვერ დაინახა პლაგიატი. (იხ. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება 9. 2015. 22 იანვარი. უნივერსიტეტის გაზეთი, 3. 17 მარტი, 2015. იქ სადაც დაეჭვდა, პლაგიატი ხომ არ იყო, აღმოჩნდა, რომ პლაგიატი არ იყო, მეტი მიკერძოება რა შეიძლება იყოს? ვის სჭირდება ასეთი კომისია? ალბათ, ჩემი კონკურენტის გარდა – არავის. კომპეტენტურ ობიექტურ მკითხველს ამის გარკვევა, ვფიქრობ, არ უნდა გაუჭირდეს). კომისია ორივეჯერ გაპითურებული დარჩა.

სხდომის შემდეგი ნაწილი მიეძღვნა მერაბ კალანდაძის საჩივარს, რომელშიც იგი ნინო კილურაძეს ბრალს სდებს პლაგიატში. ამ საკითხის განსახილველად კომისიამ მოიწვია გიორგი სანიკიძე, ლევან გორდეზიანმა კომისიის წევრებს და

განხილვის მონაწილეებს გააცნო მერაბ კალანდაძის საჩივარი. შემდეგ საჩივართან დაკავშირებით მან გამოთქვა გაკვირვება:

1. როგორ მოახერხეს ქართველმა შემდგენლებმა 2001 წელს გამოქვეყნებული ინგლისური წიგნის თარგმნა და გამოცემა იმავე 2001 წელს? 2. როგორ მოახერხა მერაბ კალანდაძემ, რომელიც აღიარებს, რომ არ იცის ინგლისური, ქართული წიგნის ინგლისურთან შედარება. (რუსულიდან რომ აქვს გადმოწერილი ეს კომისიისათვის საკმარისი არაა. ეს პლაგიატი არაა? – მ. კ.) გიორგი სანიკიძემ აღნიშნა, რომ, მასალა რომელიც შემდგომ იქცა განსახილველ დამხმარე სახელმძღვანელოდ, არის მხოლოდ მისი შედგენილი. ნინო კილურაძე თანაშემდგენელად მოიხსენიება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იყო თანავტორი დიდი პროექტისა, რომლის ფარგლებში მომზადდა სალექციო კურსის რიდერი და დამხმარე სახელმძღვანელო. შესაბამისად, ბრალდება დამოუკიდებლად იმისგან რამდენად სამართლიანია იგი, ეხება მხოლოდ მას და არა ნინო კილურაძეს.

(აქ საუბარია გ. სანიკიძისა და ნ. კილურაძის წიგნზე „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“, თბ., 2001). ქართველი მეცნიერების დიდ სირცხვილად მიმაჩია, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი პლაგიატია. ამას ანალოგი მსოფლიოს პრაქტიკაში ძნელად მოეძებნება. ნუთუ ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები ისე დაჩაჩანაკდნენ, რომ უკეთესი ვერავინ მოძებნეს?

კომისიის თავმჯდომარებ მურმან პაპაშვილმა სთხოვა კომისიის წევრებს, დასკვნითი სხდომის დაწყებამდე გამოცხადებული შესვენებისას კიდევ ერთხელ გაეაზრებინა მოსმენილი და მიეღოთ საბოლოო გადაწყვეტილება

კომისიის თავმჯდომარე მ. პაპაშვილი

კომისიის მდივანი ლ. გორდეზიანი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულიად ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2014 წლის 07 მაისის 65/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულებაზე კონკურსის ჩატარების უზრუნველ-საყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის 63/2014 დადგენილების პირველი პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი 9

ქ. თბილისი

16 ივლისი 2014 წ.

12³⁰ სთ; თსუ პირველი კორპ., აუდიტორია 305.

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი.

1. მურმან პაპაშვილი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)
2. ქეთევან ჭკუასელი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. ლევან გორდეზიანი – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის მდივანი)
4. ქეთევან ნადირაძე – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
5. გურამ კუტალია – თსუ-ის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის, თსუ-ის მოწვეული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. საჩივრის განხილვის შედეგის შეჯამება
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებელად გადაცემა

1. კომისიამ საჩივრის განხილვის შემდეგ, უყარა კენჭი კითხვას, დარჩეს თუ არა ძალაში კომისიის ძველი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების ძალაში დატოვებას მხარი დაუჭირა კომისიის სამმა წევრმა, წინააღმდეგი იყო ორი.

2. კენჭისყრის შედეგად კომისიამ გადაწყვიტა ძალაში დარჩეს მისი გადაწყვეტილება (ოქმი 6) და კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდეს:

მსოფლიოს ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის მიმართულება, პროფესორის 1 თანამდებობა – ნინო კილურაძე.

3. კომისიამ იმსჯელა მის მიერ გაწეული მუშაობის მოცულობის მნიშვნელობის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის 31 დადგენილებით (ცვლილება შეტანილია 2013 წლის 18 ნოემბრის 126 დადგენილებით) დამტკიცებულ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესთან შესაბამისობის შესახებ და ერთხმად დაადგინა, რომ გაწეული სამუშაო იყო მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისად განხორციელებული, შესაბამისად შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებელად.

4. კომისიამ შემაჯამებელი ოქმის აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა დააკისრა კომისიის მდივანს, ლევან გორდეზიანს.

კომისიის თავმჯდომარე მ. პაპაშვილი
კომისიის მდივანი ლ. გორდეზიანი
დანართი 4

კონკურსანტის შეფასების ფორმა

a) ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ

გვარი	კალანდაძე
სახელი	მერაბ
მამის სახელი	ლევანის ძე

b) საკონკურსო პოზიცია

	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი
ფაკულტეტი (საკონკურსო თანამდებობის სრული დასახელება)	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის პროფესორი		

1. შეფასება. კატეგორია ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

1.1. განათლება

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს დიახ არა

1.2. აკადემიური სამეცნიერო ხარისხი

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს დიახ არა

1.3. სამსახურებრივი გამოცდილება

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს დიახ არა

1.4. პედაგოგიური სტაჟი

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს დიახ არა

1.5. შეთავსებით მუშაობა

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს დიახ არა

1.6. ინფორმაცია კლინიკური ბაზის

შესახებ (მხოლოდ მედიცინის

ფაკულტეტისათვის) წარმოდგენელია დიახ არა

საერთო შეფასება 1 კატეგორიის მიხედვით

კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს	კლასიფიკაცია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს

II კატეგორია პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

2.1.პედაგოგიური გამოცდილება

შეესაბამებავაკანსიის პროფილს დიახ არა

2.2.სასწავლო-მეთოდური საქმიანობა

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს დიახ არა

2.3.კლასიფიკაციის ასამაღლებელი კურსები,

ტრენინგები შეესაბამება ვაკანსიის პროფილს დიახ არა

**2.4.სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა
შეუძლია კონკურსანტს:**

ა) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან შესაბამისი პრო-
ფილის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებია

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენო- ბა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკალავრია- ტი	3	ისტორიის კვლევის მეთოდები: ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტო- რია (1550-1789); ევროპი- სა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია (1789- 1914);	

მაგისტრა-ტურა	8	<p>თანამედროვე დასავლური ისტორიული მეცნიერება ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ისტორიის ისტორიოგრაფია; ისტორიის ისტორიოგრაფია;</p> <p>ისტორიის მეთოდოლოგია;</p> <p>რეფორმები და რევოლუცია;</p> <p>დასავლეთ ევროპის ახალი საუკუნეებისა და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში საფრანგეთი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქაში; საფრანგეთი XVII საუკუნეში ინგლისის XVII საუკუნეში</p>	
დოქტურანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

ა) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან შესაბამისი პროფილის თსუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილი არ არის

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელ- წოდება	შენიშვნა
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
დოქტორანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

გ) შემოთავაზებული სასწავლო კურსიდან სამომავლოდ (პროგრამებში ცვლილების შეტანის შემდეგ) შეიძლება კურსად განხილულ იქნას

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელ- წოდება	შენიშვნა
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
დოქტორანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

2.3. წარმოდგენილი სილაბუსები

ა) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს

ბ) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა ნაწილობრივ შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს

გ) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა არ შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს

საერთო შეფასება II კატეგორიის მიხედვით:

მაღალი	საშუალო	დაბალი

III. კატეგორიის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

3.1. პუბლიკაციები იმპაფაქტორის მქონე უურნალებში	
3.2. სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მონოგრაფია, სტატია, რეცენზიურებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ უურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceeding) და სხვა)	სულ 175 ანკეტაში ასახულთაგან მონოგრაფია 6 სტატია 9
3.3. პატენტები. (გამოგონებები)	
3.4. ციტირების ინდექსი ch-ინდექსი გ-ინდექსი	
3.5. მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.6. საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.7. თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან	

3.8. საკონკურსო კომისიისათვის შეფასებისთვის წარმოდგენილი ნაშრომი „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“ არის უაღრესად საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული წიგნი, რომელიც გამოადგებათ დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებს ისტორიის თეორიისა და ისტორიოგრაფიის საკითხების შესასწავლად. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში მრავლადა გაპნეული ავტორის ორიგინალური კვლევის შედეგები, საკუთარი კვლევითი პოტენციალის წარმოსაჩენად უმჯობესი იქნებოდა, კონკურსანტს წმიდა კვლევითი ხასიათის ნაშრომი წარმოედგინა.

3.9. სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია/სამოტივაციო წერილი კონცეფციაში კარგადაა ასახული კონკურსანტის მიერ ჩატარებული მრავალმხრივი სამუშაო. საუბარია ზოგადად სამომავლო გეგმებზეც, მაგრამ, სამწუხაროდ, არ აისახა მისი ხედვა. როგორ უნდა განვითარდეს ჩვენ უნივერსიტეტში მუშაობა ახალი მიმართულებით „ისტორიის თეორია და დიდაქტიკა“, რა-საც გულისხმობს საკონკურსო თანამდებოდა.

საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით¹

შეფასება	მაღალი	საშუალო	დაბალი
ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას. საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას		+	
ხელს უწყობს თსუ-სეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას			

¹ სამეცნიერო კვლევების კონფერენციის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოდ იმ აპლიკაციებისთვის, რომელთაც სურთ სრული ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობების დაკავება. ასისტენტ-პროფესორები წარმოადგენენ სამოტივაციო წერილს.

IV კატეგორია სხვა სახის აქტიობა (ბოლო 6 წელი)

4.1. (მიღწეუები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტი-პენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თა-ნახელმძღვანელობა. კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვა).

4.2. დამატებითი ინფორმაცია

4.3. კლინიკური ბაზა (მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტისათ-ვის) (კლინიკური ბაზის შესაბამისობა ვაკანტური თანამდებობის შესაბამის სამედიცინო პროფილთან; კლინიკური ბაზის შესაძლე-ბლობა უზრუნველყოს სასწავლო-პრაქტიკული და სამეცნიერო სა-ქმიანობა (შესაბამისი ფართი და ინფრასტრუქტული სამედიცინო აქტივობა).

შეფასება	მაღალი	საშუალო	დაბალი
კლინიკური ბაზის შე-საბამისობა ვაკანტუ-რი თანამდებობების შესაბამის სამედიცი-ნო პროფილთან			
კლინიკური ბაზის შესაძლებლობა უზ-რუნველყოს სასწავ-ლო-პრაქტიკული და სამეცნიერო საქმია-ნობა			

საერთო შეაფსება IV კატეგორიის მიხედვით

შეფასება	მაღალი	საშუალო	დაბალი
ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენცია- ლის გაძლიერებას			
ხელს უწყობს თსუ-ს შემდგომ წინსვლას და განვითარებას			

მერაბ კალანდაძე მრავალი წელია აქტიურ და ნაყოფიერ პედა-
გოგიურ სამეცნიერო მუშაობას ეწევა. მისი ძირითადი სფეროებია
ახალი და უახლესი ისტორია, ისტორიოგრაფია. მას აქვს ნაშრომე-
ბი ისტორიის თეორიის მნიშვნელოვან საკითხებზეც. ისტორიის
დიდაქტიკაში სპეციალურად არ უმუშავია, რის გამოც კონკურ-
სანტი მეტად შეესაბამება ისტორიის პროფესორის თანამდებო-
ბას, ვიდრე ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის პროფესორის.
(ეს რა თანამდებობაა კაცმა არ იცის – მ.კ.)

განსაკუთრებული აზრი გამოთქვა კომისიის ერთმა წევრმა,
ქეთევან ჭკუასელმა, მისი აზრით, მერაბ კალანდაძის ნაშრომე-
ბი არის უაღრესად ღირებული და სავსებით შესაბამისი ვაკან-
სიის პროფილთან.

გადაწყვეტილება:

კენჭისყრის საფუძველზე, კომისია რეკომენდაციას არ
უწევს მერაბ კალანდაძეს მსოფლიო ისტორიის, ისტორიის
თეორიისა და დიდაქტიკის პროფესორის საკონკურსო ვაკან-
სიის დასაკავებლად.

კომისიის წევრების ხელმოწერა:

დანართი №4

კონკურსასანტის შეფასების ფორმა

ა) ინფორმაცია კონკურსასანტის შესახებ

გვარი	კილურაძე
სახელი	ნინო
მამის სახელი	გივის ასული

ბ) საკონკურსო პოზიცია

	პროფესიონალური პროფესიონალური პროფესიონალური	ასოცირებუ- ლი პროფე- სორი	ასისტენტი პროფე- სორი
ფაკულტეტი (საკონკურსო თანამდებობის სრული დასახელება)	თსუ ჰუმანიტა- რულ მეცნიერება- თა ფაკულტეტის მსოფლიო ისტო- რიის ინსტიტუტის ისტორიის თეორი- ისა და დიდაქტიკის პროფესიონალური		

2. შეფასება. კატეგორია ფორმალური კვალიფიკაციის შე-
საბამისობა ვაკანსიის პროფილთან

1.1. განათლება შეესაბამება ვაკანსიის პროფილს	დიახ	არა
1.2. აკადემიური სამეცნიერო ხარისხი შეესაბამება ვაკანსიის პროფილი	დიახ	არა
1.3. სამსახურებრივი გამოცდილება შეესაბამება ვაკანსიის პროფილს	დიახ	არა
1.4. პედაგოგიური სტაჟი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს	დიახ	არა
1.5. შეთავსებით მუშაობა შეესაბამება ვაკანსიის პროფილს	დიახ	არა
1.6. ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ (მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტისათვის) წარმოდგენილია	დიახ	არა

საერთო შეფასება 1 კატეგორიის მიხედვით

კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს	კლასიფიკაცია ვერ აკმაყო- ფილებს მოთხოვნებს

II კატეგორია პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვა-
კანსიის პროფილთან

2.1 პედაგოგიური გამოცდილება
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს დიახ არა

2.2. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს დიახ არა

2.3. კლასიფიკაციის ასამაღლებელი კურსები,
ტრენინგები შეესაბამება ვაკანსიის პროფილს დიახ არა

2.4. სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა
შეუძლია კონკურსანტს:

ა) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან შესაბამისი პრო-
ფილის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებია

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკალა- ვრიატი	4	ისტორიის კვლევის მეთოდები: საერთაშორისო ურთ- იერთობების ისტორია 20-ე ს-ში; ახალი და უახლესი ისტორია; ისტორიის შესავალი	

მაგისტრატურა	8	<p>ისტორიის დიდაქტიკა; თანამედროვე დასავლური ისტორიული მეცნიერება;</p> <p>კულტურა ანალების სკოლის კვლევებში; ტოტალიტარული რეჟიმები; მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია;</p> <p>საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი; აშშ საგარეო პოლიტიკა; აშშ საერთაშორისო პოლიტიკა 20-ე ს-ში.</p>	
დოქტურა-ანტურა			
პროფესიული			
სხვა საგან-მანათლებლო პროგრამა			

ბ) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან შესაბამისი პროფილის თსუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილი არ არის

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
დოქტორანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

გ) შემოთავაზებული სასწავლო კურსიდან სამომავლოდ (პროგრამებში ცვლილების შეტანის შემდეგ) შეიძლება კურსად განხილულ იქნას

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა		ისტორიის დიდაქტიკა	
დოქტორანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო-პროგრამა			

2.1. წარმოდგენილი სილაბუსები

ა) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს

ბ) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა ნაწილობრივ შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს

გ) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა არ შეე-საბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს

საერთო შეფასება II კატეგორიის მიხედვით:

მაღალი	საშუალო	დაბალი

III. კატეგორიის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

3.1. პუბლიკაციების იმპაქტფაქტორის მქონე უურნალებში	
3.2. სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მონოგრაფია, სტატია, რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ უურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceeding) და სხვა)	წარმოდგენილია 15 სტატია. 3 სამეცნიერო თარგ- მანი
3.3. პატენტები. (გამოგონებები)	
3.4. ციტირების ინდექსი ch-ინდექსი g-ინ- დექსი	
3.5. მოხსენება საერთაშორისო სამეცნიე- რო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის გან- მავლობაში	5
3.6. საგრანტო/სახელშეკრულებო პრო- ექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში	3
3.7. თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან	5(6)

3.8. საკონკურსო კომისიისათვის შეფასებისათვის წარმოდგენილი ნაშრომი არის ნაწილი დიდი პროექტისა. პროექტის მიზანდასახულობის შესაბამისად, ნაშრომში მოცემულია ისტორიის თეორიის მნიშვნელოვანი პრობლემების მაღალპროფესიული მიმოხილვა, უახლეს სამეცნიერო ლიტერატურასა და საკუთარ კვლევებზე დაყრდნობით.

სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია/სამოტივაციო წერილი

წარმოდგენილი კონცეფცია სავსებით აკმაყოფილებს ამგვარი დოკუმენტებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით²

შეფასება	მაღალი	საშუალო	დაბალი
ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას. საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას	+		
ხელს უწყობს თსუ-სეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას			

² სამეცნიერო კვლევების კონცეფციის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოდ იმ აპლიკაციებისთვის, რომელთაც სურთ სრული ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობების დაკავება. ასისტენტ-პროფესორები წარმოადგენს სამოტივაციო წერილს.

IV კატეგორია სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)

4.1.(მიღწეუები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტი-პენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თა-ნახელმძღვანელობა, სტუდენტის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ-ში სწავლებით, კომპიუტრთან მუშაო-ბის უნარები, ენების ცოდნა და სხვა).

ენება მრავალმხრივ ერთობ საჭირო და აქტიურ საქმიანობას. არის „ევროკლიოს“ (ისტორიის მასწავლებელთა ევროპული ასო-ციაციის) წევრი. ენების ცოდნა – რუსული, გერმანული, ინგლი-სური და ფრანგული.

4.2. დამატებითი ინფორმაცია

4.3. კლინიკური ბაზა (მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტისათ-ვის) (კლინიკური ბაზის შესაბამისობა ვაკანტური თანამდებობის შესაბამის სამედიცინო პროფილთან; კლინიკური ბაზის შესაძლე-ბლობა უზრუნველყოს სასწავლო პრაქტიკული და სამეცნიერო სა-ქმიანობა (შესაბამისი ფართო და ინფრასტრუქტული სამედიცინო აქტივობა).

შეფასება	მაღალი	საშუალო	დაბალი
კლინიკური ბაზის შესაბამისობა ვაკან- ტური თანამდებობების შესაბამის სამედიცინო პროფილთან			
კლინიკური ბაზის შესაძლებლობა უზრუნ- ველყოს სასწავლო-პრაქ- ტიკული და სამეცნიერო საქმიანობა			

საერთო შეფასება IV კატეგორიის მიხედვით

შეფასება	მაღალი	საშუალო	დაბალი
ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენცია- ლის გაძლიერებას			
ხელს უწყობს თსუ-ს შემდგომ წინსვლას და განვითარებას			

შედეგების შეჯამება:

ნინო კილურაძე მრავალი წლის მანძილზე ენევა ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ახალი და უახლესი ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის სფეროში. იგი აქტიურად თანამშრომლობს უცხოურ სამეცნიერო ცენტრებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. კონკურსანტი სავსებით შეესაბამება საკონკურსო ვაკანსიის.

განსაკუთრებული აზრი გამოითქვა კომისიის ერთმა წევრ-მა, ქეთევან ჭყუასელმა. მისი აზრით, ნინო კილურაძეს არ აქვს სპეციალური სამეცნიერო გამოკვლევები დიდაქტიკის დარგში. (მცირე კომნეტარი. კომისიამ სპეციალისტის აზრი არ გაითვა-ლისწინება და გადაწყვიტა ისე როგორც მას სურდა, თვითნე-ბურად, რაც ლატიტუდივად გასდევს მთელს მის საქმიანობას).

გადაწყვეტილება:

კენჭისყრის საფუძველზე, კომისია რეკომენდაციას უწევს ნინო კილურაძეს მსოფლიო ისტორიის, ისტორიის თეორიისა და დიდაქტიკის პროფესორის საკონკურსო ვაკანსიის დასაკავე-ბლად.

კომისიის წევრების ხელმოწერა:

მერაბ კალანდაძე და ნინო კილურაძის სამეცნიერო-კვლევითი სამიანობის შედარებითი ანალიზი

|

საერთო მონაცემები	
მერაბ კალანდაძე	ნინო კილურაძე
მონოგრაფიები – 10	მონოგრაფიები – 0
შრომები – 191	შრომები – 18
შრომები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე 5 მონოგრაფია და 54 ნაშრომი)	შრომები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე 6 სტატია)
საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები – 3	საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები – 1
სამეცნიერო კონფერენციები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 20	სამეცნიერო კონფერენციები (ბოლო ექვსი წლი მანძილზე) – 7
საერთაშორისო კონფერენციები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 6	საერთაშორისო კონფერენციები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 5
სამეცნიერო გრანტები – 0	სამეცნიერო გრანტები – 1
შეჯამება: 10 მონოგრაფია, 3 საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო და 191 ნაშრომი	შეჯამება: 0 მონოგრაფია, 1 საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო და 18 სტატია.

II

საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლა და მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია

ნაკითხული სალექციო კურსები – 1 (მაგისტრატურა)	ნაკითხული სალექციო კურსები – 2 (მაგისტრატურა)
მონოგრაფია – 10	მონოგრაფია – 0
შრომები – 98 (83 – ისტორიოგრაფიაში და თეორიაში, 15 – მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციაში)	შრომები – 7 (4 – თეორიაში, 3 – დიდაქტიკაში (პირობით)
შრომები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 5 მონოგრაფია და 54 ნაშრომი	შრომები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 7 ნაშრომი
კონფერენციები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 21	კონფერენციები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 7
შეჯამება: 10 მონოგრაფია და 88 ნაშრომი	შეჯამება: 0 მონოგრაფია და 7 ნაშრომი

III

ისტორიოგრაფია, ისტორიის ფილოსოფია, ისტორიის მეთოდოლოგია, ისტორიის თეორია (მხოლოდ ევროპული ასპექტი)

წაკითხული სალექციო კურსები – 4 (1 – ბაკალავრიატში, 3 – მაგისტრატურაში)	წაკითხული სალექციო კურსები – 2 (მაგისტრატურაში)
მონოგრაფიები – 1	მონოგრაფიები – 0
შრომები – 85	შრომები – 7
შრომები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 10 ნაშრომი	შრომები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 7 ნაშრომი
კონფერენციები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 4	კონფერენციები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 7
შეჯამება: 1 მონოგრაფია, 85 ნაშრომი	შეჯამება: 7 ნაშრომი

IV

ევროპული და ქართული კონტექსტი ისტორიის თეორიაში ერთად

წაკითხული სალექციო კურსები – 5 (1 – ბაკალავრიატში, 4 – მაგისტრატურაში)	წაკითხული სალექციო კურსები – 2 (2 – მაგისტრატურაში)
მონოგრაფიები – 10	მონოგრაფიები – 0
შრომები – 150	შრომები – 7
შრომები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 5 მონოგრაფია, 64 ნაშრომი	შრომები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 7 ნაშრომი
კონფერენციები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 21	კონფერენციები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 7
შეჯამება: 10 მონოგრაფია, 150 ნაშრომი	შეჯამება: 0 მონოგრაფია, 7 ნაშრომი

V

ისტორიის თეორია და დიდაქტიკა (ისტორიოგრაფიის გარეშე)

წაკითხული სალექციო კურსები – 4 (1 – ბაკალავრიატში, 3 – მაგისტრატურაში)	წაკითხული სალექციო კურსები – 2 (მაგისტრატურაში)
მონოგრაფიები – 1	მონოგრაფიები – 0
საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო (სასწავლო-მეთოდური) – 3	საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო (სასწავლო-მეთოდური) – 1
სასწავლო-მეთოდური პროგრამა – 3	სასწავლო-მეთოდური პროგრამა – 0
შრომები: 1 მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო, 15 ნაშრომი – ისტორიის თეორიაში, 12 ნაშრომი – დიდაქტიკაში	შრომები: 4 – თეორიის, 3 – დიდაქტიკაში
შრომები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 1 მონოგრაფია, 14 ნაშრომი	შრომები (ბოლო ექვსი წლის მანძილზე) – 7
შეჯამება: 1 მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო, 3 სასწავლო-მეთოდური პროგრამა, 27 ნაშრომი	შეჯამება: 7 ნაშრომი

P. S. არსაიდან ჩანს, რომ ჩემს კონკურენტს ან ხარისხობრივად, შინაარსობრივად, ან რაოდენობით რაიმე უპირატესობა გააჩნდეს, პირიქით. ეს არის მხოლოდ კომისიის მდივნის სურვილები, რომელიც უსიტყვოდ ასრულებს ქ-ნ ნინო კილურაძის კაპრიზებს. რატომ?

ამ ფაქტების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირება ძნელი იქნებაოდა. მაშინ რეალური ფაქტები უნდა დავამახინჯოთ, რა-საც, სხვათა შორის, ძალიან კარგად აკეთებს კომისია. აქ მოხმო-ბილი ფაქტები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია – უნდა იყოს. წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით და ზნეობრივად კო-მისია სრულიად გაკოტრებულია. ის სიყალბის ტირაჟირებას ეწევა და მხარედ გვევლინება. მთელს მის არგუმენტაციას საფუძვლად უდევს ელემენტარული ტყუილი და რეალური ფაქტების გაყალბება. კომისია რეალობას მოწყდა და თავი ვირტუალუარ სამყაროში ამოყო. ის ცდილობს სასურველი, შესაძლებლათ წარმოაჩინოს. ეს არის ქრესტომათიული ნიმუში იმის თუ როგორ არ უნდა იმუშაოს კომისიამ. ამიტომ ამ კუთხით საკითხის განხილვა აქტუალურად მიგვაჩინია.

* * *

ჩემი მასწავლებელი პროფ. კოტე ანთაძე მეუბნებოდა „ახალი თაობის ისტორიკოსებიდან არავისთვის ისე არ გადაუვლიათ, რო-გორც შენო“. მე მეგონა, რომ ბ-ნ კოტე აჭარბებდა, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ამაში იყო ჭეშმარიტების რაციონალური მარცვალი. ბ-ნ კოტე ძირძველი ინტელიგენტი ბრძანდებოდა, კომპლიმენტებს ასე ადვილად არ არიგებდა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ კენედი ამბობდა: „ნუ იკითხავთ იმას, რა მოგცათ ამერიკამ. იკითხეთ ის რა მიეცით ამერიკას“. სწორი კრიტერიუმია. ჩვენში სრულიად საპირისპირო კრიტერიუმი არსებობს. მთავარი განსხვავება ჩვენსა და დემოკრატიულ სამყაროს შორის, სწორედ, ამაში მდ-გომარეობს. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩინია ის გარე-მოება, რომ ამერიკულ-ევროპული ლირებულებებიდან იმას არ ვიღებთ რაც უნდა ავიღოთ. კანონის უზენაესობა და ვიღებთ იმას რაც არ უნდა ავიღოთ. თანამედროვე საქართველოს ძნელბედო-

ბის ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. ჩვენ ვცადეთ შეძლებისდაგვარად რაღაცა მიგვეცა ქვეყნისათვის. გავაკეთე რაც შემეძლო. ვისაც შეუძლია გააკეთოს უკეთესად. რა მივიღე, მკითხველმა კარგად ნახა. პერმანენტული უსამართლობა, უმადურობა. უნებლიერთ მახსენდება XX საუკუნის რუსი მწერლის მიხეილ ბულგაკოვის სიტყვები: „შეურაცხყოფა არის საუკეთესო ჯილდო კარგად შესრულებული სამსახურისათვის“. აი ეს კი ნამდვილად მიგიღე და არაერთგზის. იმათ კი, ვინც წლების განმავლობაში მებრძოდნენ და პირდაპირ სისხლი გამიშრეს, ამ ქვეყნისათვის არც არაფერი მიუციათ, მაგრამ ამ ქვეყნისაგან ყველაფერი მიიღეს. აი ასეთია საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რელობა. არც არაფერს ვალამაზებთ, არც არაფერს ვამუქებთ. სხვა ნორმალურ ვითარებაში ისინი, ალბათ, მეცნიერები არ იქნებოდნენ და მეცნიერებას არ დაანაგვიანებდნენ, თავის საქმიანობის ასპარეზზად სულ სხვა სფეროს აირჩივდნენ. და ამდენი სკანდალიც არ იქნებოდა. უფრო სუფთა ატმოსფერი შეიქმნებოდა.

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს აკად. შალვა ნუცუბიძეს უყვარდა თემა: „საქართველოში ნიჭს არ გაპატიებენო“ . დრო მიდის, მოვლენები ვითარდება, ნინ მივდივართ „პროგრესს“ განვიცდით „ახლა საქართველოში წესიერებას არ გაპატიებენ“. დიდი გერმანელი დრამატურგი ფრიდრიხ შილერი წუხდა: „მოღალატები უფრო ფასობენ, ვიდრე ერთგულნი, პატიოსნება ეს საფრთხობელაა, რომლითაც ჩიტები შეგიძლია დააფრთხო ალუბლის ხეზე“. დიდი მგოსანი აკაკი ამბობდა: „ჩემს სამშობლოს კარგად ვიცნობ, მომივლია კიდით კიდე სიმართლის თქმით და გულწრფელობით ჭირი ჭირზე ავიკიდე, აქ მონობა ჭკუა არის, ორპირობა სიბრძნე დიდი და მას რჩება მოედანი, ვინც კი არის მეტად ფლიდი“. XIX საუკუნის მეორე ქართველი მწერალი ლავრენტი არდაზიანი წერდა: „ვაგლახ, ვინც თავხედია ახლა ის იმარჯვებს ამ ქვეყანაზე“. „სახელმწიფო ეს არის ადამიანების გასრესის მექანიზმი“, „არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა“, ადოლფ ჰიტლერს უყვარდა თქმა: „თუ გინდა მოსპო ერი, უნდა გაანადგურო მისი ინტელექტი“. რა

პრინციპული განსხვავებაა ვ. ლენინის, ი. სტალინის და ა. ჭიტლერის ამ მოსაზრებებს შორის? ჩვენი აზრით, ბევრი არც არაფერი. საბჭოთა, კომუნისტურ რეჟიმს და ნაცისტებს და ფაშისტებს შორის სულაც არ გახლავთ ისეთი დიდი განსხვავება, როგორც ეს დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ისტორიოგრაფიას ეგონა. მათ შორის გაცილებით უფრო მეტი შეხების წერტილები არსებობს. ინტელიგენციის სიძულვილი ერთ-ერთი მათგანია. ბოლშევიკურმა და ფაშიტურმა რეჟიმებმა სასტიკი რეპრესიები დაატეხა თავს ერის საუკეთესო ნაწილს, ინტელიგენციას. ორივემ ცეცხლით და მახვილით გადაუარა ინტელიგენციას და მე მგონია ბოლშევიკებმა ცოტათი აჯობეს კიდეც. ცხადია, შემთხვევითი არ გახლავთ, რომ ყველა დროის, ყველაზე საძულველ ადამიანებს შორის ყველაზე უფრო ხშირად, სწორედ ვ. ლენინის, ი. სტალინის და ა. ჭიტლერის სახელები ფიგურირებს.

აი, ასეთი არასახარბიელო მემკვიდრეობა დაუტოვა ბოლშევიკურ-ტოტალიტარულმა სახელმწიფომ უნივერსიტეტს, საბჭოთა სახელმწიფოს ძალისხმევით უნივერსიტეტს ძალით მოახვიეს თავს მრავალი უკეთურებანი, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, პროექცია, კორუფცია და ნეპოტიზმი, რომელიც მისთვის შინაგანად სრულიად უცხო და მიუღებელი იყო. დღეს მნიშვნელოვანნილად სწორედ, ამის შედეგს ვიმკით, აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება, ძველი ინერცია ჯერ კიდევ ძლიერია, ჩვენი მენტალიტეტი არ შეცვლილა.

სარჩევი

შესავალი 3

პარი პირველი

თანამედროვე ქართული

ისტორიოგრაფიის შუქ-ჩრდილები 8

თავი პირველი

XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის

ძნელებედობა. ისტორიული მეცნიერების

სტალინიზაცია 8

თავი მეორე

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის

პერსპექტივები და პრობლემები 22

თავი მესამე

კრიზისიდან გამოსავალი მეცნიერული

გამოკვლევების ხარისხის გაუმჯობესება 34

თავი მეორე

უნივერსიტეტი ოაზისი როდია 82

თავი მესამე

„ეს განაჩენი სამარცხვინოა

არა ჩემთვის, არამედ თქვენთვის“ 139

პარი მეორე

ისტორიკოსები და ისტორიული ფაქტი 148

თავი პირველი

საგულისხმო თარგმანი

ისტორიულ ფაქტზე 148

თავი მეორე

ისტორიული ფაქტის პრობლემის	
საინტერესო ხედვა	156
დასკვნა	190
დანართი	
„ყოფნა არ ყოფნა – საკითხავი აი ეს არის“.....	200



სტამბა დამანი
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიძაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 577 33 38 55

stamba.damani@gmail.com

❖ სტამბა დამანი / Print House Damani